

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტრო
ნიკო პერაქენიშვილის ინსტიტუტი

სამხრეთ-დასავლეთ
საქართველოს ისტორიის
საკითხები

II



გამომცემლობა
„შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი“

2007

წინამდებარე კრებული ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიის განყოფილების მიერ გამოცემულ ნაშრომთა რიგით მეორე წიგნია (პირველი გამოიცა 1991 წელს). მასში ასახულია საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურის ისტორიის ცალკეული საკითხები უძველესი დროიდან დღემდე.

კრებული განკუთვნილია სპეციალისტებისა და ისტორიით დაინტერესებულ მკითხველთათვის.

ედგენება ინსტიტუტის დაარსების 50 წლისთავს

რ ე დ ა ქ ტ ო რ ი – მაღზაზ სიორიძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

რ ე ც ე ნ ზ ე ნ ტ ი – ნოდარ ბახიძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

ISSN 1987-524X

გამომცემლობა
© „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ – 2007

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთის დასახლებათა ტიპები ნეოლით-ადრერკინის ხანაში

დასახლების ტიპს, მის ტოპოგრაფიას, როგორც წესი, ფაქტორების კომპლექსი განაპირობებს. ბუნებრივი პირობებისა და ისტორიული ტრადიციის თავისებურებები, საზოგადოების სამეურნეო და სოციალური განვითარების დონე, გარემოცვა, რომელშიც მოცემულ საზოგადოებას უხდება ცხოვრება, – არის სწორედ ის ძირითადი კომპონენტები, რომლებიც განსაზღვრავენ როგორც დასახლებათა ფორმებს, მათ ტიპს, ისე მშენებლობაში გამოყენებული მასალების რავარობასა და სამშენებლო ხერხებს.

უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ზოლში წარმოებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად მიღებული მონაცემები საშუალებას იძლევა განისაზღვროს წარმოდგენილ რეგიონში, სხვადასხვა პერიოდში, არსებულ დასახლებათა ტიპები, მათი ტოპოგრაფია, დაწყებული ადრენეოლითის ხანიდან.

ნეოლითის ხანაში, როგორც ცნობილია, ხდება მითვისებითი მეურნეობის ჩანაცვლება წარმოებითი მეურნეობით. ახალი ტიპის ეკონომიკური ურთიერთობები საზოგადოების წინსვლის საფუძველს ქმნის, საგრძნობლად იცვლება ცხოვრების წესი, ადამიანი მყარად მკვიდრდება მიწაზე, ჩნდება სოფლის ტიპის დასახლებები ხელოვნური საცხოვრებლებით, იქმნება უფრო მსხვილი ტომობრივი ერთეულები, რომლებიც გარკვეულ ტერიტორიებს იკავებენ.

ამ პერიოდის ძეგლები გვხვდება შესასწავლი რეგიონის როგორც ზღვისპირა ზოლში, ისე შიდა რაიონებში. ისინი ძირითადად გამოვლენილია მდინარეების – ჭოროხის, ჩოლოქის, კინტრიშის, ჩაქვისწყლის და სხვ. აუზებში. ნამოსახლარები, უპირატესად, შემადგენულ ადგილებზე, ბუნებრივ ბორცვებზე, ზღვისა და მდინარეების ტერასებზეა წარმოდგენილი და ღია ტიპისაა.

ნეოლითის ხანაში, აღნიშნულ რეგიონში, სახეზე გვაქვს დასახლების ძირითადად კომპაქტური ფორმა. ამის დასტურია ახალი ქვის ხანის საწყისი ეტაპის სამოსახლოები, რომლებიც გამოვლინდა სოფ. ქობულეთში, ჯიხანჯურში, მაკვანეთში, კვირიკეში, ხუცუბანსა და მახვილაურში. უნდა აღინიშნოს, რომ სოფ. ქობულეთის ნეოლითური ნამოსახლარი წარმოადგენს ღია ტერასაზე გამართულ, სამი მხრიდან კარგად დაცულ ძეგლს, რომელსაც 1 ჰექტარამდე ფართობი ეკავა. ის დღეისათვის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ადრენეოლითური ხანის ერთადერთი ძეგლია, სადაც გადარჩენილია უძრავი კულტურული ფენები, რაც საშუალებას გვაძლევს რეალური წარმოდგენა შევიძუშავოთ ნამოსახლარის შესახებ (ნ. ბერძენიშვილი, ლ. ნებიერიძე, 1979: 7-15; ს. გოგიტიძე, 1978: 48-66; ს. გოგიტიძე, 1983: 3-39). ძეგლზე გამოვლენილია 30000 ერთეულზე მეტი სხვადასხვა სახის იარაღის ნაშთი. მასალის ასეთი კონცენტრაცია გარკვეულ ფართობზე დასახლების კომპაქტურობას უნდა მოწმობდეს. ეს გასაგებიცაა, რადგან ამ პერიოდში გადარჩენის მეტი შანსი გააჩნდა სწორედ კომპაქტურად დასახლებულ მოზრდილ კოლექტივს. როგორც ჩანს, ადამიანთა თავმოყრა გარკვეული ხელსაყრელი გეოგრაფიული განლაგების მქონე პუნქტებში გამოწვეული იყო არა მარტო კოლექტიური თავდაცვის აუცილებლობით, არამედ სამეურნეო საქმიანობის წარმატებულად გაძღოლის საჭიროებითაც (ალ. კალანდაძე, 1970: 77-118; ნ. ხახუტაიშვილი, 1986: 95).

ქობულეთის ნამოსახლარის ტერიტორია განსაკუთრებით მჭიდროდ ჩანდა დასახლებული ბორცვის ცენტრალურ ნაწილში, სადაც თავმოყრილი იყო საცხოვრებელი ნაგებობების უმრავლესობა. სპეციალისტთა აზრით, აქ წარმოდგენილ საცხოვრებელ ნაგებობებს უმთავრესად მომრგვალო ან ოთხკუთხა ფორმა უნდა ჰქონოდათ (ფართობი - 4-6 კვ. მ.). სახლები განლაგებული იყო ორ პარალელურ მწკრივად და გააჩნდათ საერთო ეზო. როგორც ირკვევა, ეს იყო ხის კარკასზე მოწნული სახლები, რომლებშიც გამართული იყო სხვადასხვა დანიშნულების სამეურნეო ორმოები. დასახლებას გააჩნდა საკუთარი დახურული ორი წყალსადენიც (ს. გოგიტიძე, 1978: 48-66; ს. გოგიტიძე, 1983: 3-39). “სოფელს” გამაგ-

რების სისტემაც უნდა ჰქონოდა (დ. ხახუტაიშვილი, 1995: 25). კოლხეთის ამ მხარეში, ნეოლითის ხანაში ძირითადად, როგორც ვარაუდობენ, მსუბუქი ტიპის ნაგებობა იყო გავრცელებული. სამწუხაროდ, ხის და საერთოდ, ორგანულ ნივთიერებათა ნაშთებმა კოლხეთის ნესტიანი ჰავის პირობებში ჩვენამდე ვერ მოაღწია.

როგორც ჩანს, ნეოლითელი ადამიანი საცხოვრებლის გასამართ ადგილს საგანგებოდ არჩევდა. ითვალისწინებდა ტყის, მდინარისა თუ დელის სიახლოვეს, ზოგჯერ თვით ტერასისა თუ ბორცვის სიმაღლეს და მისი დაცვის შესაძლებლობებს. ასეთი არჩევანი ადამიანს უქმნიდა ცხოვრებისათვის შედარებით უკეთეს პირობებს. ამასთან, თითქმის ყველა ნამოსახლარსა თუ სადგომზე ფიქსირდება წყაროს წყლისა თუ წყალსადენის არსებობა.

ადრებრინჯაოს ხანაში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში წარმოდგენილი გვაქვს როგორც ხუტორული ტიპის, ასევე კომპაქტური, მრავალკარმიდამოიანი დასახლებები. მაგ. ისპანის ტორფქვეშა ნამოსახლარის მასალები გვიდასტურებს, რომ დასახლების კომპაქტური ფორმა განაგრძობს არსებობას ადრებრინჯაოს ხანაშიც. ისპანის ნამოსახლარი ზღვის სანაპიროსაგან დაახლოებით 2 კმ-ით არის დაშორებული და დღეს ტორფის ორმეტრიანი ფენის ქვეშაა დამარხული. გათხრების სირთულის გამო მოხერხდა ძეგლის მხოლოდ მცირე ფართობის შესწავლა. გამოვლინდა ორი დონე. ქვედა დონეზე აღმოჩნდა ხის ძეგლებისაგან ნაგები ჯარგვალური ტიპის სახლები, რომლებიც ერთმანეთზე მიბრჯნით იყო განლაგებული და უშუალოდ ზღვისპირა სილაზე მდგარა, ზედა დონეში კი დადასტურდა ხიმინჯებზე მდგარი სახლები. უნდა აღინიშნოს, რომ ხის ძეგლებით ნაგები სახლების ქვედა ნაწილი თითქმის ხელუხლებლად იყო გადარჩენილი. ასევე კარგად ფიქსირდებოდა ხის ძეგლების დამაკავშირებელი ჭდეები (ა. ინაიშვილი, 1977: 75-78; დ. ხახუტაიშვილი, 1980: 17-19). ამდენად, ისპანის მოსახლეობა სამშენებლო მასალად იყენებს მრავალ ხის მორებს და სახლის კედლები ჰორიზონტალურად ერთმანეთზე ჭდევით დამაგრებული ძეგლებით (მორებით) ამოყავს. სამწუხაროდ, ჩვენთვის უცნობია ამ ხერხის შექმნის ზუსტი თარიღი, თუმცა ადრებრინჯაოს ხანის ამიერკავკა-

სიაში ჭდეებით დამაგრების ტექნიკა თუ საყოველთაოდ არა, უკვე ცნობილია და გამოიყენება მშენებლობაში, განსაკუთრებით დასავლეთ და ცენტრალურ ამერიკაკასიაში. ნიშანდობლივია, რომ ხის ძელების ჭდეებით დამაგრების ეს ძირძველი ტრადიცია დღემდე შემორჩა დასავლეთ საქართველოს ხალხურ ხუროთმოძღვრებას. როგორც ისპანის მასალიდან ირკვევა, აქვე უნდა არსებულიყო ლითონის დამუშავებასთან დაკავშირებული სახელოსნო უბანიც. ნამოსახლარზე ადრებრინჯაოს ხანის შემდეგ ცხოვრება აღარ გაგრძელბულა. ამის ძირითადი მიზეზი ის გეომორფოლოგიური პროცესებია, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ კოლხეთის ზღვისპირა ზოლში. როგორც ცნობილია, ძვ. წ. III ათასწლეულის II ნახევარში იწყება ახალშავზღვური ტრანსგრესია, ზღვის დონე 3-5 მეტრით მაღლა იწევს, ატაობებს აკუმულაციურ ველს და გამოუსადეგარს ხდის მას საცხოვრებლად (Ч. Джанелидзе, 1980: 27-სლ., Д. Хахутаიшвили, 1984: 146-151). ბუნებრივია, ადამიანი ტოვებს ასეთ ადგილებს და ზეგნისაკენ ინაცვლებს. როგორც ჩანს, ამ პროცესების შედეგად ისპანის ნამოსახლარის ტერიტორია დატაობდა და ცხოვრებისათვის უვარგისი გახდა. ამან აიძულა ადგილობრივი მოსახლეობა აყრილიყო და სხვა ადგილები მოეძებნა დასასახლებლად. როგორც ფიქრობენ, მათ ცხოვრება ნამჭედურის ტერიტორიაზე გააგრძელეს (Т. Микеладзе, Хахутаишвили, 1985: 22-სლ., დ. ხახუტაიშვილი, 1995: 33-45).

რაც შეეხება შუაბრინჯაოს ხანას, ამ პერიოდში საქართველოს დასავლეთ ნაწილში, წინარე ხანასთან შედარებით, მნიშვნელოვანი ეკონომიკური აღმავლობა შეინიშნება. წინაურდება მიწათმოქმედება და მესაქონლეობა. ფართოდ სახლდება კოლხეთის დაბლობი, რაც ხელს უწყობს ცხოვრების საერთო დონის ამაღლებას. ამ პერიოდის ბოლოდან უფრო ინტენსიურად იწყება მთისწინა და მთის რეგიონის ათვისება.

სამწუხაროდ, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ზოლში ჯერჯერობით გამოვლენილი არ არის ამ პერიოდის ნამოსახლარები, რაც ართულებს ამ დროის დასახლებათა ფორმებზე საუბარს. თუმცა, შედარებით კარგად

არის ცნობილი წინამორბედი და მომდევნო ხანის ვითარება. მათი ურთიერთშედარება ავლენს გარკვეულ გენეტიკურ ძაფებს და საშუალებას გვაძლევს ვისაუბროთ ტრადიციის მდგრადობაზე, დასახლებათა ფორმების გარკვეულ კონსერვატულობაზე. თუმცა, არ არის გამორიცხული შუაბრინჯაოს ხანაში დასახლებათა ფორმებს გარკვეული კორექტირება განეცადა. ეს შეიძლება მომხდარიყო იმ კლიმატური ცვლილებების ფონზე, რასაც შუაბრინჯაოს ხანაში ვადასტურებთ.

გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურიდან იწყება კოლხეთის ბარის უფრო ინტენსიური დასახლება. აქ გამოვლენილ ნამოსახლარებზე სწორედ გვიანბრინჯაოს ხანის კულტურული ფენებია ყველაზე მძლავრი, რაც იმის მანიშნებელია, რომ ამ დროის მოსახლეობა აქ დიდხანს მჯდარა. მართალია, კოლხეთის დაბლობისათვის დამახასიათებელი მძლავრი მცენარეული საფარი დიდ დაბრკოლებას უქმნიდა მის ფართო ათვისებას, მაგრამ კოლხური კულტურის ხანაში ლითონის იარაღის ფართო გამოყენებამ საგრძნობლად გაზარდა ტყეზე შეტევის შესაძლებლობა და ხელი შეუწყო ბარში ცხოვრების ინტენსიფიკაციას.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ზოლში გვიანბრინჯაოს ხანაში წარმოდგენილია როგორც ხუტორული კარმიდამოები, ასევე მცირე მასშტაბის კომპაქტური დასახლებები, რომლებიც გვაროვნული, ცალკეულ შემთხვევაში კი ტერიტორიული თემის საცხოვრისები უნდა ყოფილიყო. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესო მონაცემებს იძლევა ჩოლოქ-ოჩხამურის ხერთვისის ზოლში არსებული საკმაოდ მძლავრი ნამოსახლართა ჯგუფი (ნამჭედური VI, ნამჭედური V, ჩოლოქისპირა ნამოსახლარი). როგორც ოთ. ჯაფარიძე აღნიშნავს, კოლხეთში “ამ დროის სამოსახლოებს წინარე ხანასთან შედარებით სახე მაინცდამაინც არ შეუცვლია. სამშენებლო ტექნიკაში, საცხოვრებლის გეგმარებაში და ტიპში აქ გრძელდება ძველი ტრადიციები. როგორც ჩანს, კოლხეთის დაბლობზე თავისებური, ტენიანი ჰავის პირობებში განსხვავებული სახის დასახლება ჩამოყალიბდა, მშენებლობის თავისებური ხერხებით და ნაგებობის ტიპით. ნესტიანობის მაღალი დონის პირობებში, ხე-ტყით მდიდარ კოლხეთში მერქანს წამყვანი ადგილი ეკავა. საცხოვრებელი და დამხმარე ნაგე-

ბოლები შენდებოდა გრუნტის დონეზე ხის მორებისაგან მოწყობილ მოედნებზე, რაც სახლს გრუნტის წყლისაგან და სინესტისაგან იცავდა.” (ოთ. ჯაფარიძე, 1982: 69-70., ოთ ჯაფარიძე, 2003: 131). ამ პერიოდში საცხოვრებლად ხის ძელები-საგან ნაგები სახლია გამოყენებული. ნაგებობა ერთი ან მეტი ოთახისაგან შედგებოდა. მაგ. ნამჭედურის ნამოსახლარის თანადროულ ფენაში გამოვლინდა მრავალთახიანი შენობის ნაშთი. მშენებლობაში გამოყენებულია კარგად შერჩეული და ცუდით გათლილ-გასუფთავებული მორები, ხოლო იატაკი თიხატექსტილითაა შესრულებული (Т. Микеладзе, Д. Хахуаишвили, 1985: 22-23). ძეღური კონსტრუქციაა გამოყენებული ასევე ჩოლოქისპირა ნამოსახლარზე.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთში შედარებით ფართოდაა წარმოდგენილი ადრერკინის ხანის დასახლებები (ნამჭედური IV, ნამჭედური III, ჩოლოქისპირა ნამოსახლარის გარკვეული ფენები, ციხისძირის ნამოსახლარი, დიუნური დასახლებები). ამ პერიოდის ძეგლების შესწავლის შედეგად დასტურდება, რომ რეგიონში ჩნდება თვისებრივად ახალი ტიპის სამოსახლოები - მსხვილი დაბური ტიპის დასახლებები, რომლებიც რამდენიმე თემს აერთიანებდნენ. ამგვარი ტოპოგრაფიის დასახლებაში ხშირად წარმოდგენილია როგორც საცხოვრებელი, ისე სხვადასხვა დარგში დასაქმებული სახელოსნო უბნები და წარმართული რელიგიური ცერემონიალების აღმასრულებელი მოედნები. მაგ. ჩოლოქისპირა ნამოსახლარზე ფიქსირებულია ცხვრის ფარეხი თუ ქალტა, რომელსაც მაღალი მესერი შემოუყვებოდა. იქვე წარმოდგენილი იყო მეღვინის სახელოსნოს ნაშთები (ირ. ჩავლეიშვილი, 1987: 21-30: 3-26., ირ. ჩავლეიშვილი, 1991: 3-26). გარდა ამისა, დასახლებებთან ახლოს, ზღვისპირა დიუნებზე, გამართული იყო მაგნეტიტის მომპოვებელი საწარმოები (აღ. რამიშვილი, 1964: 119-შმდ., აღ. რამიშვილი, 1974: 103-111., გ. თავამაიშვილი, 1991: 27-41., А. Рамишвили, 1975: 136-153), სადაც მოსახლეობა, როგორც ვარაუდობენ, სეზონურად საქმიანობდა წლის უფრო თბილ თვეებში (დ. ხაუტაიშვილი, 2007: 208-209). ყოველ მსხვილ დასახლებას გააჩნდა ნეკროპოლი და სასოფლო-სამეურნეო სავარგულები.

ამავე დროს განაგრძობდა არსებობას დასახლების ტრადიციული ფორმებიც, ხუტორული კარმიდამოები და მცირე კომპაქტური დასახლებები.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდის სამოსახლოები, როგორც წესი, ერთმანეთის გვერდით მდებარე ორი, სამი და მეტი ბორცვისაგან შემდგარი ჯგუფით არიან წარმოდგენილი. ბორცვების ერთიან კომპლექსში, როგორც წესი, გამოიყოფოდა უფრო დიდი ზომისა და სიმაღლის ბორცვი, რომელსაც ცენტრალური ადგილი ეკავა და, რომელიც ერთი, ზოგჯერ ორი მზლუდავი ფართო თხრილით იყო გარშემოვლებული (ოთ. ლორთქიფანიძე, 2002: 136-137). ამის თვალსაჩინო მაგალითია კარგად შესწავლილი ქობულეთ-ფიჭვნარის მსხვილი დასახლება, რომელიც ამგვარი ტოპოგრაფიით სწორედ ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ მეოთხედში ჩანს გაფორმებული. იგი წარმოიქმნა მდ. ჩოლოქისა და მდ. ოჩხამურის ხერთვისის ზონაში რიგითი სათემო დასახლებების გაერთიანების გზით. როგორც ფიქრობენ, აქ წარმოდგენილი დასახლებები იმ თემის გარშემო გაერთიანდნენ, რომელსაც ნამჭედურის სამოსახლო ეკუთვნოდა და, რომელიც ჰეგემონის როლს ასრულებდა. ამ დასახლებებში ფართოდაა წარმოდგენილი მთელი რიგი ხელოსნური წარმოების დარგებისა: ფეიქრობა, მეთუნეობა, ლითონჩამოსხმა, მადნის მოპოვება და ა. შ. ამასთან, სამეურნეო საქმიანობის ეს მრავალსახეობა წარმოდგენილია შედარებით განსაზღვრულ ტერიტორიაზე. თითოეულ უბანს, რომელიც ადრინდელი რიგითი სათემო დასახლებისაგან განვითარდა, თავისი მეურნეობრივი ხელწერა გააჩნდა. როგორც ჩანს, ნამჭედურის ნამოსახლარი ძვ. წ. II ათასწ. ბოლოს ჩვეულებრივი კომპაქტური დასახლებიდან გადაიქცა მსხვილი დაბური ტიპის დასახლების ცენტრალურ, გამაგრებულ ნაწილად, რომელსაც გააჩნდა საკმაოდ საიმედო საფორტიფიკაციო სისტემა და სადაც ჰეგემონი თემი ცხოვრობდა. აქვე იყო წარმოდგენილი თემის ძირითადი სალოცავი.

ადრერკინის ხანაში გარკვეული სიახლე შეიმჩნევა მშენებლობის ტექნიკაშიც. ინერგება საცხოვრებელი სახლის იატაკისა და ეზოს ქვით მოკირწყვლის ტრადიცია. კოლხი მშენებლები ზღვის ნაპირზე სპეციალურად არჩევდნენ დისკოს ფორმის, მეტ-ნაკლებად თანაბარი ზომის ქვებს და

სიბრტყეზე ალაგებდნენ სახლის იატაკზე, დერეფანსა (სოხანე) და ეზოში. კარმიდამოსა და საცხოვრებელი სახლის კეთილმოწყობის ეს ხერხი გვიანობამდე შემორჩა კოლხეთის ზღვისპირეთში. მკვიდრდება კიდევ ერთი სიახლე, ჯარგავლური ნაგებობის კედლების თიხის ხსნარის სქელი შრით შეღესვა. ამდენად, ნაშკელური III-ის პერიოდში (ძვ. წ. IX-VII სს.) საცხოვრებელ სახლს აშენებდნენ ვერტიკალურად მდგარი მსხვილი სვეტების გამოყენებით, რომელთა შორის სივრცე წნული კედლებით იყო ამოშენებული და თიხის ხსნარის სქელი შრით შეღესილი. კედლის მშენებლობის ასეთივე ხერხია ფიქსირებული ვიტრუვიუსთანაც (ლ. სუმბაძე, 1945: 491-502; ლ. სუმბაძე, 1968: 201-220; თ. ჩიქოვანი, 1966: 211-222).

სამეცნიერო ლიტერატურაში საკმაოდ დიდხანს მწვავე დავა იყო იმის შესახებ, თუ როგორი ხერხით შენდებოდა კოლხური სახლის კედლები – ძელების ჭდობით, თუ მის გარეშე. კოლხეთის ბარში დადასტურებული მასალის მიხედვით, ყველა ძელოური სახლის კედლები, ადრებრინჯაოს ხანიდან ვიდრე ანტიკურ ხანამდე, მხოლოდ ჭდობითაა ნაგები (დ. ხახუტაიშვილი, 1980: 18-19; Т. Микеладзе, Д. Хухутаишвили, 1985: 22-23). უნდა ითქვას, რომ ჭდევის გარეშე მშენებლობა მშენებლობის გაცილებით პრიმიტიული სახეა, ვიდრე ჭდევიით (ნ. ხახუტაიშვილი, 1986: 108-109). ძირითად საშენ მასალად, როგორც ფიქსირდება, ისევ მერქანი იყო გამოყენებული.

რაც შეეხება კოლხეთის სინამდვილეში მშენებლობაში ქვის გამოყენებას, იგი ელინისტური ხანიდან ჩნდება. მაგ. ვანის ნაქალაქარის გათხრებისას დადასტურდა ელინისტური ხანის ქვით ნაგები შენობები (ოთ. ლორთქიფანიძე, 2002). ფიჭვნარის ნაქალაქარზე კი, ძველი წელთაღრიცხვის დასასრულამდე, ე. ი. ქალაქის არსებობის მთელ მანძილზე, მშენებლობაში მხოლოდ მერქანი ჩანს გამოყენებული. მსგავს სურათს ვადასტურებთ ჩვენ ადრეანტიკური ხანის სხვა ძეგლებზეც, რომლებიც კოლხეთის ზღვისპირა ზოლშია გამოვლენილი (ნ. ხახუტაიშვილი, 1986: 111).

ამგვარად, თუ წარმოდგენილი რეგიონის დასახლების ფორმებში, აღნიშნული პერიოდის განმავლობაში, ჩვენ ვადასტურებთ გარკვეულ ევოლუციას (მცირე კომპაქტური დასახლებებიდან – მსხვილი, პროტოქალაქური დასახლებებისა-

კენ), მშენებლობის ხელოვნებაში და სამშენებლო მასალაში გარკვეული კონსერვატიზმი იკვეთება.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

1. **ბერძენიშვილი ნ., ნებიერიძე ლ.**, ქვის ხანის ნამოსახლარები კინტრიშის ხეობაში, კრ., სდსმ, VIII, თბ., 1979.
2. **გოგიტიძე ს.**, სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ნეოლითური კულტურა, თბ., 1978.
3. **გოგიტიძე ს.**, ქობულეთის ქვის ხანის ნამოსახლარზე 1980 წელს ჩატარებული საველე კვლევა-ძიების შედეგები, კრ., სდსმ, XII, თბ., 1983.
4. **თავაძიშვილი გ.**, ზღვისპირა სადგომების დანიშნულების შესახებ, სდსმ, XIX, თბ., 1991.
5. **ინაიშვილი ა.**, სამხრეთ დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ექსპედიციის 1974 წლის მუშაობის შედეგები, კრ. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, VI, თბ., 1977.
6. **კალანდაძე აღ.**, ქვის ხანა საქართველოში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, თბ., 1970.
7. **ღორთქიფანიძე ოთ.**, ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან, თბ., 2002.
8. **მიქელაძე თ.**, ქსენოფონტის “ანაბასისი”, თბ., 1967.
9. **რამიშვილი აღ.**, ფიჭვნარის ზღვისპირა სადგომების დათარიღებისათვის, “მაცნე”, №2, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სერია, თბ., 1974.
10. **რამიშვილი აღ.**, ზღვისპირა ზოლის ძველი ნამოსახლარები ჩაქვის რაიონში (1960 წლის არქეოლოგიური დაზვერვის მასალები), ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები, თბ., 1964.
11. **სუმბაძე ლ.**, კოლხური საცხოვრებელი სახლი ვიტრუვის მიხედვით. „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“, ტ. VI, თბ., 1945.
12. **სუმბაძე ლ.**, კოლხური სახლი ვიტრუვიუსის მიხედვით და ქართული ხალხური საცხოვრებლის კვლევის პრობლემები, კრ. “მაცნე”, № 4, თბ., 1968.

13. **ქავთარაძე გ.**, საქართველოს ენეოლით-ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური კულტურების ქრონოლოგია ახალი მონაცემების შუქზე, თბ., 1981.

14. **ჩაგლეიშვილი ირ.**, მესაქონლეობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში, სდსპ, XVII, თბ., 1988.

15. **ჩაგლეიშვილი ირ.**, კოლხური ბრინჯაოს საწარმოო კერა ჩოლოქონხამურის ხეობისში, სდსპ, XIX, თბ., 1991.

16. **ჩიქოვანი თ.**, გვირგვინიან-ერდოიანი საცხოვრებლის და ვიტრუვის კოლხური სახლის ურთიერთობისათვის, საქ. მეცნ. აკად. საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების “მაცნე”, № 6 (33), თბ., 1966.

17. **ჯაფარიძე ო.**, საქართველოს ისტორიის სათავეებთან (პირველყოფილი ეპოქა), თბ., 2003.

18. **ხახუტაიშვილი დ.**, მშენებლობის ხელოვნების უძველესი ნიმუში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთიდან, კრ., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქიტექტურული ძეგლები, ბათუმი, 1980.

19. **ხახუტაიშვილი დ.**, ქობულეთის “ქვეყანა”, I, თბ., 1995.

20. **ხახუტაიშვილი დ.**, დასახლების ფორმები და პროტოქალაქების წარმოქმნა, კრ. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები(აჭარა), I, ბათუმი, 2007.

21. **ხახუტაიშვილი ნ.**, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთი ადრერკინის ხანაში, თბ., 1986.

22. **Джанелидзе Ч.**, Палеография Грузии в голоцене, Тб., 1980.

23. **Микеладзе Т., Хакугаишвили Д.**, Древнеколхидское поселение Намчедური, I, «Памятники Юго-Западной Грузии», XIV, Тб., 1985.

24. **Рамишвили А.**, Раскопки приморских стоянок в Пичвнари (Кобулеги) в 1960-1964 и 1967 гг, СА, № 1, Москва, 1975.

25. **Хакугаишвили Д.**, Природа и человек в приморской полосе Колхиды в эпоху голоцена, сб., Кавказско-ближневосточный сборник, VII, Тб., 1984.

Types of Settlements in South-Western Georgia Littoral in Neolithic and Early-Iron Ages

Summary

The Forms of settlement and civil engineering in South-West Georgia Littoral have mostly been studied according to the materials revealed during the excavations of group of monuments of different epoch in this region.

From small compact settlements towards bigger, proto-city type settlements, part of which gradually formed early-class cities – this is the way of the settlement development from a Neolith to the end Early-Iron Ages.

Observing the evolution within the types of settlement of this period we can point to a certain conservatism in the construction technology and construction materials.

Нана Хахутаишвили

Типы поселения Приморья Юго-Западной Грузии Неолита-Раннежелезной эпохи

Резюме

Формы поселения и строительное дело Приморья Юго-Западной Грузии изучены, в основном, на материале, выявленном при раскопке группы памятников разных эпох данного региона.

От малых компактных поселений к крупным, протогородского типа поселениям, часть которых впоследствии формируется как раннеклассовые города – таков путь развития поселений от неолита до конца раннежелезной эпохи.

Наблюдая эволюцию в типах поселения рассматриваемого периода, можно отметить определенный консерватизм в строительной технике и строительных материалах.

ხეთები ქაშქების შესახებ

სულ ახლახან, თბილისში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე “არგონავტიკა და მსოფლიო კულტურა” ცნობილმა ხეთოლოგმა ითამარ ზინგერმა წაიკითხა მოხსენება “ვინ იყვნენ ქაშქები?” [Singer 2007]. ეს მოხსენება კიდევ ერთხელ ცხადყოფს ქაშქების/ქასქების¹, მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონების (პონტოს და მისი მიმდებარე ოლქების) უძველეს მკვიდრთა, საკითხის აქტუალურობას დღევანდელ ისტორიოგრაფიაში და ამ ტომების კვლევის ახალ პერსპექტივებს სახავს. ბევრი რამ დაზუსტდა მას შემდეგ, რაც გამოიცა ქაშქების საკითხისადმი მიძღვნილი პირველი ფუნდამენტური გამოკვლევები [Гюргадзе 1961; von Schuler 1965]. ხეთების სამეფოს ცენტრალურ რაიონებში (ზილეს მახლობლად, დღევანდელ მაშათ-ჰუიუქში/ხეთ. თაფი-გა, ქალაქ ჩორუმის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ორთაქოიში/ხეთ. საფინუვა, ქალაქ ამასიასთან, ქუშაქლიში/ხეთ. შარი-სა) წარმოებული არქეოლოგიური გათხრები და მათ შედეგად გამოვლენილი ათასობით ღურსმული ფირფიტა შუქს ჰფენენ ქაშქების ისტორიის, ხეთებთან მათი ურთიერთობის, განსახლების არეალის თუ ცალკეული გეოგრაფიული პუნქტის ზუსტი ლოკალიზაციის საკითხებს. ბევრს გვპირდება უკანასკნელ ხანებში დაწყებული არქეოლოგიური გათხრები ჩრდილოეთ ანატოლიაშიც – ოიმადაჩ/ვეზირქოფრუში (სავარაუდოდ, გაიგივებულია ხეთური ხანის ნერიქთან, ხეთების

¹ იმის გამო, რომ არ ვიცით, როგორ გამოითქმოდა ზუსტად *š* თანხმოვანი ხეთურ ენაში, ხეთური სახელწოდება *kaška* (/kaška/gaška/qaška/ qaška და ა.შ.) შეიძლება ორივენაირად გავახმოვანოთ – ქაშქა, ქასქა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ძველევგვიპტურ ენაზე, რომელიც განარჩევს *სან* და *შინ* თანხმოვნებს, ეს ეთნონიმი გადმოცემულია *შინ* თანხმოვნით (Kškš), განსხვავებით სხვა ხეთური სახელებისგან, რომლებიც *სან* თანხმოვნით არის გადატანილი ძველევგვიპტურ წყაროებში (მაგალითად, Muršiliš / მურსილი, Hattušiliš / ხათუსილი) [იხ. მაგ. von Schuler 1965: 87; შდრ. გიორგაძე 2002: 95]

ერთ-ერთ დიდ რელიგიურ ცენტრთან, ხეთებისა და ქაშქების სასაზღვრო ზონის მნიშვნელოვან პუნქტთან). თუმცა, დღეისათვის კვლავ გადაუჭრელი რჩება საკითხი ქაშქების ვინაობისა და ენის შესახებ. ამ პრობლემის კვლევა, გარკვეულწილად, გადაჯაჭვულია ქართველური ენების და ხათური ენის მიმართების კვლევასთანაც. გრიგოლ გიორგაძის სამართლიანი შენიშვნით, თუ დადასტურდება ჰიპოთეზა ქაშქების და სამხრეთ კოლხური წარმოშობის ტომების გენეტიკური კავშირის შესახებ, “მაშინ გაჩნდება კიდევ ერთი არგუმენტი დასავლურ-ქართველური ტომების დაკავშირებისათვის ხათებთან, რაც, ცხადია, გულისხმობს ხათური და ქართველური ენების ნათესაობას” [გიორგაძე 1999: 172; გიორგაძე 2000, გიორგაძე 2002: 94 შმდ.]. რამდენადმე განსხვავებულად სვამს საკითხს ი. ზინგერი. ის არ უგულებელყოფს გ. გიორგაძის ვარაუდს სამხრეთ კოლხურ, მეგრულ-ჭანურ ენებთან ქაშქების ენის ნათესაური კავშირის შესახებ, მაგრამ, მისი აზრით, ასეთ შემთხვევაში პრობლემას ქმნის ხათური ენა, რომელიც სავარაუდოდ უკავშირდება დასავლურ-კავკასიურ ენებს და ამავე დროს ავლენს კავშირს ქაშქებთანაც (იგულისხმება თანხვედრები ხათურ და ქაშქურ ონომასტიკაში, აგრეთვე ხათურ-ქაშქურ კულტურულ სფეროებს შორის. [იხ. Singer 2007]. იგი, ამ თვალსაზრისით, უფრო შორსაც მიდის და თვლის, რომ ქაშქები შეიძლება ყოფილიყვნენ ხეთების მიერ ჩრდილოეთით განდევნილი ხათური მოსახლეობის ერთ-ერთი გადარჩენილი ტომი ან ტომების გაერთიანება. იმ დროს, როდესაც ხათებს ხეთების მთავარ ურბანულ ცენტრებში უნდა განეცადათ ასიმილაცია ხეთ/ნესიტ ოკუპანტებთან, ტომობრივმა ელემენტებმა უფრო შორეულ რეგიონებში შეინარჩუნეს თავისი მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები და ქაშქას სახელით მოგვევლინენ ... [Singer 1981: 123].

იმედია, რომ ამ საკითხების კომპლექსური კვლევა, მომავალ აღმოჩენათა საფუძველზე, გაამდიდრებს ჩვენს ცოდნას ჩვენი უძველესი წინაპრების მეზობელ თუ მონათესავე ტომებზე. ქართველურ-ხათური ენობრივი პარალელების [იხ. მაგ. გიორგაძე 1999: 168, შმდ.; Girbal 1986: 160ff.] შემდგომ კვლევასთან ერთად უადრესად პერსპექტიულია აგრეთვე უძველეს ანატოლიურ და ქართველურ რელიგიურ რწმენა-წარმოდ-

გენებში გამოვლენილი თანხვედრების შესწავლა [Tatishvili 2007]. ამ მიმართულებით წარმოებული კვლევა შეიძლება მართლაც მნიშვნელოვანი როლი აღმოჩნდეს ქაშექების თუ ხათების ჩვენს სამყაროსთან დამაკავშირებელ ჯაჭვში.

წინამდებარე სტატიაში მკითხველს ვთავაზობთ ერთი ხეთური ტექსტის [CTH 375 1.2.3.] თარგმანს. ეს არის ხეთების მეფე-დედოფლის – არნუვანდასა და აშმუნიქალის ლოცვა, რომელიც სწორედ ქაშექებთან დაკავშირებით არის შედგენილი და მიმართულია ხეთების უზენაესი ღვთაებისადმი – არინას მზის ქალღმერთისადმი. ტექსტი თარიღდება ძვ. წ. XIV საუკუნის დასაწყისით. მეფე და დედოფალი წუხან და მოთქვამენ ქაშექების თავდასხმების გამო. ღვთაებების გულისხმიერების მოსახვეჭად, ისინი ცდილობენ მათ გული აუჩუყონ, შეახსენებენ რა მათი კუთვნილი საკულტო ცენტრების დარბევას მტრების მიერ. ეს “ლოცვა”, უდავოდ, საყურადღებო ძეგლია ხეთების რელიგიური აზროვნების შესასწავლად.

ტექსტი აღსანიშნავია აგრეთვე იმით, რომ შეიცავს ქაშექებისა და ხეთების სასახლდრო პუნქტების ჩამონათვალს. ამ დასახლებული პუნქტების ზუსტი ადგილმდებარეობა ცნობილი არ არის, მაგრამ სწორედ მათ ჩრდილოეთითა და აღმოსავლეთით არის საგულვებელი ქაშექებით დასახლებული ტერიტორია [გიორგაძე 2002: 99]. ამ ტოპონიმების კვლევა უაღრესად მნიშვნელოვანია ხეთური და ქაშქური გეოგრაფიის პრობლემების შესასწავლად, ქაშექების განსახლების ტერიტორიის დასაზუსტებლად.²

არნუვანდასა და აშმუნიქალის “ლოცვა” საინტერესოა იმ თვალსაზრისითაც, რომ ხეთების თვალთ დანახულ ქაშექებს გაგვაცნობს. ქაშექები წარმოგვიდგებიან როგორც ხეთების ქვეყნის ამოხრებელი, აგრესიული, უღმრთო, ფიცის გამტეხი მომხდურები. ცხადია, არ უნდა დაგვაიწყდეს, რომ ეს არასახარბიელო შეხედულება ქაშექებზე, ისევე როგორც ყველა სხვა ტექსტუალური ცნობა მათ შესახებ, ხეთური არქი-

² გრიგოლ გიორგაძემ ერთ-ერთმა პირველმა მიაქცია ამ ტოპონიმებს ყურადღება და მისივე სურვილი იყო, რომ არნუვანდასა და აშმუნიქალის “ლოცვა” მთლიანად ყოფილიყო თარგმნილი ქართულ ენაზე.

გებიდან მომდინარეობს. ამდენად, ისინი ცალმხრივია და ტენდენციურად შეიძლება ასახავდეს ხეთებსა და ქაშქებს შორის არსებული მრავალსაუკუნოვანი დაძაბული ისტორიის ცალკეულ ეპიზოდს. თვითონ ქაშქების ხმა კი ჩვენამდე ვერ აღწევს. თუ ხეთურ-ქაშქურ ურთიერთობათა ახლებურ ისტორიულ რეკონსტრუქციას დავეყრდნობით [Glatz/Matthews 2005: 49], მაშინ ქაშქები შეიძლება განვიხილოთ, “როგორც ხეთების მხრიდან აგრესიისა და მათი ტრადიციული საცხოვრისის დაკავებისას შევიწროებული მსხვერპლნი, ...ჩრდილოეთ ანატოლიის ავტოქტონური მოსახლეობა, რომლის თავდაპირველი საცხოვრისი თანდათანობით იფარგლებოდა პონტოს მთიანი რეგიონებით, ხეთების დაუპატიჟებელი მოსვლის შედეგად” [Singer 2007].

არნუვანდას და აშმუნიქალის ლოცვა თარგმანი

§ 1³ (CTH 375. 2 I)

(1) [ასე (ამბობენ)] “მზე”⁴ – არნუვანდა, დიდი მეფე და [აშმუნიქალი – დიდი დედოფალი:]

(2) [“შენ.] არინას მზის ქალღმერთო [და თქვენ, ღვთაებებო (?).]

(3) [(“შეისმინეთ) ეს ლოცვა (?).] რომლითაც არნუვანდამ [თქვენ მოგმართათ (?)]

§ 2' (CTH 375. 1. A I)

(1') თქვენთვის, ღვთაებებისთვის, მხოლოდ ხათი არის შესაფერისი⁵ (და) წმინდა

³ პარაგრაფით აღინიშნება თიხის ფირფიტაზე აღბეჭდილი ლურსმული ტექსტის ნაწილების გამყოფი ხაზი. მრგვალი ფრჩხილები შეიცავენ მითითებას შესაბამის ლურსმული ტექსტის ასლზე, სვეტის და სტრიქონის ნომერზე. უშუალოდ ტექსტში მრგვალ ფრჩხილებში მოცემულია აზრობრივი ჩანართები, ხოლო კვადრატულ ფრჩხილებში აღდგენილია ტექსტის დაზიანებული ნაწილი.

⁴ DUTU⁵⁷ სიტყვასიტყვით: “ჩემი მზე” – ხეთების მეფეთა ტიტული.

- (2') ქვეყანა. წმინდა, დიდებულ და საუკეთესო შესაწირს
თქვენ
- (3') მხოლოდ ხათის ქვეყანაში გწირავთ ჩვენ მსხვერპლად.
- (4') თქვენ, ღვთაებებს, მხოლოდ ხათის
- (5') ქვეყანაში გცემთ თაყვანს.
- § 3'
- (6') მხოლოდ თქვენ, ღვთაებებო, ღვთაებრივი გონიერების
წყალობით იცით,
- (7') რომ წინათ თქვენს ტაძრებზე ჩვენსავით
- (8') არავის უზრუნვია.
- § 4'
- (9') თქვენ [რიტუალებს (?)]
- (10') ასეთი მოწიწებით არავინ გისრულებდათ.
- (11') თქვენს ქონებაზე, ღვთაებების ვერცხლსა (და)
ოქროზე, ჭურჭელსა
- (12') და სამოსზე ჩვენსავით არავის
- (13') უზრუნვია.
- § 5'
- (14') უფრო მეტიც, როდესაც თქვენი ვერცხლის (და)
ოქროს ღვთაებრივი გამოსახულებები,
- (15') რომელიმე ღვთაების ქანდაკება
- (16') ძველდებოდა ან ღვთაებების კუთვნილი რომელიმე
ნივთი ძველდებოდა,
- (17') ის ჩვენსავით არავის
- (18') განუახლებია.
- § 6'
- (19') ამასთან, თქვენი რიტუალების სიწმინდის დაცვის
საქმეს
- (20') ასეთი კრძალვით (ჩვენამდე) არავინ მოპყრობია.
- (21') ყოველდღიური, ყოველთვიური (და) ყოველწლიური
სეზონური რიტუალი
- (22') (და) დღესასწაული თქვენთვის ასეთი (კრძალვით)
არავის
- (23') დაუდგენია.

⁵ ხეთ. handant- [იხ. ტატიშვილი 2007: 34 შმდ.; შდრ. Lebrun 1980: 143, Singer 2002: 41].

§ 7'

(24') მეტიც, ისინი ცდილობდნენ, ო ღვთაებებო, თქვენი მსახურებისა და თქვენი ქალაქების

(25') შევიწროებას ღალითა და ბეგართ. ისინი თქვენ

(26') გართმევდნენ თქვენს მსახურებს და მოახლეებს

(27') და მათ საკუთარ მსახურებად და მოახლეებად აქცევდნენ.

§ 8'' (CTH 375 1.B I)

(9) [ო ღვთაებებო,] მე – არნუვანდამ, დიდმა მეფემ

(10) [და აშმუნიქალმა, დიდმა დედოფალმა თქვენდამი] თაყვანისცემა

ყველანაირად

(11) [გამოვხატეთ.]

§ 9''

(12) (რაც შეეხება) პურსა⁶ და ღვინოს⁷,

(13) თქვენ რომ გწირავდნენ ხოლმე, ამის შესახებ მხოლოდ თქვენ იცით, [ღვთაებრივი გონიერების წყალობით.]

§ 10''

(14) [ჩვენ –] არნუვანდა, დიდი მეფე და აშმუნიქალი, დიდი დედოფალი –

(15) ნასუქსა და საუკეთესო მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელს,

(16) საუკეთესო პურსა და ღვინოს

(17) კვლავ მოგიძღვნით ხოლმე (თქვენ).⁸

§ 11'' (CTH 375 1. A II)

(4') თუ როგორ [უტევედა(?)] მტერი ხათის ქვეყანას,

(5') ძარცვავდა ქვეყანას და იტაცებდა (მის ქონებას), ამის შესახებ

(6') მოგახსენებთ სწორედ თქვენ – ღვთაებებს და თქვენს წინაშე

⁶ შუმ. NINDA.GUR4.RA /ხეთ. NINDA⁶harši (სიტყვასიტყვით: სქელი პური) მთლიანი (მრგვალი პური, პურის კვერი, ფუნთუშა, (შესაწირი) პური (ტატიშვილი 2007: 52).

⁷ ხეთ. (DUG)ispanduzzi- შესაწირი (ძირითადად ღვინო ან სხვ. სითხე, საღვრელი); ჭურჭელი მსხვერპლშესხურებისთვის (ტატიშვილი 2007: 112).

⁸ ფირფიტაზე ხარვეზია, დაახლოებით 4-5 სტრიქონის მოცულობის.

(7') აღეძრავთ სარჩელს.

§ 12''

(8') ამ ქვეყნიდან, რომლებიც თქვენთვის, ო ცის ღვთაებებო,

(9') შესაწირი პურითა და ღვინით ხარკს იხდიდნენ,

(10') ზოგიერთიდან ქურუმები⁹ – “ღვთაების დედები”¹⁰,
“წმინდა” ქურუმები¹¹,

(11') “კურთხეული” ქურუმები¹², მუსიკოსები, მომღერლები

(12') წავიდნენ (და) აქედან ღვთაებებისთვის
განკუთვნილი ხარკი (და) სარიტუალო ნივთები

(13') თან წაიღეს.

§ 13''

(14') აქედან გაიტაცეს არინას მზის ქალღმერთის
ფრთოსანი დისკოები, აგრეთვე ნახევარმოვარის
გამოსახულებები – (დამზადებული)

(15') ვერცხლისგან, ოქროსგან, ბრინჯაოსგან (და)
სპილენძისგან, საუკეთესო ტანსაცმელი, სადღესასწაულო
მოსასხამები (?)

(16') (და) კაბები, შესაწირი პური და ღვინო

(17') გაიტაცეს აქედან.

§ 14''

(18') შესაწირი ცხოველები – ნასუქი ხარები, ნასუქი
ძროხები, ნასუქი ცხვრები (და) ნასუქი თხები

(19') გაიტაცეს აქედან.

§ 15''

(20') (ეს ყველაფერი გაიტაცეს) ნერიქის¹³ ქვეყნიდან,
ხურსამას ქვეყნიდან, ქასთამას ქვეყნიდან,

(21') სერისას¹⁴ ქვეყნიდან, ხიმუვას ქვეყნიდან, თაგასთას
ქვეყნიდან,

⁹ ჩამოთვლილია კულტის მსახურთა სხვადასხვა კატეგორია.

¹⁰ MUNUS^{MEŠ} AMA.DINGIR^{LIM}

¹¹ šuppaēš LÚ^{MEŠ} SANGA

¹² LÚ^{MEŠ} GUDU

¹³ URU¹ Nerik – სავარაუდოდ, მდებარეობდა დღევანდელ ოიმაღაჩი/ვეზირ-ქოფრუს ადგილას.

¹⁴ URU¹ Šeriša-/Sarišša- – დღევანდელი ქუშაქლი (ამასიასთან).

(22') ქამამას ქვეყნიდან, ცალფუგას¹⁵ ქვეყნიდან,
ქაფირუხას ქვეყნიდან,

(23') ხურნას ქვეყნიდან, დანქუსნას ხურნას ქვეყნიდან,
თაფასავას ქვეყნიდან,

(24') თარუგას ქვეყნიდან, ილაღუხას ქვეყნიდან, ციხანას
ქვეყნიდან,

(25') სიფიდუგას ქვეყნიდან, ვასხაიას ქვეყნიდან,
ფათალიას ქვეყნიდან.¹⁶

§ 16''

(26') ტაძრები, რომლებიც ამ ქვეყნებში გქონდათ თქვენ, ო
ღვთაებებო, ქაშქას კაცებმა დაანგრიეს და თქვენი –
ღვთაებების, ქანდაკებები

(27') დაამსხვრიეს.

§ 17'' (CTH 375 1. A III)

(1) მათ მიიტაცეს ვერცხლი (და) ოქრო, ვერცხლისა (და)
ოქროს რიტონები, თასები,

(2) თქვენი ბრინჯაოს ნივთები,

(3) თქვენი ტანსაცმელი და ერთმანეთში გაიყვეს.

§ 18''

(4) ქურუმები, “წმინდა” ქურუმები, “ღვთაების დედები”,
“კურთხეული” ქურუმები,

(5) მუსიკოსები, მომღერლები, მზარეულები,

(6) მცხობელები, მიწის მხენელები (და) მებაღეები

(7) ერთმანეთში გაიყვეს და მსახურებად გაიხადეს.

§ 19''

(8) თქვენი მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი
ერთმანეთში გაიყვეს,

(9) ხოლო თქვენთვის შესაწირი პურის (მომცემი) ნასვენ
იმიწები,

(10) ღვინის (მომცემი) ვენახები ერთმანეთში გაიყვეს,

(11) ისინი ქაშქას კაცებმა მიიტაცეს.

§ 20''

(12) თქვენი, ღმერთების, სახელებს ამ

(13) ქვეყნებში არავინ წარმოთქვამს.

¹⁵ URUZalpa-/Zalpuwa – ლოკალიზდება დღევანდელი ბაფრას მიდამოებში.

¹⁶ ამ ტოპონიმების შესახებ იხ.მაგ.: [del Monte/Tischler 1978].

- (14) ყოველდღიურ, ყოველთვიურ, ყოველწლიურ
 (15) რიტუალებს თქვენ არავინ გიძღვნიო. თქვეთვის
 სარიტუალო
 (16) ცერემონიალებს არავინ ასრულებს.
 § 21”
 (17) და აი, ხათის ქვეყანაში ხარკი
 (18) და სარიტუალო ნივთები აღარავის მოაქვს. ქურუმები,
 “წმინდა”
 (19) ქურუმები, “ღვთაების დედები”, მუსიკოსები და
 მომღერლები
 (20) არსაიდან აღარ მოდიან.
 § 22”
 (21) თქვენთვის (და) არინას მზის ქალღმერთისთვის
 (22) მზის ფრთოსანი დისკოები, აგრეთვე ნახევარმთვარის
 გამოსახულებები –
 (დამზადებული) ვერცხლისგან, ოქროსგან
 (23) ბრინჯაოსგან (და) სპილენძისგან, საუკეთესო
 ტანსაცმელი,
 (24) სადღესასწაულო მოსასხამები (და) კაბები აღარავის
 მოაქვს.
 (25) პურს და ღვინოს თქვენ არავინ [გიძღვნიო].
 (26) სამსხვერპლო ცხოველებს – ნასუქ ხარებს, ნასუქ
 ძროხებს,
 (27) ნასუქ ცხვრებსა (და) ნასუქ თხებს არავინ
 მოგართმევთ.
 § 23” (CTH 375 1. C III)¹⁷
 (3’) [... წმინდა ქურუმები [
 (4’) [...] შემდეგ [
 § 24’
 (5’) [... ქურუმები,] “ღვთაების დედები” [...] ჩვენ ვზეიმობთ
 [...]
 (6’) [...] ჩვენ [
 § 25’

¹⁷ ფირფიტა დაზიანებულია და ტექსტი მხოლოდ ნაწილობრივ აღდგება.

(7') ჩვენ კვლავ დაგისახელებთ უდანაშაულო ქვეყნებს,
(ესენია:)

(8') ქასთამა, თაგასთა, სერისა,

(9') თასთარესა, თაქუფსა, ქამამა,

(10') ცალფუვა, ნერიქი.

§ 26'

(11') ახლაც კი ჩვენ – არწუვანდამ, დიდმა მეფემ

(12') [და] აშშუნიქალმა, დიდმა დედოფალმა,

(13') თქვენ, ღვთაებებს, თაყვანი გეცით და თქვენ

(14') მოგიხმეთ.

(15') ქაშქას კაცები [

(16') თქვენ, ღვთაებებო [

(17') არ [

§ 27' (CTH 375 1. A IV)

(1) ისინი მოვიდნენ აქ, ხათუსაში [

(2) (ქალაქი) თუხასუნა დაიპყრეს [

(3) (ქალაქი) თახანთარია დაიპყრეს, [...] ჭიშკარში

(4) შევიდნენ და (ქალაქი) ხუმ[...] (დაიპყრეს)]

§ 28'

(5) რადგანაც ჩვენ ღვთაებების მოწიწება გვაქვს,
ღვთაებების დღესასწაულებზე

(6) კვლავ ვიზრუნეთ. ხოლო, რადგან ნერიქი

(7) ქაშქებს აქვთ დაპყრობილი,

(8) ნერიქის ამინდის ღვთაებას და ნერიქის ღვთაებებს

(9) ხათიდან ხაქმისაში

(10) გაგუგზავნეთ შესაწირი – პური (და) ღვინო,

მსხვილფეხა (და) წვრილფეხა საქონელი.

§ 29'

(11) ჩვენ მოვუხმობთ ხოლმე ქაშქას კაცებს, ძღვენს

(12) გადავცემთ მათ, შემდეგ დავაფიცებთ: “შესაწირს,
რომელსაც ნერიქის ამინდის ღვთაებას

(13) გუგზავნით, გაუფრთხილდით,

(14) ის გზად არავინ მიიტაცოს!”

§ 30'

(15) ისინი მოდიან, იღებენ ძღვენს, შემდეგ იფიცებენ,

(16) მაგრამ როდესაც შინ ბრუნდებიან, ფიცს

- (17) არღვევენ, თქვენი – ღვთაებების სიტყვებს
 (18) აბუჩად იგდებენ და ამინდის ღვთაების(თვის მიცემული) ფიცის საბეჭდავს
 (19) ამსხვრევენ.
 § 31'
 (20) ხათის ქვეყანაში ისინი ხელთ იგდებენ [...]
 (21) ნერიქის ამინდის ღვთაების კუთვნილ შესაწირს – პურს
 (22) (და) ღვინოს, [მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელს [...]
 (23) ქაშქას კაცები [...]
 (24) მას [ნერიქის] ამინდის ღვთაებას [
 (25) არ გადასცემენ(?)
 § 32'
 (26) ხოლო ხათის ქვეყანაში [
 (27) – (29) [...] ქვეყნები
 § 33' (CTH 375 1. E)¹⁸
 (1) [ქალაქი] ისქურუხა – მთელი ქალაქი [
 (2) და მმართველები: (სახელად) ქანუნუ, [
 (3) და ფიდუმუვა;
 § 34'
 (4) ქალაქი ფივარა – მთელი ქალაქი [და მმართველები:
 (5) ფიქსდუილი, ხირხირისა [და ...
 § 34'
 (6) ქალაქი ფისუნუფასი – მთელი ქალაქი
 (7) და მმართველები: ფიხათახი
 (8) და ფიხათახილა;
 (9) ქალაქი ციხარცია – მთელი ქალაქი
 (10) და მმართველები: ფიგანუსა, [
 (11) ქალაქი თაღმაღია – მთელი ქალაქი
 (12) და მმართველები:
 (13) ფაციცი, ფისდუმუვ[ა ...].¹⁹

¹⁸ კვლავ ჩამოთვლილია დასახლებული პუნქტები თავის მმართველებთან ერთად.

¹⁹ მომდევნო, დაახლოებით, 10-12 სტრიქონი ძლიერ ფრაგმენტულია და არ ითარგმნება.

კოლოფონი (CTH 375 1. D IV)

მეორე ფირფიტა: “როდესაც არინას მზის ქაღალმერთს მიმართავენ ღვთაებების წინაშე [თავის მართლებით (?)].” დასრულებული.²⁰

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. Laroche, E., *Catalogue des Textes Hittites* (CTH 375 1/A-H. 2. 3), Paris, 1971 (ტექსტის დღეისათვის ცნობილი ვერსიებისა და ასლების სრული ჩამონათვაღისთვის იხ. კატალოგის ელექტრონული ვერსია www.asor.org/HITTITE/CTHNP.html).
2. Гиоргадзе Г.Г., К вопросу о локализации и языковой структуре касских этнических и географических названий. *Переднеазиатский сборник*, Москва, 1961, 161-210.
3. გიორგაძე, გრ., ხათური/პროტოხეთური ენა და ხათები/პროტოხეთები. *ხეთოლოგიური და ქართველოლოგიური ძიებანი*. თბილისი, 1999, 168-172.
4. გიორგაძე, გრ., ხეთური და ასურული ღურსმული ტექსტების ქასქების (ქაშქების) და აბეშლაელების ეთნიკური წარმომავლობისათვის. *ახალციხე*, 2000.
5. გიორგაძე, გრ., უძველესი ახლოაღმოსავლური ეთნოსები და ქართველთა წარმომავლობა. თბილისი, 2002, 95-113.
6. ტატიშვილი, ი., ხეთურ-ქართული ლექსიკონი. ნაკვეთი 2: E-H-I, თბილისი, 2007.
7. Girbal, Ch., *Beiträge zur Grammatik des Hattischen*, Frankfurt a.M., 1986.
8. Glatz, C./Matthewz, R. Anthropology of a Frontier Zone: Hittite-Kaska Relations in Late Bronze Age North-Central Anatolia. *Bulletin of the American Schools of Oriental Research* 339, 2005, 21-39.
9. Lebrun, R., *Hymnes et prières hittites*, Louvain-la-Neuve, 1980, 132-154.
10. del Monte, G. F./Tischler, J., *Répertoire Géographique des Textes Cunéiformes VI*, Wiesbaden, 1978.

²⁰ აინარ ფონ შულერის აზრით, საფიქრებელია, რომ ეს “ლოცვა” თან ერთვოდა ხეთებსა და ქაშქებს შორის დადებულ ხელშეკრულებას (von Schuler 1965: 164).

11. Singer, I., Hittites and Hattians in Anatolia at the Beginning of the Second Millennium B.C. *Journal of Indo-European Studies* 9, 1981, 119-134.
12. Singer, I., *Hittite Prayers*, Atlanta, 2002, 40-43.
13. Singer, I., Who were the Kaška? *Proceedings of the International Congress "The Argonautica and World Culture"*, Tbilisi, Oct. 2-5, 2007
14. von Schuler, E., *Die Kaškäer*. Berlin, 1965.
15. Tatishvili, I., Aietes – son of Helios. (For the Study of Hittite-Georgian Religious Parallels) *Proceedings of the International Congress "The Argonautica and World Culture"*, Tbilisi, Oct. 2-5, 2007

Irene Tatishvili

The Kaška according to the Hittites

Summary

The paper presents a Georgian translation of the Hittite text of the prayer (CTH 375 1.2.3) composed by Arnuwanda and Ashmunikal, the Hittite royal couple. The text dates back to the early XIV century B.C.

This prayer to the Sun-goddess of Arinna, the supreme divinity of the Hittite pantheon, is inspired by the ravages of the Kaška tribes upon the Hittite cities. The text describes one of the episodes of Hittite-Kaşkan relationships and acquaints us with the Kaška portrayed by the Hittites.

The toponyms provide us some valuable information for the study of the Hittite and the Kaşkan geography and of the territory occupied by the Kaška.

Сведения хеттов о кашках

Резюме

В статье предложен грузинский перевод хеттской молитвы (СТН 375 1.2.3) царской четы Арнуванды и Ашмуникал. Текст датируется началом XIV в. до н.э.

Молитва создана по поводу нашествий кашков и обращена к богине солнца Аринны – верховному божеству хеттского пантеона.

В тексте рассказывается об одном эпизоде хеттско-кашкских отношений и содержатся интересные сведения о кашках, увиденных глазами хеттов.

Перечисленные в тексте топонимы представляют собой весьма важный источник для изучения вопросов географии хеттов и кашков, а также для уточнения ареала расселения этих последних.

ქვეყანა ბიანი

ქვეყანა biani დაიარსდა-დიაოხის ერთ-ერთი ოლქი იყო. იგი ურარტულ წყაროებში სამჯერ მოიხსენიება: ორჯერ მეფე არგიშტი I-ის (786-765 წწ.), ერთხელ კი სარდური II-ის (765-735 წწ.) მოღვაწეობის პერიოდში. სურბ საჰაკის ეკლესიის სტელაზე წარწერა გვამცნობს: „მივედი ბიას ქვეყანამდე... ხუშანის ქვეყანამდე“. გავემართე მე (სალაშქროდ) დიდის ქვეყნის წინააღმდეგ, ქალაქ ზუას წინააღმდეგ...“ (Г.Меликишвили, 1960:235). ვანის კლდეზე შესრულებულ ამავე წარწერის ვერსიაში იგივე არგიშტი გადმოგვცემს: „...გავემართე (სალაშქროდ) დიაუეხის (ქვეყნის) წინააღმდეგ. დიაუეხის მეფე მეფედ დავსვი. დავიპყარი შერიაზის ქვეყანა, ქალაქები დავწვი, ციხე-სიმაგრეები დავანგრევი; მივედი (?) ქალაქ ფუთუმდე... მარცხნივ-ქვეყანა ბიანი, ქვეყანა ხუშანი, მარჯვნივ შევიწყალე მე თარიუნის ქვეყანა“ (იქვე, 212).

როგორც გხედავთ, 785 წელს ურარტელებს დაიარსდა ისევ დაუღალაშქრავთ (პირველად ისინი აქ მენუას მეფობის პერიოდში გამოჩნდნენ). სამხრეთის ოლქების დაპყრობის შემდეგ ხუშანთან ერთად ბიანის ქვეყანაც გაუძარცვავთ. ბიანი ორივე წარწერაში ხუშანის გვერდით მოიხსენება. არგიშტი იკვეხნის, რომ ამ ლაშქრობათა შედეგად ხარკის სახით წაუღია გარკვეული ოდენობის ოქრო, ვერცხლი, სპილენძი; წაუყვანია ცხენები, მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი. ამავე დროს დაიარსის მეფისათვის ყოველწლიური ხარკი შეუწერია (გვაქვს ციფრობრივი მონაცემები). გაუყვანია მოსახლეობის ნაწილიც: კაცები, ქალები, ბავშვები, ნაწილი კი ადგილზე გაუჟღეკტია.

ურარტელები სარდური II-ის მეფობის პერიოდშიც (დაახლ. 751-750 წლებში) სწვევიან ბიანის ქვეყანას. ვანის კლდეზე შესრულებული წარწერა მოგვითხრობს: „ქალაქი ედია. სამეფო ქალაქი აბიანის (ტომის მმართველისა), გამაგრებული, ბრძოლაში დავიპყარი“ (გ.მელიქიშვილი, 1990:289).

ამ პერიოდისათვის დიაოხი, როგორც ერთიანი სამეფო, უკვე არ არსებობს. ეს იქედანაც ჩანს, რომ არც დიაოხი და არც მისი სამეფო ქალაქი ან სხვა, ადრე მის შემადგენლობაში მოხსენიებული რომელიმე ოლქი, ლურსმულ ტექსტებში აღარ ფიგურირებს. ძვ.წ. 768 წლიდან 750 წლამდე მხოლოდ დიაოხის ცალკეული ოლქები განაგრძობენ ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის. ამის შემდეგ ისინიც ქრებიან ასპარეზიდან, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ხუშანის ქვეყანას, რომელიც დაახლოებით ძვ.წ. 750-748 წლებში უკვე კოლხას შემადგენელ ნაწილად განიხილება (იქვე).

სარდურ II-ის მიერ შესრულებულ ზემოთ მოყვანილ წარწერაში ნახსენებია ქალაქი ედია. ძნელია იმის თქმა, რომ იგი აბიანის ტომის სატახტო ქალაქი იყო, მაგრამ ეს ცნობა იმდენადაა მნიშვნელოვანი და საინტერესო, რომ იგი წარმოადგენს ორიენტირს არა მარტო ამ ქვეყნის ლოკალიზაციის დასადგენად, არამედ ჩრდილოეთისა და სამხრეთის მიჯნების განსასაზღვრავად.

აბიანის ქვეყნის სახელწოდება სამივე ძველში ოდნავ სახეცვლილი ფორმით გვხვდება: ბია, ბიანი, აბიანი. ეს ცვლილებები ადვილი ასახსნელია ქართული ენის გრამატიკული ნორმების გამოყენებით. აშკარაა, რომ არგიშტის დროინდელ წარწერებში მოხსენიებული ბია და ბიანი ერთმანეთის იდენტურია, რადგან ორივე შემთხვევაში ეს ოლქი ხუშანის გვერდით მოიხსენიება. ამ სახელწოდებებში განსხვავება მხოლოდ სუფიქსი „ანი“-ა. ბია (ბიანი) ახლოს დგას მესამე ტერმინთან „აბიანი“. ამ შემთხვევაში ბიანი წარმოდგენილია ქართული „ა“ ტოპონიმიკური პრეფიქსით (შდრ.: აჭარა, აჭი, აფსაროსი, ან ჭოროხი და ა.შ. სუფიქს „ანი“-ით ნაწარმოებია ქართველური ტომების სახელწოდებები (ხუშანი, ჭანი, სვანი, მუშუანი და სხვა (სკოვიტიძე, 2002:102, 105; მისივე, 2002, 53-62; მისივე, 2006, 43-49).

მაშასადამე, ქვეყნის სახელწოდებაში „ბია“ ფუძეა, „ა“ პრეფიქსი და „ანი“ სუფიქსი. შესაძლებელია, რომ „ბია“ და „ბიანი“ სატომო სახელწოდებებია, ხოლო „აბიანი“ მიღებულია დამოუკიდებელ ქვეყნად, ქვეყნის შემდეგ სატომო სახელს დაერთო წინსართი „ა“, რომელიც გეოგრაფიული ერთეულის (ქვეყნის) გამომხატველია (მაგ. ტომი ჭარი,

შესაბამისი ქვეყანა აჭარა; ბაზგუნი-აბაზგუნი//აბაზგია). მაშასადამე, ბია-ბიანი სატომო სახელწოდებებია, ხოლო აბიანი ქვეყნის აღმნიშვნელი ტერმინი.

სად მდებარეობდა ქვეყანა აბიანი?

აკად. გ.მელიქიშვილის ვარაუდით, ბია დიაოხის ჩრდილო ოლქია (Г.Меликишвили, 1954:60). ნარუთინიანის აზრით, ბიანი უნდა მოთავსდეს დიაოხიდან სამხრეთ-დასავლეთით, ეფერატის ზემო წელზე, სადღაც ანტიკური წყაროების აკილისენას აღმოსავლეთ საზღვართან (Н.Арутюнян, 1970:184,193). ბიანი ესაზღვრებოდა დიაოხისა და შერიაზს დასავლეთიდან (იქვე, 194, 406). შემდეგში გამოცემულ ნაშრომში მკვლევარი აღნიშნავდა, რომ ბიანი საძებარია ხასან-ყალესა (ისტორიული თარიუნი, ოლქი ბასენა) და ზუანს (ზივინი, ერზრუმის ჩრდილო-აღმოსავლეთით) შორის (Н.Арутюнян, 1985:56). სხვაგან აღნიშნულია, რომ ბიანი უნდა მოთავსდეს კულხას სამხრეთით (სამხრეთ-დასავლეთით), დიაოხის მეზობლად (იქვე, 234).

თუ გავითვალისწინებთ ეპიგრაფიკული ძეგლების მონაცემებს, აბიანი ხუშანის სიახლოვესაა საძებარი („მივედი ბიას ქვეყანამდე... ხუშანის ქვეყანამდე“ ან „მარცხნივ – ქვეყანა ბიანი, ქვეყანა ხუშანი“), მდინარე ოლთისის ჭოროხთან შეერთების ახლომდებარე რაიონებში. თანაც ეს ქვეყნები ისეა განლაგებული წარწერაში, რომ, როგორც ჩანს, ურარტელები ჯერ ბიას ქვეყანაში შედიან, ხოლო შემდეგ – ხუშანის ქვეყანაში. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ბიანი უფრო ახლოსაა ურარტუსთან ტერიტორიულად, ვიდრე ხუშანი. წყაროებიდან აგრეთვე ჩანს, რომ ბიას ქვეყანა შეშეთის, დიდინისა და ქალაქ ზუას სამხრეთით მდებარეობდა. ყველა ამ გარემოების გათვალისწინებით, ბიანი ხუშანის სამხრეთით ან სამხრეთ-აღმოსავლეთით უნდა მოთავსდეს. ხუშანი კი განლაგებული იყო მდინარე ოლთისის ჭოროხთან შეერთების ორივე მხარეზე (ს.გოგიტიძე, 2001:3; მისივე, 1999; 145; მისივე, 2002:63-66). საძიებელ ტერიტორიაზე მოგვეპოვება ტოპონიმები, რომელთა სახელწოდებების ფონეტიკური სიახლოვე ნათლად დაგვარწმუნებს ჩვენი ნააზრევის სიზუსტეში.

მდინარე ოლთისის ხეობაში ფეოდალურ ხანაში არსებობდა ტაოს პოლიტიკური და რელიგიური (საეპისკოპოსო) ცენტრი – ბანა, რომლის იდენტიფიკაცია ურარტული წყაროების

ბიანთან დასაშვებია, მით უფრო, მისი სამეფო ქალაქის – ედიას – სახელწოდება ასოცირებას იწვევს სტრაბონის (ძვ.წ. 64-ახ.წ. 24 წწ.) მიერ მოხსენიებულ იბერიის ქალაქთან – იდისა (Страбон, 1964:473), რომელიც კოლხეთის საზღვართან მდებარეობდა. ქართული ქალაქი იდი მდებარეობდა ოლთისის წყლის სათავეებთან. მანამ, ვიდრე მას თურქები მიიტაცებდნენ, იგი ცნობილი იყო იდის სახელწოდებით. იქვეა ოლთისის შენაკადი ბანას წყალი. უნდა ვივარაუდოთ, რომ ქალაქი ბიანი (ბანა) უნდა იყოს ამ ქვეყნის ჩრდილოეთი, ხოლო ედია (იდი) – სამხრეთი მიჯნები. აბიანს დასავლეთით ესაზღვრებოდა უღთუზა და ხუშანი, ჩრდილოეთით – დიდინი და შერიახი, აღმოსავლეთით–ზაბახა და ანიშტირგაე, ხოლო სამხრეთით–ქალაქ შაშილუს ქვეყანა და აბნულუანი.

მაშასადამე, ურარტული წყაროების ბიანა-ედიას ქართული ბანა – იდი უნდა შეესიტყვებოდეს.

იმავე ტერიტორიაზე, რომელზეც ბიანი იგულისხმება, სხვადასხვა ისტორიულ საბუთში დამოწმებულია ამ სახელწოდებასთან ახლოს მდგომი ტოპონიმები: სოფელი აბი (ჩრდილის რაიონი) (გურჯისტანის... 1941:188), სოფ. აბაი (ჩრდილის რაიონი) (ოსმალური... 1989:156), სოფ. აბიარი (ყარსის რაიონი) (იქვე, 198), სოფ. ბიეთი (ახალციხის რაიონი) (ჩილდირის.. 1979:130), სოფ. აბი (ახალციხის რაიონი) (იქვე, 188), სოფელი ბანა (ქართლის სამხრეთით). საინტერესოა აღინიშნოს, რომ ედიასთან ახლოს მდგომი ტოპონიმი, სოფელი ედისი დამოწმებულია ჯავის რაიონში (კ.გამრეკელი, 1958:58). ვახუშტი ბატონიშვილი ქართლში ასახელებს სოფლებს–იდიეთი, ედოთი.

როგორი იყო აბიანის ქვეყნის ეთნიკური შემადგენლობა?

როგორც აღინიშნა, ტერმინი „აბიანი“ ქართული ტოპონიმიკური პრეფიქსით (ა) და სუფიქსით (ან) არის გაფორმებული. ამავე დროს, ბანა იყო ქართული ტომის ტაოს (ტაონის) დედაქალაქი და დიდი ხნის მანძილზე დაკავშირებული იყო საქართველოსთან. გარდა ამისა, სიტყვები ბია-აბია დადასტურებას პოულობს ქართულ ლექსიკონებში: მაგალითად, „აბია“ ქართული სატყეაა და ნიშნავს „აბია“–„დაბმულია“, ან კიდევ „ასხია“ (ქართული... 1961:152). ბიას ეძახიან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში კომშს. ბია – გარეული წვრილი კომშია

(ნ.უბინაშვილი, 1961:152). შესაძლოა ტერმინი ბიანი ქართული უბანის (ბანის) ან აბანოს შესატყვისი იყოს. ქართული ბან ფუძე შემონახულია ქართულ სიტყვებში: ვი-ბან, გან-ი-ბან-ა, და-ბან-ა, და-ი-ბან-ა და ა.შ. (პ.ფენრიხი, 1990:43, 44). „აბანი“ არქაულ ქართულში „მხარეს“ ნიშნავდა. ეს სიტყვა ქართულ გეოგრაფიულ სახელწოდებებში სხვა სახესხვაობითაც გვხვდება. „ობანი“, უბანი“ (პ.ინგოროფა, 1954:469, შენ. 4; შეაღარეთ И.Дьяконов, 1963:77). „აბა“ ქართულში ადამიანის საკუთარ სახელადაც გვევლინება (ი.ახუაშვილი, 1999:65, 340, 453). ქართული გვარია აბაიძე. „აბა“ –უხეში მსხვილი შალის ძაფის სახელწოდებაა ტაო-კლარჯეთის მოსახლეობის მეტყველებაში (შ.ფუტყარაძე, 1993:373). შეიძლება იგი უკავშირდებოდეს ინდოევროპულ ვინოს (ქართული ღვინო; ურარტულს არ გააჩნდა „ვ“ ბგერის აღმნიშვნელი და მას „ბ“-თი გადმოსცემდა). ბია– მოფერებითი საალერსო სიტყვაა და სემანტიკურად ნიშნავს „კარგს, მშვენიერს, საამოს“ (ვ.იოთონიშვილი, 1970:107). სახელწოდება აბიანის (ბიანი, ბია) მსგავსი სიტყვები მეგრულ ენაშიც გვხვდება, მაგალითად: ბია–ერთგვარი ჩიტია, აბანა–აბანო, აბანი–ადგილი (ო.ქაჯაია, 2001:162, 240).

ასევე, ქართველურ სამყაროს უკავშირდება აბიანის ქვეყნის სამეფო ქალაქის სახელწოდებაც. „იღია-ნი“ სვანური სიტყვაა და ნიშნავს „ნათხოვრობს“ (ვ.თოფურია, 2000:273). იღია საკუთარ სახელადაც გვევლინება ქართულში. ასე ერქვა კოლხეთის მეფის, აეტის მეუღლეს (აპოლონიოს როდოსელი, 1975:123, 124). – ეღია იყო ქაღდვთაება ურარტულ პანთეონში (გ.მელიქიშვილი, 1999:39), თუმცა შესაძლებელია ასეთივე მნიშვნელობით ყოფილიყო ქართულშიც და სწორედ აბიანის ქვეყნის სატახტო ქალაქის სახელწოდება ღვთაება ედიასთან იყოს დაკავშირებული. სოფელ ქოსეს პატრონო-შიაში რამდენიმე ოჯახი შედიოდა, რომელთა შორის XIX საუკუნეში საოჯახო თემების არსებობაც მოწმდება. ერთ-ერთ ასეთ ოჯახს მეთაურობდა ეღია. მისი სახელის მიხედვით, როგორც ამ ოჯახს, ისე გაყრის შედეგად წარმოქმნილ ნათესაურ გაერთიანებას ეწოდება ედიენი (ვ.იოთონიშვილი, 1970:25). ჰიდესა ჭოროხის ხეობაში გაგრცელებული ადამიანის (ქალის) საკუთარი სახელი იყო. ეღია-ედიკო დღევანდელ სა-

ქართველოში ადამიანის (ქალის) საკმაოდ გავრცელებული საკუთარი სახელია. ედი-ედიაც მამაკაცის სახელი ყოფილა (შეადარეთ: ედიბერიძე) (ნ.ბერძენიშვილი, 1990:455). სვანური გვარია – იდიანი (ი.ახუაშვილი, 1999:340), იგივეა რაც ქალაქის სახელი ედიანი. თემის დღევანდელ სახელსაც თუ გავითვალისწინებთ და მას გავაფორმებთ ქართველური სუფიქსით „ანი“-თ, მაშინ ურარტული ტოპონიმის სახელი ზუსტი ანალოგი იქნება ქართული გვარისა.

ამრიგად, ქვეყანა ბიანი ტაოს ტერიტორიაზე, აღმოსავლეთ ნაწილში უნდა მოთავსდეს. მის ლოკალიზაციას ისტორიულ-გეოგრაფიული რეალიებისა და ბიანა-ბანასა და ედიანის იდენტურობის მიხედვით ვსაზღვრავთ. ქვეყანა ბიანი ქართულ სამყაროს უნდა დავუკავშიროთ და ვფიქრობთ, რომ ამ ქვეყნის მოსახლეობა ეთნიკური კუთვნილების მხრივ ქართველური (ქართულ-სვანური) უნდა ყოფილიყო.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აპოლონიოს როდოსელი. არგონავტიკა, თბ., 1975.
2. გმელიქიშვილი. ურარტუს სამეფო, ურარტული წაყროფი. – ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქრესტომათია, თბ., 289.
3. გმელიქიშვილი. ძიებანი საქართველოს, კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის ძველი ისტორიის დარგში, თბ., 1999.
4. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წ. II, თარგმანი ს. ჯიქიასი, თბ., 1941.
5. ვთოფურია, მ.ქაღდანი. სვანური ლექსიკონი, თბ., 2000.
6. ვითონიშვილი. მოხვევების საოჯახო ყოფა, თბ., 1970.
7. ი.ახუაშვილი. ქართული გვარ-სახელები, თბ., 1999.
8. კ.გამრეკელი. დვალეთის ტოპონიმის ანალიზისათვის, ივ.ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, IV, ნაკვ. I, თბ., 1958.
9. ნ.ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1990.
10. ნ.ჩუბინაშვილი. ქართული ლექსიკონი, რუსული თარგმანითურთ, აღ. ღლონტის რედაქციითა და გამოკვლევით, თბ., 1961.

11. ო.ქაჯაია. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, I, 2001.
12. ოსმალური დოკუმენტური წყაროები საქართველოსა და ამიერკავკასიის შესახებ (XVII-XVIII სს.), წ. I, გამოსცეს ავოლაკომა და ნ.შენგელიამ, თბ., 1989.
13. პინგოროვცა. გიორგი მერჩულე, თბ., 1954.
14. ს.გოგიტიძე. დაიაენი-დიაოხის ზოგიერთი ქვეყნის ლოკალიზაციისათვის. —აკად. ს.ჯანაშიას დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნ. სესიის მოხს. მოკლე შინაარსი, თბ., 2002.
15. ს.გოგიტიძე. დაიაენი-დიაოხი (ტერიტორია, საზღვრები), ჟურნ. ლიტერატურული აჭარა, 1999, №12.
16. ს.გოგიტიძე. დაიაენი-დიაოხი (ლოკალიზაციისა და ეთნიკური კუთვნილებისათვის, ბათ., 2006.
17. ს.გოგიტიძე. სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს საისტორიო გეოგრაფია (ძვ.წ. XII-IV სს.), ბათ., 2002.
18. უძველესი ქართული ქვეყანა სუშანი, გაზ. აჭარა, 2001, 31 ოქტომბერი.
19. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, რუსული თარგმანითურთ, აღ.დლონტის რედაქციითა და გამოკვლევით, თბ., 1961
20. შ.ფუტყარაძე. ჩვენებულების ქართული, ბათ., 1993.
21. ჩილდირის ვილაეთის ჯაბა დავთარი, თარგმანი ც.აბულაძისა, თბ., 1979.
22. Арутюнян Н.В. Бийнили (Урарту), Ер., 1970.
23. Арутюнян Н.В. Топонимика урарту, Ер. 1985.
24. Гогитидзе С.Д. Локализация «стран» Даиаэн-Диаохи.-ამირანი. კავკასიოლოგიის საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი საზოგადოებრივი ინსტიტუტის მოამბე, VI, თბ., 2002.
25. Дьяконов И.М. Урартские письма и документы, М.-Л., 1963.
26. Меликишвили Г.А. Анаири-Урарту, Тб., 1954.
27. Меликишвили Г.А. Урартские клинообразные надписи, М., 1960.
28. Страбон. География, перевод Г.Страгоновского, Л., 1964.

The country Biani

Summary

In the article is investigated the question of localization and the ethnical belonging of the oldest Georgian country Biani in the structure of the state Diaokha. The country Biani probably had been situated there where in the period of the feudalism was situated the Georgian province, the political, economical and religion center - Bana with the adjoining territories. The term Biana-Biani originated from the archaic Georgian word Abana, that has the meaning- "Land", "Native Land", or this name must be connected also with the Georgian word - "Bana-Dabana"- with the meaning 'Bathing'.

Симон Гогитидзе

Страна Биани

Резюме

Тщательное исследование и анализ ассирийских и, особенно, урартских источников, выводы сделанные исследователями, дали нам возможность уточнить локализацию и этническую принадлежность входящих в объединение Даиаэн-Диаохи страна Биани (Абиани).

Страна Биани располагалась в ущелье реки Олтиси (приток Чороха) и на сопредельные территории на месте раннефеодального грузинского города Бана. Его окружили страны - Ултуза, Дидини, Забаха, Шериази и Абнулуани.

Термин Биани (Абиани) - происходит от архаического грузинского слова Абиани - означает «край». Если в термине «а» является топонимическим префиксом (ср. А-джара), тогда название страна биани (Бана) связано с грузинским словом бана - «дабана» (купание).

ქართულ-ბერძნული ურთიერთობების ადრეული ეტაპი

ქართულ-ბერძნული ურთიერთობების დაწყებას, როგორც წესი, არგონავტების ლაშქრობას უკავშირებენ და ძვ.წ. XVI ს. ბოლო, XIV ან XIII ს. პირველი ნახევრით ათარიღებენ [იხ.გორდეზიანი ლ., 1999: 22-27]. ოქროს საწმისის მითში ასახულ აია-კოლხეთს, ჩვეულებრივ, რიონისპირეთში ათავსებენ [იხ. ლორთქიფანიძე, 1986: 44-45; მიბჩუანი, 1989: გვ.328,330; გოგიტიძე, 2002: 77-96]. მაგრამ დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები ჯერჯერობით არ ადასტურებენ ჩვენთვის საინტერესო პერიოდისთვის მაღალგანვითარებული კულტურის არსებობას, რაც ხელს უწყობს სხვა მოსაზრებების გაჩენასაც. საინტერესოა თ.მიქელაძის ვარაუდი დაიაენისა და აია-კოლხეთის იდენტურობის შესახებ [მიქელაძე, 1974: 164-168]. როგორც ცნობილია, “ნაირის ქვეყნების” კოალიციაში შემავალი დაიაენი (დიაოხი, ტაოხი, ტაო) ძვ.წ. XII ს. ბოლოდან დაწინაურდა. არაპირდაპირ ცნობებზე დაყრდნობით ვარაუდობენ, რომ მისი გავლენის ქვეშ სხვა სამხრეთკავკასიურ ერთეულებთან ერთად ჯერ კიდევ გვარონული წყობილების რღვევის ზღურბლზე მყოფი კულხაც მოექცა [Меликишвили, 1959: 185]. ასურეთის სამეფოს დასუსტების შემდეგ, ძვ.წ. XI ს. კოლხეთში თანდათანობით დაიწყო კლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესი და როგორც გ.მელიქიშვილი ვარაუდობს, ორი საუკუნის განმავლობაში ის იმ ძლიერ სახელმწიფო წარმონაქმნად ჩამოყალიბდა, რომლის შესახებაც მოგვითხრობს მითი არგონავტების შესახებ [მელიქიშვილი, 1970: 371-373]. ამ გაერთიანების პოლიტიკური ცენტრი სადღაც მდინარე ჭოროხის აუზში უნდა ვეძებოთ [ჯავახიშვილი, 1950: 12; მიქელაძე, 1974: გვ.84-86; ბერძენიშვილი, 1990: გვ.490; იხაძე, 1993: 43; Меликишвили, 1959: 19,115].

გასათვალისწინებელია წერილობითი წყაროებიც. ძვ.წ. XIII ს. დასასრულის ისტორიულ-პოლიტიკურ ვითარების გა-

მომხატველი “ილიადის” სქოლიონი (II. 856) ჰალიძონებს (მომღევნო ხანის ხალიბები, იხ. Strabo, XII,III,20-21) აიას ტომად (οἱ δὲ εἰς τοὺς Αἰακῶν) მიიჩნევს. ერატოსთენეს მიხედვით იაზონის დროინდელი კოლხეთი არმენიასა და მიდიის დასავლეთითაა (Strabo, I,3,2). სტრაბონთან მოსხიკე (ე.ი. რიონისპირეთის სამხრეთი) ფრიქსეს თქმულებასთან დაკავშირებული ქვეყანაა (I,2,39). იგივე ავტორი საყურადღებო ინფორმაციას გვაწვდის არგონავტების თქმულებასთან დაკავშირებულ ეპონიმებსა და ტოპონიმებზე (სინოპე, ავტოლიკე, ჰერაკლესის კონცხი, იაზონის კონცხი, დაბა კიტოროსი). ტიტუს ლივიუსის თანახმად, ფლორუსის (ახ.წ. II ს) პირველ წიგნში მოხსენიებული ისტორიული თუ ლეგენდარული პირები (აიეტი, არტაბაზი, მითრიდატი) მბრძანებლობდნენ პონტოსპირეთის ტომებზე, რომლებიც შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროს გასწვრივ მოსახლეობდნენ. ევსები კესარიელი, რომელიც იმოწმებს კეფალიონს, გადმოგვცემს, რომ: “არგონავტებმა საომარი ხომალდები შეაჯერეს მდინარე ფაზისისაკენ და კოლხური მენტესკენ” [გეორგიკა, 1961: 31]. ფიქრობენ, რომ მენტე პლინიუსის მატიუმის, ე.ი. ბათუმის იდენტურია, [ყაუხჩიშვილი, 1987: გვ.109-116; გოგიტიძე, 2002: 217]. რომაელი და ბიზანტიელი ავტორების ნაწილი მედეას ძმის აფსირტეს ვერაგულ სიკვდილს აფსაროსის მიდამოებს უკავშირებს (Arrian, PPE,6; Anonymi, PPE,41; St.Byz., s.v.‘Αψυρτιδῆς; Procopi., BG,VIII,2). პროკოპის თქმით, ადგილობრივი მცხოვრებლები ოქროს საწმისის ადგილსამყოფელს ფასისის სამხრეთით მდებარე რაიონებში ათავსებდნენ (BG,VIII,2). ”არგონავტიკაში” დამოწმებული სახელები (აფსაროსი, ფრიქსე, კუტაია და სხვ.) მჭიდრო კავშირშია ჭოროხის აუზთან [მიქელაძე, 1974: გვ.86 და შმდ.]. საინტერესოა, რომ დიდი მეცნიერული ინტუიციის პატრონი კ.შლიძანი აია-კოლხეთს ბათუმის მიდამოებში ეძებდა და 1883 წ. აქ არქეოლოგიური გათხრების ნებართვაც კი ითხოვა [Бич, 1947: 183-185]. გ.მელიქიშვილის მიხედვითაც, თქმულება არგონავტებზე მხოლოდ ძველადმოსავლურ წყრობებში მოხსენიებულ კულხასთან უნდა იყოს დაკავშირებული [მელიქიშვილი, 1970: 389]. სიმართლესთან უფრო ახლოს უნდა იყოს თ.მიქელაძის ოდნავ დაზუსტებული თეზა: “დაიაენი//დაია და

კულხა ერთსა და იმავე სამეფოს აღნიშნავდა სხვადასხვა დროს. როგორც ჩანს, კულხა დიაუხის განუყოფელი ნაწილი იყო, მისი ერთ-ერთი პროვინცია და წყაროებში სამეფოს ძველი სახელის შეცვლა კულხას სახელით სამეფოს ცენტრის გადანაცვლებით უნდა აიხსნას” [მიქელაძე, 1974: გვ.166]. თუ გავიხსენებთ კოლხური გვიანბრინჯაოს ხანის (ძვ.წ. XIV ს.) კულტურის მაღალ დონეს ლითონის დამუშავების დახვეწილი ტექნოლოგიითა და დაწინაურებული მიწათმოქმედებით, შესაძლებელია დავუშვათ, რომ აქველები დაინტერესდნენ სამხრეთ კოლხეთით, რომელიც (დ)აიაენის ვასალი იყო* და თუქულთი-ნინურტას (ძვ.წ. 1249-1208 წწ.) წარწერაში [Weidner, 1959: 7-19] მოხსენიებული ზემო ზღვის 40 მეფეთაგან ერთ-ერთის წინაპარი მართავდა.** თითქმის დაუჯერებელი, მაგრამ თეორიულად შესაძლებელია კოლხეთის გავლით ბერძენთა სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის სიღრმეში მოხვედრა, სადაც დაიაენის უფრო ძლიერი გაერთიანება მდებარეობდა. მაგალითად, ერატოსთენეს მიხედვით, იასონმა კოლხეთიდან არმენიასა და მიდიაში ილაშქრა (Strabo, I,3,2), რაც არსებობის უფლებას აძლევს ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებას.***

ამრიგად, კოლხური კულტურა, მიუხედავად იმისა, რომ უნიკალურობითა და თვითმყოფადობით გამოირჩეოდა საუკუნეთა განმავლობაში, მაინც აღმოსავლური ცივილიზაციების გავლენის ქვეშ ექცეოდა, ოღონდ ამ თვითმყოფადობის, ხში-

* ძვ.წ. XII ს. ანალოგიით ამ ტრადიციას, შესაძლებელია, რეგიონში ჯერ კიდევ მითანის ჰეგემონიის პირობებშიც ჰქონდა ადგილი, როდესაც ორივე გაერთიანება წინაკლასობრივი ურთიერთობების პირობებში ცხოვრობდა. გაიხსენეთ ხალიბების მოსინიკებებზე დამოკიდებულების მაგალითი (Xenoph., Anab. V,5,1).

** არაა გამორიცხული, ანტიკურ ავტორებთან ნინოსში ტუქულთი-ნინურთა იგულისხმებოდეს. ჩნობილია, რომ ევსები კესარიელის პანიონოსი ასურეთში არგონავტების კოლხეთში მოსვლის დროს მეფობდა. სხვა ავტორებს თუ დავუჯერებთ, მას, “ამ შემთხვევაში ნინოსს” გარკვეული დროის განმავლობაში მთელი სამხრეთი კავკასია და მეზობელი პონტოსპირეთის ტომები ემორჩილებოდნენ [ყაუხჩიშვილი, 1976: გვ.120].

*** არსებობს მტკიცებულებები, რომ საკუთრივ დაიაენი/დიაოხი ზღვისპირა ქვეყანა იყო [იხ.Дьяконов, 1951: გვ.300, სქ.1].

რად არქაულ ტრადიციათა აქტიურ დაცვას რომ გულისხმობდა, და გეოგრაფიული პირობების ხარჯზე დესპოტური ხელისუფლება აქ არ განვითარებულა.* ამ უკანასკნელ ფაქტორს განსაკუთრებით უსვამს ხაზს გ.ჭეიშვილი ხალიბთა ქვეყნის მიმართებაში [ჭეიშვილი, 1994: 30], რომლის მატერიკული ნაწილი ისტორიული მესხეთის ბუნებრივი პირობების მსგავსად ხელს უწყობდა მცირე თვითკმარი “ქვეყნების” ჩამოყალიბებას. ხევთა შერწყმის პროცესის მიუხედავად, ისინი მოუშლელნი რჩებოდნენ და თავიანთ სახეს ინარჩუნებდნენ [მუსხელიშვილი, 1980: 142, 200]. მეორე მხრივ, ხალიბთა ქვეყნის ზღვისპირა მდებარეობამ და აქედან გამომდინარე აქტიურმა ვაჭრობამ სპეციფიკური ქალაქური ტიპის დასახლებები - პოლისები წარმოქმნა. ამან, რა თქმა უნდა, ლითონით მდიდარი სამხრეთ-დასავლეთი საქართველოსა და სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის ბერძნულ ახალშენებთან ინტენსიური ურთიერთობების ინიცირება გამოიწვია [ჭეიშვილი, 1994: 30,34,41]. თუმცა, ამას წინ უსწრებდა ანტიკური ცივილიზაციის წინამორბედ - მიკენურ სამყაროსთან დამყარებული კონტაქტები, რომელიც აღმოსავლეთთან ურთიერთობების ფონზე არარეგულარულ ხასიათს ატარებდა.

როგორც ცნობილია, ადრებრინჯაოს ეპოქაში (ძვ.წ. III ათასწლეულის შუა ხანები) სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში მკვეთრად წინაურდება კრეტა და მატერიკული საბერძნეთის რიგი რაიონები. პირველისგან განსხვავებით, ამ უკანასკნელში ძვ.წ. III ათასწლეულის ბოლოს ჩრდილოეთიდან შემოიჭრილმა ინდოევროპელმა ტომებმა (აქეელები) გაანადგურეს კუნძულებთან მონათესავე, მათსავით კლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბების ზღურბლზე მყოფი პელასგური საზოგადოება. მოსულმა ეთნოსმა წინარებერძნული მოსახლეობის ასიმილაციისა და მინოსური ცივილიზაციის ზეგავლენის გზით შეითვისა მაღალგანვითარებული კულტურა და ოთხსაუკუნოვანი დეკადანსის (ძვ.წ. XX-XVII სს.) შემდეგ თვითონ დაასრულა წინამორბედის მიერ წამოწყებული საქმე - სა-

* მაგალითად, ქსენოფონტე აღნიშნავს, რომ კარდუხები, ტაოხები და ქაღლები უმეფონი და საშიშნი არიან (Anab., V,4,17).

ხელმოწევის ფორმირების პროცესი [История древней Греции, 1996: 51-55]. ძვ.წ. XVI ს. იწყება მიკენური ეპოქა. მიუხედავად იმისა, რომ კრეტის დიდ გავლენას განიცდიდა, ის თვითმყოფად კულტურას წარმოადგენდა, რომელიც აქვეყნების მიერ თითქმის მთელი ეგეიდის ხელში ჩაგდების შემდეგ (ძვ.წ. XV ს. მეორე ნახევარი) ერთპიროვნულად ჩაღვა დასავლური სამყაროს ფარგლებში. ძვ.წ. XV-XIII სს. მიკენური ცივილიზაციის აყვავების პერიოდი იყო. წინარებერძულმა მოსახლეობამ საბოლოოდ დაკარგა ისტორიული ინიციატივა, გაითქვია მოსულ ელემენტში ან პერიფერიებსა და მცირე აზიაში გადასახლდა [გორდეზიანი რ., 1988: 162]. მინოსური ცივილიზაციისგან განსხვავებით, მკვეთრად გამოხატული აგრესიული სულისა და პარალელურად მისგანვე მემკვიდრეობით მიღებული ზღვაოსნობის სიყვარულის საშუალებით ახალ-ახალი გზების ძიების სწრაფვამ მიკენურ სამყაროს მთელი ხმელთაშუაზღვისპირეთის ათვისებისკენ უბიძგა: “დიდი ბერძნული კოლონიზაცია... იმ საზღვაო ტრასებით წარიმართა, რომლებიც ელინთა მიკენელმა წინაპრებმა გაკვალეს... თქმულების თანახმად, მიკენელებს შავი ზღვის აუზშიც შემოუღწევიათ და თუკი არგონავტების ღაშქრობის ამბები რამდენადმე მაინც ასახავს რეალობას, ისინი თვით კოლხეთამდე მოსულან [გორდეზიანი რ., 1988: 54].

ბუნებრივია, ელინების ყურადღება უმთავრესად აღმოსავლეთისკენ იყო მიმართული. ჯერ კიდევ მინოსური კულტურა, რომლის ტრადიციებსაც აგრძელებდა მიკენი, სასიცოცხლო იმპულსებს წინა აზიიდან და ეგვიპტიდან იღებდა. მნიშვნელოვანი იყო მცირე აზიისა და მიმდებარე ტერიტორიების წიაღისეულით, განსაკუთრებით სპილენძით მდიდარი საბადოები. სინოპეში თესალიელ მოღაშქრეთა დასახლება (Ps. Scymn., Peripl., 941-952), ფრიქსეს, შემდეგ კი არგონავტების გამოჩენა აია-კოლხეთში ამ მიმართულებით გადაღმეული ნაბიჯების ყრუ გამოძახილი უნდა იყოს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წინარებერძული ცივილიზაციის ნამსხვრევებმა მცირე აზიისკენ გადაინაცვლეს და, რაც მთავარია, გვიანბრინჯაოს ხანაში (ძვ.წ. XIV ს.) სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ჩამოყალიბდა ეგეოსური კულტურის (სულიერად მაინც) მონათესავე ბრწყინვალე

კოლხური კულტურა. არქეოლოგიური მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ, სწორედ ეს ოლქი, პირველ რიგში კი მისი ჰინტერლანდი - ჭოროხის აუზი წარმოადგენდა მაღალგანვითარებული თვითმყოფადი კოლხური ბრინჯაოს კულტურის უძველეს და წამყვან კერას. ჩვენს ხელთ არსებული მასალა აშკარად მიუთითებს ბრინჯაოს იარაღთა არქაულობაზე, რომელთა უადრესი ნიმუშები (ცულები) ურეკიდან ორდუმდეა აღმოჩენილი [დაწვრიხ. კახიძე ა., მამულაძე შ., 2000].

მოკლედ რომ ვთქვათ, მიკენური პატრიარქალური საზოგადოება, თავისივე ბუნებიდან გამომდინარე, თანდათანობით ვრცელდებოდა პროტოელინური კულტურის განფენის არეალში, რომლის ათვისებაც, როგორც ჩანს, პირველის განვითარების აუცილებელი პირობა იყო. იგივე განმეორდა აიას ქვეყანაში, რაც არგონავტების ლაშქრობის სახით აისახა. აქაც, ეგეოსური სამყაროს მსგავსად, ძლიერი იყო ქალის როლი საზოგადოებრივ ცხოვრებასა და კულტში [დაწვრიხ. კახიძე ე., 1999: 185-186]. კვანძის გახსნა ტროასთან მოხდა (ძვ.წ. XIII ს. ბოლო), როცა ორი სამყაროს მთავარი ძალები კონკრეტულ, გადამწყვეტ ბრძოლაში დაუპირისპირდნენ ერთმანეთს.* უნდა აღინიშნოს, რომ ანტიბერძნული კოალიციის განადგურების შემდეგ, ფაქტობრივად, დასაღუპავად გაიწირა მთელი ბრინჯაოს ცივილიზაცია, რომლის ნაწილსაც წარმოადგენდა აქეური სამყარო. ბალკანეთსა და წინა აზიაში გზა გაეხსნათ პრიმიტიულ ტომებს, რომლებმაც მრავალი დაწინაურებული რეგიონი მიწასთან გაასწორეს. ადრეკლასობრივი სახელმწიფოებისთვის დამახასიათებელი შინაგანი სისუსტისა და სპეციფიკური სოციალ-ეკონომიკური განვითარების გამო ძველი კონდიციები შედარებით მშვიდობიან პერიოდშიც (ძვ.წ. XII ს.) ვერ აღდგა [Полякова, 1983: 94-106]. რა თქმა უნდა, ასეთ პირობებში ბერძნულ-კოლხურ ურთიერთობებზე ლაპარაკი უადგილოდ გვეჩვენება.

* ნიშანდობლივია, რომ ჰეროდოტე ტროელების მიერ ელენეს მოტაცებას მდევას გამო ელინებისთვის სამაგიეროს გადახდის სურვილს უკავშირებს (I,14). შემთხვევითი არაა, რომ ქართველური ტომები ტროას თუ ბერძენ-სპარსელთა ომების დროს სწორედ აზიელების მხარდამხარ იბრძვიან.

მიუხედავად ამისა, ურთიერთობების საწყისმა ეტაპმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. მას ელინურ სამყაროში სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთზე გარკვეული ცოდნის დაგროვება მოჰყვა [ლორთქიფანიძე, 1986: 23]. ის, თუ როგორ იყენებდნენ ანტიკური ხანის ბერძნები წინაპრების გამოცდილებას, უკვე მოგახსენეთ. აქ დავუმატებდით, რომ: “აქაველებმა... მისცეს კლასიკურ საბერძნეთს მრავალი ის იმპულსი, რომელმაც შემდგომ ბერძნული ცივილიზაციის ხასიათი განსაზღვრა... ბერძნები ეგეოსის ზღვის აუზს მოეწვინენ, ვითარცა დიდი მასწავლებლების (ძველადმოსავლური ცივილიზაციები და განსაკუთრებით კი მინოსურ-წინაბერძნული კულტურა) უაღრესად ნიჭიერი მოსწავლეები” [გორდეზიანი რ., 1988: 57]. უნდა აღინიშნოს, რომ ამ საფეხურზე ქართული სამყარო, როგორც კრეტულ-პროტოელინური ცივილიზაციის შემადგენელი თუ მონათესავე კულტურული არეალი, დასავლელი პარტნიორის მასწავლებლად გვევლინება (მედეა, საკრალური ცოდნის მფლობელი აიეტის დავალებები და სხვ.). მოგვიანებით ყოფილი მოწაფეები მთელი ხმელთაშუაზღვისპირეთის მენტორებად მოგვევლინენ და ისევე, როგორც სხვა ხალხებმა, კოლხებმაც ბევრი რამ შეითვისეს მათგან.

დასავლეთთან შეწყვეტილი კონტაქტები არ ნიშნავდა, რომ ქართველური სამყარო საერთოდ მოწყდა იმდროინდელი მსოფლიოს მოწინავე კულტურებს, მით უმეტეს ჰეგემონად გვევლინებოდა ჯერ კიდევ აღმოსავლეთი, რომელთანაც სისხლსავსე ურთიერთობები გრძელდებოდა. ხანმოკლე შესვენების შემდეგ, ძვ.წ. IX ს. მასთან კვლავ აქტიური ურთიერთობები აღსდგა [Дьяконов, 1951: 275-276, 284]. VIII ს. შუა ხანებიდან ინიციატივა უკვე კულხას ხელში გადავიდა [Меликишвили, 1959: 216-217], მაგრამ ამ დროისთვის ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთიდან გამოძევებული კიმერიელები კავკასიაშიც ჩნდებიან [Виноградов, 1972: 11 და შმდ.]. როგორც ჩანს, ამ ისტორიულ გამოწვევას სუსტი სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის მქონე კულხამ ვერ გაუძლო და ძვ.წ. VIII ს. ბოლოსთვის შეწყვიტა არსებობა [Меликишвили, 1954: 115; 1959: 216-217], რამაც დააჩქარა კოლხური კულტურის ცენტრის თანდათანობით ჩრდილოეთისკენ გადაწევა და საბოლოოდ

რიონისპირეთში კოლხეთის ახალი სამეფოს ჩამოყალიბება (ძვ.წ. VI ს).

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენთვის საინტერესო რეგიონში უძველესი ცივილიზაციური ტრადიციები ერთბაშად არ ამოიძირკვებოდა. მაგალითად, ძვ.წ. VIII ს. გონიოს მიდამოებში (ავგია, ჭარნალი, ახალისოფელი) ფუნქციონირებდა შავი ლითონის მომპოვებელი მსხვილი სამთო-მეტალურგიული კერა [Хухутаишвили, 1987: 41-60] და მასთან დაკავშირებული ე.წ. დიუნური დასახლება, სადაც, მკვლევართა აზრით, რკინის მეტალურგიისთვის აუცილებელი მაგნეტიტური ქვიშის მოპოვება ხდებოდა [თავამაიშვილი, 2000]. ამ კომპლექსის დაწინაურება განსაკუთრებით ძვ.წ. VII ს. შუა ხანებისთვის შეიმჩნევა. საკუთრივ ციხის ტერიტორიაზე დიუნური სადგომების ნაშთები თითქმის ერთ ზოლზეა გამოვლენილი. აქ ძირითადად უხეშად ნაძერწი თიხის აბაზანისებური ჭურჭლის ფრაგმენტები და კულტმსახურებასთან დაკავშირებული სადგარები გვხვდება. დიუნური დასახლებების სეზონური ხასიათიდან გამომდინარე, უფრო მცირეა საყოფაცხოვრებო დანიშნულების კერამიკა [თავამაიშვილი, 2000: 140; მამულაძე, ხალვაში, კახიძე ე., 2002]. როგორც ჩანს, დაახლოებით ამ პერიოდიდან ჩვენთვის საინტერესო რეგიონს ანტიკურ სამყაროშიც იცნობენ. არაა გამორიცხული, რომ ძვ.წ. VIII ს. პოეტ ევმელეოს კორინთელის კოლხეთის ქვეყანა (Tzetzes ad Lycophr., 174) ჭოროხის აუზში განლაგებულ კულხას გულისხმობდეს, ხოლო “თეოგონიაში” მოხსენიებულ უდიდეს მდინარეთაგან ერთ-ერთი - ფასისი (340) სწორედ ჭოროხთან გაიგივდეს [მიქელაძე, 1974: 83-84; ინაძე, 1982: 7; გრიგოლია, 1994: 33-39].

სახელმწიფოებრიობის დეკადანსი სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთზე მაინც აისახა და განვითარების ტემპებით ის თანდათანობით ჩამორჩა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთს, სადაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ძვ.წ. VI ს. ახალ-კოლხური სამეფო ჩამოყალიბდა. სწორედ ამ პერიოდიდან, და ცოტა უფრო ადრეც, ელინურ სამყაროსთან ინტენსიური კონტაქტები დაიწყო, რასაც, ცენტრალური კოლხეთისგან განსხვავებით, სამხრეთ კოლხეთი სოციალური ურთიერთობების არქაული ფორმებითა და ტომობრივი დაქსაქსულობით

შეხვდა. ყოველივე ამან საბედისწერო როლი შეასრულა რეგიონის შემდგომ განვითარებაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1990;
2. გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. I, ტექსტები ქართული თარგმანით გამოსცეს და განმარტებები დაურთეს აღ.გამყრელიძემ და ს.ყაუხჩიშვილმა, თბ., 1961;
3. გოგიტიძე ს., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს საისტორიო გეოგრაფია, ბათუმი, 2002;
4. გორდეზიანი ლ., არგონავტების ლაშქრობის თარიღისათვის. - არგონავტიკა და მსოფლიო კულტურა, ა. ურუშაძის დაბადებიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილი შრომების კრებული, თბ., 1999;
5. გორდეზიანი რ., ბერძნული ცივილიზაცია, ნაკვეთი I, თბ., 1988;
6. გრიგოლია გ., ეგრის-ლაზიკის საისტორიო გეოგრაფიის პრობლემები, თბ., 1994;
7. თავამაიშვილი გ., უძველესი ნამოსახლარები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ახალშავზღვურ ტერასაზე (საკანდ. ნაშრ.), თბ., 2000;
7. ინაძე მ., ტერმინები “კოლხი” და “კოლხეთი” ანტიკურ მწერლობაში. - საქართველოს და ქართველთა აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, თბ., 1993;
8. ინაძე მ., აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაცია, თბ., 1982;
9. კახიძე ა., მამულაძე შ., ჭოროხის აუზი - კოლხური კულტურის უძველესი კერა, ბათუმი, 2000;
10. კახიძე ე., სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაციის წინამძღვრებისა და ზოგიერთი თავისებურების შესახებ. - კულტურის ისტორიის საკითხები, VI, თბ., 1999;
11. ლორთქიფანიძე ოთ., არგონავტიკა და ძველი კოლხეთი, თბ., 1986;

12. მამულაძე შ., ხალვაში მ., კახიძე ე., აფსაროსი ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში. – შავიზღვისპირეთის ძველი ისტორიისა და არქეოლოგიის X საერთაშორისო სიმპოზიუმი: “ურბანიზმი შავიზღვისპირეთში არქაულსა და კლასიკურ ხანაში: *πολις Ἐλληνικὴ καὶ πολις βαρβαρική*” (მოხსენებათა თეზისები), თბ., 2002;

13. მელიქიშვილი გ., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის უძველესი გაერთიანებები. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.I, თბ., 1970;

14. მიბჩუანი თ., დასავლეთ საქართველოს ქართველ მთიელთა ეთნოგენეზის, განსახლების და კულტურის ისტორიიდან, თბ., 1989;

15. მიქელაძე თ., ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან, თბ., 1974;

16. მესხელიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, თბ., 1980;

17. ყაუხჩიშვილი თ., საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები, თბ., 1976;

18. ყაუხჩიშვილი თ., ანტიკური წყაროები ბათუმის ისტორიისათვის. – სდსმ, XVI, 1987; 19) 19) ჭეიშვილი გ., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს (მესხეთის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები ანტიკურ ხანაში (საკანდ. ნაშრ.), თბ., 1994;

20. ჯავახიშვილი ივ., საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული პრობლემები, თბ., 1950;

21. Бич О. Новые материалы о Г. Шлимане. - ВДИ, 2, 1947;

22. Виноградов В.Б. Центральный и Северо-Восточный Кавказ в Скифское время (VII-VI вв. до н. э.), Грозный, 1972;

23. Дьяконов И.М. Ассирийско-Вавилонские источники по истории Урарту. - ВДИ, 2, 1951;

24. История древней Греции, под. ред. В. И. Кузищина, М., 1996;

25. Меликишвили Г.А. Наири-Урарту, Тб., 1954;

26. Меликишвили Г.А. К истории древней Грузии, Тб., 1959;

27. Хахутаишвили Д.А. Производство железа в Древней Колхиде, Тб., 1987;

28. Weidner E. Die Inschriften Tukulti-Ninurtas I und seiner Nachfolger, AFO, Beiheft 12, Graz, 1959.

Emzar Kakhidze

The early stage of Greco-Georgian relationships

Summary

The early stage of Greco-Georgian relationships linked with an appearance of Argonauts in Colchis, in 14th-13th centuries BC. These relationships were, off course, only episodic, finished on the end of 13th century BC and renewed in 8th century BC.

Эмзар Кахидзе

Ранний этап грузино-греческих взаимоотношений

Резюме

Появление аргонавтов в Колхиде, точнее Кулхе урартийских источников в XIV-XIII вв. до н.э. можно считать началом грузино-греческих взаимоотношений. Безусловно, это были эпизодические контакты, которые прервались с конца XIII в. и возобновились только с VIII в. до н.э.

**სამხრეთ-დასავლეთი საქართველო (აჭარა)
ტბელ აბუსერისძის ხანაში
(სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა)**

XII საუკუნის ბოლო და XIII საუკუნის პირველი ათწლეული უადრესად საინტერესო ხანაა საქართველოს ისტორიაში. ერთი მხრივ, ეს არის დრო, როცა საქართველო ახლო აღმოსავლეთის უძლიერეს სახელმწიფოდ ითვლება, მას ემორჩილებიან და ანგარიშს უწევენ მოსაზღვრე თუ შორეული მუსლიმანური ქვეყნები, და ევროპელ ჯვაროსნებს იგი მშველელად, იერუსალიმის მსხნელად და მუსლიმანთა დამმორჩილებლად მიაჩნიათ (ზ. ავალიშვილი, 1989: 102), მაგრამ, მეორე მხრივ, სულ რაღაც 10–15 წლის შემდეგ, ეს სახელმწიფო ვერ უძლავდება მონღოლთა ოცათასიან მარბიელ ლაშქარს, სერიოზულ წინააღმდეგობას ვერ უწევს ხვარაზმელებს, ბრძოლის ველზე გარნისთან დახმარების გარეშე ტოვებს 4 ათას თავდადებულ მამულიშვილს და ერთი სერიოზული, გენერალური ბრძოლის გარეშე მორჩილებას უცხადებს მონღოლებს.

ასეთ წინააღმდეგობრივ და საქართველოსთვის რთულ პერიოდში მოუწია მოღვაწეობა რუსთაველის უმცროს თანამოკალმეს, მეცნიერსა და მწერალს, აჭარის ერისთავთერისთავების – აბუსერისძეთა გვარის ღირსეულ წარმომადგენელს – ტბელ აბუსერისძეს.

ნაშრომის მიზანია საქართველოსა და მის ირგვლივ განვითარებული მოვლენების ფონზე წარმოადგინოს ტბელ აბუსერისძის ხანის აჭარის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა მწერლის თხზულებების და სხვა წყაროებისა და ლიტერატურის გამოყენებით.

ტბელ აბუსერისძის ხანის აჭარის ისტორიის ცალკეული საკითხები, მართალია, განხილულია ლ.მუსხელიშვილის, რ.მეფისაშვილის, ხ.ახვლედიანის, ი.სიხარულიძის, შ.ვარშანიძის, შ.მამულაძის, ნ.გოგუაძის, მ.ქავთარიას, რ.ჩაგუნავას, რ.ხალვაშის, გ. აბუსედიძის და სხვათა ნაშრომებში, მაგრამ

ერთიანობაში ეს პრობლემა არ შესწავლილა. წარმოდგენილი ნაშრომი ამ ხარვეზის შევსების მოკრძალებული მცდელობაა.

აბუსერისძეთა ფეოდალური სახლი დაწინაურებული ჩანს XI საუკუნის დასაწყისიდან, როცა მათ ჯერ „ხიხათა ერისთავობა,” ხოლო შემდეგ აბუსერ ივანისძის ერისთავთერისთავობის დროს არტანუჯის, ციხის ჯუარისა და აწყურის ციხის პატრონობის უფლებაც მიუღიათ. მათვე ეკუთვნოდათ ყველის ციხეც (ქართლის ცხოვრება, 1955: 300)

XI საუკუნის 40-იანი წლები მძიმე და წარუმატებელი აღმოჩნდა აბუსერისძეებისათვის. მეფე ბაგრატ IV-ზე განაწყენებულმა და არტანუჯის ციხის ხელში ჩაგდების მოსურნე ლიპარიტ ბაღვაშმა „გამოიტყუენა ანისით დედოფლისაგან აბუსერი ერისთავი არტანუჯისა, და ხიხათა, და ციხის ჯუარისა, და აწყურის ციხის პატრონი... და შეიპყრნა” (ქცა, 1955: 300) მაგრამ „ძე ლიპარიტისი ივანე მძევლად დარჩა ბაგრატის ხელთა შინა, და ითხოვა იგი ბაგრატისაგან, და ნაცვლად გაუშუა აბუსერი თავის ციხითა მშვიდობით (ქცა, 1955:300). აბუსერ პირველი მაინც ვერ ასცდა ლიპარიტის ტყვეობას, სასირეთის ჭალაში მომხდარ ბრძოლაში „შეიპყრეს აბუსერი და სხვანიცა დიდებულნი მის თანა.”

ლიპარიტის ტყვეობას ვერ გადაურჩა აბუსერ პირველის მემკვიდრე გრიგოლიც, რომელიც არყის ციხესთან ბრძოლაში შეიპყრეს „და სთხოვეს არტანუჯი სიკუდილისა ქადებითა” (ქცა, 1955:302). ასე რომ, XI ს. 40-იანი წლების მეორე ნახევარში აბუსერისძეებმა დაკარგეს არტანუჯი და შემდეგ ციხის ჯუარიც. იგი ბაგრატ IV-მ სულა კალმახელს უწყალობა ლიპარიტის შეპყრობისა და მისთვის გადაცემის სანაცვლოდ.

როგორც ჩანს, XII საუკუნეში აბუსერისძეთა სამფლობელო აჭარით შემოიფარგლებოდა და მისი პატრონები ერთგულად იდგნენ ქვეყნის სამსახურში. ამ მხრივ წყაროები წარმოაჩენენ მწერლის ბაბუას ერისთავთერისთავ აბუსერს, მის ძმას სანანოს და მწერლის მამას ივანე ერისთავთერისთავს, რომელიც დაიღუპა „თურქთა ხელითა (აბუსერისძე ტბელი, 1998: 67).

რამდენადაც ერისთავთერისთავ ივანეს დაღუპვა უნდა უკავშირდებოდეს ხიხანის „მტერთა ზედა გაცემის”–ღალატით დაკარგვის პერიოდს და მას 1191 წლით ათარიღებენ, ამდენად

ტბელ აბუსერისძის მოღვაწეობის ხანის დასაწყისი XII საუკუნის 80-იანი წლებით არის განსაზღვრული და ჩვენი საკვლევი პერიოდის ქვედა საზღვარიც 90-იანი წლების დასაწყისი უნდა იყოს.

* * *

ტბელ აბუსერიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის დასაწყისი ემთხვევა თამარის დროის საქართველოში ფეოდალ-ოპოზიციონერთა გამოსვლების დასრულებისა და საგარეო პოლიტიკის გააქტიურების წლებს. ფეოდალ-ოპოზიციონერთა ბოლო გაბრძოლება იყო 1191 წელს, როცა დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს ფეოდალური არისტოკრატიის ღიდმა ნაწილმა მოინდომა გიორგი რუსის ხელახლა დაბრუნება თამარის მეუღლედ და ამით საკუთარი პოზიციების განმტკიცება. ამ მოძრაობის სათავეში აღმოჩნდა შავშეთისა და კლარჯეთის პატრონი გუზანი, სამცხის სპასალარი ბოცო და მსახურთუხუცესი ვარდან დადიანი, რომელმაც მთელი დასავლეთ საქართველოს ძალები შემოიკრიბა. ისმება კითხვა, რამ გააერთიანა ეს ძალები თამარის მომხრეთა წინააღმდეგ, რა იყო ნამდვილი მიზეზი ძალთა ასეთი დაპირისპირებისა და რომელ მხარეზე უნდა ყოფილიყვნენ აბუსერისძეები?

აკად. ნ. ბერძენიშვილის სამართლიანი შენიშვნით, დავით აღმაშენებლის დროიდან აშკარა გახდა აღმოსავლეთის უპირატესობა და აფხაზთა მეფე (ლიხთიმერეთის და თუ გნებავთ ტაო-კლარჯეთის მეფე) სულ უფრო და უფრო ქართლ-კახეთს და მის მიმდგომ ქვეყნებს ირჩევს ცენტრად... და ძველი ფეოდალური არისტოკრატია აჯანყდა (ნ. ბერძენიშვილი, 1974:168). აჯანყებულთა ერთი ნაწილი ხინგრის წყალზე თმოგვსა და ერუშეთს შუა ბრძოლაში დამარცხდა, მეორე ნაწილი, რომელიც გორამდე იყო მისული, ხინგრის წყალზე მათი მომხრეების მარცხის გაგებისთანავე უკან გაბრუნდა. ამ ამბების აღწერისას მემატრიანეები აბუსერისძეებს არ ახსენებენ, მაგრამ ტბელ აბუსერისძის თხზულებაში ნათქვამი ხიხანის „მტერთა ზედა გაცემის“ და შემდეგ „ღმრთის სწორთა პატრონთა“ დავალების შესრულება იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ გუზან აბულასნის განდგომისას აბუსერისძეები მეფის მომხრეთა რიგებში იყვნენ და არაა

გამორიცხული, რომ მწერლის მამის დაღუპვაც ამ მოვლენებთან (ხიხანის დაკარგვა) იყოს დაკავშირებული (ი.სიხარულიძე, 1979:16).

ამ ამბების შემდეგ ქვეყანაში სიმშვიდე გამეფებულა. მემკვიდრე თქმით, „შეიქმნა მშვიდობა, სიხარული და ერთობა, რომელი აროდეს სადა ვის უხილავს” (ქცა, 1959: 54). უნდა ვივარაუდოთ, რომ მშვიდობა სუფევდა აბუსერისძეთა საერისთავოშიც, რაც იმის საშუალებას იძლეოდა, რომ ტბელს საეკლესიო განათლება ვარძიაში მიეღო წმ. იოანე შავთელთან და შემდეგ ემოღვაწა აღმოსავლეთ საქართველოს ისეთ მნიშვნელოვან საეკლესიო ცენტრებში, როგორიცაა მარტყოფი და ალავერდი (რ.ხალვაში, 2006: 9).

როგორც ჩანს, XIII საუკუნის დასაწყისიდან აბუსერისძეთა საერისთავოს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ქვეყნის სხვა მხარეებთან. 1216 წელს ივანე ათაბაგის მიერ მოწვეულ სასამართლოზე მემნა ჯაყელთან, დიდ ჭყონდიდელთან, რომელიც მოსულიყო სამეფოდან, ვარძიის წინამძღვართან, ბღინძაჰანქის წინამძღვართან და გარეჯის დიდ მამამთავართან ერთად მონაწილეობდა ტბელ აბუსერისძეც (რ.ხალვაში, 2006:7). ეს ურთიერთობა კიდევ უფრო გაფართოებულა 20-იანი წლებიდან, როცა აღმოსავლეთ საქართველოში მძიმე ვითარება შეიქმნა ჯალალ-ედ-დინის შემოსევის გამო. მეფე რუსუდანთან ერთად თბილისიდან ქუთაისში გადმოვიდა საქართველოს კათალიკოსი არსენ ბუღმაისიძისძე და გელათიდან მართავდა საქართველოს ეკლესიას. აჭარა კი ამ დროს საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ღტოლვილი მოსახლეობის თავშესაფრად იქცა. ტბელი გვაუწყებს: „ოდეს მოგებისათვის ცოდვითა ჩვენთაისა სამცხე და ყოველი ადგილი საქართველოსაი ივლტოდა ხიზნობად შიშისათვის ხუარაზმელთაჲსა, გამოქცევასა და მოწყუედასა ზედა ლაშქართასა და მრავალთა მთავართა და კაცისშვილთასა და მოოხრებასა დედაქალაქისა ტფილისისასა და უმეტესთა ადგილთა ღიხთა ამერისა საქართველოსათა... არავინ დაშთა ულტოლველი კერძოთა აჭარისათაცა (აბუსერისძე ტბელი, 1998: 65-66). აჭარას შეაფარა თავი 1235 წელს, მონღოლთა შემოსევის დროს, მანდატურთუხუცესმა შანშე მხარგრძელმაც.

ყველაფერი ეს მიუთითებს იმაზე, რომ ტბელის მოღვაწეობის ხანაში აჭარა, აბუსერისძეთა სამფლობელო, ქვეყნის სხვა მხარეებთან შედარებით, დაცული აღმოჩნდა და აქ მეტი პირობები შეიქმნა როგორც ეკონომიკური, ისე კულტურული განვითარებისათვის.

აჭარა თავისი მდებარეობით გზათა შესაყარში აღმოჩნდა ერთი მხრივ, ზღვისპირეთიდან სამხრეთ საქართველოსაკენ და მეორე მხრივ, ახლო აღმოსავლეთ-მცირე აზიიდან ჩრდილო კავკასიისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის ქვეყნებისაკენ, კერძოდ არტანუჯისაკენ, ადრეშუასაუკუნეების ამ ცნობილი ცენტრისაკენ. სახმელეთო გზა აჭარისწყლის ხეობაზე, ხოლო სამდინარო გზა ჭოროხზე გადიოდა და აკავშირებდა ბათუმსა და ართვინს. ამ მხარის ეკონომიკური მნიშვნელობა არ შემცირებულა საქართველოს ერთიანი ფეოდალური მონარქიის შექმნის ხანაშიც. „იქ მოდიოდა საქონელი არმენიის და სირიის ყველა ქვეყნიდან, ტრაპეზუნიდან (თ.ყაუხჩიშვილი 8,1952:4). შემთხვევითი არ იყო ისიც, რომ ქვემო აჭარაში განვითარებული იყო ნავმშენებლობაც, როგორც ერთ-ერთი სარფიანი დარგი (თ.ჩიქოვანი, 1958:69-85). აჭარისწყლისა და ჭოროხის ხეობებში სავაჭრო ქარავნების მოძრაობა მოითხოვდა გზებისა და ხიდების წესრიგში მოყვანას, მგზავრებისა და სავაჭრო საქონლის უშიშროების უზრუნველყოფას. ამიტომაც, რომ ხალხური გადმოცემები აჭარასა და მის მომიჯნავე მხარეებში ფართოდ გაშლილ აღმშენებლობით საქმიანობას თამარის მეფობის ხანას უკავშირებენ.

აჭარისწყლის ხეობაში გამავალი საქარავნო გზა სამი მიმართულებით იტოტებოდა: სხალთა-ხიხაძირის გზით სოფელ ბაკოზე გავლით მიემართებოდა ახალციხისაკენ; აჭარისწყლის შენაკადის – ჩირუხისწყლის (მარეთის) ხეობის გავლით შავშეთ-კლარჯეთისაკენ, ხოლო აჭარისწყლის ხეობის შემდეგ გოდერძის უღელტეხილის გავლით გზა ოძრხეს მიმართულებით მიდიოდა. ყველა ამ მიმართულებით, გარდა თალიანი ხიდებისა, იგებოდა თავდაცვითი ნაგებობები, რომლებიც ამ გზების უშიშროებასაც და ქვეყნის, მხარის თავდაცვის საქმესაც უზრუნველყოფდა.

აჭარისწყლის ხეობაში წამომართული ციხე-კოშკები: ხიხანი, ვარციხე, ციხისყელი, წაბლანა, ჩანჩხალო, დარჩი-

ძეები, ყალბონი, კავიანი, ჭვანა, დანდალოსციხე, ზესოფელი, საღორეთი, ზვარე და სხვა ქმნიდნენ აჭარისწყლის ხეობაში ერთიანი თავდაცვითი სისტემის უწყვეტ ჯაჭვს, რომელთა მეთაურ ციხეს ხეობის სათავეში აღმართული **ხიხანი** წარმოადგენდა. იგი მდებარეობს ზღვის დონიდან 2635 მეტრის სიმაღლეზე, არსიანის მთის ერთ-ერთ განშტოებაზე. ციხის ფართობი თითქმის ერთ ჰექტრამდეა. ციხეს ჰქონია გალავანი ოთხი კოშკით. კოშკები რამდენიმე სართულიანი ყოფილა, რომელთაგან პირველი სართული დილეგებად ყოფილა გამოყენებული. ციხის ტერიტორიაზე სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობებია (თონე, მარანი, წვიმის წყლის შესაგროვები რეზერვუარები), მაგრამ მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია წმ. გიორგის ეკლესია, რომელიც ძმის დავალებით ტბელს აუგია.

ხიხანის ციხე თავისი სიდიადით, მშენებლობის სირთულით, კონსტრუქციებით ერთ-ერთი გამორჩეულია შუა საუკუნეების საქართველოს ხუროთმოძღვრულ ძეგლთა შორის. იგი მაჩვენებელია მაღალი საამშენებლო ხელოვნებისა და კულტურის.

ხიხადირის ხეობაზე გამავალი საქარაგნო-სავაჭრო გზა, თავისი ხიდეებითა და ციხეებით, ადასტურებს იმ აზრს, რომ ტბელის ეპოქაში ეს ხეობა მართლაც წარმოადგენდა უმთავრეს და უმნიშვნელოვანეს მაგისტრალს ქვეყნის როგორც საშინაო, ისე საგარეო პრობლემათა მოგვარებისათვის.

ერთ-ერთი საინტერესო და მნიშვნელოვანი მაგისტრალი ჩანს მარეთის ხეობაზე გამავალი გზაც.

მარეთის ხეობის ერთ ბოლოში დარჩიძეების ციხე იდგა, მეორე ბოლოს ოქროპილაურის (ყალბონის) ციხე დარაჯობდა. ეს უკანასკნელი, როგორც ჩანს, ჩირუხისწყლისა და უჩამბისწყლის შესაყარს აკონტროლებდა და ამ ციხის დანიშნულება ისეთივე იყო, როგორიც დარჩიძეების ციხისა.

აჭარისწყლის ხეობის ერთიან თავდაცვით სისტემაში განსაკუთრებული ფუნქცია ეკისრებოდა **ტაკიძეების** (ჭვანის) და **კავიანის** (ხიჭაურის) ციხეებს. მათი ფუნქცია ამ ორ ხეობაზე გამავალი გზების კონტროლი და მოსალოდნელი საფრთხის დროზე შეტყობინება უნდა ყოფილიყო.

მსგავსივე ფუნქციითა და საფორტიფიკაციო მშენებლობის მაღალი ხელოვნებით, რელიეფის ოსტატური გამოყენებით არის აგებული აჭარისწყლის ხეობის სხვა ციხეებიც: ზვარე, საღორეთი, ცივასულა, ზესოფელი და სხვა. ყველა ისინი აშკარად მიუთითებენ ტბელის დროის საქართველოს და მისი ერთი კუთხის–აჭარის ეკონომიკურ და სამხედრო-პოლიტიკურ ძლიერებაზე, მაღალ საამშენებლო-ტექნოლოგიურ დონეზე და აქ მცხოვრები მოსახლეობის ამოუწურავ ენერგიასა და მაღალ სულიერ კულტურაზე.

ამ თვალსაზრისით კიდევ უფრო მეტ მასალას იძლევა ტბელის მოღვაწეობის ხანაში ფართოდ გაშლილი **საეკლესიო–სამონასტრო მშენებლობის** საკითხის თუნდაც მოკლე მიმოხილვა.*

მიუხედავად იმისა, რომ ქრისტეს პირველმოციქულთა მიერ ქრისტიანული ეკლესიის დაფუძნებას, ქართული ისტორიული ტრადიცია, აჭარისწყლის ხეობაში, კერძოდ დიდაჭარაში აღიარებს, დღემდე IX საუკუნეზე ადრინდელი საეკლესიო ნაგებობა აქ აღმოჩენილი არაა. სავარაუდოა, უფრო ადრე ჩვენი წინაპრები ხის ეკლესიებს აგებდნენ, ამიტომ დღემდე მათი ნანგრევები არ შემორჩა. არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი მასალების საფუძველზე IX–X საუკუნეებით თარიღდება საციხურის (ჯვართნის), სხალთის მცირე და თიკანაურის ეკლესიები.

ეკლესიათა მშენებლობა უფრო ინტენსიური ჩანს XII–XIII საუკუნეებში. თითქმის არაა ამ მხარეში სოფელი, სადაც ეკლესია არ ყოფილიყო, თუმცა ცნობები ყველას შესახებ არ შემორჩენილა. მაგალითად XIX საუკუნის მეკლევარ-მოგზაურთა (გ.ყაზბეგი, თ.სახოკია) შრომებში დაცული ცნობების მიხედვით, ეკლესიები საკმაოდ დიდი ზომისა, მდგარა ხისაძირის ცენტრში, ასევე დაბა ხულოში, რომლის ადგილას შემდეგ მეჩეთი აუგიათ (გ. ყაზბეგი, 1995:37). ასევე ეკლესიები ყოფილა: ოლადაურში (თ.სახოკია, 1985:267), ცხმორისში,

* ინფორმაცია ეკლესიათა შესახებ მოტანილია შ.მამულაძის წიგნიდან „აჭარისწყლის ხეობის მატერიალური კულტურის ძეგლები“, ბათუმი, 2000.

დღვანში, ნენიაში, კვიახიძეებში, გოგინაურში, მარწყვალთაში და სხვაგან (ზ.ტიტინაძე, 1913:120-130; 176-184).

ჩვენს დრომდე შედარებით სრული სახით მოადწია სხალთის საეკლესიო კომპლექსმა. იგი X–XIV საუკუნეების აჭარაში უწყვეტი, ინტენსიური კულტურული ცხოვრებისა და აღმშენებლობის ერთ-ერთი გამოხატულებაა. ეს დრო აჭარაში აბუსერისძეთა საგვარეულოს ზეობის ხანას უკავშირდება და საეჭვო არაა, რომ ტაძრის აგება და მოხატვა-შემკობა მათ სახელთან უნდა იყოს დაკავშირებული (შ. მამულაძე, 2000:88). მით უმეტეს, რომ ეს გვარი განსაკუთრებული სიქველით, ღვთისმოსაობითა და ქველმოქმედებით გამოირჩეოდა.

ტბელის ეპოქის სხვა ეკლესიებმა ჩვენამდე ნანგრევების სახით მოადწია. ამათგან მხოლოდ ზოგიერთია არქეოლოგიურად შესწავლილი.

შუა საუკუნეების მატერიალური კულტურის ძეგლთაგან აჭარის ტერიტორიაზე ყველაზე უკეთ შემონახულია თაღიანი ხიდები, რომლებიც მდინარეების – კინტრიშის, აჭარისწყლის, ჭოროხის და მისი შენაკადის მაჭახლისწყლის აუზის მხარეებსა და მათზე გამავალ გზებს აერთებს. ამ ხიდების აგების დროდ მკვლევარები სხვადასხვა პერიოდს ასახელებენ. აკად. ნ. ბერძენიშვილიც იმ აზრისაა, რომ „ყველა ისინი არ შეიძლება იყოს თამარის დროის და მისი ნამოღვაწარი. მათში, უეჭველია, არაერთია უფრო ძველი ხანის, ისე როგორც ნაგვიანვეი ხანისაც (ნ. ბერძენიშვილი, 1966:10; შ. ვარშანიძე, 1974:53).

ამ ტიპის ხიდები ბევრია აჭარის მომიჯნავე შავშეთ-იმერხევის, თუ საერთოდ ისტორიული ტაო-კლარჯეთის ტერიტორიაზე (შ. მამულაძე, 2000:99).

აჭარაში თაღიანი ხიდების რაოდენობაც მკვლევარებს განსხვავებული რაოდენობით აქვთ დაფიქსირებული. თუ სახოკია ასახელებს რვა ხიდს, ხახვლდიანი – ათს, ვ. ლიხოვსკი – თერთმეტს, შ. ვარშანიძე – თექვსმეტს, არქეოლოგ შ. მამულაძის თქმით, აჭარაში დღემდე სულ 25 ძველი თაღიანი ხიდია დაფიქსირებული (შ.მამულაძე, 2000:99).

თაღიან ხიდებზე ყურადღების გამახვილება იმითაა გამოწვეული, რომ იგი მიუთითებს მათზე გამავალი გზების განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე. ასეთი ხიდების აგება დიდ

შრომას, განსაკუთრებულ ტექნოლოგიასა და ამ საკმეში გაწაფულ ოსტატებს მოითხოვდა, ამიტომ ჩვეულებრივ, სასოფლო მნიშვნელობის გზებზე მას ვერ ააშენებდნენ. ამასთან, ამ ხიდების განლაგებისა და მათზე გამავალი გზების შესწავლით ამა თუ იმ მხარისა და რეგიონის სავაჭრო-ეკონომიკური მნიშვნელობის გაანალიზებაც ხდებოდა. მარტო აჭარისწყალზე დღემდე შემორჩენილი ხიდების (მახუნცეთი, დანდალო, ფურტო) შესწავლაც აშკარად აჩვენებს ჩვენი წინაპრების დიდ საამშენებლო კულტურას, მაღალ გემოვნებას და ამ მიმართულებით გამავალი გზების გაზრდილ ეკონომიკურ მნიშვნელობას. ერთი რამ აშკარაა, რომ ხიდების აგების აუცილებლობა დაკავშირებულია ამ ხეობაში გამავალი გზების არა მარტო ეკონომიკურ, არამედ პოლიტიკურ მნიშვნელობასთან. საქართველოს ერთიანი ფეოდალური მონარქიის შექმნა ხელს უწყობდა მისი საერთაშორისო ავტორიტეტის ამაღლებას, ასევე ადგილობრივი ბაზრის, საშინაო ვაჭრობის განვითარებას. ყველაფერი ეს ზრდიდა ხიდების მნიშვნელობას იმ თვალსაზრისითაც, რომ ერისთავებს თუ ცენტრალურ ხელისუფლებას საბაჟო კონტროლის, შემოსავლების გაზრდის საშუალებასაც აძლევდა. ამასთან, ახალ ვითარებაში ინტენსიური გახდა ცენტრსა და რეგიონებს შორის ურთიერთობა, რაც მოითხოვდა საგზაო კომუნიკაციების განვითარებას.

გაერთიანებულ და გაძლიერებულ სახელმწიფოში ეკონომიკისა და ვაჭრობის განვითარება ბევრად იყო დამოკიდებული ფულადი სისტემის სრულყოფაზე. ერთი შეხედვით უცნაურ მოვლენას ჰქონდა ადგილი XI–XII საუკუნეების საქართველოში. პოლიტიკური თვალსაზრისით „ოქროს ხანას“ დავით IV-ისა და თამარის ხანის საქართველოში, „ვერცხლის კრიზისი“ და „სპილენძის ხანის“ დაწყება მოჰყვა სამონეტო სფეროში. ვერცხლის მონეტა სპილენძის მონეტამ შეცვალა ძველი „ვერცხლის“ კურსით. ეს იმან გამოიწვია, რომ მთელ აღმოსავლეთში ეს პროცესი მიმდინარეობდა და თუ საქართველოც ამ გზით არ წავიდოდა, ძვირფასი ლითონი გაედინებოდა ქვეყნის გარეთ ფულის სახით (დ. კაპანაძე, 1950: 46). საუკუნეზე მეტ ხანს გრძელდებოდა ე.წ. „უწესოდ მოჭრილი“ ფულის მიმოქცევა საქართველოში და მხოლოდ 1230 წლიდან,

რუსუდან მეფის დროს, აღდგა ტრადიცია ვერცხლის მონეტის მოჭრისა (ნ.ქოიავა, 1938: 64; გ. აბუსელიძე, 2004: 40).

თამარის მეფობის ხანაში იჭრებოდა მონეტა, რომელიც კონვერტირებადი იყო მთელ მახლობელ აღმოსავლეთში, რაც უზრუნველყოფდა ფულის მეარ და ინტენსიურ მიმოქცევას, ქვეყნის ეკონომიკურ აღმავლობას. ამ პროცესების მონაწილე უნდა ყოფილიყო აჭარაც, რადგან ჩვენამდე მოღწეული მატერიალური კულტურის ძეგლთა დიდი ნაწილი (ხიდები, ციხეები, ეკლესია-მონასტრები) XI-XIII საუკუნეებით თარიღდება.

ამ თვალსაზრისით საინტერესო ცნობებს გვაწვდის ტბელ აბუსერისძის თხზულებები, რომლებიც იქმნებოდა XIII საუკუნის 20-იანი წლების ბოლოსა და 30-იანი წლების დასაწყისში. ამიტომ ისინი თავიანთი პათოსით და მიზანდასახულობით განსხვავდებიან სვებედნიერი საქართველოს პირობებში შექმნილი თხზულებებისაგან. ეს ის დროა, როცა „კაცისმჭამელთა მეგლთა ოტებანი სრულიად საზღვართა შინა სრულისა საქართველოსათა“ ჩვეულებრივი ამბავი გახდა და საჭირო იყო ღვთისმშობლისა და წმინდა გიორგის თანადგომა. საინტერესოა, რომ ტბელი თხზულებაში „ახალნი სასწაულნი წმიდისა გიორგისანი“ მოგვითხრობს XII საუკუნის შუა ხანებში აგებული ეკლესიის მშენებლობის ამბებს, ეკლესიის აგებიდან 80 წლის შემდეგ. რამ ჩააფიქრებინა ავტორს თხზულების დაწერა, რა მიზანს ისახავდა და რისი თქმა უნდოდა? რამდენადაც იგი საქართველოში დატრიალებული უბედურების (მონღოლთა გამოჩენა, ხვარაზმელთა შემოსევა) მიზეზად ქართველთა მიერ ჩადენილ ცოდვებს მიიჩნევდა („მოგებისათვის ცოდვათა ჩვენთაისა“) რომელსაც აჭარაც ვერ გადაურჩა, იგი თანამედროვეებს შეასვენებდა დიდი მფარველი წმინდანის-წმინდა გიორგის სახელსა და ძალას და სიმბოლურად მას ეკლესიის მშენებელთა შემწედ წარმოგვიდგენს. საფიქრებელია, აქ ეკლესია ქვეყნის სიმბოლოც იყოს, რადგან ტბელის ნაწარმოებებზე დაკვირვებით შეიძლება ითქვას, რომ ავტორი მისი დროის მოვლენებში ღრმად ჩახედული მოღვაწეა, რომელიც ფიქრობს ქვეყნის ბედზე და ცდილობს ახსნას მომხდარი უბედურებების მიზეზები. იგი ქვეყნის უბედურებაგამოვლილი კაცის აზროვნებით აფასებს მოვლენებს და ეკლესიის მშენებლობისას

ქვითხურო ბასილის მიერ გამოჩენილი თავგანწირვისა თუ წმ. გიორგის სასწაულების ჩვენებით, თანამედროვეებს ქვეყნის გადარჩენის რწმენასაც უნერგავს.

მის ნაწარმოებებსა და იმ დროის ცნობილ პირთა ეპისტოლეებში, რომელთა ადრესატები აბუსერიისძეები არიან, კარგად ჩანს აჭარის ერისთავთა ახლო საქმიანი ურთიერთობა ქვეყნის სხვა რეგიონებთან, მათი ეკონომიკური და კულტურული შესაძლებლობანი. ამასთან, ისიც ჩანს, რომ XIII საუკუნის დასაწყისიდან, როცა ქვეყანა პატრონყმობიდან ბატონყმობაზე გადასული და მომრავლდა გლეხთა ისეთი კატეგორიები, როგორიცაა ნებიერი, თავდაწერილი, თავდაუწერელი, ნასყიდი, ნაწყალობევი, შეწირული (ი.ჯავახიშვილი, 1983:398) და ამათ გვერდით მრავლად ჩანან გლახაკები, ხიზნები, მაწანწალები, ყაჩაღები და მძარცველები, რომელთაც ხელისუფლება სასტიკად დევნის, მოსახლეობის ერთ ნაწილს „მოსარეწლად” საშოვარზე წასვლა თავის ხელობად უქცევია. ასეთები უმეტესწილად სხვადასხვა ხელობის მცოდნე ადამიანები არიან. ეს პროცესი ასახულია ტბელის თხზულებაშიც.

ნაწარმოებში მოქმედება ვითარდება ძირითადად სამცხესა და აჭარაში, პირველი – მეტწილად ფოცხოვს, ხოლო მეორე – სხალთის სათავეებში (ტბელ აბუსერიისძე, 1981: 43).

თხზულების მთავარი პერსონაჟი ბასილი ქვითხუროა, მას სამი ეკლესია აუშენებია. ერთი „სომხითში,” მაგრამ ვერ დაუსრულებია იმის გამო, რომ ამის საშუალება არ მისცა მთავარმოწამემ, მეორე ეკლესია მან საკუთარ სოფელში – შუარტყალში ააშენა. მას აუგია აგრეთვე კიდევ „ერთი ტაძარი სხვაიც.” თხზულების ავტორი მეორე ეკლესიის მშენებლობის ამბებს მოგვითხრობს და აჩვენებს იმ სოციალურ-ეკონომიკურ ყოფას, რომელიც სუფევდა იმ დროის აჭარასა და მომიჯნავე მხარეებში. ქვითხურო ბასილი „მოსარეწლად” წასვლა „ქუეყანასა სომხითსსა, მახლობლად თფილისსა.” იგი არა მარტო ხურო-კალატოზია, არამედ სხვამხრივაც განსწავლული პიროვნებაა, შეუძლია მჭედლობა და სამჭედლო იარაღების დამზადება (ნ. კახიძე, 2003:140), ჰყავს უღელი ხარი, აქვს საკუთარი სამშენებლო იარაღები და მაშინ, როცა მისმა შვილმა თავისთვის სახლის შენება დაიწყო, ბასილი ეკლესიის

მშენებლობას შეუდგა. აქედან გამომდინარე, მკვლევარები ასკვნიან, რომ ბასილი არაა დიდად შეძლებული, მაგრამ არც ძალიან ღარიბია (ლ. მუსხელიშვილი, 1941:12; პრ. რატიანი, 1979:177).

ნაწარმოების მიხედვით, საშოვარზე „მოსარეწლად“ წასვლა არაა ერთეული შემთხვევა. როგორც ჩანს, ეკონომიკური პირობები გლეხს, ხელოსანს აიძულებდა წასულიყო შორს სამუშაოდ მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ხიფათისაგან ისინი არ იყვნენ დაცული. ასე მოხდა დაბა ცხმორისიდან შორს „ნაპირსა წარმართთასა“ წასული კუანილისა და პონილის მიმართაც. ისინი სპარსელებმა ტყვედ წაიყვანეს და მხოლოდ წმ. გიორგის შემწეობით დაუბრუნდნენ ოჯახებს. საინტერესოა ის, რომ ავტორი ცხმორისს დაბად მოიხსენიებს, „სადაც არს ტაძარი.“ ცხმორისის ეკლესიამ ჩვენამდე ნანგრევების სახითაც ვერ მოაღწია, ამიტომ ამ ცნობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

ტბელის თხზულებაში დასახელებული სხვა პერსონაჟებიც იქცევენ ჩვენს ყურადღებას იმით, რომ თითოეულთან დაკავშირებით ავტორი იმ ეპოქისათვის დამახასიათებელ, საინტერესო ინფორმაციას იძლევა. ბასილის შვილი იოვანეც ოსტატია, დაცოლშვილებული და სახლს იშენებს ცაღკე საცხოვრებლად. ამ უკანასკნელსაც ვაჟი ჰყოლია—იოსები. იგი მღვდელია, მწერლის უფროსი თანამედროვე. სწორედ ბასილის შვილიშვილის „ნეტარი იოსებისა“ და მისი ახლობლების მონათხრობია ბევრი რამ, რის შესახებაც წერს ავტორი.

განსაკუთრებული სითბოთი მოიხსენიებს მწერალი დედას ხათუთას—ეკატერინეს, რომელიც ბევრს ღოცულობდა ქვეყნისათვის; ძმას — ერისთავთერისთავ აბუსერს, რომელიც მთავარი ინიციატორი იყო ხიხანის ახალი ეკლესიის აგებისა და „მრავალნი კარგნი ხატნი დაასუენა დიდრუანნი,“ დას—ვანენს, რომელსაც ნათლისმცემლის ტაძარი აუგია და მეუღლეს — ბაგულის, რომელმაც „პაშტად წააგო საშენსა შინა წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისსა“ (ლ. მუსხელიშვილი, 1941:13).

ტბელის თხზულებაში საინტერესო ცნობებია დაცული ხიხანის ციხის მიმდებარე სოფლებზე, რომლებიც ყურადღებას იქცევენ თავიანთი გეოგრაფიული მდებარეობით, მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობითა და ნაწარ-

მოებში აღწერილ ამბებში მონაწილეობით. ამ თვალსაზრისით ყველაზე მეტად გამოკვეთილია ბაკოელთა, სოფელ ბაკოს მცხოვრებთა ღვაწლი ხიხანის წმ. გიორგის ახალი ეკლესიის მშენებლობაში. თხზულებაში ვკითხულობთ: „მამულისა ჩუენისა კაცთა, წესისაებრ, დიდი ჭირი ნახეს, გარნა ბაკოელთა მეტის-მეტად დიდი მოიჭირვეს, რომელთა ვაზირობითა და შემოხუეწითა ხელ-ვეყ ეკლესიისა მრავლითა სახლოვნებითა აღშენებაი მუნ შინა მისრულთა სალოცავად ჭიდროებისა მათისა ნუგეშინის-საცემლად“ (აბუსერისძე ტბელი, 1998: 680).

ბაკოს ხსენება თხზულებაში სხვა მხრივაც მნიშვნელოვანია. მასზე გადიოდა ის გზა, რომელიც ფოცხოვისაკენ მიდიოდა. სოფელი საკმაოდ დიდი ყოფილა და მისი მოსახლეობა იმ ეკლესიის მრევლს წარმოადგენდა. ამიტომ იყო, რომ მათი „ვაზირობითა და შემოხუეწითა“ დაიწყო ეკლესიის მშენებლობა, რადგან მღოცველებს ვეღარ იტევდა.

ბაკოდან არც ისე შორს, ახლანდელ ზემო თხილვანაში აბუსერისძეებს სასახლე ჰქონიათ, ხოლო ქვემო თხილვანაში საძვალე – წმინდა იოანე მახარებლის ეკლესიაში, რომელიც ტბელის დას – ვანენს აუგია. ამ ეკლესიის შესახებ ცნობას გვაწვდის ტბელი, მაგრამ სოფლის სახელი ნაწარმოებში არ ჩანს. თავისთავად აბუსერისძეთა სასახლისა და საძვალის აქ არსებობა აჩვენებს ამ სოფლის მნიშვნელობასა და სიდიდეს ტბელის მოღვაწეობის ხანაში.

ამრიგად, ტბელ აბუსერისძის ხანის სამხრეთ-დასავლეთ საქართველო (აჭარა) სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით საქართველოს ერთ-ერთ მოწინავე მხარეს წარმოადგენდა, სადაც მიუხედავად ქვეყნის საგარეო პირობების გართულებისა, ინტენსიურად მიმდინარეობდა აღმშენებლობითი საქმიანობა, რაც გამოიხატებოდა გზების, თალიანი ხიდების, საფორტიფიკაციო ნაგებობებისა და ეკლესიათა მშენებლობით, რომელთა სრულყოფილება 800 წლის შემდეგაც აოცებს მნახველს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბუსერისძე ტბელი, თხზულებანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთეს ნ.გოგუაძემ, მ.ქავთარიამ და რ.ჩაგუნავამ, ბათუმი, 1998.
2. აბუსერისძე გ., ტბელ აბუსერისძის ეპოქის სამხრეთ-დასავლეთი საქართველო (ეკონომიკური მდგომარეობა), თბ., 2004.
3. ავალიშვილი ზ., ჯვაროსანთა დროიდან, თბ., 1989.
4. ბერძენიშვილი ნ., გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, თბ., 1966.
5. ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VII, თბ., 1974.
6. ვარშანიძე შ., ნარკვევები შუა საუკუნეების აჭარის ისტორიიდან, თბ., 1974.
87. კაპანაძე დ., ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1950.
8. კახიძე ნ., ხელოსანთა ვინაობა და ეთნიკური შემადგენლობა. – „საისტორიო მაცნე,” XII, ბათუმი, 2003.
9. მამულაძე შ., აჭარისწყლის ხეობის მატერიალური კულტურული ძეგლები, ბათუმი, 2000.
10. მუსხელიშვილი ლ., აბუსერისძე ტბელი, ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერისძეთა საგვარეულო მატრიანე, თბ., 1941.
11. რატიანი პრ., ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, აბუსერისძე ტბელის მოთხრობა, როგორც საისტორიო წყარო. - ჟურნ., „მნათობი” № 11, 1979
12. სახოკია თ., მოგზაურობანი, ბათუმი, 1985.
13. სიხარულიძე ი., ნათელი დაუღამებელი, ბათუმი, 1979.
14. ტბელ აბუსერისძე, ცხოვრება ქვითხუროისა ბასილისა, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი.სიხარულიძემ, ბათუმი, 1981.
15. ქართლის ცხოვრება, ტ. I. თბ., 1955.
16. ქართლის ცხოვრება, ტ. II. თბ., 1959.
17. ქოიავა ნ., ფულის ტრიალი რუსთაველის ეპოქის საქართველოში, თბ., 1983.
18. ყაზბეგი გ., სამი თვე თურქეთის საქართველოში, ნაშრომი თარგმნეს, შესავალი წერილები, კომენტარები და საძიებლები დაურთეს და გამოსცეს რამაზ სურმანიძემ და მამია ხარაზმა, ბათუმი, 1995.

19. ყაუხჩიშვილი ს., გეორგიკა, ტ. IV, წიგ. II, თბ., 1952.
20. ჩიქოვანი თ., ნიკოლაიშვილი ჭ., ჭოროხზე ნაოსნობის ისტორიიდან, აჭარის სახელმწიფო მუზეუმის შრომები, III, ბათუმი, 1958.
21. ჭიჭინაძე ზ., მუსლიმანი ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში, ტფ. 1913.
22. ხალვაში რ., ტბელ აბუსერისძის ღვაწლი, ბათუმი, 2006.
23. ჯავახიშვილი ივ., თხზ. ტ. II, თბ., 1983.

Bichiko Diasamidze

South-Western Georgia (Adjara) in the Epoch of Tbel Abuserisdze (Social and Economic Situation)

Summary

Despite the external glory, Georgia was experiencing sharp social-economic and political crisis in the first third of the 13th century. Since the 20es it was worsened by the complicated foreign situation (appearance of the Mongols, Jallal-ed-Din's invasions).

It is true that all this had a negative influence on all parts of the country but Adjara appeared to be comparatively better protected. This period saw the construction of the roads and arched bridges, fortification buildings, churches and monasteries, development of science and literature. The princedom of Adjara had active trade-economic and cultural relations with the neighbouring parts of the country as well as relatively distant but economically developed cities and provinces where the inhabitants of Adjara used to go for temporary earnings. These events are artistically depicted in Tbel Abuserisdze's works.

**Юго-западная Грузия (Аджария) в период
Тбела Абусерисдзе
(социально-экономическое положение)**

Резюме

Грузия в первой трети XIII в., несмотря на внешний блеск, переживала острый социально-экономический и политический кризис, который сначала 20-ых годов еще и осложнился из-за появления монгола-татар и походов Джалал-эд-дина.

Естественно, все это оказывало отрицательное воздействие на все регионы страны, но Аджария оказалась лучше защищенной. В этот период здесь проводятся дороги, возводятся арочные мосты, фортификационные сооружения и церковно-монастырские комплексы, развиваются наука и литература. Аджарское эриставство имеет тесные торгово-экономические и культурные отношения, как ближними, так и более отделенными, по экономически развитыми регионами, куда на «промысел» «ходят» здешние жители. Данные события художественно описаны и в произведениях Тбела Абусерисдзе.

მემინდვრეობა, მევენახეობა განვითარებული შუა საუკუნეების აჭარაში

შუა საუკუნეთა აჭარის ეკონომიკური ძლიერების საფუძველს წარმოადგენდა მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობა, გუთნურ მიწათმოქმედებაზე დაფუძნებული მემინდვრეობა, მესაქონლეობა, განვითარებული მევენახეობა, მეხილეობა, მებოსტნეობა, ხელოსნობა და სხვ.

ამჯერად მოკლედ შევჩერდებით მეურნეობის იმ დარგებზე, რომელთა შესახებაც ბოლო წლებში წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი მასალების, ეთნოგრაფიული თუ წერილობითი მონაცემების მიხედვით შესაძლებელი ხდება გარკვეული წარმოდგენა შევიქმნათ განვითარებული შუა საუკუნეების სოფლის მეურნეობის ისეთ დარგებზე, როგორიცაა მემინდვრეობა, მევენახეობა-მეღვინეობა.

მემინდვრეობა სხვადასხვა სისტემას მოიცავდა (ნასვენი, ანეული, ღრმად ხენა...) (გ. ჩიტაია, 1930: 269, 344). ამავე პერიოდში მეტ-ნაკლებად არსებობდა ტყის ზონის მიწათმოქმედება, ე.წ. ახობა, რომელიც სათავეს თოხის კულტურიდან იღებდა. ისტორიულად იგი გუთნურმა მიწათმოქმედებამ შეცვალა, რომელიც XX ს. დასაწყისამდე აგრძელებდა არსებობას (ნ. ბერძენიშვილი, 1956: 282-288). აჭარაში განსაკუთრებით მაღალ განვითარებას მიაღწია ტერასულმა მიწათმოქმედებამ (ნ. ჩიჯავაძე, 1976: 98-101).

მემინდვრეობაში წამყვანი მნიშვნელობა ჰქონდა პურეულ კულტურებს. აჭარაში მათ ფართოდ გავრცელებაზე მეტყველებდა როგორც არქეოლოგიური, ისე ეთნოგრაფიული და ტოპონიმიკური მონაცემები. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა 1984 წელს ჭვანის (ტაკიძეების) ციხის ტერიტორიაზე წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი მარცვლეულის ნაშთები. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნ. კეცხოველის სახელობის ბოტანიკის ინსტიტუტში ლაბორატორიული შემოწმებისას აღმოჩნდა,

რომ ამ ნაშთების სახით ჩვენ საქმე გვაქვს რბილი და მაგარი ხორბლის ჯიშების, მათ შორის დოლის და დიკას, კულტურული ორმარცვალა ასლის, კულტურული ჭკავის, აგრეთვე ღომის, ცულისპირას, ბარდას და ოსპის არსებობასთან.

დოლის პური, როგორც სხვა მარცვლეული კულტურები, ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში საკმაოდ სრულყოფილადაა შესწავლილი. ჩვენ მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ იგი ერთ-ერთი ძირითადი მარცვლეული კულტურა ჩანს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსა (ლ. ბერიაშვილი, 1973) და განსაკუთრებით აჭარისწყლის ხეობის შუა ზოლის მოსახლეობისათვის (ნ. ჩიჯავაძე, 1971: 33). დოლის პურის ადგილობრივი ღირსება იმაში მდგომარეობდა, რომ ის თითქმის ერთნაირად კარგად ხარობდა როგორც სარწყავ, ისე ურწყავ ზოლში, როგორც ნოყიერ, ისე მწირ ნიადაგებში. ეს გარემოება აჭარის შუა ზოლისათვის განსაკუთრებით ნიშანდობლივი უნდა ყოფილიყო, რადგან აქ ბევრია ისეთი მიწები, რომელთა რწყვა შეუძლებელი ხდებოდა. დოლის პური, როგორც ეთნოგრაფიული მასალებით დასტურდება, ხულოს რაიონის ზემო სოფლებში ითესებოდა მე-19 საუკუნის ჩათვლით და იგი საბოლოოდ განდევნა სიმინდმა (ნ. ჩიჯავაძე, 1966: 122).

ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით ჩანს, რომ აჭარაში XIX ს. ბოლომდე გაზაფხულის პურეულიდან მხოლოდ დიკა მოჰყავდათ. იგი ადრეული პერიოდიდან აჭარის მაღალმთიან ზონაშიც უნდა ყოფილიყო გავრცელებული, რაც მისი ბოტანიკური თვისებებით აიხსნება. საკმარისია აღვნიშნოს ისიც, რომ დიკადან ნაწარმოები ტოპონიმები საკმაო რაოდენობით გვხვდება აჭარაში, განსაკუთრებით კი – ზემო აჭარასა და მთისწინა ზოლის სოფლებში (ი. სიხარულიძე, 1958, 89, 90, 92, 103, 105 და სხვ.). აჭარაში დიკა რამდენიმე სახის იყო, რომელსაც ხალხი გარკვეული სახელით აღნიშნავდა (თეთრი დიკა, ყირმიზი-წითელი დიკა, შავთავა ანუ შავფეხა დიკა). ამათგან პირველი ორი ეთნოგრაფიულად ხელმისაწვდომ პერიოდში აღარ დასტურდება, ხოლო შავფეხა დიკა იშვიათობას წარმოადგენდა.

არქეოლოგიურ მონაპოვარში მარცვლეულთა შორის დასტურდება ჭკავის არსებობაც. მას ახასიათებს მწირი ნიადა-

გების მიმართ კარგი შეგუებისა და გარემო პირობებისადმი ნაკლები მომთხოვნელობა (Вавилов Н. И. 1960:291). ამავე დროს იგი კარგად ეგუება სიცივესა და ყინვებს. ხარობს სხვა მარცვლეულთან მეზობლობაში და ა. შ. ჭვავის კულტურა ფართოდ იყო გავრცელებული მთელ აჭარაში, განსაკუთრებით მთიან ზოლში, რომლის განვითარებისათვის მეტად ხელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობები არსებობდა.

განვითარებული შუა საუკუნეების აჭარაში მარცვლეული კულტურებიდან ერთ-ერთი წამყვანი ადგილი ეჭირა ასლს (კულტურულ ორმარცვალას). იგი არქეოლოგიურ მასალაში საკმარის რაოდენობითაა წარმოდგენილი. ასლი და მისი წარმომადგენლები ხორბლის ერთ-ერთი უძველესი სახეობებია, რომლებიც მეცნიერებაში შიშველთესლოვანთა პროტოტიპად არის მიჩნეული (Жуковский П. М., 1962: 14). ასლი დამოწმებულია ძველი ბაბილონის, ეგვიპტის, კავკასიის და სხვა ცივილიზაციების მიწათმოქმედებაში ნეოლითური კულტურის საფეხურიდან.

ასლი საგაზაფხულო კულტურაა. სავეგეტაციო პერიოდი სხვასთან შედარებით მოკლე აქვს და მაღალმთის პირობებშიც დროულად ასწრებდა შემოსვლას. იგი ნიადაგების მიმართ ნაკლებ მომთხოვნელობას ამჟღავნებდა. ამასთან, სიცივის ამტანი, გვადვავამძლე ხორბალია და დიდი შემგუებლობით გამოირჩევა (დ. დეკაპრელოვიჩი, 1955: 28). ასლს იყენებდნენ როგორც პურის გამოსაცხობად, ისე კორკოტისათვის. აღნიშნული პერიოდისათვის ასლის კორკოტი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკვები ყოფილა. ამაზე მიუთითებს გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ დაცული ცნობებიც (გ. მერჩულე, 1982: 127).

ჭვანის არქეოლოგიური მასალები მოწმობენ, რომ აჭარის შუა ზოლის მეურნეობაში ღომის კულტურაც საკმაოდ გავრცელებული ყოფილა. იგი ფეტვნიართა მეორე წარმომადგენელია და აჭარის სინამდვილეში საახოე მიწათმოქმედებას უკავშირდება. დამახასიათებელია ბარის, მთისწინა და მთიანი ტიპის მიწათმოქმედებისათვის (გ. ჩიტაია, 1959: 151). ეთნოგრაფიული მონაცემებით, აჭარაში ღომის ჯიშებიდან გავრცელებული ყოფილა საადრეო-წითელი ღომი და საგვიანო-თეთრი ღომი. ღომის თავთავის გასახმობად კი არსებობდა საგან-

გებო ჭურჭელი, რომელსაც ოლეე ერქვა. მის გასაცემად მხოლოდ ფეხის საცეხველები არსებობდა, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა საძეგველს უწოდებს (ნ. კახიძე, 1974: 38).

არქეოლოგიურ ნივთიერ მასალებში გვხვდება ოსპის ნიმუშებიც, რომელსაც კაცობრიობის ისტორია უძველესი დროიდან იცნობდა (Жуковский П. 1961: 277). იყენებდნენ როგორც ადამიანის, ისე ცხოველის საკვებად. მის შესახებ აჭარის ეთნოგრაფიულ მასალებში ცნობები ძალზე მწირია, სამაგიეროდ, მისი მოვლა-მოყვანის კვალი ტოპონიმيكამ შემოგვინახა ნაოსპარის სახით.

გარდა აღნიშნული ზოგიერთი კულტურისა, აჭარაში ფართოდ იყო გავრცელებული საქონლის გამოსაკვებად საჭირო მარცვლეულიც, რომელიც, როგორც ჩანს, ძირითადად მუშა საქონელს უზრუნველყოფდა საზრდოთი. ამ დანიშნულებით უნდა ყოფილიყო გამოყენებული სწორედ მონაპოვარში დადასტურებული პარკოსნები – ბარდა, ცულისპირა და სხვა, რაც, თავის მხრივ, როგორც ადგილობრივი მიწათმოქმედების, ისე მესაქონლეობის მაღალგანვითარებულ დონეზე მიუთითებს.

საკვლევი პერიოდის აჭარის სამიწათმოქმედო იარაღების შესახებ არქეოლოგიური მონაცემები თითქმის არ მოგვეპოვება. გამონაკლისს შეადგენს ვერნების სამარხეულ ინვენტარში ნაპოვნი რკინის ბართოხი (XI-XIII საუკუნეები) (შ. მამულაძე, 1993: 144), რომლის მსგავსი იარაღები აჭარის მთიანეთისათვის ფართოდ გავრცელებული უნდა ყოფილიყო და ძირითადად საახოე მიწათმოქმედებაში გამოიყენებოდა. ბუნებრივია, ამ იარაღის გვერდით სხვა სახის რკინის თოხებსაც, აგრეთვე, კავის ტიპის სახენელებს იყენებდნენ. არ გამოვრიცხავთ, რომ აჭარის მთიანეთში პურის სამკელად შნაკეს, საღეწავად კევრს, ხოლო გასაცემად ხისა და ქვის საცეხველებს იყენებდნენ. შუა საუკუნეების ქვის საცეხველები მრავლადაა აღმოჩენილი როგორც აჭარის მთიან ზოლში, ისე ბარში, განსაკუთრებით გონიო-აფსაროსში.

არქეოლოგიური მონაცემებით, მიწათმოქმედების შედარებით ფართოდ დაწინაურებული დარგი იყო ასევე მევენახეობა-მეღვინეობა.

აჭარაში არ მოიპოვება სოფელი, სადაც აღნიშნული პერიოდის საშუალო და დიდი ზომის ქვევრები საკმარაოდენობით არ იყოს აღმოჩენილი. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მარნებისა თუ საწნახელების სიმრავლე, სხვადასხვა ძველი ხელსაწყო-იარაღები, კერამიკული ნაკეთობა და ა. შ. მათ დღევანდელ ეთნოგრაფიულ ყოფაშიც მეტნაკლებად შემოინახეს თავი.

აჭარაში მევენახეობის განვითარებისათვის ყველაზე ხელსაყრელი ბუნებრივ-სამეურნეო პირობები არსებობდა ბარსა და მთისწინა ზონაში. მთიან ადგილებში კი იგი იშვიათობა იყო. არ გამოვრიცხავთ, რომ საკვლევ პერიოდში აჭარა მაღლარი ვაზის სიმრავლითაც გამოირჩეოდა. ივ. ჯავახიშვილი XX საუკუნის 30-იან წლებში წერდა, რომ აჭარაში მაღლარის 14 შავი და 12 თეთრი ჯიში არსებობდა (ივ. ჯავახიშვილი, 1930: 462-467). მ. რამიშვილმა რეგიონში სულ 40 აბორიგენული ჯიშის არსებობა დაადასტურა (მ. რამიშვილი, 1948: 2), ხოლო ნ. კეცხოველს 50-ზე მეტი ძირითადი ჯიში აქვს მოხსენებული (ნ. კეცხოველი, მ. რამიშვილი, დ. ტაბატაძე, 1960, 3). ამჟამად აჭარაში ფიქსირებულია 80 ადგილობრივი ჯიში (კ. ბერიძე, 1975: 25).

აჭარაში მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების მაღალი დონის მაჩვენებელია ამ დარგთან უშუალოდ დაკავშირებული ხის, კლდეში ნაკვეთი და ქვითკირით ნაგები საწნახელების არსებობა.

კლდეში ნაკვეთი და ქვითკირით ნაშენი საწნახელები ფიქსირებულია ქედის რაიონში (მახუნცეთი, ძენწმანი, ბზუბზუ, ახო, აქუცა...) (ალ. დავითაძე, 1966). ისინი განვითარებულ შუა საუკუნეებს განეკუთვნება. ამ სახის ჭურჭელი ძვ. წ. IV-III საუკუნეებიდანაა ცნობილი და განვითარების უმაღლეს საფეხურს შუა ფეოდალური ხანის საქართველოში აღწევს (ა. ბოხოჩაძე, 1963: 92-96). ქვაში ნაკვეთი საწნახელების უძველეს ტიპს განეკუთვნება სოფელ ზენითის საწნახელი (დ. ხახუტაიშვილი, 1982: 63-66).

შუა ფეოდალურ ხანაში საქართველოში ჩნდება ქვითკირით ნაშენი საწნახელებიც (ა. ბოხოჩაძე, 1963: 92-95). ასეთი აჭარაშიც შედარებით დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი (ორცვა, ახო, აქუცა, სხალთა, ჭვანა და ა.შ.). ამ მხრივ გან-

საკუთრებით გამოირჩევა მაჭახლის ხეობა (ნ. კახიძე, 1971: 6) (შუშანეთი, ხერთვისი, კირნათი, ჩიქუნეთი და სხვ.). 2001 წელს გონიო-აფხაროსის მუდმივმოქმედმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ კირნათში (შუშანეთი) შეისწავლა განვითარებული შუა საუკუნეების სამეურნეო კომპლექსი. დადასტურდა დიდი ზომის კარგად დაცული ქვითკირით ნაშენი საწნახელი მარანთან ერთად და საწნახელზე მიშენებული პატარა ზომის საყდარი სატრაპეზოთი.

შუა საუკუნეების აჭარისწყლის ხეობაში მევენახეობა-მეღვინეობის დაწინაურებაზე მიუთითებს შემთხვევითი თუ არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი მარანთა სიმრავლეც. ისინი ძირითადად ორი სახისაა: დახურული და ღია. დახურული ტიპის „საღვინე სახლიდან“ ცალკე უნდა გამოიყოს ჭვანის (ტაკიძეების) ციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ორი მარანი. ასეთი ორი მარანი ნაპოვნია ციხისყელის, ხოლო ერთი დარჩიძეების ციხის ტერიტორიის შიგნით (შ. მამულაძე, 1993: 153-159). მსგავსი ძეგლების არსებობა დამოწმებულია ხიხანის ციხე-ქალაქის, ბეგოშვილების, კავიანის, დანდალოს, გვარას, თუ სხვა საფორტიფიკაციო ნაგებობების ტერიტორიაზეც. ამ ტიპის მარნები დიდ რაოდენობით ცნობილია მაჭახლის ხეობიდანაც (ნ. კახიძე, 1974: 44-46) და ზღვისპირა ზოლშიც (ციხისძირი – ა. ინაიშვილი, 1974: 102-153, გონიო – ა. კახიძე, შ. მამულაძე, 2004: 4-66).

ღია ტიპის მარნები უმთავრესად შემთხვევითაა აღმოჩენილი ქედის (გარჯანისი, ახო, აბუქეთა, ვაიო, ზვარე, გობრონეთი, დანდალო), შუახევის (ჭვანა, ნენია, ფურტო), ხულოს (სხალთა, აღმე) რაიონების ტერიტორიაზე. ქვევრების დიდი ნაწილი კარგადაა დაცული, ნაწილიც დამტვრეულია (შ. მამულაძე, 1993: 156).

ცალკე უნდა გამოიყოს ის მარნები, რომლებიც საეკლესიო კომპლექსშია მოქცეული. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია თხილვანის ეკლესიის შიგნით, სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში აღმოჩენილი საკმაოდ კარგად დაცული ქვევრები, ასევე ვერნების ეკლესიის ცენტრალურ ნაწილში აღმოჩენილი 3 ქვევრი (ორი მათგანი კარგადაა შემონახული) და სხალთის კომპლექსში შემავალი „საღვინე სახლი“, რომელიც ცალკე ნაგებობას წარმოადგენს.

დასავლეთ საქართველოში ცნობილია ისეთი მარნებიც, რომლებიც სახლის კომპლექსში შედიოდა (აღ. ფრუიძე, 1974: 105), მაგრამ აჭარაში ამ ტიპის ძეგლები ჯერჯერობით შეუსწავლელია.

აღმოსავლეთ საქართველოში გვიანრომაულ და ადრეშუასაუკუნეთა ხანაში – X საუკუნემდე გაბატონებული უნდა ყოფილიყო ღია ტიპის მარნები, ხოლო შემდეგ დახურული ტიპისა ვრცელდება და ღია სახისა აღარ არსებობს (ა. ბოხოჩაძე, 1963: 175). ამ მხრივ აჭარაში, ისევე როგორც მთელ დასავლეთ საქართველოში, განვითარებულ შუა საუკუნეებში ოდნავ განსხვავებული სურათი გვაქვს. აქ გვხვდება როგორც დახურული, ისე ღია ტიპის მარნები. ვაშნარის ძეგლის მიხედვით ჩანს, რომ ადრეული პერიოდისათვის აქაც ძირითადად ღია ტიპის მარნები უნდა ყოფილიყო გავრცელებული (ა. ბოხოჩაძე, 1963: 175). ასევე ითქმის ციხისძირის გარე ქალაქის ტერიტორიაზე აღმოჩენილი მარნების შესახებაც.

აჭარაში შესწავლილი მარნებიდან ჩანს, რომ მათში ქვევრების ნაწილი დაკირულია, ნაწილი დაუკირავი, რაც ამ ძეგლების დათარიღებისათვის რამდენადმე საინტერესოა. ცნობილია, რომ ძვ.წ. VI საუკუნიდან მოკიდებული, ახ. წ. X საუკუნემდე, მარნებში და ცალკე აღმოჩენილი ქვევრები უკიროდაა ჩადგმული (ა. ბოხოჩაძე, 1963: 141). მათი დაკირვა შუაფეოდალური ხანიდან, კერძოდ, XI ს-ის 80-იანი წლებიდან იკიდებს ფეხს და გავრცელებულია მთელ საქართველოში (ა. ბოხოჩაძე, 1963: 142-144). აჭარაში არქეოლოგიური გათხრების შედეგად თუ შემთხვევით აღმოჩენილ მარნებში გვხვდება როგორც დაკირული, ისე დაუკირავი ქვევრები. ხოლო თვით ძეგლები და განსაკუთრებით საფორტიფიკაციო ნაგებობები შუა ფეოდალურ ხანას (XI-XIII სს.) განეკუთვნება. ვინაიდან ცალკე XI ს. ფენის გამოყოფა ამ ძეგლებში ჯერჯერობით არ ხერხდება, ამდენად, სავარაუდოა, რომ დაუკირავი ქვევრები XI საუკუნისაზე ადრეული უნდა იყოს, ხოლო დაკირულები – შემდგომი ხანისა (შ. მამულაძე, 1993: 158).

შუა საუკუნეების არქეოლოგიურ მასალებში დიდი მრავალფეროვნებითაა წარმოდგენილი ღოჭები, ჩაფები, კოკები, სასმისები, ჯამები, ფიალები და სხვა. ღვინის ამოსაღები ძირითადი ჭურჭელი აქაც უმთავრესად კოპე უნდა ყოფილიყო,

რომლის ერთ-ერთი მეტად საინტერესო ნიმუში ქვევრებთან ერთად აღმოჩნდა ხელვაჩაურის რაიონის სოფ. ახალშენში.

აჭარისწყლის ხეობაში (XI-XIII სს.) მარნების ნაწილი (თხილვანა, ვერნები, კალოთა, ხიხაძირი) აღმოჩენილია მთის ზონაში, სადაც ამჟამად ვენახი არ ხარობს. ეს მრავალმხრივ საყურადღებო ფაქტი იმით აიხსნა, რომ ამ ეკლესიათა თუ საფორტიფიკაციო ნაგებობათა მფლობელებს – აჭარის ერისთავთერისთავებს შუა ზოლსა თუ ბარში ჰქონდათ სავენახე ადგილები და შემდეგ ხდებოდა აქედან ყურძნის თუ მზა წვენის ატანა და მარნებში შენახვა. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს ვახუშტის ასეთი ცნობა: „ტკბილს მოიტანდნენ ბარიდამ, ჩაასხამდნენ აქა და დაღვების ღვინო კეთილი და გემოიანი“ (ვახუშტი ბაგრატიონი, 1941: 42).

წერილობითი წყაროებით, არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მონაცემებით ირკვევა, რომ სოფლის მეურნეობა და კერძოდ, მიწათმოქმედება აჭარაში და მის მოსაზღვრე რეგიონებში ისტორიულად ვითარდებოდა თავისებურ სამეურნეო გარემოში და შეფარდებული იყო ბუნებრივი პირობებით (რელიეფი, ნიადაგები, მცენარეული საფარი, რწყვის საშუალებანი) ადგილობრივ ხასიათს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბაგრატიონი ვ. „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1941.
2. ბერიძე კ. მევენახეობა და მისი განვითარების პერსპექტივები აჭარაში, ბათუმი, 1975.
3. ბერიაშვილი ლ. მიწათმოქმედება მესხეთში, თბ., 1973.
4. ბერძენიშვილი ნ. (კილაძე). პირველყოფილი მიწათმოქმედების ისტორიისათვის საქართველოში. იიშ II, თბ., 1956.
5. ბოხოჩაძე ა. მევენახეობა-მეღვინეობა ძველ საქართველოში არქეოლოგიური მასალების მიხედვით, თბ., 1963.
6. დავითაძე ალ. საწნახელი კლდეში, გაზ. „საბჭოთა აჭარა“. 14, VIII, ბათუმი 1966.
7. დეკაპრელოვიჩი ლ. შ. რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა, თბ., 1955.

8. ინაიშვილი ა. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ექსპედიციის 1972 წლის მუშაობის შედეგები, სდსპ IV, თბ., 1974.

9. კახიძე ნ. მევენახეობა და მეხილეობა მაჭახლის ხეობაში, აისსეს, თბ., 1971.

10. კახიძე ნ. მაჭახლის ხეობა, ბათუმი, 1974.

11. კახიძე ა. მამულაძე შ. სამხრეთ კარიბჭისა და აბანოთუბნის ტერიტორიაზე 1995-1999 წლებში წარმოებული კვლევა-ძიების უმთავრესი შედეგები, გონიო-აფსაროსი IV, ბათუმი, 2004.

12. კეცხოველი ნ. რამიშვილი მ. ტაბატაძე დ. საქართველოს ამპელოგრაფია, თბ., 1960.

13. მამულაძე შ. აჭარისწყლის ხეობის შუასაუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები, ბათუმი, 1993.

14. მერჩულე გ. ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა, ქართული პროზა, ტ. V, თბ., 1982.

15. რამიშვილი მ. გურიის, სამეგრელოსა და აჭარის ვაზის ჯიშები, თბ., 1948.

16. სიხარულაძე ი. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმთა I, ბათუმი, 1958.

17. ფრუიძე ა. მევენახეობა-მეღვინეობა საქართველოში ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით (რაჭა), თბ., 1974.

18. ჩიტაია გ. მასალები საქართველოს სახვნელი იარაღების ისტორიისათვის, სსმ V, თბ., 1930.

19. ჩიტაია გ. თოხის კულტურა დასავლეთ საქართველოში (კოლხეთში). ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. IV, ნაკ. 2, თბ., 1959.

20. ჩიჯავაძე ნ. სამიწათმოქმედო ყოფის ისტორიიდან აჭარაში, თბ., 1971.

21. ჩიჯავაძე ნ. ტერასული მიწათმოქმედება საქართველოში, თბ., 1976.

22. ჩიჯავაძე ნ. მთური მიწათმოქმედება აჭარაში, თბ., 1966 (საკ. დის.).

23. ჯავახიშვილი ივ. საქართველოს ეკონომიკური ისტორია I, თბ., 1930.

24. ხახუტაიშვილი დ. ახალი მასალები ელინისტური ხანის ქართლის ქალაქების მეურნეობის ისტორიისათვის. მაცნე 2, თბ., 1982.

25. Вавилов Н. Проблемы селекции, М.-Л., 1960.

26. Жуковский Б. Земледельческая Турция, М., 1961.
27. Жуковский П. Происхождения культурных растений, М-Л., 1962.

Shota Mamuladze

Field crop cultivation in Medieval Adjara

Resume

Multibranch country thrift was the base of economical power in medieval adjara. In the given work the main attention is paid to such leading branch as field crop cultivation and viticulture-wine making. Based on archaeological and ethnographical and writing inscription the kinds of the leading cereals culture are determined.

Wine-making seemed to be much more promoted branch than land tenure in medieval centuries. There is no countries in Adjara not to find pitchers of this period. Multiplicity of winepresses, different tools, ceramic ware attract great attention . As it turned out country economy, mainly land tenure in Adjara and its adjust regions was developing in special economical surroundings and was painted by natural conditions (relief, lands, plants, watering system.)

Шота Мамуладзе

Полеводство и виноградарство в Аджарии периода развитого средневековья

Резюме

Основной экономической мощи Аджарии периода развитого средневековья являлось многоотраслевое сельское хозяйство. В статье внимание уделяется таким ведущим отраслям земледелия, как

полеводство и виноградарство-виноделие. Опираясь на археологические, этнографические и письменные источники, делается попытка определить виды ведущих зерновых культур.

Видно также, что в развитое средневековье сравнительно развитой отраслью здесь было виноградарство-виноделие. В Аджарии почти нет села, где не были бы обнаружены кеври (чаны для вина), относящиеся к указанному периоду. Особое внимание привлекает большое число обнаруженных марани и давилен винограда, соответствующих изделий, керамики и т.д.

Делается вывод, что сельское хозяйство, в частности, земледелие в аджарии и соседних регионах исторически развивалось в своеобразной хозяйственной среде и соответствовало местным природным условиям (рельеф, почва, растительный мир, средства орошение).

საქართველოს სამხედრო გზის ისტორიიდან

XVIII საუკუნის მიწურულს მზარდი პოტენციალის მქონე რუსეთის იმპერია დაჟინებით ავითარებდა თავის ექსპანსიურ პოლიტიკას აღმოსავლეთის მიმართულებით. აღმოსავლეთისაკენ სწრაფვას ჯერ კიდევ პეტრე I-მა ჩაუყარა მყარი საფუძველი. „პეტრე – წერს XIX საუკუნის გამოჩენილი რუსი ისტორიკოსი სერგეი სოლოვიოვი, – თვალს არ აცილებდა აღმოსავლეთს, ვინაიდან კარგად იცოდა მისი მნიშვნელობა რუსეთისათვის, იცოდა, როგორ გამდიდრდებოდა ღატაკი რუსი ერი, თუ ის სავაჭრო ურთიერთობებში შუამავალი გახდებოდა ევროპასა და აზიას შორის“ [Соловьев С., 1989:696]. მემკვიდრეებიც მიზანმიმართულად ახორციელებდნენ დიდი წინაპრის ანდერძს და რუსული პოლიტიკაც სულ უფრო და უფრო აქტიური ხდებოდა ამ თვალსაზრისით.

XVIII საუკუნის უკანასკნელ მესამედში პეტერბურგის საიმპერატორო კარზე უკვე მომწიფდა სამხრეთ კავკასიაში შეღწევის საკითხი. რუსეთი კაზაკების სახით უკვე მომდგარი იყო ყუბანსა და თერგს. ამიტომ, თუნდაც არ ყოფილიყო ირანისა და ინდოეთის ზღაპრული სიმდიდრეებისაკენ სწრაფვა, ტრანსკავკასიური ნახტომის გაკეთება და ამიერკავკასიაში გაბატონება სტრატეგიული თვალსაზრისით მაინც აუცილებელ გარდაუვალობად ისახებოდა. ამით, ჯერ ერთი, ჩრდილო კავკასიელი მთიელები ბლოკადაში ექცეოდნენ და ბევრად უფრო ადვილად დასამორჩილებელი ხდებოდნენ, რითაც უსაფრთხო განვითარების საშუალება ეძლეოდათ ნოვოროსიულ ახალშენებსა და კაზაკურ სტანიცებს; და მეორეც, წყდებოდა კონტაქტი კავკასიელ და ვოლგისპირელ მუსლიმანებსა და ოსმალეთის სულთანს შორის, რაც გამორიცხავდა ანტირუსული პანისლამური კოალიციის შექმნის საშიშროებას.

ობიექტურმა რეალობამ და რუსულმა პოლიტიკამ აღმოსავლეთში შეჭრისათვის საჭირო პლაცდარმის ფუნქცია ქართლ-კახეთის სამეფოს არგუნა. კავკასიის ცენტრში მდებარე

რე, დიდი რუსოფილური მიდრეკილებებისა და ერთმორწმუნე ერთი დასახლებული ქვეყანა საუკეთესო ვარიანტად მოჩანდა ამიერკავკასიაში ფეხის ჩასადგმელად. რუსეთის დიპლომატიური მანქანა მთელი სიმძლავრით ამოქმედდა, რათა ერეკლე II თავის პოლიტიკურ ორბიტაში მოექცია. მიუხედავად იმისა, რომ ერეკლეს 1768-1774 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ გული გატეხილი ჰქონდა პეტერბურგზე, ხოლო ირან-ოსმალეთის კატასტროფული დეგრადაციისა და რუსულ პოლიტიკაში აღმოსავლეთისაკენ გაფართოების დოქტრინის მზარდი დომინაციის პირობებში ქართლ-კახეთისათვის ბევრად უკეთესი იყო ე.წ. „შეიარაღებული ნეიტრალიტეტის“ პოზიციაზე დგომა, ვიდრე აშკარა პრორუსული კურსის აღება, რუსეთმა მაინც მიაღწია საწადელს, გამოიყენა რა ამისათვის მის ხელთ არსებული ფარული თუ აშკარა ზემოქმედების ყველა საშუალება [ჯიბაშვილი ო., 1998:137]. ერეკლე II იძულებული გახდა კომპრომისზე წასულიყო და აი, 1783 წლისათვის ქართველობამ საჩუქრად მიიღო რუსული „ტროას ცხენი“ – გეორგიევსკის ტრაქტატი, რომელმაც თბილისს დამატებითი პრობლემები, ხოლო პეტერბურგს საქართველოს ოფიციალური მფარველის იურიდიული სტატუსი მოუტანა.

მოვლენების განვითარების კვალობაზე უდიდესი მნიშვნელობა შეიძინა თერგ-არაგვის გზამ, როგორც ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიის დამაკავშირებელმა უმთავრესმა არტერიამ. აღნიშნული გზა, რომელსაც შემდეგში „საქართველოს სამხედრო გზა“ ეწოდა, თავიდანვე მკვეთრად ფიგურირებდა საქართველო-რუსეთის ურთიერთობათა პერიპეტებში. სათანადო შეფასება მისცა მას რუსეთის არმიის გენერალ-მაიორმა გოტლიბ-კურტ ჰენრის ფონ ტოტლებანმაც, რომელიც მისი გავლით 1769 წლის ზაფხულის მიწურულს 480-კაციანი საექსპედიციო კორპუსით საქართველოში შემოვიდა. ეს იყო იმპერიის შეიარაღებული ძალების პირველი სამხედრო ექსპედიცია საქართველოს ტერიტორიაზე დიდი ექსპანსიის წინ. ტოტლებენმა, როგორც პარტიზანული ბრძოლების სპეციალისტმა [Потто В., 1887:83], კარგად გაიაზრა ამ გზის სტრატეგიული ღირებულება და შესაბამისი მოხსენებაც წარუდგინა საიმპერატორო კარს. 1770 წლის 1 თებერვლის რეგაციით იგი იმპერატორმა ეკატერინა II-ს ატყობინებდა:

„ღვთის შეწევნით, დავძლიე რა, ასე ვთქვათ, ყველა სტიქია და გადავლახე კავკასიის კლდოვანი მთები, სადაც ჯერ კიდევ არ ყოფილა არც ერთი ევროპელი, მაშინვე დაერწმუნდი, რომ ქვეყნიერების ამ ნაწილში ვერავითარ ზომებს ვერ მივიღებთ ქრისტიანობის მტრების წინააღმდეგ მანამ, სანამ საქართველო, ნებით თუ ძალით, დამორჩილებული არ იქნება თქვენი იმპერატორობითი უდიდებულესობისადმი, რამეთუ ამ ქვეყანაში შესასვლელი გზა ისეა გამაგრებული ბუნებისა და სტიქიისაგან, რომ ადამიანთა მცირე რაოდენობას შეუძლია წინ აღუდგეს დიდი არმიის მსვლელობას“ [მაჭარაძე ვ., 1988:525; დოკ. №226]. აღსანიშნავია, რომ იმავე რეალაციაში ტოტლებენი ითხოვდა მისდამი დაქვემდებარებული კონტინგენტის 5-6 ათას კაცამდე გაზრდასა და სათანადო განკარგულებების გამოგზავნას, რომლებზე დაყრდნობითაც იგი ერეკლე მეფესა და მის მიწებს საუკუნოდ რუსეთის იმპერიას დაუმორჩილებდა [მაჭარაძე ვ., 1988:526; დოკ. №226]. ყოველივე ეს ხდებოდა აწყურის ცნობილი ინციდენტის წინ, რაც გვაძლევს საშუალებას ვიფიქროთ, რომ ტოტლებენის მიერ ჩადენილი ღალატი პეტერბურგიდან მიღებული სწორედ ამ განკარგულებების რეალიზებას წარმოადგენდა.

როგორც აღვნიშნეთ, რუსეთის პოლიტიკა ამიერკავკასიაში განსაკუთრებით 1780-იანი წლების დასაწყისისათვის გააქტიურდა. შესაბამისად, გაიზარდა ინტერესი თერგ-არაგვის გზისადმი. პეტერბურგი ცდილობდა მთლიანად თავისი კონტროლის ქვეშ მოექცია ესოდენ მნიშვნელოვანი სტრატეგიული ობიექტი. გამომდინარე აქედან, რუსეთის მთავრობაზე გამაღიზიანებლად მოქმედებდა ყველა ის ღონისძიება, რომელსაც შეეძლო რაიმე საფრთხე შეექმნა ამ მისწრაფებისათვის. იგი ოფიციალური თბილისის მოქმედებებსაც კი ზღუდავდა აღნიშნულ რეგიონში, რითაც უხეშად არღვევდა საქართველოს სუვერენიტეტს. მოვიყვანთ ერთ საინტერესო მაგალითს.

ერეკლე II-ის ვაჟი, ლევან ბატონიშვილი, შორსმჭვრეტელი დიპლომატი და კარგი სტრატეგი, შესანიშნავად ერკვეოდა მიმდინარე მოვლენებში და შესაბამისადაც მოქმედებდა. როგორც ქ. მოზდოკის კომენდანტ ა.ივანოვის მიერ კავკასიის სამხედრო ხაზის სარდლის, გენერალ-მაიორ ფ.ფაბრიციანი-

სადმი წარდგენილ 1780 წლის 11 ივლისის პატაკიდან ირკვევა, რამდენიმე დღით ადრე ბატონიშვილი ხევში ასულა საზღვარზე ციხესიმაგრის აგების განზრახვით და ამ საკითხთან დაკავშირებით თავისთან თავაშურელი ოსებიც მიუწვევია [Гамрекели В., 1968:229; док. №70]. ლევანის ეს განზრახვა (საქართველოს მხრიდან თერგ-არაგვის გზაზე მკაცრი კონტროლის დაწესება) არანაირად არ ჯდებოდა რუსეთის გეგმებში და ამის თაობაზე უკმაყოფილება იქ ხმამაღლადაც გამოითქვა. მალე რუსეთისათვის არასასურველი ბატონიშვილი რუსეთიდანვე მართულმა ძალებმა მოწამლეს [ჯიბაშვილი ო., 1998:137-148], ხოლო გარკვეული ხნის შემდეგ ერეკლე II იძულებული გახდა შემდეგი შინაარსის წერილი მიეწერა კავკასიის სამხედრო ხაზის ახალი სარდლისათვის, გენერალ-პორუჩიკ პ.პოტიომკინისათვის: „თქვენს მაღალმსვლელობას ებრძანა დრანიცაზე ჩვენს დარიალის ციხეში კაცები რომ გვეყენა, იმათი გამოყვანა იმ ციხიდან. თქვენის ბრძანებისამებრ ის კაცნი იქიდან გამოვიყვანეთ და ამის შემდგომად, როგორც თქვენი მაღალმსვლელობა იწებებს და მათის იმპერატორობის დიდებულების სამსახურის სამჯობინარი იქნება, ისე აღსრულდეს“ [იოსელიანი ა., 1985:370; დოკ. №14]. საყურადღებოა, რომ ყოველივე ეს ჯერ კიდევ გეორგიევსკის ტრაქტატის დადებამდე ხდებოდა, რაც თავისთავად მრავლისმეტყველი ფაქტია.

რუსეთის პოზიცია ამ შემთხვევაში ნათელია – უახლოესი მომავლის საქმედ თვლიდა რა ამიერკავკასიასა და ახლო აღმოსავლეთში შეჭრას, ცდილობდა სასურველ მდგომარეობაში შეენარჩუნებინა თერგ-არაგვის გზა, როგორც მოცემული დროისათვის საამისოდ ყველაზე რეალური დერეფანი. გამომდინარე აქედან, ასეთ სტრატეგიულ უბანზე ქართველთა თუნდაც მცირერიცხოვანი რაზმის ყოფნაც კი ფრიად არასასურველი ფაქტი იყო რუსი სამხედროებისათვის. მით უმეტეს, რომ იმდროინდელი შეიარაღებისა და თერგ-არაგვის ხეობების ბუნებრივი მონაცემების გათვალისწინებით, თავისი მცირერიცხოვნობის მიუხედავად, ქართულ მეციხოვნე რაზმს ადვილად შეეძლო რუსეთის დიდი ძალების შეჩერება და მისი ექსპანსიური პოლიტიკისათვის საფრთხის შექმნა. გარდა ამისა, თბილისის მიერ დარიალის ჩაკეტვა ანტირუსული ტენ-

დენციების გაძლიერების მომასწავებლად აღიქმებოდა, ხოლო ქართლ-კახეთის აშკარა განდგომას შეეძლო გადაულახავი ბარიერი შეექმნა პეტერბურგის განზრახვისათვის ამიერკავკასიის გავლით შეედწია ახლო აღმოსავლეთსა და ინდოეთში. ამდენად, თერგარაგვის დერეფანზე სრული კონტროლის დაწესება რუსეთისათვის აღმოსავლეთთან დაკავშირებით არსებული გეგმების წარმატებული რეალიზების საწინდარს წარმოადგენდა.

ამავე მოტივებით ხელმძღვანელობდა რუსეთის ხელისუფლება, როცა ცდილობდა აღნიშნული ობიექტი მიუწვდომელი გაეხადა მეტოქე დასავლეთ-ევროპული სახელმწიფოებისათვის. მაგალითისათვის მოვიყვანო ცნობილ ფაქტს – 1784 წელს საქართველოში მყოფ ფრანგ ოფიცერთა ექსპედიციას (მარკიზი დე ლარამანი, ბარონი დე ბორტი, შვეალიე დე ბულონი), რომელიც რუსეთის მთავრობის კონტროლქვეშ მოგზაურობდა კავკასიაში, უფლება არ მიეცა მიმოეხილა საქართველოს სამხედრო გზა [კილურაძე გ., 1971:116].

აღნიშნული მასალებიდან გამომდინარე, ადვილი წარმოსადგენია საქართველოს სამხედრო გზით რუსეთის დაინტერესების ხარისხი. ამგვარ ფონზე გვინდა განვიხილოთ კიდევ ერთი, ფრიად ორიგინალური შემთხვევა.

1785 წლის შემოდგომაზე ერეკლე II-მ გარსევან ჭავჭავაძისაგან, პეტერბურგში ქართლ-კახეთის სრულუფლებიანი წარმომადგენლისაგან, შეკითხვაზე – როგორ მოეპოვებინათ რუსების სრული ნდობა და მათი სამხედრო და ფინანსური დახმარება [ცქიტიშვილი ზ., 1982:93], მიიღო საპასუხო საიდუმლო წერილები, რომლებშიც ქართველი ელჩი მას საინტერესო და ამავე დროს ძალიან დამაფიქრებელ იდეას აწვდიდა. კერძოდ, პირველი წერილით გ. ჭავჭავაძე ერეკლე II-ს აუწყებდა, რომ დაებადა კარგი აზრი და თუ მისი უმაღლესი ნებაც იქნებოდა, სასურველი იყო ფელდმარშალ გრიგოლ პოტიომკინისათვის სარგებლობაში დაეთმოთ ხევისა და არაგვის სასახდვრო პროვინციები. ამით, – განაგრცობს თავის აზრს გ.ჭავჭავაძე, – რუსებს თითქმის სახლში მოვიწვევთ, მათ ნდობას მოვიხვეჭთ, დარიალსა და ანანურში რუსის ჯარის ჩაყენებით ჩვენს გაჭირვებულ მდგომარეობას გამოვასწორებთ და უსაფრთხოებას უზრუნველვყოფთ, ქ. ანა-

ნურსა და მთელ მხარეს ევროპულად გარდაეკმნით და დიდ სარგებლობასაც ვნახავთო [ცინცაძე ი., 1970:39-40; დოკ., №24].

მომდევნო წერილში ელჩი უფრო შორს მიდის. იგი ერეკლე II-ს აცნობებს, რომ ფედმარშალ გრ. პოტიომკინს თითქოს განზრახული აქვს დაუმოყვრდეს ქართლ-კახეთის მეფეს. „ნუთუ თქვენი ქალიშვილი ანასტასია ახლაც გაჭირვებულდება გათხოვებასთან დაკავშირებით და არ შეიცვლის თავის დამოკიდებულებას რევაზთან მიმართებაში“ – იმედიანად კითხულობს თავადი გარსევანი [ცინცაძე ი., 1970:48; დოკ., №30].

აქ გვინდა ჩაუერთოთ ინფორმაცია მეფის ასულ ანასტასიასა და წერილში მოხსენიებული რევაზის ურთიერთობებზე.

აკადემიკოს ანტონ იოჰან გიულდენშტედტის მონაცემებით, 1772 წლისათვის პრინცესა ანასტასია 3 წლისა იყო [გიულდენშტედტი, 1962:203]. გამოდის, 1785 წლისათვის იგი დაახლოებით 16 წლისა იქნებოდა. რაც შეეხება რევაზს, როგორც ჩანს, იგი ქსნის ერისთავთა თავადურ გვარს ეკუთვნოდა. ამ მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს პლ. იოსელიანთან დაცული ერთი ცნობაც, რომელიც გვაუწყებს, რომ ქსნის ერისთავთა სახლის წევრმა, „ერისთავმან რევაზ 1800 წელსა შეერთო ცოლად ანასტასია, ქალი ირაკლისა“ [იოსელიანი პლ., 1978:73].

1785 წლისათვის ქსნის საერისთაო გაუქმებული იყო. გაუქმების პროცესი 1740-იანი წლებიდან დაიწყო, ხოლო საბოლოოდ 1777 წელს გაფორმდა [საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1973:525]. „სიმტკიცისათვის და შეუცვლელობისათვის ესრეთისა განჩინებისა იქმნა კრება, დაიწერა ძეგლის წერა, და მოსწერდა ხელი, დაესვათ ბეჭედნი მეფისა და სამეფოისა სახლისა წევრთა, კათოლიკოსისა და მღვდელმთავართა რვათა. კირილე მთავარეპისკოპოსმან მისცა ხმა მიემატოს ძეგლის წერას ესეცა: „იყავნ კრული თვით მეფეცა, რომელმანცა გახსნას შეკრულება ესე და სცვალოს განჩინება“ [იოსელიანი პლ., 1978:73]. თავისდა სამწუხაროდ, ნორჩ პრინცესას მაინცდამაინც ასეთი დასჯილი და სახელო ჩამორთმეული სახლის შვილი შეჰყვარებია. რევაზ ერისთავი

ნამდვილად ვერ იქნებოდა სასურველი სასიძო სამეფო კარისათვის. სწორედ ეს ჰქონდა მხედველობაში გ.ჭავჭავაძეს, როცა იმედოვნებდა, რომ ფედმარშალ გრ.პოტიომკინთან ქორწინების ბრწყინვალე პერსპექტივა მოხიბლავდა ანასტასიას და რევაზის თავს დაავიწყებდა. მაგრამ ასე არ მოხდა, ახალგაზრდა მეფის ასული ერთგული დარჩა თავისი გრძნობებისა და მიუხედავად ხანგრძლივი მოლოდინისა, საბოლოოდ მაინც თავის რჩეულს შეეუღლა.

დავუბრუნდეთ გარსევან ჭავჭავაძის წერილს.

ელჩი დაუჩინებოთ სთხოვს ერეკლე მეფეს აბსოლუტურად საიდუმლოდ შეინახოს ინფორმაცია მოსალოდნელი სათუო ქორწინების თაობაზე და წარმატებაში წინასწარი დარწმუნების გარეშე ანასტასიასაც კი არ გაუმხილოს, ხოლო იდეის უარყოფის შემთხვევაში, სამუდამო დავიწყებას მისცეს იგი. ამასთან, კვლავ ურჩევს გადასცეს გრ. პოტიომკინს, ახლა უკვე მზითუვის სახით, ხევისა და საარაგვოს ტერიტორიები. აღსანიშნავია, რომ გარსევანი პირდაპირ მიუთითებს იმ ფაქტორზე, რამაც განაპირობა რუსეთის დაინტერესება აღნიშნული პროვინციებით. როგორც ბუნებრივად, ისე ციხეებით გამაგრებული ეს მიწები რუსეთისათვის ფასეულია მათზე გამავალი გზის გამო, უძიმოსოდ კი მთელი საარაგვოც არაფრად უღირთო, – მიუთითებს იგი [ცინცაძე ი., 1970:48-49; დოკ., №30].

წერილებიდან იკვეთება ფრიად საინტერესო მომენტი. რუსეთი გარსევან ჭავჭავაძის პირით ერეკლე II-ს დახმარებისა და სამხედრო-პოლიტიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის სანაცვლოდ პირდაპირ სთხოვს გადასცეს მას დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ქართული ტერიტორიები – ხევი და არაგვი, და მზად არის აღნიშნული გარიგების გარეგნული გაფორმების მიზნით გამოიყენოს პოლიტიკური ხასიათის ქორწინება იმპერიის ერთ-ერთ პირველ პირს – ფედმარშალ გრ.პოტიომკინსა და ერეკლე მეფის ასულს – ანასტასიას შორის. ფაქტობრივად რუსეთის ეს მოთხოვნა იყო მცდელობა – ხელში ჩაეგდო ქართლ-კახეთის ჩრდილოეთი კარიბჭე, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, და თავად ქცეულიყო პოლიტიკური ვითარების აბსოლუტური ბატონ-პატრონი რეგიონში.

ქართულ ისტორიოგრაფიაში პოტიომკინისათვის (რუსეთისათვის) ქართული მიწების სარგებლობაში გადაცემის იდეის ავტორად უშუალოდ გ.ჭავჭავაძეა მოაზრებული [ცქიტიშვილი ზ., 1982:93-95]. ჩვენი განსჯით კი იგი რუსული პოლიტიკური წრეების სურვილებს ახმოვანებდა და მათი შეკვეთით მოქმედებდა. ასეთი მსჯელობა ეყრდნობა შემდეგ არგუმენტებს:

ჯერ ერთი, ნაკლებ სარწმუნოა რუსეთში თავისი პირველივე ელჩობის პერიოდში (1784-1788 წწ.) გ.ჭავჭავაძეს, რუს ხელისუფალთა სათანადო მითითებების გარეშე, დამოუკიდებლად წამოეწყო აღნიშნულ საკითხებზე კონსულტაციები ერეკლე მეფესთან. წინასწარ რომ არ ყოფილიყო გათვითცნობიერებული რუსეთის მისწრაფებებსა და მოსალოდნელ რეაქციაში, როგორ გაბედავდა იგი პირადი პასუხისმგებლობით დაპირებოდა ერეკლე მეფეს გრ.პოტიომკინისათვის პრინცესა ანასტასიას მითხოვებისა და ხევ-არაგვის დათმობის სანაცვლოდ რუსეთისაგან სათანადო დახმარების მიღების თაობაზე? რას წარმოადგენდა საამისო თვალსაზრისით გარსევან ჭავჭავაძის ფიგურა საერთაშორისო პოლიტიკაში?

მერე მეორეც, მსგავსი ამბიციური იდეებით სწორედ გრ. პოტიომკინი გამოირჩეოდა. ვ. პოტოს ცნობით, 1780-იანი წლების დასაწყისში იგი მოლაპარაკებებს აწარმოებდა რუსეთში მცხოვრებ სომეხთა არქიეპისკოპოს იოსებთან (არღუთიანი, არღუთინსკი) რუსეთის მფარველობის ქვეშ სომხეთის სახელმწიფოს აღდგენის თაობაზე, რომლის პირველი მეფე ისევ და ისევ ყოვლისშემძლე თავადი გრ. პოტიომკინი უნდა ყოფილიყო. ამ საკითხთან დაკავშირებით იგი (გრ.პოტიომკინი) ძველი სომეხი მეფეების ოქროცურვილი გერბებით დამშვენებულ ფაიფურის მდიდრულ ჭურჭელსაც უკვეთდა ჩინეთსა და ინდოეთში [Потто В., 1886:718]. თუ გავითვალისწინებთ გ.ჭავჭავაძის მიერ მითითებულ ფაქტებსაც, რომ პოტიომკინს სურვილი ჰქონდა დასიძებოდა ერეკლე მეფეს და რუსეთის პოლიტიკური ელიტა დაინტერესებული იყო თერგ-არაგვის გზით, არ არის გამორიცხული ანასტასიასთან ქორწინებისა და მზითევში ხევისა და საარაგვოს მიღების იდეის ჭეშმარიტი ავტორი თავად პოტიომკინივე ყოფილიყო.

და ბოლოს, თერგ-არაგვის გზაზე სრული კონტროლის მოპოვებით რუსული მხარე დიდი ხნით ადრე დაინტერესდა

და ამას აშკარადაც გამოხატავდა. ამდენად, სრული უფლება გვაქვს ვიფიქროთ, რომ აღნიშნული იდეები ახლაც იქიდან წამოვიდა, ცხოვრებაში მათი რეალიზებისათვის ნიადაგის მოსინჯვას კი რუსი პოლიტიკოსები გ.ჭავჭავაძის საშუალებით შეეცადნენ, რაც დიპლომატიური თვალსაზრისით სწორი გადაწყვეტილება იყო.

საქართველოს სამხედრო გზის დაუფლების რუსული გეგმა იმხანად ჩაიშალა – ქართლ-კახეთის სამეფო კარზე ჭკუა ეყოთ და მისი განხორციელებისათვის ხელშეწყობა მიზანშეწონილად არ მიიჩნიეს. ამ გონივრულმა ნაბიჯმა თხუთმეტობდე წლით გაახანგრძლივა ქართლ-კახეთის სამეფოს არსებობა. თუმცა, საბოლოოდ, 1801 წელს, სუვერენული ქართული სახელმწიფო მაინც ჩრდილოეთიდან მოძალებული იმპერიის ექსპანსიის მსხვერპლი შეიქნა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ.გელაშვილმა, ტ. I, თბილისი, 1962.
2. იოსელიანი ა., თვისებრივად ახალი ეტაპი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში, „საისტორიო მოამბე“, ტ. 51-52, თბილისი, 1985.
3. იოსელიანი პლ., ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, თბილისი, 1878.
4. კიდურაძე გ., საფრანგეთ-საქართველოს ისტორიული და კულტურული ურთიერთობიდან, ჟურნ. „მნათობი“, თბილისი, 1971, №1.
5. მაჭარაძე ვ., მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, ნაწ. III, ნაკვ. I, თბილისი, 1988.
6. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ნ. IV, თბილისი, 1973.
7. ცინცაძე ი., მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (1782-1791 წწ.), „საისტორიო მოამბე“, ტ. 23-24, თბილისი, 1970.

8. ცქიტიშვილი ზ., გარსევან ჭავჭავაძის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა, თბილისი, 1982.

9. ჯიბაშვილი ო., ლევან ბატონიშვილის მკვლელობის საკითხისათვის, ჟურნ. „ჭოროხი“, ბათუმი, 1998, №3.

10. Соловьев С., Чтения и рассказы по истории России, Москва, 1989.

11. Потто В., Кавказская война в отдельных очерках, эпизодах, легендах и биографиях, т.1, вып. I, СПб., 1887.

12. Потто В., Кавказская война в отдельных очерках, эпизодах, легендах и биографиях, т.3, вып. I, СПб., 1886.

Oleg Jibashvili

Something from Georgian Military Road History

Summary

The Treaty of Georgievsk, signed on July 24, 1783, placed the kingdom of Kartl-Kakheti under the protection of the Russia Empire. The significance of Georgian Military Road as the main arterial one between Georgia-Russia increased. The main aim of St. Petersburg was to institute control over that strategic position. So in 1785 the government of The Russia Empire tried to marry the king Erekle's daughter Anastasia to Marshal Gr. Potemkin. Therefore, that marriage intended to be political, Potemkin (Russia) would be able to get some Georgian provinces Khevi and Aragvi as dowry (the Georgian Military Road was extended on those provinces). The Georgian ambassador Prince Garsevan Chavchavadse was considered to fulfill that mission. However, for some circumstances the attempt of realization of that plan failed.

Из истории Военно-Грузинской дороги

Р е з ю м е

По Георгиевскому трактату 1783 года, Картл-Кахетинское царство, вошло под покровительство Российской империи. В связи с этим, возросло значение Военно-Грузинской дороги, как главной артерии связывающей Россию с Грузией. Петербург стремился установить полный контроль над указанным стратегическим объектом.

С этой целью, в 1785 году, со стороны русского правительства была попытка провести политическую свадьбу, между фельдмаршалом Гр. Потёмкиным и дочерью царя Ираклия II, Атастасией. И в качестве приданного Потёмкину (т.е. России), царь Ираклий II передал бы провинции Хевского и Арагвского ущелья (по территории которых проходила Военно-Грузинская дорога). Реализовать данный проект, Россия пыталась рукой посланника Картл-Кахетинского двора, князя Гарсевана Чавчавадзе. По разным причинам, проект сорвался.

ტოპონიმებში გაცოცხლებული ისტორია

ერის ხასიათის, მისი ეთნიკური იერსახის, ფსიქიკის, სულიერი და ინტელექტუალური შესაძლებლობების შეცნობის უმთავრესი წინაპირობაა მის მიერ განვლილი ისტორიული გზის გააზრება-გაანალიზება და ამ გზაზე შექმნილ სულიერ მემკვიდრეობაში ჩადრმავება. წარსული ისტორიული გზის გაცნობიერება დღევანდელობის შეცნობისა და ხვალისდელობის განჭვრეტის საფუძველთა საფუძველია.

საქართველოს ისტორიას აქვს საკუთარი შინაარსი. მისი სახით ჩვენს წინაშე განსაკუთრებული სამყარო, რომელშიც ბევრი რამ იდუმალებითაა მოცული. სიძველისა და ისტორიული ბედუკუდმართობის წყალობით ჩვენამდე მოუღწევლობის გამო წარსულის ბევრი საინტერესო მოვლენის კარები დაკეტილია, გასაღები კი – დაკარგული. დიდაჭარაში არსებული უპირველესი ქრისტიანული სამლოცველოს არსებობის დამადასტურებელი გასაღების პოვნა შორეული წარსულის კარის გასაღებად თანამედროვე ისტორიკოს-არქეოლოგთა ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ საქართველო ერთ-ერთი პირველი ქვეყანაა, სადაც გავრცელდა ქრისტიანობა. უკვე I საუკუნეში აქ მოვიდნენ პირველმოციქულები ანდრია პირველწოდებული, სიმონ კანანელი, შემდეგ – მათე (მატათა), ბათლომე, იულია, თადეოზი. „ქც“-ის მიხედვით ანდრიამ ქრისტიანობა პირველად დიდაჭარაში იქადაგა („შევიდა ქუეყანასა ქართლისასა, რომელსაც დიდაჭარა ეწოდების...“) („ქართლის ცხოვრება, 2002: 39). დოროთეოს ტვირელის (III ს.) და ეპიფანე კვიპრელის (IV ს.) ცნობებით ანდრია მოციქული „მოვიდა იქ, სადაც არის აფსარის ციხე“ (პინგოროფვა, 1954: 223). სოფრონის (IV ს.) ინფორმაციით, აფსარის ციხესთან მოღვაწეობდა ანდრიას თანამოღვაწე მათე (მატათა) და იქვეა დასაფლავებული (იქვე, 1954:223).

ქრისტიანობის გავრცელება და ოფიციალურ რელიგიად გამოცხადება იყო სახელმწიფოებრივი აზროვნების, პოლიტიკური კულტურის, საზოგადოებრივი და ეკონომიკური ცხოვ-

რების მაღალი დონის გამოხატულება, რადგან იგი აძლიერებდა ფეოდალიზაციის გზაზე შემდგარი ქვეყნის ცენტრალიზაციას და კონსოლიდაციას.

ის, რაც ცნობილია წერილობითი მონაცემებით, შემაგრებულია ქრისტიანული საკულტო დანიშნულების ძეგლებით, ტოპონიმებითა და ხალხური გადმოცემებით. ქრისტიანობის გავრცელების კვალდაკვალ გაიშალა ტაძრების მშენებლობა. ერთ-ერთი ასეთი ტაძარი დიდაჭარაშიც უნდა ყოფილიყო. ჯერ აშენებდნენ პატარა და პრიმიტიულ საკულტო ნაგებობებს. გვიან იწყებენ დამუშავებული მასალით მშენებლობას. გრაფინია უვაროვას თქმით რელიგიური ობიექტები აჭარაში უფრო მეტი იყო, ვიდრე აფხაზეთსა და სხვა მხარეებში. ფიჭვნარის ორნავიანი ეკლესია, ციხისძირის ბაზილიკური ტაძარი, აბუსერისძეების სასახლის ეკლესია ხიხანში, მახარობლის ეკლესია თხილვანაში, წმ. გიორგის სახელობის ეკლესია ცხმორისში, სხალთაში (სხალთის ეკლესიის შიგა მოხატულობა გამოირჩეოდა მაღალი ოსტატობით. მასზე გამოსახულია ქრისტე ხუცურად დაწერილი წიგნით ხელში, სულთმოფენა, ხარება, ლაზარეს აღდგინება, ნათლისღება, ქრისტეშობა, მწყემსთა თაყვანისცემა, მეძავი ქალი ქრისტეს წინაშე, საიდუმლო სერობა და ა.შ.), ვერნების, კალოთის, აგარის, ზენდიდის, მაჭახლის ხეობის სოფლების და სხვა ეკლესიები.

ჩვენი მხარის ისტორიის მნიშვნელოვანი მოვლენები წარმოდგენილია უძველეს ტოპონიმებში. ქრისტიანობასთან უშუალოდაა დაკავშირებული შემდეგი ტოპონიმები: სოფლის სახელები ხულოში – დიაკონიძეები, დიოკნისი, დეკანაშვილები (აღმოსავლეთ საქართველოში გვარები: დეკანოსიძე, დეკანაძე, დეკანაშვილი); ქობულეთში – ზედა და ქვედა კვირიკე; ხელვაჩაურში – ფერია (ყველა ესენი ნაწარმოებია კულტის მსახურების – დიაკონის, დეკანოზისა და წმინდა კვირიკესაგან); ქობულეთსა და ხელვაჩაურში – სამება; ქედისა და ხულოს რაიონებში – ნამონასტრევი და ა.შ.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქრისტიანულ სამლოცველოსთან დაკავშირებული ტოპონიმები. ეკლესია ჰქვია ადგილებს სხალთაში, სამებაში, ახალშენში; **ეკლესიაგვერდი** – სათესი კირნათში; **ნაეკლესიარი** – სათესი ზუნდაგაში, კო-

ლოტაურში, ვანაძეებში (დორჯომი), აჭყვაში; **ნაეკლესიევი** – უჩქნარი დორჯომის უბან გორგაძეებში, ტყე ბობოყვათში; **ნამონასტრევი** – ტყე კვაშტაში, სათესები განახლებასა და ელელიძეებში (ხულო); **ხატიტყე** – ადგილი კაანისთავში; **ხატიმამული** – უბანი ზედა აგარაში (ქელა), ტყე და სათესი დოლოგანში, ჩაის ნაკვეთი მეძიბნაში; **ხრისტოქოსი** – ტყე ფუშრუკაულში; **ბეთლემი** (ქალაქი, სადაც ქრისტე დაიბადა) – ქელი ზედა აგარაში, მთა ზესოფელში; **საყდარი** – ბალი კაპ-ნისთავში, ბუჩქნარი მადლაკონში, სათესი ხერთვისში; **საყდარიყელი** – უბანი კვაშტაში, სათესი ტუნაძეებში; **საყდარქვეში** – სათესი ინაშარიძეებში; **ნასაყდრალი** – ადგილი კალოთაში, დღვანში, ბუჩქნარი ტაკიძეებში; საძოვარი კობალთაში, სათესი თხილვანაში; **ნასაყდრევი** – ადგილები მახუნცეთში, ძმაგულაში, გეგელიძეებში, ძენწმანში, საღორეთში, გუნდაურში; **ნაქილისვარი** (ნაწარმოებია თურქული სიტყვიდან „ქილისე“, ე.ი. ნაეკლესიარი) – კიბეში, ჟანივრში, ომბოლოში, მახვილაურში, ზანაქიძეებში; **ქილისეკარი** – ადგილები ჭარნალში, სარფში; **ქილისესერი** – სათიბი პანტნარში; **საყდარი** – სათიბი კორტოხში, ტყე სიმონეთში, ბუჩქნარი მურვანეთში.

ხუცუბანი – სოფელი ქობულეთში; **ხუციშვილები** – უბანი დიდაჭარაში; **ხურციალები** – სათესი ზუნდაგაში; **ხუცური** – სათესი მახალაკიძეებში, საძოვარი ფურტიოსა და დიდაჭარის უბნებში; **ხუციქელი** – უბანი ყინჩაურში; **ხუციერი** – უბანი ლომანაურში; **ხუცივაკე** – სათესი დავლაძეებში; **ხურცაული** – სათესი ღურტაში; **ამადლება** – სათესი ძმაგულაში; **გორაწმინდა** – სათესი ქედლებში; **მიქელწმინდა** – ნაკადული და სათესი მერისში; **სამიქელური** – უბანი სხეფში; **მიქელაური** – სათესი ბესელაშვილებში (მიქელწმინდა, ნიქალაური, სამიქელაური მომდინარეობს მთავარანგელოზ მიქაელიდან, რომელიც ამარცხებს მტრულ სულებს, ადამიანებს იფარავს უბედურებისა და ცოდვებისაგან). **მთავარანგელოზი** – სათესი და საძოვარი ჭვანაში, ტაკიძეებში, ტყე ნენიაში, სათიბი და საძოვარი წაბლანაში (ხულო), სათესი კვატიაში (ი. ბექირიშვილი, 1990: 66-69).

ზოგიერთი ადგილისათვის ჩვენს წინაპრებს ჭეკა-ქუხილისა და ავდრის ღვთაება ელიას (წინასწარმეტყველი) სახე-

ლი შეურქმევიათ. ეს წარმართობიდან მომდინარეობს და მას უკავშირდება მიკროტოპონიმები: **ელია წმინდა** - სათესი დიდ-აჭარაში, ოქტომბერსა და შავაძეებში; **ელიაური** - სათესი პაქსაძეებში; **იმარწმინდა** - სათესი ღუაძეებში.

მეტად პოპულარული იყო აჭარაში წმინდა გიორგი. იგი ქართველთა ერთიანობის გამომხატველი სინონიმი იყო. თეთრ ცხენზე ამხედრებული გიორგი საქართველოს სახელმწიფო დროშასა და ბეჭედზეც გამოსახეს. იგი ქართველთა წარმოდგენით მცველ-მფარველი და უძლეველი მხედარია, რომელსაც ქრისტიანობამ 365 საყდარი აუგო და 365 საყდარზე დალოცვას ან დაწყევლას უძლეველ მიიჩნევდა. წარმართული ღვთაება-მოვარის ადგილი ქრისტიანობის დროს წმინდა გიორგიმ დაიკავა (ი. ჯავახიშვილი, 1960: 45)

წმ. გიორგის სახელობის საკულტო დაწესებულებები იყო ხიხანში, ცხმორისში, ჭვანაში, შუშანეთში და სხვაგან. ტბელ აბუსერისძემ 1233 წელს ხიხანში დაწერილ თხზულებაში „სასწაულნი წმინდისა მთავარმოწამისა გიორგისანი“ უწოდა. მწერალი მოგვითხრობს, რომ ორი ცხმორისელი ტყვედ ჩაუვარდა მაჰმადიანებს. წმ. გიორგიმ მათ დახმარება გაუწია. ისინი აიტაცა. ერთი პირდაპირ სოფელში – ცხმორისში დასვა ტაძართან, მეორე კი – სოფლის შემოგარენში. წმ. გიორგისთანაა დაკავშირებული უამრავი ტოპონიმი. ჩამოვთვლით ზოგიერთს: **გორგიული** - უბანი შუახევის რაიონში, ვენახი და სათიბი ქიზინიძეებში, უბანი ხარაულაში (ქედის რ-ნი); **გორგილა ქედი** - ვანში (შუახევის რ-ნი); **გორგიმელეთი** - სათესი ტომაშეთში (შუახევის რ-ნი); **გორგაულეზი** – საძოვარი ვაშლოვანში (ხულოს რ-ნი); **გორგაძეები** – სოფელი ხულოსა და ქობულეთის რაიონებში.

მეტად საინტერესოა რ. ერისთავის მონაცემები, რომლის მიხედვითაც ცაგერის რაიონის (ღეჩხუმი) სოფელ ალაპანასა და აჭარაში იციან წმ. გიორგის დღესასწაული (23 აპრილი). ალაპანაში სტამენ ხორცსაც ამ დღესასწაულზე, აჭარაში კი შეექცევიან პურ-ღვინო-ღობიოს „მრავალუამიერით“, იციან წირვა, გალობა და ა.შ. (რ. ერისთავი, 1986: 23)

ალპანას მეზობლად არის სოფელი აჭარა, რომელიც აჭარიდან წასულების მიერ უნდა იყოს დაარსებული (ი. ბეჭირიშვილი, 1990: 74). თუ ეს ასეა, მაშინ იმდროინდელ

აღპანელებს გიორგობის დღესასწაულის ვარიანტი აჭარიდან წაუღიათ, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ აჭარაში ამ დღეს ხორცს არ ჭამდნენ და პურ-ღვინოს შეეძევოდნენ.

აჭარაში მრავლად გვხვდება აგრეთვე ჯვართან დაკავშირებული ტოპონიმები, სახელდობრ: ჯვარი - უბანი ბარათაულში, სათესი განახლებასა და დეკანაშვილებში, ოქრუაშვილებსა და ძირკვაძეებში; საჯვარეთესი - ჭერში; ჯვართანი - ბუჩქნარი საციხურში; ქვაბიჯვარი - მთა საციხურში; კოტაჯვარი - ბუჩქნარი ჩაოში; ჯვარედინი - სათესი უჩხოში; კობიჯვარი - საძოვარი, რომლის შესახებ ცნობას გვაწვდის ლისოვსკი ღორჯომის აღწერისას. ასეთი ტოპონიმი გვხვდება დიოკნისშიც. ლეგენდით აქ ადრე ვენახი იყო გაშენებული, მაგრამ მტერს იგი აუჩხია. მტერთან ბრძოლაში დაღუპული ერთ-ერთი ვაჟკაცი ქედზე დაუმარხათ და სასაფლაოზე ჯვარი დაუდგამთ. ეს სახელიც რწმენისა და ვახის სიყვარულის გამოხატულებაა. ზოგადად ჯვარი წარმართობიდან იღებს სათავეს. ქრისტიანობამ იგი თავი სიმბოლოდ აქცია. საციხურისა და აგარის საყდართან 1979 წელს აღმოჩნდა ქვის ორი ჯვარი, რომლებზეც მზის დისკოა გამოხატული. ჯვარი არის ბუთურაულისა და ხულოს სკოლის გვერდით მდებარე სასაფლაოზეც. ხულოს რაიონის სოფელ აგარაში აღმოჩნდა ჯვარდასმული ბუხრის ჯაჭვიც (ნ. კახიძე, IV, 1976: 84).

სოფელ აღმეში აღმოჩნდა ქვის კუბო სახურავზე ჯვრით და ჯიხვის ფიგურით. იგი ამჟამად ინახება მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. აკად. გ. ჩიტაიამ მას სპეციალური ნაშრომიც კი მიუძღვნა (იხ. მის. „ქვის კუბო აღმედან“). ისლამის გავრცელების მიუხედავად, აჭარაში ქრისტიანული ემბლემა – ჯვრის გამოსახულება უმნიშვნელოვანესი ორნამენტი იყო მონეტურთმებისას. იგი ჩუქურთმის წნულში იყო ჩაქსოვილი. ასე შენიღბულად ჯვარს გამოხატავდნენ სახლის კარებზე, ჭერზე და ა.შ. დიდაჭარელი ა. დემეტრაძის სახლის სასტუმრო ოთახის ჩუქურთმაში სწორედ ასეთი ჯვარია ჩაქსოვილი (ი. ადამია, 1956: 46).

იგივე მოტივი გვხვდება ღორჯომის სხვა სოფლების ნაგებობების ინტერიერში. ქართული ჩუქურთმებითაა შემკული მარადიდისა და მაჭახლისპირის ჯამეებიც, რომელთა შესა-

ხებ აღნიშნავდა აკად. ა. პავლინოვიც (ი. ბეკირიშვილი, 1990:79).

ეს არის განსაკუთრებული მნიშვნელობის ფაქტები, რომლებიც ცალკე ახსნას მოითხოვს. ვაზისგან ნაკეთები ჯვარი ქართველობის სიმბოლოდ იქცა. თურქეთის აგრესიის პირობებში მისი შემონახულობა ქართველობისათვის აჭარელთა ბრძოლის ნათელი გამოხატულებაა.

დღემდე შემონახულია ოსმალობისდროინდელი ბეჭედი, რომელზეც ჩვენს წინაპრებს ჯვარი და ვაზი გამოუსახავთ. ოსმალობის პერიოდში აჭარაში რა თქმა უნდა მეჩეთებსაც აშენებდნენ, მაგრამ ეროვნული სამშენებლო ხერხებისა და მეთოდების გამოყენებით (უნდა ითქვას, რომ პირველი მეჩეთები აჭარაში თანაზიმათს უკავშირდებდა. 1878 წლისათვის აჭარაში სულ 2 ათეულამდე მეჩეთი იყო. მათი რაოდენობა გაიზარდა რუსების შემოსვლის შემდეგ).

ისლამის ძალდატანებით გავრცელების მიუხედავად, ადგილობრივი მოსახლეობა წინ აღუდგა ქრისტიანული ძეგლების წაბილწვას. ყოველივე ეს კარგად აისახა ხალხურ გადმოცემებში. სხალთის ტაძრის სასწაულმოქმედებასთან დაკავშირებული ერთ-ერთი თქმულების მიხედვით ხოჯებს განუზრახავთ ტაძრის მეჩეთად გადაქცევა, მაგრამ გაგიჟებულან და ტყეში გაჭრილან. ერთ მწყემსს ტაძარში ცხვარი შეუყვანია. მწყემსს 200 სული პირუტყვი გაწყვეტია, თვითონ კი გადაჩეხილა.

სხვათა შორის, მსგავსი გადმოცემები დავამოწმეთ ტაოშიც. პარხალში გვითხრეს, რომ ხოჯამ თეთრად გადაღება ტაძრის კედლები, ტაძრისა, რომელიც „დღეა ტამარამ ააშენა“, ამიტომ ის ხოჯა მოკვდაო. ამ და სხვა გადმოცემებში ხაზგასმითაა გამოხატული პროტესტი ქრისტიანული ეკლესია-მონასტრების ნგრევა-წაბილწვისადმი.

ოსმალთა ბატონობის მიუხედავად, მკვიდრი მოსახლეობა მამა-პაპათა ტრადიციებს არ დაღატობდა. უვაროვას მატერიალური კულტურის ძეგლების აღწერილობასთან ერთად ყურადღება გაუმახვილებია ტრადიციულ ყოფაზეც. იგი შესწრებია ახალგაზრდა ქალის დასაფლავების ცერემონიალს. ქალს მთელი სოფელი მიასვენებდა. ეცვათ სუფთა და ახალი ტანსაცმელი. კუბოს აბრეშუმის ქსოვილი ეფარა. კუბოს ქა-

ლებიც მიაცილებდნენ (რაც ისლამური ნორმებით იკრძალებოდა). ქალი ნიგეზნარში დაუმარხავთ.

ჭეშმარიტად ქართული ტრადიციების დაცვა, ეროვნული წეს-ჩვეულებების იდუმალ პირობებში შესრულება იყო ოსმალობის წინააღმდეგ ბრძოლის გზა და ემსახურებოდა ეროვნული თვითმყოფადობის, ქართველობის დაცვის ინტერესებს.

სხვათა შორის, ხოჯა-მოლათა შორისაც იყვნენ პროგრესულად მოაზროვნე ადამიანები, რომლებიც ხელს უწყობდნენ და ცდილობდნენ თავისთავადობის შენარჩუნებისა და აჭარის მოსახლეობის ინტერესების დაცვისათვის. მათ შორის იყვნენ ნური ბერიძე, ისკენდერ თავართქილაძე, ხაფიზ მეხეშიძე, ყედიზ ზაქარაძე, შუქრი ხალვაში (ბეგი), დედე-აღა ნიჭარაძე, მუფთი ახმედ ხალიფაშვილი და მრავალი სხვა.

ისკენდერ თავართქილაძე იყო ღორჯომელი ხოჯა, ნიჭიერი და განათლებული ადამიანი, რომელიც მთელი თავისი შეგნებული სიცოცხლის განმავლობაში საქართველოსთან ერთობას უჭერდა მხარს. იმ დროს საჯაროდ ამის გაცხადება ადვილი არ იყო, მაგრამ იგი არ შეუშინდა მოსალოდნელ საშიშროებას და აშკარად გამოხატა საქართველოსთან ერთობის სურვილი (აბ. წულაძე, 1991: 23).

ხოჯა ხაფიზ მეხეშიძე ხულოს ორკლასიან სკოლაში რჯულის მასწავლებელი იყო, ისწავლა ქართული წერა-კითხვა და სხვებსაც ასწავლა.

ნური ბერიძე (ხოჯა) აშკარად დაუპირისპირდა აჭარელთა ოსმალეთში გადასახლებას და თავისი გავლენით ცდილობდა ხელი შეეშალა მუჰაჯირობისთვის, ახმედ ხალიფაშვილი კი ოსმალობის პერიოდშიც ჯამეში ქართულად ქადაგებდა და „ყორანსაც“ ქართულად უხსნიდა მრევლს, რის გამოც ოსმალებმა სტამბულში გაიხმეს და სამართალში მისცეს, მაგრამ მან თავი გაიმართლა: „ჩვენ ქართველები ვართ და ჩვენი ენაც ქართულიაო“. მისმა გავლენამ ხელი შეუშალა აჭარელთა მასობრივ ემიგრაციას ოსმალეთში.

წარმოდგენილ ტოპონიმებში ზოგჯერ ძუნწად, მაგრამ შეუღამაზებლად არის გადმოცემული ეროვნული თვითმყოფადობის დაცვა-შენარჩუნებისათვის ქართველი ხალხის მედგარი და შეუპოვარი ბრძოლის ისტორია. ყოველივე ამის

გააზრება კიდევ ერთხელ დააფიქრებს მკითხველს, რათა საღი გონებით გადაავლოს თვალი ჩვენს წარსულს დღევანდელობისა და მომავლის შეფასების თვალსაზრისით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ადამია ი., ქართული ხალხური ხუროთმოძღვრება, აჭარა, თბ., 1956.
2. ბეჭირიშვილი ი., ქრისტიანობა აჭარაში, ბათ., 1990.
3. ერისთავი რ., ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული წერილები, თბ., 1986.
4. ინგოროყვა პ., გიორგი მერჩულე, თბ., 1954.
5. კახიძე ნ., მჭედლობა აჭარაში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა, IV, თბ., 1976.
6. ლეონტი მროველი, ცხოვრება მეფეთა, ქართლის ცხოვრება, ტ.I, 2002 (1955 წ. გამოცემის მიხედვით).
7. წულაძე აპ., ძმური სიტყვა, ბათ., 1991.

Tamaz Phutkaradze

Ghristian toponyms in Ajara

Summary

The given work deals with the gwestions on the history of southern-western Georgia-Ajara. The work represents toponyms connected with christianity.

История, оживленная в топонимах

Резюме

Аджария древнейший уголок Грузии, население которого уже в I-ом веке н.е. приобщилось к христианству.

В работе на основе письменных источников, литературных данных и полевых материалов, проанализированы топонимы, связанные с христианством и оживляющие богатейшую историю данного региона.

ბათუმის შეერთებისათვის რუსეთის ბრძოლის ისტორიიდან (XIX ს.)

ქართველ ხალხს ყოველთვის ახსოვდა თავისი დროებით დაშორებული თანამოძმენი და მათ საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნებაზე განუწყვეტლივ ზრუნავდა. მაგრამ აგრესიულ მუსლიმანურ სახელმწიფოთა შორის მოქცეული, იგი ეძებდა ძლიერ მოკავშირეს მათ წინააღმდეგ. დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან ამ მიზნით კავშირის დამყარების არა ერთი უშედეგო ცდის შემდეგ, მან ორიენტაცია ერთ-მორწმუნე რუსეთზე აიღო. რუსეთის ძლიერ სახელმწიფოთან კავშირში ქართული სახელმწიფოს მესვეურნი იმედოვნებდნენ დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებას.

XVIII საუკუნის 60-იან წლებში, როდესაც რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობა დაიძაბა და საქმე ომამდე მივიდა, ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე მეორე იმედოვნებდა რუსეთის დახმარებით ახალციხე-მესხეთის დაბრუნებას და ამის შესახებ რუსეთის სამეფო კარს თხოვნით მიმართავდა (А.А. Царепели, 1898, : 84). 1769 წლის 4 ოქტომბერს პანინისადმი მიწერილ წერილში კი ერეკლე მეორე გამოხატავდა სურვილს ოსმალთა ბატონობისაგან გამოეხსნა ყველა ქრისტიანი და მათ შორის ” ოსმალთა მიერ დაპყრობილი შავი ზღვის პირას ჩვენს მიწაზე მცხოვრებნი” (იქვე, вып. II, 1902: 244). აქ ერეკლეს აჭარის მოსახლეობაც უნდა ჰყავდეს მხედველობაში (მეგრელიძე შ. 1963: 13). რუსეთის ჯარის დახმარებით იმერეთის მეფე სოლომონ მეორის მიერ შორაპნის, ბაღდადის და ქუთაისის ციხეების დაკავების შემდეგ ერთიანი ძალებით განზრახული იყო ბათუმზე ლაშქრობაც, მაგრამ იგი გენერალ ტოტლებენის მიზეზით ჩაიშალა (ИКОИРГО, т.8, 1905, : 44). ქართველი მეფეებისა და ხალხის მისწრაფება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დაკარგული ქართული მიწების გასათავისუფლებლად დასტურდება არა ერთი დოკუმენტით, რომლებშიც აღნიშნულია ამისათვის მათი პრაქტიკული მზადყოფნა და მისი საქმით დამტკიცების სურვილი (А.А.

Цагарელი, Грамоты... т.1, 2-3, იქვე, вип. II, 1902: 225, т. II, вып. I, 1898: 92, 405). ეს მისწრაფება აისახა 1783 წლის რუსეთსა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის დადებულ გიორგიევსკის ტრაქტატშიც, რომლითაც ქართლ-კახეთის სამეფოს მიერ ზოგიერთ სუვერენულ უფლებებზე უარის თქმის სანაცვლოდ რუსეთი ვალდებულებას იღებდა ოსმალეთთან და ირანთან ომებისა და საზავო მოლაპარაკების დროს მიეღო ზომები, რომ საქართველოს დაბრუნებოდა ის ისტორიული ტერიტორიები, რომლებიც ოსმალეთს ჰქონდა მიტაცებული (საქართველოს ისტორია, თბ., 1948 : 435).

1801 წელს რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების და მისი უშუალოდ რუსეთთან შეერთების შემდეგ დღის წესრიგში დადგა ოსმალთა უღლის ქვეშ მყოფი ქართული სამფლობელოების რუსეთის მიერ დაპყრობა და მიერთება. პირველ რიგში საჭირო იყო შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროების – ოსმალეთის ხელში მყოფი ნავსადგურების – ფოთის, ბათუმისა და ანაკლიის დაკავება. ბათუმის შეერთების საკითხი რუსეთის მმართველ წრეებში ჯერ კიდევ XIX ს. პირველ წლებში დაისვა. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ჩარტორიცი მითითებას იძლეოდა, რომ თუ რუსეთი ფოთის, ანაკლიის და ბათუმის შემოერთებას მოლაპარაკების გზით ვერ მიაღწევდა, მაშინ როგორმე მიეღო უფლება ამ ქალაქებიდან საქონლის გატანა-შემოტანაზე და ამ მიზნით მიემართათ ოსმალეთში ძლიერ გავრცელებული მოქრთამვისათვის (АКАК, 1868 : 477, Дубровин В., 1887: 171). 1804 წელს იმავე ჩარტორიციის წინაშე ბათუმის ნავსადგურის რუსეთთან შეერთების აუცილებლობის საკითხი დააყენა გენერალმა ციციანოვმაც და ა.შ. (АКАК, т. II, 1868:476).

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთ-ოსმალეთის ყველა ომის დროს დღის წესრიგში მწვავედ იდგა ბათუმისა და მისი შემოგარენის რუსეთთან შეერთების საკითხი. აჭარის სამშობლოსთან დაბრუნების ცდას ადგილი ჰქონდა 1828-1829 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომისა და 1853-1856 წლების ყირიმის ომის პერიოდებშიც. მაგრამ, ამ უკანასკნელში დამარცხების გამო, რუსეთი განიდევნა შავი ზღვის სანაპიროდან და მას აქ აეკრძალა როგორც ფლოტის ყოლა, ისე ციხესიმაგრეების ფლობა. ყოველივე ამან გამოიწვია მდგომარეობის

რეობის კიდევ უფრო დაძაბვა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებსა (განსაკუთრებით ინგლისი, საფრანგეთი და ავსტრია) და რუსეთს შორის შავი ზღვის და მისი სრუტეების რეგიონში გავლენის განმტკიცებისათვის ბრძოლაში. ამავდროულად, ევროპაში ძალებს იკრებს და ასპარეზზე გამოდის სწრაფად მზარდი და ენერგიული გერმანიის გაერთიანებული სახელმწიფო, რომლის ნიჭიერი და შორსმჭვრეტელი კანცლერი, ოტო ფონ ბისმარკი, ევროპის პოლიტიკურ რუკაზე შლის გერმანიის ახალგაზრდა სახელმწიფოს განმტკიცებისა და გაძლიერების ინტერესებიდან გამომდინარე დიდ დიპლომატიურ პასიანსს. მან გათვლილი დიპლომატიური ნაბიჯებით, რომელთაც ძირს სამხედრო აქციებითაც უმაგრებდა, თანდათანობით შესძლო ევროპის ძლიერი სახელმწიფოების - საფრანგეთისა და ავსტრიის დასუსტება. რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებების მიზნით კი მას ჯერ კიდევ 1866 წელს შესთავაზა დახმარება პარიზის ტრაქტატის იმ მუხლების უარსაყოფად, რომლებიც რუსეთს შავ ზღვაზე ფლოტის ყოლას უშლიდა. 1870 წლის 21 სექტემბერს, პრუსია - საფრანგეთის ომის მსვლელობისას, ბისმარკმა უკვე აშკარად დაადასტურა ამ საკითხის რუსეთის სასარგებლოდ გადასაწყვეტად მხარდაჭერისათვის მზადყოფნა (история Дипломатии, 1941: 521). იმავე წლის 31 ოქტომბერს რუსეთის მთავრობამ გამოსცა ცირკულარი, რომელშიც ჩამოთვლილი იყო სხვა სახელმწიფოების მიერ 1856 წლის პარიზის ტრაქტატის დარღვევის შემთხვევები. ამის შემდეგ გაკეთებული იყო დასკვნა, რომ ასეთი დარღვევების გამო რუსეთს აღარ აქვს საფუძველი მოქმედად ცნოს პარიზის აქტის ყველა პირობა და ამიერიდან იგი სავალდებულოდ არ თვლის მისი იმ სტატიების აღიარებას, რომლებიც შავ ზღვაზე რუსეთის სუვერენული უფლებების საკითხს ეხება.

გორჩაკოვის ამ ცირკულარმა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ევროპაში, განსაკუთრებით ინგლისისა და ავსტრიის მმართველ წრეებში და მათ მიაღწიეს საკითხის განსახილველად საერთაშორისო კონფერენციის მოწვევას. კონფერენცია შედგა ლონდონში 1871 წლის იანვარში. რუსეთმა მიაღწია შავ ზღვაზე მისი სუვერენული უფლებების აღდგენას და ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების უცხო ქვეყანათა

სამხედრო გემებისათვის ჩაკეტვას (იქვე, გვ. 521-522). ამით რუსეთს ხელები გაეხსნა შავი ზღვის აუზში ახალი ექსპანსიებისათვის და დღის წესრიგში კვლავ დადგა ოსმალეთის მიერ მიტაცებული ქართული ტერიტორიების, განსაკუთრებით კი ქ. ბათუმის და მისი მიმდებარე რეგიონების შემოერთების საკითხი.

ამ დროისათვის ე.წ. აღმოსავლეთის საკითხის ძირითად შინაარსს შეადგენდა ბრძოლა “ოსმალეთის მემკვიდრეობისათვის”, რომელშიც ყველა მონაწილე თავისი პოზიციების განმტკიცებას ცდილობდა, თუკი ოსმალეთის დანაწილების საკითხი დღის წესრიგში დადგებოდა. აღნიშნულმა ბრძოლამ მეტად დაძაბა ურთიერთობა ევროპის მოწინავე სახელმწიფოებსა (ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია) და რუსეთს შორის. ინგლის-საფრანგეთი მხარს უჭერდნენ ოსმალეთის იმპერიის მოთიანობას (Гурко-Кряжин В.А. 1925 : 13-14), რადგან მათ კარგად იცოდნენ, რომ ამ საკითხის დასმისთანავე (ოსმალეთის დანაწილება) რუსეთი მოითხოვდა კონსტანტინეპოლს, სრუტეებსა და ოსმალეთის სომხეთს, რაც მათთვის მიუღებელი იყო და არანაკლებ აშინებდათ, ვიდრე გერმანიის თვით მაქსიმალური პროგრამა ოსმალეთის მიმართ (იქვე: 32) და ყველანაირად ცდილობდნენ წინ აღდგომოდნენ მას. ამ ბრძოლაში აჭარა და, განსაკუთრებით, ქ. ბათუმი სტრატეგიულად მნიშვნელოვან როლს თამაშობდა. ფაქტობრივად ბათუმი წარმოადგენდა გასაღებს დაინტერესებული ძალებისათვის ამიერკავკასიაში თავიანთი პოლიტიკის გასატარებლად. ამასთან, იგი მოიაზრებოდა, როგორც კარგი პლაცდარმი შავი ზღვის ოსმალური სანაპიროებისა და სრუტეებისაკენ რუსეთის ექსპანსიური გეგმების განხორციელებისათვის. ამიტომაც რუსეთის ბრძოლამ ბათუმისა და მისი შემოგარენის (აჭარა) შემოსაერთებლად მეტად მწვავე ხასიათი მიიღო.

დიდ სახელწიფოებს შორის განსაკუთრებით დაიძაბა ვითარება 1875-1878 წლების „აღმოსავლეთის კრიზისის“ დროს, როდესაც გააქტიურდა ძალისხმევანი რუსეთ-ოსმალეთის მოსალოდნელი ომის შემთხვევაში საერთო ევროპული აფეთქების თავიდან ასაცილებლად, ხოლო ომის გარდაუვალობის

შემთხვევაში საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად.

ევროპის სამი დიდ სახელმწიფოს – რუსეთის, ავსტრიისა და გერმანიის მიერ 1876 წლის 13 მაისს ბერლინის შეხვედრაზე ხელმოწერილმა მემორანდუმმა, რომელიც ბოსნია-ჰერცეგოვინის პრობლემის გადაჭრასა და ბალკანეთის საკითხის მშვიდობიანი გზით მოგვარებას ეხებოდა, შედეგი ვერ გამოიღო. ამ შემთხვევაში ევროპის ამ სამი სახელმწიფოს მიზანს შეადგენდა ოსმალეთის იმპერიის მთლიანობის შენარჩუნება მასში მცხოვრები ქრისტიანების მდგომარეობის გაუმჯობესების პირობით (история дипломатии, 1945, : 25-26). საფრანგეთი და იტალია დაეთანხმნენ სამი იმპერატორის ამ პროგრამას, მაგრამ ინგლისის მთავრობამ არასასურველად ჩათვალა ახალი ჩარევა ოსმალეთის საქმეებში, რადგან მას არ სურდა რუსული გავლენის გაძლიერება არც სრუტეებზე და არც ბალკანეთში, საიდანაც იგი კონსტანტინეპოლს უშუალოდ დაემუქრებოდა (იქვე: 26). ამავე პრობლემის გადაწყვეტის მცდელობას ადგილი ჰქონდა რეისშტადტის შეხვედრაზე 1876 წლის 8 ივლისს, ერთი მხრივ – რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე II-სა და საგარეო საქმეთა მინისტრ გორჩაკოვს, მეორე მხრივ – ავსტრიის იმპერატორ ფრანც-იოსებსა და ანდრაშს შორის. ამ შეხვედრიდან ჩვენთვის საინტერესოა ის, რომ რუსეთმა მიიღო ავსტრიის თანხმობა ზოგიერთი, 1856 წელს დაკარგული, ტერიტორიისა და ბათუმის შეერთებაზე (იქვე: 30). დიპლომატიური მანევრების მიუხედავად, რუსეთ-ოსმალეთის ომი გარდაუვალი გახდა და 1877 წლის 24 აპრილს რუსეთის იმპერატორმა ხელი მოაწერა მანიფესტს მისი დაწყების შესახებ.

რუსეთ-ოსმალეთის ამ ომში ოსმალეთი დამარცხდა და კონსტანტინეპოლის მახლობლად, სან-სტეფანოში ხელი მოაწერა სამშვიდობო ხელშეკრულებას (1878 წლის 1 მარტი), რომლითაც განმტკიცდა რუსეთის პოზიციები ბალკანეთსა და სრუტეების ზონაში. ეს კი ხელს არ აძლევდა ევროპის არცერთ დიდ სახელმწიფოს. ამიტომაც 1878 წლის 6 მარტს ანდრაში ოფიციალურად გამოვიდა კონფერენციის მოწვევის წინადადებით, სადაც განიხილავდნენ რუსეთ-ოსმალეთის ზა-

ვის ყველა პირობას. რუსეთის ხელისუფლება იძულებული გახდა დათანხმებოდა ამ მოთხოვნას.

კონგრესი გაიხსნა ბერლინში 1878 წლის 13 ივნისს. ბალკანეთის პრობლემის დარეგულირებაში კონგრესზე რაიმე გაუგებრობას ადგილი თითქმის არ ჰქონია და შეთანხმება მიღწეული იქნა, მაგრამ რუსეთის ტერიტორიულმა შენაძენმა აზიაში რუსეთი კინაღამ კრიზისამდე მიიყვანა. რუსეთ-ინგლისის 1878 წლის 30 მაისის საიდუმლო სეპარატულ შეთანხმებაში ნათქვამი იყო, რომ რუსეთი “დაიკავებს” ბათუმს. სოლსბერმა და ბიკონსფილდმა ეს ფორმულირება გამოიყენეს იმისათვის, რომ თითქოს ინგლისს არ მიუცია თანხმობა რუსეთისათვის ბათუმის მიერთებაზე და დათანხმდნენ მხოლოდ მის ოკუპაციაზე. მაგრამ საბოლოოდ ისინი იძულებული გახდნენ ეცნოთ ბათუმის, ყარსისა და არტაანის რუსეთისათვის გადაცემა. ინგლისმა მხოლოდ ის მოახერხა, რომ რუსეთს თავს მოახვია ბათუმის პორტო-ფრანკოდ გამოცხადება (იქვე: 50).

ამრიგად, 1878 წლის ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით, საქართველოს კიდევ ერთი, ძირძველი ისტორიული კუთხე – აჭარა დედასამშობლოს წიაღს დაუბრუნდა. არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმის მტკიცებას, რომ ბათუმი და აჭარა, ამიერკავკასიის სხვა ტერიტორიებთან ერთად, რუსეთმა კონტრიბუციის სახით მიიღო (ესენ დაი, 2001 : 89). ეს იყო ქართველი ხალხის სამსაუკუნოვანი ოცნების, ამასთან, ისტორიული სამართლიანობის – შეეერთებინა თანამოძმე ქართველი მაჰმადიანებით დასახლებული დაკარგული ისტორიული ტერიტორიები, – აღსრულება. ამ საქმეში, რა თქმა უნდა, დიდი როლი შეასრულა რუსეთის სამხედრო ძალამ და დიპლომატიამ, მაგრამ ამ შემთხვევაში რუსეთიც, როგორც თავის დროზე ოსმალეთი, თავისი სამფლობელოების გაფართოებასა და შავი ზღვის აუზში გავლენის გაძლიერება-გამტკიცებას ისახავდა მიზნად და არა საქართველოს ისტორიული ტერიტორიების გაერთიანებას. ეს იყო მისი ბუნებრივი განვრცობის ჩვეულებრივი პროცესი, რომელსაც რაიმე კეთილშობილური მისწრაფებანი არ წარმართავდა და ამიერკავკასიაში რუსეთის იმპერიულ-ანექსიონისტური პოლიტიკის განხორციელების შედეგს წარმოადგენდა. აღნიშნული

პროცესი, მოცემულ შემთხვევაში, მხოლოდ ირიბად დაემთხვა ქართველი ერის სწრაფვას – ჰქონოდა ერთიანი სამშობლო ერთი სახელმწიფოს საზღვრებში. აჭარის სამშობლოსთან დაბრუნებაც ამ ისტორიული სწრაფვის ლოგიკური დაბოლოებაა. ხოლო მისი ბედუკუდმართობა სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ იგი ორ დამპყრობელს შორის აღიქმებოდა, როგორც დიპლომატიური მანევრების საგანი და საკონტრიბუციო ობიექტი; ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ისტორიული ტერიტორიების რუსეთის სკიპტრის ქვეშ გაერთიანებამ ხელი შეუწყო ქართველი ერის კონსოლიდაციას და მასში ერთიანი ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბებას, რამაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ბრძოლაში.

ამ მხრივ დიდი მუშაობა გაიშალა ახლად შემოერთებულ ბათუმის ოლქშიც. ილია ჭავჭავაძემ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან“ ერთად დაიწყო ზრუნვა ამ კუთხეში სკოლების, ბიბლიოთეკებისა და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა გახსნისათვის. ქართველმა საზოგადოებამ გულთან ახლოს მიიტანა მუსლიმან მოძმეთა გაჭირვება და დაიწყო აქტიური მოღვაწეობა ოსმალთა ბატონობის შედეგად რეგიონში დამკვიდრებული უმცირესობისა და სიბნელის სწავლა-განათლების შექით გასაფანტავად. უკვე 1878 წლიდან დაიწყო სამხადისი აჭარაში ქართული სკოლების გახსნელად. რეგიონში ქართული სკოლების გახსნას დიდ მნიშვნელობას აძლევდა იაკობ გოგებაშვილიც (ი. გოგებაშვილი, 1940: 270). ამავე საქმით ძლიერ იყვნენ დაინტერესებულნი და დიდ მზრუნველობას იჩენდნენ ალ. ყაზბეგი, ან. ფურცელაძე, ნ. ცხვედაძე და სხვები (ხ. ახვლედიანი, 1956 : 152-153).

ქართველმა საზოგადოებამ გულთან ახლოს მიიტანა ამ კუთხის ყველა სატიკვარი და ცდილობდა მხარში დადგომოდა აჭარას ტკივილების გადატანა-მოშუშებაში. განსაკუთრებით ეს გამჟღავნდა ადგილობრივი მოსახლეობის მუჰაჯირებად წასვლის წინააღმდეგ ბრძოლაში. ქართველმა მოღვაწეებმა დიდი ყურადღება დაუთმეს არა მარტო მუჰაჯირობის მიზეზების კვლევას და მის წინააღმდეგ აგიტაციას, არამედ ამ საქმეში რუსეთის ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის აქ-

ტიურ მხილებასაც. უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის ცარიზმის კოლონიური პოლიტიკა სრულიად შეესაბამებოდა რუსული მმართველობის ბუნებას, მის იმპერიულ ცნობიერებას. იგი ძირითადად მიმართული იყო შემოერთებულ მხარეებში იმპერიული მმართველობის განმტკიცებისაკენ, რაც, უპირველეს ყოვლისა, იქ რუსების დასახლებით იყო შესაძლებელი.

კოლონიურ ადმინისტრაციას სრულიადაც არ აღარდებდა ადგილობრივი მოსახლეობის თავისებურებანი და თვითმყოფადი ხასიათი. იგი ადგილობრივ “ტუზემცებს” ყოფდა ორ კატეგორიად – ე.წ. “მშვიდობიანი” (რომლებიც არ ეწინააღმდეგებოდნენ რუსულ მმართველობას, სწავლობდნენ რუსულ ენას, შვილებს რუსულ სკოლებში აბარებდნენ აღსაზრდელად და ა.შ.) და “მშფოთვარენი” (ვინც ეწინააღმდეგებოდნენ რუსთბატონობას) (ბუხრაშვილი პ., 2000: 75). რუსეთის კოლონიური ადმინისტრაცია სრულიადაც არ ზრუნავდა შემოერთებული ტერიტორიების მკვიდრი მოსახლეობის განვითარებასა და კულტურულ დაწინაურებაზე; როგორც ცნობილია, რუსეთის იმპერია ძირითადად სამხედრო ძალას ეფუძნებოდა და საკუთარი რუსი ხალხიც კი მოუვლელ-მიუხედავი ჰყავდა. თვით რუსი პუბლიცისტებიც კი აღიარებდნენ, რომ რუსთხელმწიფებას, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, არავითარი განმანათლებლურ-კულტურული ფუნქციის შესრულება არ შეეძლო (იქვე: 77). ასეთ პირობებში კი უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველ საზოგადო მოღვაწეთა იმ ძალისხმევას, რომელსაც ისინი სამუსლიმანო საქართველოს ამ ნაწილში ეწეოდნენ კულტურულ-საგანმანათლებლო კერების დაარსებისა და ქართული ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძების, გაღვივებისა და განმტკიცებისათვის. თავისი მოძმისათვის “განწირულის სულისკვეთებას” უქმად არ ჩაუვლია და როდესაც საამისო დრო დადგა, აჭარაში უკვე მომზადებული იყვნენ სათანადო ძალები, რათა გვერდში ამოდგომოდნენ ზოგადქართულ სატყეარს და თავისი წვლილი შეეტანათ ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენაში, ერთიანი და განუყოფელი საქართველოს იდეის განხორციელებაში. პატრიოტული იდეალებით გამსჭვალული სამაჰმადიანო საქართველოს პროგრესულად მოაზროვნე მამულიშვილები ამ დიდ საქმეში მხარში ამოუდგნენ თავიანთ ქრისტიან ძმებს და

შესძლეს აჭარის რეგიონში აღორძინებული, დიდი ქართული სასიცოცხლო ენერგიის საერთო ქართული ინტერესების სამსახურში ჩაყენება.

გამოყენებული ლიტერატურა და საარქივო მასალები:

1. Цагарели А.А., Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся к Грузии т. I, (1768-1770), СПб, 1891.
2. Цагарели А.А., Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся к Грузии т. II, вып. 1, СПб, 1898.
3. Цагарели А.А., Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся к Грузии (1760-1911), т. II, вып. 2, СПб, 1902.
4. Известия кавказского отдела истории русского географического общества (ИКОИРГО), т. 8, 1905.
5. Акты, собранные Кавказской Археологической Комиссией (АКАК), т. II. 1868.
6. Дубровин В., история воин и владычества русских на Кавказе, т. V, С.- Петербург, 1887.
7. История Дипломатии, под редакцией В.П. Потемкина, т. I, ОГИЗ, Москва, 1941.
8. История Дипломатии, под ред. В.П. Потемкина, т. II, ОГИЗ, Москва, Ленинград, 1945.
9. Груко-Кряжин В.А., Ближний восток и державы, Научн. асоц. восточновед. при ЦИК СССР, Москва, 1925.
10. მეგრელიძე შ., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, თბ., 1963.
11. საქართველოს ისტორია, თბ., 1948.
12. ესეინ-დაი, ელვიე-ი სელასე/სამი სანჯაყი (ყარსი, ბათუმი, არტანი), ახალციხე, ყარსი, (სიმპოზიუმის შრომები), V, 2001.
13. გოგებაშვილი ი., თხზ., ტ. II, თბ., 1940.
14. ახვლედიანი ხ., სახალხო განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან სამხრეთ საქართველოში, ბათ., 1956.
15. ბუხრაშვილი პ., რუსული კოლონიური ცნობიერება და ამიერკავკასიის ეთნოპოლიტიკური რეალობა, ჟურნ., „ამირანი“, მონრეალი-თბილისი, 2000.

The question of Batumi in the International Relations Before Addition of Adjara

Summary

In the issue it is said about the interest of the international diplomacy by the questions of the relations toward Batumi and the tendention of the Russian side to join this important harbour of the Eastern seacoast of Black Sea. It is investigated the events after Russian-Turkish war of the 1828-1829 and Crimean war of the 1853-1856 in the relationship to this problem, so called Batumi question in the time of joining of Adjara and the incorporation of this region into Russian Empire

Уча Окропиридзе

Батумский вопрос в международных отношениях до присоединения Аджарии

Резюме

В работе рассказано о заинтересованности международной дипломатии вопросами отношения к Батуми и стремления Российской стороны, присоединить этот значительный порт восточного побережья Черного моря. Исследованы события после Русско-Турецкой войны 1828-1829 г.г. и Крымской войны 1853-1856 г.г., которые относятся к данной проблеме о так называемом Батумском вопросе при присоединения Аджарии и передаче этого региона Российской империи.

ზოგიერთი ცნობა პროფესორ ა.ნ. კრასნოვის ნარკვევზე „სამხრეთ კოლხეთი“

პეტროგრადში 1915 წელს გამოცემული ბოტანიკოსი, პროფესორის ა. ნ. კრასნოვის ნარკვევი „სამხრეთ კოლხეთი“ მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის კავკასიის სამხრეთ რეგიონის უძველესი ისტორიის შესახებ. აქვე წარმოდგენილია მდიდარი ფოტომასალა და სამხრეთ კავკასიის რუკა.

უდავოდ დიდი წვლილი მიუძღვის პროფ. ა. კრასნოვის ბათუმის ბოტანიკური ბაღის დაარებაში, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მის ჩამოსვლამდე ათვისებული და აყვავებული იყო ადგილობრივი მოსახლეობის მიერ მწვანე კონცხი, რასაც თვითონაც აღნიშნავს. პროფ. კრასნოვმა მწვანე კონცხზე საფუძველი ჩაუყარა სამეცნიერო კერას.

ა.ნ. კრასნოვი ნაშრომში ანვითარებს ჰეროდოტეს შეხედულებას კოლხთა და ეგვიპტელთა ერთიანი წარმომავლობის შესახებ. იზიარებს რა ამ თვალსაზრისს, იგი პარალელს ავლებს ეგვიპტურ და კოლხურ კულტურებს შორის, ნახულობს მათ შორის დიდ მსგავსებას. პროფ. ა.ნ. კრასნოვი ერთგან აღნიშნავს, რომ კოლხები და ეგვიპტელები დიდხანს ინარჩუნებდნენ აზრს ნათესაური კავშირების შესახებ. მეომარი ეგვიპტელები, - წერს იგი, - ეზიარნენ კოლხურ კულტურას, შეეთვისნენ ადგილობრივ მოსახლეობას და ოჯახებიც კი შექმნეს. დიდი ხნის მანძილზე კოლხებში შენარჩუნებული იყო ეგვიპტური კულტურის ნიშნები. აქვე იგი დასძენს, რომ ჩრდილოეთ კოლხეთში კულტურის პირველი გამავრცელებელი იყვნენ ეგვიპტელები (Краснов, 1915: 8). შევნიშნავთ, რომ მისი მოსაზრება კოლხთა წარმომავლობის შესახებ არ შეესაბამება რეალობას.

ასევე მცდარად მიაკუთვნებს იგი აღნიშნულ რეგიონს რუსეთს. ჩამოთვლის რა კოლხეთის საზღვრებს, აჭარის მთის ფერდობიდან ჭოროხის იქით ზღვამდე და მდინარე ჩოლოქამდე,

ასევე ქობულეთსა და თურქეთის საზღვრებამდე და შემდეგ ტრაპიზონისაკენ, იქვე დასძენს, რომ სწორედ იმ ქვეყანას, რომელსაც უკავია გრძელი სანაპირო ხაზი, ეწოდება სამხრეთ კოლხეთი და იგი ეკუთვნის რუსეთს. არ შეესაბამება სინამდვილეს მის მიერ წარმოდგენილი არგუმენტი იმის შესახებ, რომ თითქოსდა რუსეთის სამფლობელოები ამიერკავკასიის ჩათვლით მიეკუთვნებიან ცივი ზამთრის ქვეყნებს. სხვადასხვა დროს ხან ერთი და ხან მეორე დამპყრობლის მიერ მიტაცებული სამხრეთ კოლხეთი ყოველთვის საქართველოს ისტორიულ მიწა-წყალს წარმოადგენდა.

ვერ დავეთანხმებით პროფ. ა.ნ. კრასნოვის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებითაც, რომ ბერძნულ-რომაული კულტურის აყვავების პერიოდში კოლხეთი წარმოადგენდა ველურ ადამიანთა თავშესაფარს, რომლებიც აოცებდნენ თანამედროვეებს თავიანთი უხეში და დაუხვეწელი ზნე-ჩვეულებებით. ამ აზრის გასამყარებლად იგი იმოწმებს ”ქართლის ცხოვრებას“, სადაც საუბარია ალექსანდრე მაკედონელის მმართველობის ხანაში მტკვარის ზემო სანაპიროზე მცხოვრები ბარბაროსების შესახებ, რომლებიც კი არ ასაფლავებდნენ, არამედ ჭამდნენ გარდაცვლილებს და არ ცნობდნენ გვაროვნულ სამართალს. ლაშქრობათა მონაწილენი (გულისხმობს ქსენოფონტეს ლაშქრობებს ძვ. წ. 401 წ.) კოლხებს მათ მიერ ნახულ ხალხთა შორის ყველაზე ველურებად მიიჩნევდნენ. პროფესორი კრასნოვი ასევე იმოწმებს სტრაბონს, რომელიც იგივე აზრისაა ამ ხალხზე. იგი აღნიშნავს, რომ კოლხები ხეებზე ცხოვრობენ, იქ ჩასულებს სასმელით აბრუებენ და ადვილად კლავენ. ამ გზით, - დასძენს იგი, - მათ გაანადგურეს პომპეუსის რამდენიმე კოჰორტა. ქსენოფონტეს ჯარმაც იზარალა ამ სასმელის გამო. მისი აზრით, კოლხები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებ ველურთა მსგავსია (აღბათ, გულისხმობს ველურობის პერიოდის რუსეთს, როცა სასმელით გაბრუებული და სულწარმეული თათრული მოღვმის რუსი გაეთხლარშებოდა მიწაზე. ეს თვისება ჰქონიათ თათრებსაც, ისინი ვერ ეგუებოდნენ სასმელს).

ერთგან პროფესორი ა.ნ. კრასნოვი მიუთითებს სამხრეთ კოლხეთის სანაპიროზე მცხოვრები ხალხის უკულტურობაზე. ამის მიზეზად იგი ასახელებს ანტროპო-გეოგრაფიულ ფაქტორს, კერძოდ, ეკლიან და გაუვალ ტყეებს, რომელიც ყოველთვის იყო კულტურულად ჩამორჩენილ ხალხთა თავშესაფარი. იგი ანალოგიად ასახელებს ჯუჯებით დასახლებულ ეკვატორულ აფრიკას და კაციჭამიებით სავსე ბრაზილიისა და ახალი გვინეის ტყის მასივებს (Краснов, 1915.: 8). ვერ გამოდგება არგუმენტად ტყისა და ზღვის სანაპირო ადგილების ჯუჯების, ველურების და კაციჭამიების საცხოვრისად გამოცხადება.

პროფ. ა.ნ. კრასნოვის ზემოთ მოყვანილი არგუმენტების გასაბათილებლად საკმარისია დავასახელოთ ბერძენი მწერლის ქსენოფონტეს "ანაბაზისი", სადაც იგი გვესაუბრება შავი ზღვის სამხრეთით მცხოვრები ქართველი ტომების კარდუხების, ტაოხების, მოსინიკების, ხალიბების და სხვათა ყოფა-ცხოვრების შესახებ და ხაზს უსვამს მათ დიდ კულტურას. ასევე საყურადღებოა ბერძენი გეოგრაფის სტრაბონის (ძვ. წ. 64 ახ. წ. 84) მიერ აღნიშნული დიდი საეაჭრო გზა (მდ. რიონი, მდ. მტკვარი, კასპიის ზღვა), რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ძველი საბერძნეთის აღმოსავლეთის ქვეყნებთან ვაჭრობის საქმეში.

ბოლოს წარმოვიდგენთ ნაწყვეტს პროფ. ა.ნ. კრასნოვის წიგნიდან:

„ჯერ კიდევ შორეულ წარსულში, მშვიდობისმოყვარე, მიწათმოქმედი ეგვიპტელი ხალხი ფარაონ სეზოტრისის მეთაურობით კეთილი ზრახვებით აწარმოებს ლაშქრობას ჩრდილოეთის ქვეყნებში. სეზოტრისის ფლოტი გარს უვლის შავი ზღვის სანაპიროს ქვეყნებს. სუპტროპიკული სამხრეთის ქვეყნის შვილებს არ მოეწონათ თოვლით დაფარული სკვითების სტეპები და მთავორიანი კავკასიის სანაპირო.

უჩვეულო სტეპებისა და მთების გადალახვის შემდეგ ეგვიპტელთა თვალწინ გადაიშალა ქარებისა და ყინვებისაგან კავკასიონით დაცული რიონის დაბლობი, რომელმაც მათ სამშობლო გაახსენა, ნილოსის დაბლობი. ეგზოტიკური მცენარეული საფარის მიუხედავად ეს ორი ქვეყანა ძალიან ჰგავდა ერთმანეთს.

ჰიქსოსებისა და ეგვიპტელთა შთამომავლების ერთ ნაწილს ძალიან მოეწონათ ეს ადგილები. ისინი უკან აღარ გაჰყვნენ ფარაონს, აქ დარჩნენ და შავი ზღვის სანაპიროზე მეორე ეგვიპტეს ჩაუყარეს საფუძველი.

დიდი გამოცდილების მქონე ეგვიპტელებმა ხელი მიჰყვეს ტილოსა და ქსოვილების წარმოებას. მსოფლიოში განთქმული იყო სარდინიული და ეგვიპტური ტილოს ქსოვილები. მეომარი ეგვიპტელები ეზიარნენ კოლხურ კულტურას, შეეთვისნენ ადგილობრივ მოსახლეობას და ოჯახებიც კი შექმნეს. დიდი ხნის მანძილზე კოლხებში შენარჩუნებული იყო ეგვიპტური კულტურის ნიშნები. დღეს ეს მსგავსება შეინიშნება ზოგიერთ სიტყვაშიც. ასე მაგალითად, სიტყვა კერი, რომელიც აღნიშნავს ქარს, კარს. ეგვიპტეში კარი იყო ერთადერთი საშუალება ქარისა და ჰაერის სამოძრაველად, რაც არ შეიძლება ითქვას მეგრული სახლის კარის შესახებ. ეგვიპტელთა ტოტემმა კატამ აღიარება ჰპოვა კოლხებში. ჰეროდოტეს თქმით, უძველესი დროიდან ეგვიპტელებსა და კოლხებში იყო წინადაცვეთის ჩვეულება, რომელთაგან შეითვისეს მეზობელმა მაკრონებმა და ჭანებმა, შემდეგ კი სირიისა და სხვა ქვეყნის ხალხმა. ჰეროდოტე აღნიშნავს, რომ ეგვიპტელები დიდხანს ინარჩუნებდნენ აზრს კოლხებთან ნათესაური კავშირების შესახებ. ეს წარმოდგენა შემორჩათ მცირე აზიაში მცხოვრებ ხალხსაც.

ავანტიურისტები დაინტერესებულნი იყვნენ მდიდარი კულტურის მქონე რიონის (ძველი ფაზისი) სანაპიროებით. ერთ-ერთი ასეთი მძარცველურ-ავანტიურისტული ექსპედიცია განახორციელეს არგონავტებმა. მითი არგონავტების შესახებ ისტორიული ხასიათისაა და სინამდვილეს შეიცავს. კოლხეთის მეფე აიეტი ქალაქ ქუთაისიდან ზღვით დაედევნა ოქროს საწმისის გამტაცებელ იაზონს. მდევარის შეკავებისა და გაქცევის მიზნით იაზონმა მოჰკლა აიეტის შვილი აფსირტე და ნაწილ-ნაწილ გადაჰყარა ზღვაში. ზღვიდან ამოღებული შვილის ნეშტი აიეტმა დაასვენა უახლოეს ნაპირთან, სადაც მოგვიანებით გაშენდა თეატრი, იპოდრომი და სხვა ფასეულობების მქონე მდიდარი ციხე-ქალაქი აფსაროსი. სტრაბონის დროში მისგან მხოლოდ

ნაშთებიდა დარჩა. სტრაბონის ცნობით, აფრსაროსი მდებარეობდა თურქეთის ლაზისტანიის სოფელ ათინადან მცირეოდენი დაშორებით, ჩრდილო-აღმოსავლეთით. ეჭვი არ არის, რომ იგი მდებარეობდა მაკრიალთან ახლოს მთებში, სადაც დღესაც მოსჩანს ციხის ნანგრევები და შესაძლებელია აფსირტეს სამარხიც აქ იყოს. ძნელი დასაჯერებელია, რომ აიეტმა შვილი უცხო ქვეყანაში დამარხა. ეს მათ ჩვეულებას არ შეეფერებოდა. ამის გაკეთება არც იყო აუცილებელი, რადგან სამშობლო ახლოს იყო. ბუნებრივია, რომ ამ სანაპიროებზე დასახლებული იყო მისი საგვარეულო, ჭანების მეზობლები, დღემდე აქ მცხოვრებნი, რომლებმაც კოლხებისაგან შეითვისეს წინადაცვეთის ჩვეულება. აქ მცხოვრები ხალხის ენა ძალიან ახლოს დგას მეგრულთან. უმრავლესობა მეგრელებში შეიძლება დავინახოთ კოლხთა შთამომავლები. კოლხებს მოგვიანებით უწოდეს ლაზები, ხოლო ქვეყანას კი ლაზეთი. ამჟამად ლაზებს უწოდებენ ჭოროხის იქით მცხოვრებ ხალხს, რომელთა უმრავლესობა იწოდება ჭანებად. „ჭანი“ ქართულად ნიშნავს დაბლობის მცხოვრებს. ამიტომაც უსაფუძვლოა ჭანების მოხსენიება განსაკუთრებულ ხალხად. ძველად კოლხების, იგივე ლაზების ქვეყანას ეკავა სანაპირო სამეგრელოდან ტრაპიზონის მისაღვომამდე. ეს ქვეყანა დებულობს სახელწოდებას იმისდა მიხედვით, თუ ვის მფლობელობაში გადადიოდა – ლაზეთის, იმერეთის, გურიის, ქუთაისის გუბერნიის თუ ბათუმის ოლქის, მაგრამ ისტორიკოსებისათვის იგი ყოველთვის კოლხეთის ქვეყანა იყო. ის ნაწილი, რომელიც უკავია რიონის დაბლობს, შეადგენს ჩრდილოეთ კოლხეთის რეგიონს, ხოლო მისი სამხრეთი ნაწილი მოიცავს ტერიტორიას აჭარის მთის ფერდობიდან ჭოროხის იქით ზღვამდე და მდინარე ჩოლოქამდე, ქოულეთსა და თურქეთის საზღვრებამდე და შემდეგ ტრაპიზონისკენ. სწორედ ამ ქვეყანას, რომელსაც უკავია გრძელი სანაპირო ხაზი, ჩვენ ვუწოდებთ სამხრეთ კოლხეთს და შემოვიფარგელებით მხოლოდ იმ ნაწილის აღწერით, რომელიც ეკუთვნის რუსეთს“.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. А.Н. Краснов, Южная Колхида, П. 1915.
2. ქსენოფონტე ”ანაბაზისი”. თბ., 1967.
3. თ.ყაუხჩიშვილი. „სტრაბონის გეოგრაფია“. თბ., 1957.

Merab Megrelishvili

Some information about “South Kolkhida” by professor A.N. Krasnov

Summary

The article deals with different extracts from “South Kolkhida” by professor A.N Krasnov. Here are also given the translation of some extracts from this book.

Мераб Мегрелишвили

Некоторые сведения об очерке «Южная Колхида» профессора А.Н. Краснова

Резюме

В статье описаны разные аспекты очерка А.Н.Краснова «Южная Колхида». Также представлен перевод отдельных частей данной книги.

ბათუმი ანტანტის სახელმწიფოების გეგმებში პარიზის საზავო კონფერენციის პერიოდში

პარიზის სამშვიდობო კონფერენცია მიმდინარეობდა 1919 წლის 18 იანვრიდან – 1920 წლის 21 იანვრამდე (შესვენებებით). მისი მოწვევის ინიციატორები იყვნენ პირველ მსოფლიო ომში გამარჯვებული ანტანტის ბლოკის წამყვანი სახელმწიფოები: დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, აშშ, იტალია და იაპონია. კონფერენციის ამოცანას შეადგენდა ომში დამარცხებულ გერმანიასთან და მის მოკავშირეებთან საზავო ხელშეკრულებების შემუშავება და ხელმოწერა, რაც განხორციელდა: გერმანიასთან (ვერსალის საზავო ხელშეკრულება) - 1919წ. 28 ივნისს, ავსტრიასთან (სენ-ჟერმენის) - 1919წ. 10 სექტემბერს, ბულგარეთთან (ნეის) - 1919 წ. 27 ნოემბერს, უნგრეთთან (ტრიანონის) - 1920 წ. 4 ივნისს და ოსმალეთთან (სევრის საზავო ხელშეკრულება) - 1920 წ. 10 აგვისტოს. ეს საზავო ხელშეკრულებები გახდა საფუძველი ვერსალის სისტემისა, რომლის მიზანი იყო ომის შემდგომი მსოფლიოს გადანაწილების შენარჩუნება.

პარიზის საზავო კონფერენციაზე 1919 წ. 28 აპრილს, აგრეთვე შექმნეს სახელმწიფოთა პოლიტიკური თანამშრომლობის პირველი საერთაშორისო ორგანიზაცია – „ერთა ლიგა“ (იარსება 1946 წლამდე). მისი წესდების ძირითადი პრინციპები აისახა ყველა ზემოაღნიშნულ საზავო ხელშეკრულებაში.

ვერსალის სისტემამ ვერ მოიტანა სასურველი სტაბილურობა და თანამშრომლობა. თვით ანტანტის ქვეყნებს შორის წარმოიშვა სერიოზული წინააღმდეგობები და მეტოქეობა გავლენის სფეროებისათვის. ერთ-ერთ ასეთ რეგიონად იქცა ამიერკავკასია, რომლის გასაღებადაც ბათუმი ითვლებოდა. ეს ქალაქი-ნავსადგური იყო აგრეთვე ბაქოს ნავთობის დასავლეთში ექსპორტის ბაზა და კასპია-ირან-შუა აზიისაკენ სატრანზიტო გზის საწყისი პუნქტი. ამიტომ, მას შემდეგ, რაც 1918 წ. დეკემბრის დამლევს ბათუმი დიდი ბრიტანეთის საო-

ოკუპაციო ძალებმა დაიკავეს, ეს ქალაქი იქცა ანტანტის მთავარ ქვეყნებს შორის ქიშპობისა და უთანხმოების ობიექტად.

აღსანიშნავია, რომ პარიზის კონფერენციაზე ცალკე განხილვის საგანი არ გამხდარა ბათუმის და საერთოდ საქართველოს საკითხი. ამის მიუხედავად, მათზე მსჯელობა არაერთხელ წარიმართა ანტანტის უმაღლესი საბჭოს მიერ რუსეთის საკითხისა და ოსმალეთთან ზავის პირობების განხილვის დროს.

ცნობილია, რომ ამიერკავკასიის ოკუპაცია ინგლისელებმა მოახდინეს საფრანგეთთან ჯერ კიდევ 1917 წლის 23 დეკემბერს ხელმოწერილი გავლენის სფეროების შესახებ კონვენციის საფუძველზე და 1918 წლის 30 ოქტომბერს ოსმალეთთან გაფორმებული მუდროსის დროებითი ზავით, რომლის მე-15 მუხლით „მოკავშირეებს უფლება ენიჭებოდათ დაეკავებინათ ბათუმი და ბაქო“ (დამბაშიძე, 1964 : 12). მუდროსის ზავი მოკავშირეებმა შეაფასეს მათი ინტერესების შელახვად, მათთან შეუთანხმებლად გაფორმებულ სეპარატულ ზავად, რომელიც ინგლისს განუსაზღვრელ უფლებებს აძლევდა თურქეთში და საერთოდ მახლობელ აღმოსავლეთში. ფრანგი ისტორიკოსის, მ. გოლის აზრით, მუდროსის ზავი „ეს იყო პირველი დარტყმა საფრანგეთის გავლენისათვის თურქეთში“ (M. Gaulis, 1931:5). მტკივნეულად აღიქვეს ეს ფაქტი ამერიკის შეერთებულ შტატებშიც, სადაც კავკასიას ასევე განიხილავდნენ „თურქეთის პრობლემის ნაწილად“ (Архив полковника Хауза, 1944 : 152).

ინგლისის მთავრობამ, მოკავშირეთა უკმაყოფილების მიუხედავად, მტკიცედ გადაწყვიტა ამიერკავკასიის ოკუპაცია. მთავრობას ამისკენ მოუწოდებდა ინგლისის სამრეწველო-ფინანსური წრეებიც. ნავთობის ერთ-ერთი კომპანიის თავმჯდომარე ჰერბერტ ალენმა 1918 წლის დეკემბერში ლონდონში საჯაროდ განაცხადა: „ბრიტანეთის კუნძულების ისტორიას ჩვენთვის არასოდეს მოუცია ასეთი ხელსაყრელი შემთხვევა ბრიტანეთის სამფლობელოებისა და ბრიტანეთის ვაჭრობის მშვიდობიანი გაფართოებისათვის, მეორე ინდოეთის ან მეორე ეგვიპტის შექმნისათვის. რუსეთის ნავთის მრეწველობა, ფართოდ დაფინანსებული და კარგად ორგანიზებული ბრიტანულ საწიყისებზე, იმპერიის უძვირფასესი შენა-

ძენი იქნებოდა“ (Енукидзе, 1954 : 138-139). ბაქოს ნავთობის საზღვარგარეთ გატანის ერთადერთი ხელსაყრელი პუნქტი კი იყო ბათუმი. ამდენად, ინგლისის სავაჭრო-სამრეწველო ინტერესებიც მოითხოვდა მის უსწრაფესად ოკუპაციას, რაც განხორციელდა კიდეც 1918 წლის 22 დეკემბერს. ამიტომაც იყო, რომ საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა პინოშმა 1918 წლის 28 დეკემბერს დეპუტატთა პალატაში წარმოთქვა სიტყვა, რომელშიც ხაზგასმით შეეხო ინგლისის მიერ ბათუმის ოკუპაციის საკითხსაც (ავალიშვილი, 1929 : 138).

ინგლისელები, ითვალისწინებდნენ რა თავიანთ მოკავშირეთა ძლიერ ინტერესს ბათუმის ოლქისა და საერთოდ კავკასიისადმი, ყოველი ღონისძიებით ცდილობდნენ არ დაეშვათ აქ ისინი. ჯერ კიდევ 1918 წლის 7 დეკემბერს ჰენრი უებსტერი* ბათუმში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენელ დიომიდე თოფურიძესთან საუბარში აღნიშნავდა, რომ მიუხედავად ინგლისის, საფრანგეთისა და აშშ-ის მოკავშირეობისა და მეგობრობისა, თითოეულ მათგანს აქვს საკუთარი მისწრაფებანი, მაგრამ ვინაიდან „ინგლისს სამხრეთ აზიაში დიდი ინტერესები აქვს, იგი არ დაუშვებს, რომ კავკასიაში სხვა რომელიმე სახელმწიფოს ჰქონდეს გავლენა“ (მაღლაკელიძე, 1953:24).

აშშ-ისა და საფრანგეთის მთავრობები არ სცნობდნენ დიდი ბრიტანეთის პრეტენზიებს ამიერკავკასიის მიმართ და თვითონაც ცდილობდნენ აქ წილის დაღებას. ამიტომაც იყო, რომ ამიერკავკასიიდან გერმანელთა და ოსმალთა ჯარების წასვლის შემდეგ ინგლისელებთან ერთად კავკასიას მოაშურეს ამერიკის (ჯედსონი) და საფრანგეთის (შარდინი) მისიებმა. ამან ინგლისელები ძლიერ გაადიზიანა. თბილისში დენიკინის ემისარი იტკინი 1918 წლის 30 დეკემბერს გენერალ ა. დრაგომიროვს** მოახსენებდა: „ბრიტანეთის გავლენის სფე-

* ჰენრი უებსტერი – ინგლისის არმიის კაპიტანი, ერთი იმ ოფიცერთაგანი, რომელიც გენერალმა ტომსონმა ბაქოს დაკავების შემდეგ გაგზავნა ამიერკავკასიის მსხვილ ქალაქებში ინგლისის საოკუპაციო ჯარების დახვედრის ორგანიზაციისათვის (აცსა, ფ.67, ს.15, ფურც. 220).

** გენერალი დრაგომიროვი – დენიკინთან არსებული „განსაკუთრებული საბჭოს“ (მთავრობის ორგანო) თავმჯდომარე.

როში მოკავშირეთა საქმიანობის ყოველგვარ გამოვლინებას ბრიტანეთის სარდლობა ძლიერ ნერვიულად ეკიდება“ (ЦГАНИ РФ. 446, оп. 2, д. 35, л. 132). ინგლისელებს განსაკუთრებით აფიქრებდათ ამერიკელთა მისიის აქ ყოფნა. მით უმეტეს, რომ აშშ არ მაღავდა ახლო აღმოსავლეთისადმი თავის ინტერესს. ამიტომ, ინგლისი და საფრანგეთი, ურთიერთშორის არსებული წინააღმდეგობების მიუხედავად, უმეტეს შემთხვევაში ერთად გამოდიოდნენ ამ რეგიონში აშშ-ის მისწრაფებების ასალაგმად.

ამერიკელებისაგან დამოუკიდებლად ამიერკავკასიაში ინგლისის გავლენის წინააღმდეგ გამოდიოდა საფრანგეთიც. საფრანგეთის მისიის ხელმძღვანელმა პოლკოვნიკმა შარდინიმ თბილისში დაუფარავად განაცხადა, რომ ინგლისი გეგმავს თავისთვის „შექმნას ახალი ეგვიპტე – ბათუმი, ამიერკავკასია, ტაშკენტი, ირანი“. ამიტომ „აუცილებელია ამიერკავკასია დაიკავოს საერთაშორისო არმიამ – ურთიერთკონტროლისა და ამ მხარის რუსეთისათვის შენარჩუნების მიზნით“ (აცსა, ფ. 67, ს. 15, ფურც. 262). ინგლისელთა შეუზღუდავი გავლენის გაწონასწორებას ითვალისწინებდა, აგრეთვე, ამიერკავკასიის ადმინისტრაციული მოწყობის შარდინისეული გეგმა, რომლის მიხედვით ეს მხარე უნდა დაყოფილიყო შტატებად, რომლებზედაც მანდატები ერთმანეთს შორის თანასწორად უნდა გაენაწილებიათ მოკავშირეებს (Чохели, 1980:121-122).

ოკუპაციის პირველი დღიდანვე ინგლისელები აცხადებდნენ, რომ ამიერკავკასიაში მათი მოსვლის მიზანი იყო ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლა და ამ მხარის „აღდგენილი და განუყოფელი რუსეთისათვის შენარჩუნება“. მაგრამ მალე აშკარა გახდა, რომ ინგლისს ამიერკავკასია თავისთვის უნდოდა. ამ მხრივ საყურადღებოა რუსეთის უახლესი ისტორიის სახელმწიფო არქივში დაცული დოკუმენტები, კერძოდ, ამიერკავკასიაში გენერალ დენიკინის შტაბიდან მოვლინებული ოფიციალური თუ არაოფიციალური წარმომადგენლების შეტყობინებები და მოხსენებებითი ბარათები.

დენიკინის ემისარი თავადი გოლიცინი 1919 წლის 12 იანვარს ბათუმიდან გაგზავნილ მოხსენებით ბარათში შენიშნავდა, რომ ინგლისი ბოლშევიზმთან ბრძოლის მომიჯნავებით

ახდენს მთელი ამიერკავკასიის ოკუპაციას (ЦГАНИ РФ, ფ. 446, ოპ. 1, დ. 11, პ. 3), ხოლო გენერალი ერდელი მთავარსარდალს ატყობინებდა – ინგლისელები ამიერკავკასიას საკუთრივ იჩემებენ და „არავითარ ანგარიშს არ გვიწვევენ არც ჩვენ და არც რუსეთის უფლებებს ამ მხარეზე“ (იქვე, ოპ. 2, დ. 40, პ. 11). დენიკინის საფინანსო უწყების წარმომადგენელი კი 1919 წლის 27 თებერვალს თავის ვრცელ მოხსენებით ბარათში ა. დრაგომიროვისადმი აღნიშნავდა, რომ ბათუმში ინგლისელებმა გახსნეს სამხედრო საჭურველისა და სურსათის საწყობები, რომელთა შევსებასაც ინტენსიურად აწარმოებდნენ ზღვით. აქედან გამომდინარე, ავტორი დაასკვნის: „ყველაფერი ეს მიუთითებს იმაზე, რომ ბათუმში ეწყობა კავკასიაში ინგლისის ბატონობის მყარი ბაზა“. იმავე მოხსენებით ბარათში კარგადაა შენიშნული, რომ ინგლისის მიზანი იყო ამიერკავკასიაში შეენარჩუნებინა ერთმანეთისაგან იზოლირებული სახელმწიფოები, რომლებიც ვერ შეძლებდნენ დამოუკიდებელ ეკონომიკურ არსებობას და ამ მხრივაც მთლიანად ინგლისზე იქნებოდნენ დამოკიდებული. ასეთ შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნებოდა ამიერკავკასიაში ინგლისის ბატონობა. ამიტომაც, – დაასკვნის ავტორი, – ინგლისელებისათვის ხელსაყრელია განხეთქილება და მუდმივი უთანხმოების არსებობა ერთის მხრივ ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის, ხოლო მეორეს მხრივ ამიერკავკასიის რესპუბლიკებსა და მოხალისეთა არმიას შორისაც (იქვე, დ. 35, პ. 80-84).

პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ საქართველოს ახალბედა რესპუბლიკის მთავრობის მთავარი საგარეო-პოლიტიკური ამოცანა იყო ქვეყნის დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარების მოპოვება, რის შესახებაც ოფიციალური თხოვნით მიმართა ანტანტის ქვეყნების მთავრობებს. 1919 წლის 14 მარტს კი საქართველოს დიპლომატიურმა მისიამ აკაკი ჩხენკელის ხელმძღვანელობით პარიზის კონფერენციას წარუდგინა ექვსი პარაგრაფისაგან შემდგარი ვრცელი მოხსენება. ამ დოკუმენტში დასაბუთებული იყო მე-19 საუკუნის დასაწყისში რუსეთის მიერ ხელოვნურად შეწყვეტილი და 1918 წ. აღდგენილი უძველესი სახელმწიფოებრივი ტრადიციების მატარებელი საქართველოს რესპუბლიკის აღიარების აუცილებლობა და სამართლიანობა (იხ. ვადაჭკორია, 2006 :

427-428). თუმცა უშედეგოდ, საქართველოს კანონიერი ინტერესები, აგრეთვე, ბათუმის დაბრუნების შესახებ სამართლიანი მოთხოვნა ინგლისმა და საფრანგეთმა მხედველობაში არ მიიღეს.

საქართველოს ცნობას ხელს უშლიდა პარიზის კონფერენციაზე აშშ დელეგაციის პოზიციაც, რაც მხოლოდ სომეხთა ინტერესების დაცვით და ლობირებით შემოიფარგლებოდა. მაგალითად, 1919 წ. 18 ივლისს ჰერბერტ ჰუვერის მიერ ანტანტის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე გაკეთებული ინფორმაციით, საქართველოს მთავრობა აფერხებდა სომხეთის სურსათით მომარაგებას და ტრანზიტის საფასურად ითხოვდა ამ ტვირთის ნახევარს. ჰუვერის თქმით, „ქართველებს ჰქონდათ სურსათი, მაგრამ ამას აკეთებდნენ სპეკულაციის მიზნით“ (DBFP, v. I, 1947:145). მიუხედავად იმისა, რომ ეს განცხადება სინამდვილის დამახინჯება იყო, პარიზის სამშვიდობო კონფერენციის თავმჯდომარე კლემანსომ საქართველოს მთავრობას გაუგზავნა გამაფრთხილებელი ტელეგრამა, რომ გაეცარებიათ სომხეთისათვის განკუთვნილი ტვირთები ნორმალური გადასახადის საფასურად (იქვე).

ინგლისმა, მოკავშირეთა ძლიერი წინააღმდეგობის მიუხედავად, პირველ ხანებში შეძლო ამიერკავკასიაში პირველობის შენარჩუნება. მაგრამ 1919 წლის გაზაფხულზე თვით ინგლისის მთავრობაში დაისვა ამიერკავკასიის და საერთოდ რუსეთის შიგა რაიონებიდან ჯარების გამოყვანის საკითხი.

ამიერკავკასიიდან ჯარების გაყვანის წინ ინგლისელები ითვალისწინებდნენ ამ რეგიონში საკუთარი გავლენის დაკარგვის საშიშროებასაც, რაც უცილობლად მოჰყვებოდა ინგლისის ნაცვლად აქ აშშ-ის საოკუპაციო ჯარების შემოყვანას. ამიტომ ინგლისელები ცდილობდნენ შედარებით სუსტი „მემკვიდრე“ მოენახათ, რომელიც მათ ამიერკავკასიაში სერიოზულ სირთულეებს ვერ შეუქმნიდა და ამასთან, წინ აღუდგებოდა ამ მიმართებით ამერიკის მისწრაფებებს. ასეთ მემკვიდრედ საფრანგეთი არ გამოდგებოდა, რადგან 1919 წლის გაზაფხულზე ფრანგთა დამარცხებამ უკრაინაში შესამჩნევად დასცა მათი ავტორიტეტი მოკავშირეთა და რუსეთის ანტიბოლშევიკური ძალების თვალში. ამასთან, ინგლისელები ითვალისწინებდნენ, რომ ამიერკავკასიაში საფრანგე-

თის ჯარების შემოსვლის შემდეგ მათ შესაძლებლობა ექნებოდათ განეხორციელებიათ შარდინის ზემოხსენებული გეგმა. ამის გამო ინგლისელებმა ყურადღება „შედარებით სუსტ კონკურენტზე“ – იტალიაზე შეაჩერეს. 1919 წლის 8 აპრილს ინგლისისა და იტალიის მთავრობის თავმჯდომარეებს შორის ხელმოწერილი იქნა შეთანხმება, რომლითაც ამიერკავკასიაში ინგლისის ჯარებს იტალიელები შეცვლიდნენ (ჯოჯუა, 1997 : 68-69). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ინგლისი ამიერკავკასიას მთლიანად არ ტოვებდა. მისი გარნიზონი რჩებოდა ბათუმში და მის ოლქში, რაც ინგლისს საშუალებას მისცემდა კონტროლქვეშ ჰყოლოდა ამიერკავკასიაში მისი შემცვლელი ქვეყნის წარმომადგენლები.

ინგლისთან შეთანხმებიდან ორი კვირის შემდეგ, რომიდან თბილისში გაგზავნეს იტალიის სამხედრო და სამოქალაქო მისია პოლკოვნიკ გაბას მეთაურობით. იტალიის სახელმწიფო მესვეურები (ორლანდო, სონინო) აქტიურად შეუდგნენ საქართველოს და აზერბაიჯანის ოკუპაციისათვის მზადებას. ამ გეგმის განხორციელებისათვის იტალიელები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ბათუმს. ამიტომ ბათუმის ნავსადგურში შევიდნენ იტალიის გემები. უფრო მეტიც, იტალიელები ვარაუდობდნენ, რომ ინგლისს აიძულებდნენ ბათუმის დატოვებასაც. 1919 წლის 24 ივნისს თბილისიდან რომში გაგზავნილ ერთ-ერთ დეპეშაში პოლკოვნიკი გაბა იტალიის მთავრობის პირველხარისხოვან ამოცანად მიიჩნევდა: „ინგლისის კონტროლის შესაძლებელი შენარჩუნებისაგან ბათუმის გათავისუფლებას“, იქ და „საქართველოს მეორე ნავსადგურ ფოთზე იტალიის გავლენის გავრცელებას“. სხვა ადგილას გაბა წერდა: „საქართველოში დიდი მასშტაბით ეკონომიკური ექსპანსიის განხორციელებისათვის აუცილებელია ჩვენს განკარგულებაში იყოს ბათუმის ნავსადგური, სადაც შეიძლება საზღვაო ბაზა აშენდეს. აქედან შეიძლება რკინიგზასაც გაეწიოს კონტროლი“ (ტაბაღუა, 1982, №3 : 89).

1919 წლის ივნისში იტალიის მთავრობამ გადაწყვიტა ამიერკავკასიაზე მანდატის აღება. აქ გამოსავანად გაამზადეს კიდევ ორი ქვეითი დივიზია და სამთო მსროლელთა რაზმი. მაგრამ ეს ექსპედიცია ჩაიშალა. 1919 წლის ზაფხულში იტალია მოიცვა მძლავრმა პოლიტიკურმა გაფიცვებმა. გაფიცულ-

თა მოთხოვნებში ცენტრალური ადგილი ანტისაომარ ღო-
ზუნებებს ეჭირა. ორლანდოს კაბინეტი გადადგა. ახალ მთავ-
რობას სათავეში ჩაუდგა ფრანკესკო ნიტი, რომელმაც გაით-
ვალისწინა რა იტალიის საშინაო პოლიტიკური და ფინან-
სური მდგომარეობა, უგუნურებად ჩათვალა მცირე აზიისაკენ
იტალიის სწრაფვა და „საქართველოში სამხედრო ექსპედი-
ციის“ გაგზავნა. ნიტის აზრით, ამ აქციას შეიძლებოდა
მოჰყოლოდა „თურქებთან ან ბოლშევიკებთან შეჯახება, რაც
უეჭველად დასრულდებოდა იტალიის ეკონომიკური ნგრევით“.
ამიტომაც ნიტი თავის დამსახურებად თვლიდა, რომ 1919
წლის ზაფხულში „გააუქმა საქართველოში სამხედრო ექსპე-
დიცია“ (Нитти, 1923:182-183). ლოიდ ჯორჯი წერს, რომ ნიტის
მთავრობამ კურსი აიღო „სავაჭრო ექსპანსიაზე“ და დაპყრო-
ბის პოლიტიკის ნაცვლად დაიწყო „გასაღების ბაზრების და
ნედლეულის წყაროების ძებნა“ (Ллойд Джордж, т. II, 1957:409).

ინგლის-იტალიის 8 აპრილის შეთანხმებას უკმაყოფილე-
ბით შეხედნენ აშშ-ის და საფრანგეთის მმართველი წრეები.
ეს აქტი ვაშინგტონში აღიქვეს, როგორც ამერიკისადმი მტრუ-
ლი მოქმედება. ამიტომ აშშ-ის საქმიანმა წრეებმა საკუთარი
მთავრობისაგან ენერგიული საპასუხო აქციების გატარება
მოითხოვეს. უკმაყოფილების ხმები გაისმოდა აშშ-ის სამხედ-
რო წრეებშიც. სომხეთში ამერიკის სამხედრო მისიის წევრი
გენერალი ჯორჯ მოსლი მოითხოვდა: „ბათუმში უნდა გახდეს
ამიერკავკასიაში ამერიკის ბაზა“ (Кунина, 1954 : 111). 1919
წლის აპრილის დამლევს აშშ გენშტაბში უკვე გეგმავდნენ
დაეკავებიათ თურქეთის ნავსადგური ალექსანდრეტა და ამ
გზით სომხეთში შეეყვანათ 70-ათასიანი არმია. ამასთან განი-
ხილავდნენ ბათუმის და ბაქოს ოკუპაციის საკითხს, რისთ-
ვისაც ვარაუდობდნენ ბათუმში გაეგზავნათ ნაღმოსნები (იქვე:
111-112).

ამერიკელთა გააქტიურება მოკავშირეებს არ გამოჰპარ-
ვიათ. ამიტომაც დათმეს და პარიზის კონფერენციის 14
მაისის სხდომაზე აშშ-ს მიაკუთვნეს მანდატი სომხეთზე და
შავი ზღვის სრუტეებზე (დამბაშიძე, 1964 : 148). მალე ამე-
რიკელებმა მოითხოვეს სომხეთში მოკავშირეთა უმაღლეს
კომისრად ამერიკელი პოლკოვნიკის ვ. ჰასკელის დანიშვნა.
საბჭო ამ დათმობაზეც წავიდა და 1919 წლის 5 ივლისს

დაამტკიცა პასკელის კანდიდატურა (იქვე : 158). ინგლისელებმა გაითვალისწინეს საშიშროება, რომ პასკელი შეიძლება სომხეთში მოკავშირეთა უმაღლესი კომისრიდან – მთელი ამიერკავკასიის უმაღლეს კომისრად გადაქცეულიყო. ამიტომაც იზრუნეს, რომ საბჭოს ამიერკავკასიაში (სომხეთის გამოკლებით) უმაღლეს კომისრად დაენიშნა აქ კარგად ცნობილი პიროვნება, ინგლისელი ქართველოლოგი ოლივერ უორდროპი. ამ მისიას ლონდონში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ.

1919 წლის აგვისტოში ვ. პასკელი და ო. უორდროპი ამიერკავკასიაში ჩამოვიდნენ.

პასკელის მისიის ჩამოსვლის შემდეგ ამერიკელთა დაინტერესება ბათუმით გაიზარდა. 1914 წლის 14 სექტემბერს იტალიის უმაღლესი კომისარი თურქეთში კარლო სფორცა რომს აცხობინებდა: „საქართველოში ინგლისელთა ოკუპაცია ამჟამად მხოლოდ ბათუმის ოლქზე ვრცელდება. აქ სააღყო მდგომარეობაა გამოცხადებული ... შეიმჩნევა ამერიკელების აქტიურობა. ხმები დადის ამერიკის ჯარების მალე ჩამოსვლაზე“ (ტაბალუა, 1982, №3 : 89). იმავე წლის 19 ოქტომბერს კარლო სფორცა თბილისიდან პოლკოვნიკ გაბასაგან მიღებული ცნობების საფუძველზე თავის მთავრობას აცნობებდა: „ამბობენ, რომ რკინიგზაზე კონტროლი ამერიკის ხელში გადადის. თუ ეს ცნობა ზუსტი აღმოჩნდა, ამ რაიონში ჩვენი მომავალი გეგმების განხორციელების ყველაზე დიდ საშუალებას დაგვარგავთ“. ოქტომბრის დამლევს კი პოლკოვნიკი გაბა თბილისიდან იცხობინებდა: „22 ოქტომბერს ინგლისის მთავარსარდალმა თავისი შტაბით ბათუმი დატოვა. ამჟამად ამ რაიონში ინგლის-ინდოეთის შერეული ბრიგადა დარჩა. ფიქრობენ, რომ ინგლისელებს განზრახული არ აქვთ შეასუსტონ ბათუმის ოკუპაცია. მეორეს მხრივ, ბევრი ამერიკელი, რომელიც აქ იმყოფება, ავრცელებს ხმებს, რომ ისინი მალე ამ რაიონში ინგლისელებს შეცვლიან“ (ტაბალუა, 1982, №3 : 90).

იტალიის უარის შემდეგ, მოკავშირეთა უმაღლესმა საბჭომ ამერიკას შესთავაზა შეეყვანა თავისი ჯარები სომხეთში. მაგრამ მარტო სომხეთით შემოფარგვლა აშშ პოლიტიკოსთა ინტერესებს არ შეესაბამებოდა. ამიტომ მათ ჯარების

შეყვანის საკითხი გადადეს მანამ, სანამ მოკავშირეთაგან არ მიიღებდნენ თანხმობას მთელი ამიერკავკასიის ოკუპაციის თაობაზე. ამ მიზნით ამერიკელებმა ნიადაგი მოსინჯეს პარიზის კონფერენციის 1919 წლის 11 აგვისტოს სხდომაზე, მაგრამ უშედეგოდ (Штейн, 1949:332). 14 და 15 ნოემბრის სხდომებზე კი პირდაპირ დააყენეს საკითხი, რომ პოლკოვნიკ პასკელისათვის სომხეთის დამატებით მიეცათ მანდატი საქართველოსა და აზერბაიჯანზე, მაგრამ ამერიკელთა ეს ცდაც წარუმატებლად დამთავრდა (Documents ... v.II, 1948 : 321-322, 328).

მართალია, საფრანგეთი და იტალია ამიერკავკასიისთვის ინგლის-ამერიკას შორის გამწვავებულ ბრძოლაში ინგლისის მხარეს გამოდიოდნენ, მაგრამ მათ სრულებითაც არ აუღიათ ხელი ამ მხარის მიმართ თავიანთ ზრახვებზე. ამჯერადაც უპირატესი როლი ბათუმს ენიჭებოდა.

სამხედრო ექსპედიციის ჩაშლის მიუხედავად, იტალიის წარმომადგენლები თბილისსა თუ კონსტანტინოპოლში თავიანთ მთავრობას დაწვრილებით მოახსენებდნენ ბათუმის ოლქში მიმდინარე მოვლენებს, აყენებდნენ ბათუმის საკითხის იტალიის სასარგებლოდ გადაწყვეტის წინადადებებს. მაგალითად, 1919 წლის 14 სექტემბერს თურქეთში იტალიის უმაღლესი კომისარი კარლო სფორცა რომს დაწვრილებით განუმარტავდა ბათუმში ინგლისის მდგომარეობას, აღნიშნავდა ამერიკელთა გააქტიურებას და აყენებდა ბათუმის პრობლემის გადაჭრის ფართო პროგრამას. „თუ (პარიზის) საზავო კონფერენცია გადაწყვეტს, – წერდა კ. სფორცა, – რომ ბათუმის ოლქი საქართველოს გადაეცეს, სასურველი იქნება: ბათუმის ნავსადგურზე, საბაჟოსა და რკინიგზაზე დარჩეს მოკავშირეების კონტროლი. ეს კონტროლი განხორციელდება სათანადო რაოდენობის ოფიციალური პირების – მეზღვაურების, კარაბინერების, გვარდიელებისა და სხვა საშუალებებით... გარდა კონტროლისა, სასურველია შეიქმნას ბათუმის ოლქის სამხედრო მთავრობა, ჯარის სათანადო ნაწილებით (სამი ბატალიონი, რამდენიმე ბატარეა და ზურგის სათანადო სამსახური რადიო-ტელეგრაფის სრული მომსახურებით). პარიზის საზავო კონფერენციაზე, ამერიკის შეერთებულ შტა-

ტებთან შეთანხმებით, ეს მისია ერთა ლიგას უნდა დაეკალოს“ (ტაბაღუა, 1982, №3 : 89).

აღნიშნული დოკუმენტიდან ჩანს, რომ იტალიელები ბათუმს განუზომლად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ამიტომაც პირდაპირაა მინიშნებული, რომ ბათუმში იტალიის გავლენის უზრუნველსაყოფად საჭირო იყო ბოლო მოვლათ აქ ინგლისის ერთპიროვნული გავლენისათვის და ერთა ლიგის მანდატით შეექმნათ დამოუკიდებელი ქალაქ-სახელმწიფო და მთავრობა, რომელშიც იტალიასაც ისეთივე თანაბარი წილი ექნებოდა, როგორიც სხვა მოკავშირეებს. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ აღნიშნულ პერიოდში ამ მიმართულებით თავის საქმიანობას ამერიკაც ააქტიურებდა, მაშინ, ბათუმის საკითხის ზემოაღნიშნული გადაწყვეტის შედეგად, თავიდან იქნებოდა აცილებული ბათუმის ოლქში აშშ-ის მოსალოდნელი შეღწევა.

ბათუმისადმი ინტერესი არც საფრანგეთს დაუკარგავს. ფრანგებს ბათუმში კვლავ ჰყავდათ თავისი წარმომადგენელები. ისინი ფხიზლად ადევნებდნენ თვალს ადგილზე შექმნილ ვითარებას, ხოლო თბილისში კვლავ იმყოფებოდა სამხედრო მისია.

ბათუმის საკითხი იხილებოდა ანტანტის სახელმწიფო მესვეურთა კერძო შეხვედრებსა და თათბირებზე. ამ მხრივ საყურადღებოა ინგლისის და საფრანგეთის მთავრობის მეთაურთა და საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი, რომელიც გაიმართა ლონდონში 1919 წლის 11 დეკემბერს. თათბირზე სხვა საკითხებთან ერთად დაისვა კავკასიის და რუსეთის საკითხი, რომელთა განხილვის დროსაც წარმოჩნდა ბათუმის საკითხში ინგლის-საფრანგეთს შორის არსებული წინააღმდეგობანი. თათბირზე საფრანგეთის პრემიერმა კლემანსომ განაცხადა, რომ „ბრიტანელები არიან ბათუმში და ბაქოში და ფაქტობრივად მართავენ ქვეყანას“. ინგლისელებმა დაიწყეს თავიანთი ჯარების იქ ყოფნის გამართლება. ინგლისის პრემიერმა ლორდ ჯორჯმა შეახსენა კლემანსოს, რომ მოკავშირეთა უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით ამიერკავკასია უნდა დაეკავებინა იტალიის ჯარებს, მაგრამ იტალიელები იქ მხოლოდ მისიის გაგზავნით დაკმაყოფილდნენ. დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა კერზონმა კი

განაცხადა, რომ კლემანსო არასწორად იყო ინფორმირებული, რომ ბრიტანეთის მთავრობამ თავისი ჯარები გამოიყვანა მთლიანად ამიერკავკასიიდან „გარდა ბრიგადისა, რომელიც დროებით რჩებოდა ბათუმში“. ხოლო ბათუმში ინგლისის ჯარების ყოფნას კერზონი ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საჭიროებით ხსნიდა. „ძველია იმის წარმოდგენა, თუ რა შეიძლება მოხდეს მას შემდეგ, როდესაც ჩვენ აღარ გამოვიჩენთ ინტერესს ანტიბოლშევიკური სახელმწიფოებისადმი (ამიერკავკასიაში –მ.ს.)“ – განაცხადა კერზონმა. პასუხად კლემანსომ თქვა, რომ ის სრულებითაც არ არის „ასეთი დაინტერესების“ წინააღმდეგი, მაგრამ ამავე დროს „ის არის რუსეთში ნებისმიერი სეპარატული სახელმწიფოს ჩამოყალიბების წინააღმდეგი. (რადგანაც–მ.ს.) ასეთ შემთხვევაში რუსი ხალხი იტყვის, რომ ჩვენ რუსეთის დაყოფისკენ მივყავართ“ (Documents ...v.II, 1948:735-736).

ამასთან დაკავშირებით აუცილებლად მიგვაჩნია აღვნიშნოთ შემდეგი: თავიდან ანტანტის სახელმწიფოებს, მათ შორის ინგლისს, არ ჰქონდათ არავითარი სურვილი რუსეთის დასუსტებისათვის გამოეყენებიათ მისი ყოფილი განაპირა მხარეების სეპარატიზმი. მაგრამ მას შემდეგ, რაც ბოლშევიზმმა წარმატებები მოიპოვა და მოკავშირეთა ყველა ცდა – ფეხზე წამოეყენებიათ „ძველი რუსეთი“ – წარუმატებლად დამთავრდა, ანტანტის სახელმწიფოების ცალკეული პოლიტიკოსები სხვა ორიენტაციას დაადგნენ. მათი აზრით, რუსეთის აღდგენა უკვე შეუძლებელი იყო. ამიტომ საჭირო გახდა ყურადღების გადატანა რუსეთის განაპირა მხარეებზე, რისთვისაც აუცილებლად მიიჩნიეს მათი დამოუკიდებლობისკენ სწრაფვისთვის მხარდაჭერა. ამ მხრივ მნიშვნელოვანი შემობრუნება მოკავშირეებს შორის დაიწყო პარიზის სამშვიდობო კონფერენციის მუშაობის ბოლო ეტაპზე, როცა ინტენსიურად იხილავდნენ ე.წ. „რუსეთის საკითხს“ (Штейн, 1949 : 330).

1920 წლის 10 იანვარს პარიზში გაიმართა ხუთი დიდი სახელმწიფოს (აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია, იაპონია) დელეგაციების მეთაურთა თათბირი, რომელზედაც ინგლისის პრემიერმა ლორდ ჯორჯმა საბჭოს აუწყა „შემაშფოთებელი ინფორმაცია“, რომ „ბოლშევიკები ამარცხებენ დენიკინს და კასპიის ზღვისკენ მიდიან“. ამიტომ მან დასვა

საკითხი „ბოლშევიკური აგრესიისათვის ჩრდილოეთ კავკასიაში“ წინ დაეყენებიათ ამიერკავკასიის რესპუბლიკები, რისთვისაც საჭირო იყო მათი შეიარაღება (Documents... v.II, 1948:725). დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ლორდ კერზონის აზრით კი – ბოლშევიკების წინააღმდეგ ამიერკავკასიის რესპუბლიკების დარაზმვისათვის, საბრძოლო იარაღით მომარაგების გარდა, საჭირო იყო მოკავშირეებს გადაედგათ „პოლიტიკური ნაბიჯი“. კერძოდ, ეცნოთ „დე ფაქტოდ“ საქართველო და აზერბაიჯანი. მათი „მთავრობები, – განაცხადა კერზონმა, – სოციალისტურები არიან, მაგრამ ძალიან ანტიბოლშევიკურები“ (Documents... v.II, 1948 : 796). კერზონის წინადადებას ყველა დაეთანხმა. უმაღლესმა საბჭომ დაადგინა ეცნოთ ამიერკავკასიის რესპუბლიკების „დე ფაქტო“.

„კავკასიის საკითხის“ განხილვა შემდგომ სხდომებზეც დიდი ინტენსივობით მიმდინარეობდა. 16 იანვარს ლორდ ჯორჯმა დააყენა წინადადება, რომ კავკასიელებისათვის გადაეცათ დენიკინისთვის განკუთვნილი იარაღი. ამასთან, ინგლისის დელეგაცია ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ აუცილებელი იყო „სამხედრო ძალით დახმარება ბათუმისა და ბაქოს უსაფრთხოებისათვის“ (Documents... v.II, 1948 : 898, 927). იმავე აზრისა იყვნენ მოკავშირეთა გაერთიანებული სამხედრო კომიტეტის ექსპერტებიც. მათი დასკვნით „ბოლშევიზმის წინსვლის შეჩერებისათვის“ საჭირო იყო კავკასიის ხაზზე შეექმნათ სამხედრო ბარიერი და ამ საქმეში ფართოდ გამოეყენებიათ ამიერკავკასიის რესპუბლიკების შეიარაღებული ძალები (Documents... v.II, 1948:926). ამ მიზნით პარიზის კონფერენციის 19 იანვრის სხდომაზე მიიწვიეს უკვე „დე ფაქტოდ“ ცნობილი საქართველოს და აზერბაიჯანის დელეგაციები. იმავე სხდომაზე მარშალმა ფოშმა წამოაყენა ანტი-ბოლშევიკური ფრონტის შექმნის ფართო გეგმა. მისი აზრით, აუცილებელი იყო პოლონეთის, რუმინეთის, ლიტვის, ლატვიის, ესტონეთისა და ფინეთის რესპუბლიკებისაგან ანტანტის ჩამოყალიბება. „ამ კავშირს შეუერთდებოდნენ ამიერკავკასიის რესპუბლიკებიც და, ამნაირად, ბოლშევიზმი გარშემორტყმული იქნებოდა“ (Documents... v.II, 1948:922).

მიუხედავად იმისა, რომ ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ანტანტის სახელმწიფოები ერთიანი ფრონტით მოქმედებდნენ, მათ შორის არსებობდა მწვავე წინააღმდეგობანი. სწორედ ამიტომაც მოკავშირეები ვერ შეთანხმდნენ კავკასიაში ჯარების გაგზავნის საკითხში და გადაწყვიტეს ამიერკავკასიის რესპუბლიკებისათვის იარაღის, აღჭურვილობისა და სურსათის გაგზავნით დაკმაყოფილებულიყვნენ (Documents... v.II, 1948: 925), თუმცა არც ეს გაუკეთებიათ.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი (აცსა), ფონდი 67, ანაწ.1, საქმე № 15.
2. Центральный государственный архив новейшей истории Российской Федерации (შემოკლ. ЦГАНИ Рф), фонд 446, опись 1. дело № 11.
3. Там же, фонд 446, опись 2. дело №35, № 40.
4. Documents on British Foreign Policy 1919-1939, ser. I, volum I, London 1947.
5. Documents on British Foreign Policy 1919-1939, ser. I, volum II, London 1948.
6. **ავალიშვილი ზ.** საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში (მოგონებები, ნარკვევები), ტფ., 1929.
7. **ვადაჯორია შ.** საქართველოს პოლიტიკური ისტორიის საკითხები (XX საუკუნე), წიგნი II, თბ., 2006.
8. **მადლაკელიძე ს.** ინგლის-ამერიკელი ინტერვენტები საქართველოში, (დოკუმენტები), – „საისტორიო მოამბე“, №7, 1953.
9. **ღამბაშიძე გ.** ინგლისისა და აშშ აგრესიული პოლიტიკა საქართველოს და ამიერკავკასიის მიმართ (1919წ.), თბ., 1964.
10. **ტაბაღუა ი.** ბათუმის საკითხი სან-რემოს კონფერენციაზე – „მაცნე“ (ისტორიის სერია), №3, 1982.
11. **ჯოჯუა დ.** საქართველო-იტალიის ურთიერთობა 1919-1921 წლებში, თბ., 1997.
12. Архив полковника Хауза, т.IV, М., 1944.

13. **Gaulis M. B.** – G. La Question torque, Paris, 1931.
14. **Енукидзе Д.** Крах империалистической интервенции в Закавказье, Тб., 1954.
15. **Кунина А. Е.** Провал Американских планов завоевания мирового господства в 1917-1920 гг. М., 1954.
16. **Ллойд Джордж,** Правда о мирных договорах, т. II, М., 1957.
17. **Нитти Ф.,** Европа над бездной, изд-во „Мысль“, Петроград, 1923.
18. **Чохели А. И.** Политика Франции в отношении Грузии 1917-1921 гг. Тб., 1980.
19. **Штеин Б.,** „Русский вопрос“ на Парижской мирной конференции (1919-1920 гг), М., 1949.

Malkhaz Sioridze

Batumi in Antant States plans during Paris Peace Conference

S u m m a r y

Questions of Batumi and in general of Georgia were not objects of separate discussion at the Paris Peace Conference (18/I. 1919 – 21/I. 1920). Although they have been discussed several times the Supreme Council of Antant would consider the subject of Russia or peace conditions with Osmaleti.

After gaining victory in the First World War in the main States of Antant appeared contrast in distributing spheres of influence in the East. One of such regions was Caucasus, key of which was considered to be Batumi. This town-port was also the base of oil export and the first port point of the Caspian-Iran-middle Asia transit way. That's why the town was occupied by Great Britain (at the end of 1918). Batumi became the object of diplomatic struggle in the main states of Antant. The legal interests of Georgian republic were not taken into consideration.

According to the primary sources the represented work shows the plans of the governments of the Unites States of America, France and Italy towards Batumi and especially Caucasus, it was directed against the influence of Great Britain here. The reasons and conditions of taking Georgia De-Facto by the Paris Conference are also explained.

**Батуми в планах держав Антанты в период
Парижской мирной конференции**

Р е з ю м е


Вопрос Батуми и вообще Грузии не был предметом отдельного обсуждения Парижской мирной конференции (18.01.1919-21.01.1920).

Однако, о нём неоднократно рассуждали когда Верховный Совет Антанты рассматривал «Русский вопрос» или условия мирного договора с султанской Турцией.

После победы в Первой мировой войне среди главных держав Антанты выявились противоречия в вопросе раздела сфер влияния на Востоке. Одним из таких регионов стало Закавказье, стратегическим ключом которого всегда считался г. Батуми. Этот город-порт был так же экспортной базой Бакинской нефти и начальным пунктом Каспия – Ирана - Средней Азиатской транзитной магистрали. Поэтому, после занятия Батуми Английскими оккупационными силами (конец 1918 г.) этот город стал объектом противоречия и распрей между ведущими странами Антанты. Что касается законных интересов молодой Республики Грузия в отношении признания её независимости и о возврате ей Батуми, - они во внимание не принимались.

В данном труде на основе первоисточников показаны планы правительств США, Франции и Италии в отношении Батуми и вообще к Кавказу, которые были направлены против единоличного влияния Англии в этом регионе. Также рассматриваются причины и обстоятельства признания де-факто Грузии странами Антанты.

კარლ კაუცკი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შესახებ (1918-1921 წწ.)



სამხრეთ კავკასიის გეოსტრატეგიული მნიშვნელობა ყოველთვის განსაზღვრავდა აქ მცხოვრებ ხალხთა ისტორიულ ბედს. მსოფლიოში მომხდარი პოლიტიკური პროცესები მნიშვნელოვან რყევებს ახდენდნენ რეგიონზე. საქართველოს უახლეს ისტორიაში ორგზის ჰქონდა ადგილი პრეცედენტს, როდესაც იმპერიათა ნგრევამ ეროვნულ სახელმწიფოთა აღმოცენებას შეუწყო ხელი. მხედველობაში გვაქვს I მსოფლიო ომისშემდგომ

მოვლენათა შედეგად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა (1918-1921 წწ.) და საბჭოთა კავშირის რღვევის შემდეგ აღმოცენებული დამოუკიდებელი საქართველო.

ისტორიული პროცესები აბსოლუტური იდენტურობით არ მეორდება, თუმცა, გარკვეული პარალელების ძიება, ისტორიის გაკვეთილების გათვალისწინება ყოველთვის შეიძლება და ძალზედ მნიშვნელოვანია. ამ თვალსაზრისით ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) აღმშენებლობის სამწლიანი გამოცდილება.

ახლად ფორმირებული სახელმწიფოსთვის უმნიშვნელოვანესია საერთაშორისო აღიარების, მხარდაჭერის მოპოვება და საქართველოს მთავრობაც ცდილობდა აქტიურად გამოეყენებინა მის ხელთ არსებული ბერკეტები, მათ შორის საერთა-

შორისო სოციალისტური მოძრაობა II ინტერნაციონალის სახით.

II ინტერნაციონალისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მესვეურთა ურთიერთკავშირი ჩვენს მიერ უკვე შესწავლილია.* ამჯერად გვსურს უფრო დეტალურად შევაჩეროთ ყურადღება მარქსიზმის საუკეთესო თეორეტიკოსის, “მეცნიერული სოციალიზმის” კლასიკოსის კარლ კაუცკის (1854-1938) ვიზიტზე საქართველოში. ჩვენს ქვეყანაში სტუმრობის შესახებ წინადადება მან ჯერ კიდევ 1920 წლის თებერვალში მიიღო, როცა ბერლინში საქართველოს ელჩმა ვახმეტელაშვილმა ადგილობრივი ქართული კოლონიის წარმომადგენლებთან შეხვედრა მოუწყო. კაუცკიმ წინადადება კმაყოფილებით მიიღო და განაცხადა: “ქართველმა ამხანაგებმა ჟორდანიამ, წერეთელმა და ჩხეიძემ შეძლეს მარქსისტული გზით სიარული, მაგრამ თქვენს ქვეყანაში სოციალიზმის განხორციელების გზაზე შეგხვდებათ ბევრი სიძნელე, უმთავრესად ეკონომიკური ხასიათის. აღმოსავლეთიდან არ უნდა ველოდოთ სოციალიზმს, მე ახლა ინგლისიდან ველი მას. სოციალიზმი დაიწყება დასავლეთით... და თუ მანამდის ჯანმრთელობა შემრჩა და შეძლება მექნება საქართველოში წამოსვლის, სადაც ჩემი ნამდვილი მეგობრები მოღვაწეობენ, ამას მე დიდ ბედნიერებად ჩავთვლი” [“ერთობა”, 1920, №78].

ავადმყოფობის გამო კაუცკი საქართველოში ჩამოვიდა II ინტერნაციონალის დელეგაციის (ვანდერველდე, მაკდონალდი, შოუ, რენონდელი, დებრიუკერი და სხვ.) გამომგზავრების შემდეგ 28 სექტემბერს და 1921 წლის იანვრის პირველ რიცხვებამდე დარჩა. აქ მას პომპეზური დახვედრა მოუწვევს. საქართველოში ყოფნისას მან დაიწყო ქართული ენის შესწავლა, იმოგზაურა ქვეყანაში, შეხვდა ოფიციალური ხელისუფლების, ოპოზიციის, მუშათა კლასის, საქმიანი და ინტელექტუალური წრეების წარმომადგენლებს.

* იხ. ნ.ვაშაძემძე, II ინტერნაციონალი და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921 წწ.), ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, “საისტორიო მაცნე”, 2005, №15

საქართველოში ჩამოსვლამდე კაკაუცკი სოციალიზმის გამარჯვებას დასავლეთ ევროპაში წინასწარმეტყველებდა, მაგრამ მენშევიკური მთავრობის მიერ აგრარულ, ჩამორჩენილ ქვეყანაში განხორციელებული ღონისძიებანი მან წარმატებულ ექსპერიმენტად მიიჩნია: “პრაქტიკა კიდევ უფრო მრავალფეროვანია, ვიდრე თეორია. მარქსიზმი აღმოცენდა დასავლეთ ევროპის ნიადაგზე, ახლა ის უნდა გავამდიდროთ ჩვენ აღმოსავლეთის გამოცდილებით, სადაც კაპიტალისტური და სოციალისტური ტენდენციები საკვირველად გადახლართულან ფეოდალურ და ბარბაროსულ ნიშნებთან” [კაკაუცკი, 1920:25].

ევროპაში დაბრუნების შემდეგ კაკაუცკი საქართველოს დამოუკიდებლობის მხურვალე დამცველი გახდა და პოლიტიკური ტრიბუნისა და ბეჭდვითი საშუალებების გამოყენებით ილაშქრებდა ბოლშევიკური რუსეთის მიერ განხორციელებული ოკუპაციის წინააღმდეგ. “საბჭოთა რუსეთის მიერ ჩადენილ სამარცხვინო საქმეთა შორის ყველაზე უფრო სამარცხვინოთაგანია მისი მოქმედება საქართველოს მიმართ” – წერდა იგი დ.შარაშიძის წიგნის – “ჰ.ბარბიუსი, სოვეტები და საქართველო” – წინასიტყვაობაში [ჭუმბურიძე, 2003:74].

საქართველოს შესახებ კაკაუცკის მიერ ევროპაში დაწერილ ნაშრომთაგან აღსანიშნავია: “საქართველო, გლეხთა სოციალ-დემოკრატიული რესპუბლიკა” (ლონდონი, 1921). ბუნებრივია, საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში იგი ნეგატიური კუთხით არის გაშუქებული. “საქართველო, გლეხთა სოციალ-დემოკრატიული რესპუბლიკა ერთთავად მენშევიკური საქართველოს ქების შესხმას წარმოადგენსო”, – წერდა თედო ღლონტი [Глonti, 1925:9].

მოგვიანებით, საქართველოს ეროვნული სახელმწიფოს აღდგენისა და ისტორიულ მოვლენათა გადაფასების შემდეგ კაკაუცკის წიგნიდან ციტირებას ახდენს მკვლევარი ლ.თოიძე და ასკვნის, რომ: “ცალკეულ ევროპელ საზოგადო მოღვაწეთა თვალთ დანახული დამოუკიდებელი საქართველო დემოკრატიულ საწყისებზე იყო აგებული. მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკა მათ მოწონებას იმსახურებდა” [თოიძე,

1991:85]. მეკლევარი დასძენს, რომ კაკაუცკისა და სხვა ევროპელ სოციალისტთა გამონათქვამები დამოწმებული აქვს კარლო ინსარისის წიგნიდან “პატარა ოქროს ხანა”.

ჩვენს ხელთ აღმოჩნდა კაკაუცკის მიერ ინგლისურად დაწერილი ზემოთ მოხსენიებული ნაშრომი. შევეცდებით უფრო დეტალურად განვიხილოთ და გავაანალიზოთ მასში გამოთქმული მოსაზრებანი.

წინასიტყვაობაში კაკაუცკი საქართველოთი მისი დაინტერესების მიზეზებზე ამახვილებს ყურადღებას: “საქართველოში ყველაზე უფრო მიზიდავდა არა მისი გეოგრაფიული, არამედ სოციალური საკითხები, კერძოდ ის, თუ რამდენად იყო შესაძლებელი სოციალისტური რესპუბლიკა ისეთ ქვეყანაში, რომელიც რუსეთზე უფრო ჩამორჩენილია ეკონომიკური განვითარების მხრივ, როგორ შეუძლია ასეთ ხელისუფლებას შეინარჩუნოს თავი დიქტატურისა და ტერორიზმის გარეშე მხოლოდ დემოკრატიული მეთოდებისა და საშუალებების გამოყენებით. და ბოლოს, რისი მიღწევა შეეძლოთ სოციალისტურ ხელისუფლებას ასეთ პირობებში”, – წერს იგი [Kautski, 1921:9].

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამწლიანი გამოცდილება რუსული ბოლშევიზმის საპირისპირო იყო. მარქსიმის თეორეტიკოსის აზრით, ამ გამოცდილების შესწავლა ევროპელ სოციალისტებს მძლავრ იარაღს მისცემდა ბოლშევიზმის წინააღმდეგ გასაერთიანებლად და საბრძოლველად.

კაკაუცკი აღტაცებული იყო საქართველოს ბუნების სილამაზით, სასარგებლო წიაღისეულის სიმდიდრით, მაგრამ იმავედროულად კარგად ხედავდა ტექნიკური საშუალებების პრიმიტიულ დონეს, მრეწველობის განუვითარებლობას და ეკონომიკურ ჩამორჩენილობას. ყველა სოციალური ფენის უკმაყოფილების საფუძვლების არსებობის პირობებშიც კი ხელისუფლებისადმი ლოიალიზმი მას სოციალისტური ხელისუფლების დამსახურებად მიაჩნდა და ბოლშევიკური რუსეთის სინამდვილესთან ავლებდა პარადელს: “რეჟიმის სოციალისტურ ხასიათზე მოწმობდა ის ფაქტი, რომ ქვეყანას

მართავდა სამრეწველო პროლეტარიატი. შეიძლება აქ გამოვიყენოთ ფრაზა – “პროლეტარიატის დიქტატურა”. ეს იყო უმცირესობის დიქტატურა, ისევე როგორც რუსეთში, მაგრამ სრულიად განსხვავებული მისგან. ეს დიქტატურა ემყარებოდა დემოკრატიულ პრინციპებს და ყოველგვარი ტერორის გარეშე ყველა კლასი მას ეთანხმებოდა” [Kautski, 1921:30].

კაპუცკი საქართველოში დემოკრატიის არსებობის დამადასტურებლად მიიჩნევს პოლიტიკური პარტიების, პროფესიული კავშირების საქმიანობის სრულ თავისუფლებას, პროპაგანდის, კოალიციებისა და ორგანიზაციების შეუზღუდავ არსებობას. “უკანასკნელ წლებში, – წერს იგი, – როდესაც რეინიდან წყნარ ოკეანემდე თითქმის ყველგან სისხლიანი აჯანყებები ეწყობოდა, საქართველო იყო ერთადერთი ქვეყანა ავსტრიასთან ერთად, სადაც მსგავს მოვლენებს ადგილი არ ჰქონია” [იქვე].

დემოკრატიულ საფუძველზე პროლეტარიატის დიქტატურის ექსტრაორდინალური ფენომენის არსებობის თავისებურ ახსნას გვთავაზობს კაპუცკი. მისი აზრით, პოლიტიკური ცხოვრების განმსაზღვრელი ძალა საქართველოში მხოლოდ ერთი არსებობდა. “1918 წლის აგრარული რეფორმის შემდეგ აღარ იყვნენ მსხვილი მიწათმფლობელები, არც კაპიტალისტები. ფულადი და სავაჭრო კაპიტალი მხოლოდ უცხოელი კაპიტალისტების ხელში იყო. მათ კი არ შეეძლოთ ჩარეულიყვნენ პარტიულ ბრძოლაში. ამგვარად, დარჩა მხოლოდ პროლეტარიატი, რომელსაც შეეძლო დამოუკიდებელი პოლიტიკის წარმოება” [Kautski, 1921:32].

კაპუცკი იწონებს საქართველოს ხელისუფლების მიერ განხორციელებულ აგრარულ რეფორმას: “დემოკრატიულ საფუძველზე დამყარებული სოციალისტური რეჟიმის მომავალი დამოკიდებულია გლეხობაზე, რომელიც შეადგენს მოსახლეობის უმრავლესობას. ამ მხრივ, საქართველოში კარგი პირობებია, რადგან საქართველოს სოციალ-დემოკრატების აგრარულმა რეფორმამ გლეხობა გაათავისუფლა ფეოდალიზმის მარწუხებისაგან” – აღნიშნავს იგი [Kautski, 1921:75].

საქართველოს მენშევიკური მთავრობის მუშაობის მეთოდები კაკაუცკის სამაგალითოდ მიაჩნია. “იქ, სადაც სოციალ-დემოკრატები მოვლენ ხელისუფლებაში, – წერს იგი, – უნდა გაატარონ იგივე პრინციპები, რომელსაც ახორციელებდა საქართველოს მთავრობა – მათ უნდა ისწავლონ ქართული გამოცდილებიდან” [იქვე].

ხელისუფლების მიერ მიღწეულ წარმატებებთან ერთად კაკაუცკი შესანიშნავად ხედავდა საქართველოში არსებულ პრობლემებს, კერძოდ: გადასახადების აკრების მოუწესრიგებლობას, სიღარიბეს, ინფლაციას, იმპორტსა და ექსპორტს შორის ბალანსის უქონლობას. მისი აზრით, ამ სიძნელეთა მოგვარების მნიშვნელოვანი წინაპირობა იყო მეზობელ ქვეყნებში სტაბილური ვითარების არსებობა, სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის განვითარება, რასაც დასჭირდებოდა უცხოური კაპიტალის მოზიდვა უსაფრთხოების მყარი გარანტიის შექმნის პირობით.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე სახელმწიფოს მიერ აღებული ნეიტრალიტეტის საგარეო პოლიტიკური კურსი ევროპელ სოციალისტს განუხორციელებლად მიაჩნდა. თურქეთის ულტიმატუმის პირობებში ქვეყანამ ნაკლები ბოროტება აირჩია – გერმანიის ჯარების მიერ ოკუპაცია. თუმცა, მისი აზრით, “გერმანელებმა საქართველოში მოიტანეს ის, რაც ამ უკანასკნელს სჭირდებოდა – ეკონომიკის ორგანიზაცია... საქართველო არის რამდენიმე ქვეყნიდან ერთ-ერთი, სადაც გერმანიის არმიამ გასწია პროპაგანდისტული სამუშაო გერმანიისათვის”, – აღნიშნავს იგი [Kautski, 1921:89].

პირველ მსოფლიო ომში გერმანიის მარცხისა და ანტანტის ჯარების მიერ სამხრეთ კავკასიის საოკუპაციო ზონად გამოცხადების შემდეგ ნეიტრალიტეტის განხორციელება საქართველოსათვის რთული აღმოჩნდა. ერთიანი რუსეთის აღდგენის იმედით ანტანტის ძალები მხარდაჭერას უცხადებდნენ თეთრ გენერლებს და ცდილობდნენ რუსეთის სამოქალაქო ომში საქართველოს ჩაბმას. ამ საკითხთან დაკავშირებითაც გამოხატავდა თავის პოზიციას კაკაუცკი: “საქართველოს

დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელმაც მოახდინა მსხვილი მიწათმფობელების ექსპროპრიაცია, თვალში ეჩხირებოდა კონტრრევოლუციურ გენერლებსა. სძულდათ ის ბოლშევიკებსაც. ორივე (თეთრები და წითლები), ასევე სახალხო კომისრები ვერ ეგუებოდნენ იმას, რომ მათ სფეროში იყო პატარა, დამოუკიდებელი ერთობა, რომელიც არ ემორჩილებოდა მოსკოვის დიქტატს,” – წერს იგი [Kautski, 1921:88].

მარქსიზმის ევეროპელი თეორეტიკოსის თვალსაზრისით, საქართველოში მომხდარი ბოლშევიკური აჯანყება რუსეთის მიერ განხორციელებული ოკუპაცია იყო, რადგან, მისი აზრით, რევოლუციური მუშების აჯანყება პირველად ხდება სამრეწველო ცენტრებში და შემდეგ ვრცელდება სოფლებში. 1921 წელს “რევოლუციონერი” მშრომელების კომუნისტური ამბოხება კი მოხდა არა თბილისში, სადაც თავმოყრილი იყო სამრეწველო მუშების ნახევარი, არამედ მოიცვა გაუნათლებელი გლეხობით დასახლებული სოფლები” [Kautski, 1921:101].

კაპუცკის საქართველოს დაპყრობა მიაჩნდა ინგლისის წინააღმდეგ მიმართული რუსეთის აღმოსავლური პოლიტიკის ნაწილად [იქვე]. აქ აშკარად ცდება “მეცნიერული სოციალიზმის” კლასიკოსი, რადგან საყოველთაოდ აღიარებული ფაქტია, რომ სამხრეთ კავკასიაში ბოლშევიკების გავლენის სფეროს გარეთ დარჩენილი საქართველოს წინააღმდეგ მოქმედების თავისუფლება რუსეთს სწორედ ინგლისმა მისცა.

კაპუცკი სინანულს გამოთქვამს, რომ II ინტერნაციონალი ვერ აღმოჩნდა საკმაოდ ქმედუნარიანი ბოლშევიკების მიერ საქართველოს დაპყრობის ფაქტზე რეაგირების მოსახდენად, რადგან “თავად კონგრესი კრიზისში იმყოფებოდა, მისი ინტერესების სფეროს დასავლეთის პოლიტიკა უფრო წარმოადგენდა, ვიდრე აღმოსავლეთის,” – აღნიშნავს იგი [Kautski, 1921:100].

კაპუცკის წიგნი “საქართველო, გლეხთა სოციალ-დემოკრატიული რესპუბლიკა” ავტორის მიერ საქართველოს შესახებ დაწერილ სხვა ნაშრომებთან ერთად სოციალისტური ქვეყნისადმი გულწრფელი თანადგომისა და მხარდაჭერის სულისკვეთებით არის გაჟღენთილი. ევროპელი სოციალ-დემოკრატიული რესპუბლიკის

მოკრატებისთვის საქართველო წარმოადგენდა დემოკრატიულ ოაზისს მის ირგვლივ არსებული ანარქიისა და დიქტატურის პირობებში... საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პრაქტიკა თავდაყირა აყენებდა მარქსიზმის მთავარ დოგმას, რომ სოციალიზმი უნდა აშენდეს მაღალგანვითარებულ, ინდუსტრიულ ქვეყანაში, სადაც ძლიერი არის პროლეტარიატი. საქართველო აგრარულ, ჩამორჩენილ ქვეყანას წარმოადგენდა [ვაშაყმაძე, 2005:198].

ევროპელ სოციალისტთა მიმართ ქართული პოლიტიკური სპექტრის არაერთგვაროვანი, ზოგჯერ სკეპტიკური დამოკიდებულების მიუხედავად, “იმხანად განსაკუთრებული მნიშვნელობა სტუმართა პოლიტიკურ მსოფლმხედველობრივ მიმართულებასა და პარტიულ კუთვნილებას კი არ ენიჭებოდა, არამედ უფრო მთავარს – დამოუკიდებელი საქართველოს პროდასავლურ ორიენტაციას და საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას” [გურული, 2003:75].

იმ ისტორიულ სიტუაციაში საქართველოს პროდასავლურ ორიენტაციას შემხვედრი ნაბიჯები ვერ მოჰყვა. პარიზის სამშვიდობო კონფერენციის მუშაობამ და მისმა შედეგებმა თვალნათლივ აჩვენა, რომ “სამხრეთ კავკასიაში ტერიტორიების გადანაწილება, ამ რეგიონის გათავისუფლება რუსეთის იმპერიული სივრციდან სხვადასხვა ხასიათის მნიშვნელოვან სიძნელეებთან იყო დაკავშირებული და რუსეთთან დაპირისპირებას ნიშნავდა. მოკავშირე სახელმწიფოთა მთავრობები რუსეთის იმპერიის წინააღმდეგობებით აღსავსე სამყაროში ჩარევას კი დიდი სიფრთხილით ეკიდებოდნენ” [ვაშაყმაძე, 2002:129].

ამგვარად, მარქსიზმის აღიარებული თეორეტიკოსის მხრიდან სოციალისტური ტრიბუნისა და სხვა საშუალებების გამოყენებით ენერგიული მხარდაჭერის მიუხედავად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისათვის განმსაზღვრელი აღმოჩნდა დიდ სახელმწიფოთა პოლიტიკური პრაგმატიზმი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს ისტორია, XX საუკუნე, ვაგურულის რედაქციით, თბ., 2003.
2. ნ.ვაშაყმაძე, სახელმწიფოებრივი საზღვრების საკითხი საქართველო-სომხეთის ურთიერთობაში 1917-1921 წწ., ქუთაისი, 2002.
3. ნ.ვაშაყმაძე, II ინტერნაციონალი და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა 1918-1921 წწ., ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, “საისტორიო მაცნე”, 2005, №15.
4. ლ.თოიძე, ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალდატანებითი გასაბჭოებაც, ფაქტობრივი ანექსიაც, თბ., 1991.
5. კარლ კაუტსკი, სოციალიზმის პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში, თბ., 1920.
6. დ.ჭუმბურიძე, ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა XX ს-ის დასაწყისში, 1918-1921 წლები, თბ., 2003
7. გაზ. “ეროზა”, 1920, №78.
8. Т.Глonti, Меншевицкая и советская Грузия, Тб., 1925.
9. Karl Kautski, Georgia a Social-Democratic Peasant Republic, London, 1921.

Nino Vashakmadze, Irakli Baramidze

Karl Kautski About Georgian Democratic Republic (1918-1921 years)

S u m m a r y

In this work it is examined the book of the well-known European social-democrat, theorist of Marxism Karl Kautski – “Georgia a Social-Democratic Peasant Republic” (London, 1921). Author was trying actively to protect Georgian Democratic Republic from the occupation of

Bolshevik Russia in whole Europe. In spite of his dynamism decisive for Georgia proved the political pragmatism of the great European countries.

Нино Вашакмадзе, Ираклий Барамидзе

Карл Каутский
О Грузинской Демократической Республике
(1918-1921 гг.)

Р е з ю м е

В работе рассмотрена книга известного европейского социал-демократа, теоретика марксизма Карла Каутский – ”Грузия, социал-демократическая республика крестьян”, напечатанная в Лондоне в 1921 году. Автор подвизался на европейском поприще для защиты Грузинской Демократической Республики от оккупации большевистской России. Несмотря на его активную деятельность, решающим для Грузии оказался политический прагматизм больших европейских государств.

კავკასიის დამოუკიდებლობის კომიტეტი და აჭარა

საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ 1924 წლის წარუმატებელი აჯანყების შემდეგ, ემიგრაციაში მყოფმა საქართველოს ეროვნულმა პარტიებმა გაითვალისწინეს წარსული შეცდომები და არსებული რეჟიმის წინააღმდეგ საბრძოლველად დაიწყეს შეკავშირება ერთიანი კავკასიური ფრონტის შესაქმნელად.

1924 წლის ნოემბერში, სტამბოლში, ეროვნულ-დემოკრატიკული ინიციატივით დაარსდა „კავკასიის განმათავისუფლებელი კომიტეტი“, იგივე „კავკასიის კონფედერაციული კომიტეტი“. აქტს ხელი მოაწერეს ქართველების მხრივ: მ. წერეთელმა, დ. ვაჩნაძემ, ა. ასათიანმა; აზერბაიჯანელთაგან: ე. ხოსროვ სულთან ზადემ, აბდულ ალი ემირიჯანმა, შეიხ-ულისტ ზადემ; ჩრდილო კავკასიელთაგან: პასან გირეიმ, ჯაბაგიმ (ჩეჩენი), აღისან კანტემიროვმა (ოსი), ჰაიტეკ ნამიტოვმა (ჩერქეზი) [დ. ვაჩნაძე, 1992:188]. კავკასიის კონფედერატორთა კომიტეტის შექმნას მხარი დაუჭირა პოლონეთმა. კერძოდ, მის ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი მიუძღვის თურქეთში მყოფ პოლონეთის ელჩს რომან კნოლიუს და სამხედრო ატაშე შეტცელს [სპა. ფ. 14, ან. 3, ს. 339, ფ. 4].

კომიტეტისათვის ფინანსური დახმარების სანაცვლოდ პოლონეთმა მოითხოვა სრული ინფორმაციის მიწოდება კავკასიაში სამხედრო და სამოქალაქო ვითარების შესახებ. კომიტეტს დაევალა კავკასიის საზღვრის გასწვრივ (თურქეთ-სპარსეთის მონაკვეთზე) საგანგებო პუნქტების მოწყობა და ამიერკავკასიაში მოქმედ პოლიტიკურ პარტიებთან კავშირის დამყარება, აჯანყების განხორციელების მიზნით კავკასიაში სამხედრო ჯგუფების ჩამოყალიბება და მომზადება [სპა. ფ. 14, ან. 3, ს. 339, ფ. 5].

ფართო ამოცანების მიუხედავად, კომიტეტის მუშაობა საკმაოდ სუსტად მიმდინარეობდა. იგი განპირობებული იყო:

1. კომიტეტში შემავალი პარტიული ჯგუფები ორგანიზაციული და რიცხოვრივი თვალსაზრისით სუსტი იყვნენ თვით ამიერკავკასიაშიც; 2. საქართველოში გამოგზავნილი პირები ან საზღვრებზე იღუპებოდნენ, ან ჩეკას უვარდებოდნენ და არსებითად ამ უკანასკნელმა იცოდა ყველა მოქმედება; 3. კომიტეტში არ იყო წარმოდგენილი გავლენიანი სოციალ-დემოკრატიული პარტია. ამ ხარვეზის გამოსწორება სცადა დ. ვაჩნაძემ. კერძოდ, 1925 წლის 12 აგვისტოს, სტამბოლში, მისი ინიციატივით შედგა პარტიების წარმომადგენელთა თათბირი. მიღებულ რეზოლუციას ხელს აწერდნენ: დ. ვაჩნაძე (ეროვნულ-დემოკრატი), ს. მდივანი (სოც.-ფედერალისტი), ვ. წულაძე (სოც.-დემოკრატი). ამის შემდეგ პარიზში მოეწყო პარტიების დელეგაციებისაგან შემდგარი ეროვნული ცენტრი [დ. ვაჩნაძე, 1992:177].

პოლონეთმაც გაააქტიურა თავისი მხარდაჭერა კომიტეტისადმი. კერძოდ, იმავე წლის აგვისტოში, თურქეთში, რომან კნოლიუს ფინანსური მხარდაჭერით, კომიტეტის სამი წევრი გაიგზავნა კავკასიის საზღვრებთან გარკვეული დავალებების შესასრულებლად: დ. ვაჩნაძე – არტაანში, ა. კანტემიროვი – ყარსში, ხოსროვ-სულთანოვი – სპარსეთში [დ. ვაჩნაძე, 1992:169].

არტაანში მოღვაწეობისას დ. ვაჩნაძე დაუკავშირდა აჭარიდან ემიგრირებულ ხიმშიაშვილებს და მათ შესთავაზა თანამშრომლობა მომავალ სააჯანყებო საქმიანობაში [აცსა ფ-პ-1, ს. 894:177]. დ. ვაჩნაძე დაახლოებით ერთ წელს იმყოფებოდა არტაანში. 1926 წლის შუა ხანებში მან მოულოდნელად დატოვა თურქეთი და პარიზში დაბრუნდა, რის მიზეზადაც დასახელდა პოლონეთში მომხდარი პოლიტიკური ცვლილებები [დ. ვაჩნაძე, 1992:177]. არადა რეალური მიზეზი სულ სხვა იყო. კერძოდ, 1926 წლის დასაწყისში კავკასიის კონფედერატო კომიტეტი დაიშალა და შეიქმნა ახალი კავკასიის დამოუკიდებლობის კომიტეტი. კომიტეტის დაშლა პოლონეთის მხრიდან ფინანსური დახმარების შეწყვეტამ გამოიწვია.

ეროვნულ-დემოკრატიების ინიციატივით ჩამოყალიბებულმა კავკასიის კონფედერატო კომიტეტის მოღვაწეობამ ქართველი მენშევიკების შეშფოთება გამოიწვია. კომიტეტის სახით მათ სერიოზული მეტოქე დაინახეს კავკასიის ანტისაბჭოთა

ძალებზე ჰეგემონობისათვის. ამიტომ, ყურადღება გადაიტანეს ყველა პოლიტიკური პარტიის საქართველოს ემიგრირებული მთავრობის გარშემო შემოკრებისაკენ. ამ მხრივ გარკვეული შედეგებიც იქნა მიღწეული. 1926 წლის იანვარში მენშევიკებმა გადაიბირეს ეროვნულ-დემოკრატიების ნაწილი (ე.წ. ამირეჯიბ-გვაზავას ჯგუფი) და ისინი შეიყვანეს საქართველოს მთავრობის შემადგენლობაში. ამავე დროს, ჩამოყალიბდა „დამფუძნებელი კრების დელეგაცია“ შემდეგი პარტიების წარმომადგენლებისაგან: მენშევიკებიდან – კ. ჩხეიძე (მისი თვითმკვლელობის შემდეგ – ს. მენადარიშვილი); ეროვნულ-დემოკრატებიდან – შ. ამირეჯიბი და გ. გვაზავა. სოციალისტ-ფედერალისტებისაგან – ს. ფირცხალავა, ხოლო ესერებიდან – ი. გობეჩია [სპა. ფ. 14, ან. 3, ს. 402, ფ. 86]. შესაბამისად, რეორგანიზებული იქნა უცხოეთში მოქმედი პოლიტიკური პარტიების ბიუროები. მენშევიკებმა მთელი ყურადღება გადაიტანეს საერთო კავკასიური პოლიტიკური ორგანიზაციის ჩამოყალიბებაზე. ამ იდეის რეალიზაციაში მათ მთავარ მოკავშირედ პოლონეთი ეგულებოდათ. ამ მიზნით ნოე რამიშვილი რამდენჯერმე გაიგზავნა ვარშავაში.

1926 წლის ზაფხულში, სტამბოლში, პოლონეთის ახალ ელჩ ბადერას, სამხედრო ატაშეს შეტყველსა და ნოე რამიშვილს შორის მიღწეული შეთანხმებით ჩამოყალიბდა ახალი პოლიტიკური ორგანიზაცია „კავკასიის დამოუკიდებლობის კომიტეტი“, რომელშიც კავკასიის თითოეული რესპუბლიკიდან ორ-ორი წევრი შევიდა. საქართველოს მხრივ აკ. ჩხენკელი და გ. გვაზავა, აზერბაიჯანიდან – თოხთბაშევი და მაგემაროვი, ჩრდილოეთ კავკასიელთაგან – ჩერმოვი და ბამატოვი. დაშნაკური პარტიის წევრები მუსავატებთან და მთიელებთან კონფლიქტის გამო კომიტეტში არ გაერთიანდნენ [სპა. ფ. 14, ან. 3, ს. 339, ფ. 5]. სწორედ ასეთ პირობებში დატოვა დ. ვანნაძემ თურქეთი. მისი განაწევნების მიზეზი გასაგებია. ერთ-ერთ საარქივო დოკუმენტში დ. ვანნაძე დასახელებულია კავკასიის დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრად, რაც მართებული არ არის. სხვათა შორის, ამ ფაქტს არ ადასტურებს თავად ვანნაძე თავის მემუარული ხასიათის ნაშრომში [დ. ვანნაძე, 1992:177]. პოლონეთის მითითებით კავკასიის დამოუკიდებლობის კომიტეტს უნდა ეთანამშრომლა

ევროპაში ემიგრირებულ უკრაინის, თურქმენეთის და ყაზახეთის პოლიტიკურ წრეებთან [სპა. ფ. 14, ან. 3, ს. 339, ფ. 87-88].

კავკასიის დამოუკიდებლობის კომიტეტის მთავარი ამოცანები იყო: პოპულარიზაცია გაეწია კავკასიის კონფედერაციის იდეისათვის, კავკასიის, უკრაინის, თურქეთის და სხვა რეგიონების რუსული ბოლშევიზმისაგან განთავისუფლების საქმისათვის. ამ მიზნით გადაწყდა აღედგინათ ან შეექმნათ ახალი არალეგალური ორგანიზაციები კავკასიის ტერიტორიაზე და დაემყარებინათ მათთან ფართო კავშირი. დაგეგმეს კავკასიაში ანტისაბჭოთა აჯანყების მოწყობა 1927 წლის გაზაფხულზე ან შემოდგომაზე. თავიანთი იდეების პოპულარიზაციისათვის მათ დააარსეს სპეციალური ბეჭდვითი ორგანო „პრომეთეუსი“ (სპა. ფ. 14, ან. 3, ს. 339, ფ. 244).

კავკასიის დამკომს მუდმივი კავშირი ჰქონდა პოლონეთის ხელისუფლებასთან. ვარშავაში ნ. რამიშვილის ხშირი ვიზიტებისას განიხილებოდა აჯანყებასთან დაკავშირებული საკითხები. პილსუდსკის მთავრობა კავკასიის დამკომს კავკასია – უკრაინის ერთობლივი აჯანყების შემთხვევაში ფულით და იარაღით დახმარებას ჰპირდებოდა. მოლაპარაკებების დროს გამოიკვეთა ძირითადი მონაცემები: აჯანყება უნდა დაეწყოთ 1927 წელს უკრაინაში, რაც სიგნალი იქნებოდა საერთო კავკასიური აჯანყებისათვის. პოლონეთის სამხედრო სამსახურში მყოფი 125 ქართველი ოფიცერი უკრაინაში გამოსვლის მომენტში მიიღებდა სამხედრო დავალებას და ჩაერთვებოდა კავკასიის აჯანყებაში. პოლონეთის გენშტაბში კავკასიის საკითხების კურიერება დაევალა გენერალ ზაქარიაძეს. იქვე იმყოფებოდა ნ. ჟორდანიას ყოფილი მდივანი კოტე იმნაძე [სპა. ფ. 14, ან. 3, ს. 339, ფ. 7].

1926 წლის ნოემბერში გაიმართა ქართული ემიგრანტული მთავრობის საგანგებო სხდომა. მას ესწრებოდნენ: ნ. ჟორდანიას, ევ. გეგუჭკორი, ნ. რამიშვილი, აკ. ჩხენკელი, კ. კანდელაკი, შ. ამირჯიბი, კ. გვაზავა, ს. ფირცხალავა და ი. გობეჩია. სხდომაზე განიხილეს აჯანყებასთან დაკავშირებული საკითხები. თუმცა, საჭიროდ სცნეს რიგი საკითხების დაზუსტება, რის გამოც ირ. წერეთელი პოლონეთში მიაგდინეს.

თურქეთის გარკვეული წრეები მხარს უჭერდნენ ანტისაბჭოთა საქმიანობას. კავკასიელთა პოლიტიკური პარტიების

ცალკეული წარმომადგენლები, რომლებიც საზღვრებთან ანტი-საბჭოთა მუშაობას ეწეოდნენ, თურქეთის მაღალჩინოსანთა მიერ გაცემული საგანგებო ნებართვებით იყვნენ აღჭურვილნი, რაც მათ თურქეთის ტერიტორიაზე თავისუფალ გადაადგილებას უადვილებდა [დ. ვანნაძე, 1992:186-200; აცსა ფ-პ-1, ს 894, ფ. 177; შდრ. სპა. ფ. 14, ან. 3, ს. 339, ფ. 11].

კავკასიის დამკომის მიზანი იყო ამიერკავკასიის ანტი-საბჭოთა ძალებთან მჭიდრო კავშირის დამყარება. 1924 წლის აჯანყების ჩახშობის შემდეგ, საბჭოთა ხელისუფლების მიერ წარმოებული პერმანენტული რეპრესიების მიუხედავად, საქართველოს ეროვნული პარტიები კვლავ განგრძობდნენ იატაქვეშა მუშაობას. მათ შორის აქტიურობით კვლავ სოციალ-დემოკრატიული პარტია გამოირჩეოდა. მას საოლქო კომიტეტები ჰქონდა ქუთაისში, აჭარასა და აფხაზეთში, სამაზრო კომიტეტები – გურიაში, სენაკში, ზუგდიდში, ჭიათურაში, გორში. წარმოებდა პირველადი ორგანიზაციების აღდგენა ფოთში, ლანჩხუთში, რაჭაში, ახალციხეში, დუშეთში, თელავში, კახეთში და მანგლისის რაიონებში [4:88].

სამწუხაროდ, ჯერ კონფედერატო, ხოლო შემდეგ კავკასიის დამკომის ნებისმიერი მცდელობა, უცხოეთიდან საგანგებო პირების გამოგზავნით საქართველოშიც გაეაქტიურებინათ თავიანთი საქმიანობა, წარუმატებლად მთავრდებოდა. საქართველოს მთავარი პოლიტიკური სამმართველო თავიდანვე იყო ინფორმირებული უცხოეთში გააქტიურებული ანტი-საბჭოთა პარტიების საქმიანობის შესახებ და საგანგებო ზომებსაც იღებდა. ბუნებრივია, ბოლშევიკური სახელმწიფო აპარატის მოქნილი და მიზანმიმართული მუშაობა ხელს უშლიდა ქვეყანაში ანტი-საბჭოთა სააჯანყებო მუშაობის განხორციელებას.

ემიგრანტულმა კომიტეტებმა იმთავითვე მნიშვნელოვნად მიიჩნიეს თავისი საქმიანობის წარმართვა აჭარაშიც. ჯერ იყო და კავკასიის კონფედერატო კომიტეტმა დ. ვანნაძის მეშვეობით არტაანში ურთიერთობა დაამყარა აჭარიდან თურქეთში ემიგრირებულ ხიმშიაშვილებთან და დაითანხმეს მომავალ სააჯანყებო საქმიანობაში დახმარებაზე. შემდეგ იყო და კავკასიის დამკომმაც აჭარელ ბეგებთან ურთიერთობა მოახერხა რიზეში მყოფი თავისი წარმომადგენლის იესე

კეჭეყმაძის მეშვეობით. ეს უკანასკნელი დაუკავშირდა ხუსეინ ბეგ ბიბინზადეს (ბიბინეიშვილი), ხოლო მისი საშუალებით – ხიმშიაშვილებს. გადაწყდა, ზემო აჭარაში ხელმძღვანელად დანიშნულიყო ჯაფარ ხიმშიაშვილი, ხოლო ქვემო აჭარაში – ხუსეინ ბიბინეიშვილი.

აჭარაში მომავალი აჯანყების განხორციელებაში ხიმშიაშვილებს დიდ დახმარებას უწევდა თურქეთში, საზაფხულო საძოვრებზე გადასული აჭარის მკვიდრნი. 1927 წელს, უკან დაბრუნებულ მოიაღაღებებს ხიმშიაშვილებმა თავიანთ სანდო ხალხთან სადირექტივო წერილები გამოატანეს აჯანყების მოსამზადებლად [აცსა ფ-პ-1, ს 894, ფ. 178].

1927 წლის 8 ნოემბერს ჯაფარ ხიმშიაშვილმა ხუსეინ ბიბინეიშვილისაგან მიიღო მორიგი წერილი. მასში აღნიშნული იყო: „ძვირფასი ჯაფარ და ჯალილ ბეგნო! დიდი ხნის ღოდინისა და იმედის შემდეგ დადგა მომენტი ჩვენი განთავისუფლებისა. შეატყობინეთ თქვენს საიმედო ხალხს, რომ მოამზადონ მოსახლეობა აჯანყებისათვის საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ... ჩვენთვის მთავარ წყაროდან ცნობილია, რომ დღე დღეზე თბილისში და მთელ საქართველოში დაიწყება აჯანყება ინგლისის დახმარებით. ადრე ჩვენ მენშევიკების წინააღმდეგ ვმუშაობდით. ახლა დადგა დრო... დავიმსახუროთ მომავალი ნდობა და პატივისცემა... ამჟამად მე ქვემო აჭარაში ვმუშაობ აჯანყების მოსამზადებლად. თუკი გადაწყვეტთ აჭარაში იარაღის გამოგზავნას, დაუყოვნებლივ შემატყობინეთ. თურქეთის სასაზღვრო პუნქტები ხელისუფლებისაგან მიიღებენ ნებართვას იარაღის შეუფერხებელ გატარებაზე“ [აცსა ფ-პ-1, ს 894, ფ. 179].

9 ნოემბერს ჯაფარ ხიმშიაშვილის სახლში გაიმართა კრება, რომელსაც დაესწრნენ დურსუნ, დევრიშ, იბრაჰიმ და სელიმ ხიმშიაშვილები. განიხილეს მიღებული წერილი. კრებამ მომავალ აჯანყებაში ხელმძღვანელის როლი ჯაფარ ბეგს დააკისრა.

აჯანყება 1928 წლის ადრე გაზაფხულზე უნდა დაწყებულიყო. იქვე შეადგინეს ოთხი წერილი ზემო აჭარაში საიმედო ხალხთან გასაგზავნად. ამასთან, ხიმშიაშვილების ნაწილს დაევალა ადგილზე აჯანყების მომზადება [აცსა ფ-პ-1, ს 894, ფ. 180].

გაგზავნილი წერილებიდან ორი, ნოემბრის ბოლოს, აჭარის „ჩეკას“ ჩაუვარდა ხელში. წერილში აღნიშნული იყო: „თუკი მოსახლეობა იქნება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგი, ბეგები გაუწევდნენ ყოველგვარ დახმარებას. მოხდება აჯანყება და დაემხოება საბჭოთა ხელისუფლება“ [სპა. ფ. 14, ან. 4, ს. 8, ფ. 19].

აჭარის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა (ცაკი) მიიღო საგანგებო ზომები. ბათუმში დააპატიმრეს მენშევიკური ორგანიზაციის წევრები [სპა. ფ. 14, ან. 4, ს. 339, ფ. 6]. ზემო აჭარაში აღრიცხვაზე აიყვანეს „60 ანტისაბჭოთა ელემენტი“, რომელთაგან უმეტესობა დააპატიმრეს და თბილისში გადაგზავნეს [აცსა ფ-პ-1, ს. 894, ფ. 180]. ცხადია, პერმანენტული რეპრესიების პირობებში ყოველგვარი აჯანყების განხორციელებას ნიადაგი ეცლებოდა.

სამწუხაროდ, საარქივო მასალა მეტის საუბრის საშუალებას არ გვაძლევს. ფაქტია, რომ ჩვენს მიერ მოძიებული ეს წერილები ნათლად გვიჩვენებს აჭარის კუთვნილ როლს საერთო ქართული აჯანყების საქმეში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. დ. ვანნაძე, სამშობლოს სამსახურში, ჟურ. „ივერია“, თბ-პარიზი, 1992, №133;
2. საქართველოს პრეზიდენტის არქივი (სპა);
3. აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი (აცსა).

Adjara and the Independence Committee of Caucasus

Summary

After the riot against Soviet authorities had failed in 1924, Georgian national parties operating in immigration, having taken into consideration the mistakes of the past, decided to make an alliance. Thus the United Caucasus Front had been formed.

Later, in November 1924, on the initiative of National-Democrats, the “Liberation Committee of Caucasus” (referred to as “Caucasus Confederation Committee”) was established in Istanbul. After its dissolution in 1926, the new “Independence Committee of Caucasus” was established on the initiative of Mensheviks. The main goal of the Committee was to promote the idea of confederation of Caucasus in order to foster liberation of Caucasus, Ukraine, Turkey and other regions from Russian Bolshevism. It was decided to restore or establish new illegal organizations in Caucasus and cause a riot probably in spring or autumn of 1927. The publishing house “Prometheus” was set up to divulge information in the mentioned regions. The committees had their representatives to keep in touch with anti-Soviet forces from Adjara.

National parties in immigration continued their actions against the Soviet Regime, but it was too difficult to incite a riot as far as the power of Bolsheviks got stronger and stronger leaving fewer chances for national parties to fulfill their aims.

Кавказский независимый комитет и Аджария

Резюме

После неудачного восстания в 1924 году против Советского правительства, находящиеся в эмиграции грузинские политические партии, учтя прошлые ошибки и промахи, начали объединяться для создания единого Кавказского фронта против существующего режима.

С этой целью в ноябре 1924 года в Стамбуле по инициативе национал-демократической партии был создан «Кавказский освободительный комитет» («Кавказский конфедеративный комитет»). По инициативе меньшевиков в начале 1926 года, после того, как перестала существовать данная организация, был создан новый «Независимый кавказский комитет». Главной задачей этого комитета было распространение идеи популяризации кавказской конфедерации на Кавказе, на Украине, в Турции и других регионах в деле освобождения от русского большевизма. С этой целью было решено восстановить или создать новые нелегальные организации на всей территории Кавказа и установить с ними тесные связи. Было решено провести на Кавказе весной или осенью 1927 года антисоветское восстание. Для распространения своих идей эти организации создали печатный орган «Прометей». При содействии специальных агентов комитеты имели тесные связи с эмигрировавшими из Аджарии антисоветскими силами.

Находящиеся в эмиграции кавказские политические партии продолжали борьбу против советского режима, но в условиях растущего усиления коммунистического режима для подготовки народного восстания были минимальные возможности и силы.

**მიხეილ ჯავახიშვილი საქართველოს
გეოპოლიტიკური მდებარეობის და
ცივილიზაციური განვითარების
თავისებურებების შესახებ**

მიხეილ ჯავახიშვილს საგანგებო ნაშრომი არ დაუწერია საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობის შესახებ, მაგრამ მას აქვს ნარკვევი „მასალები ლექციებისათვის“ (ტ.6. გვ.51-70, თბ., 1980), სადაც ის გამოთქვამს შეხედულებებს მსოფლიო გეოპოლიტიკის, მასში საქართველოს ადგილისა და მისი ცივილიზაციური განვითარების შესახებ.

რა თეორიული ცოდნა შეიძლებოდა ჰქონოდა მიხეილ ჯავახიშვილს ამ შემთხვევაში, იცნობდა თუ არა იგი კლასიკურ გეოპოლიტიკურ თეორიებს სტატიის დაწერის დროს (1927).

შეიძლება ითქვას, რომ მან უთუოდ კარგად იცოდა ნაპოლეონის ცნობილი ფრაზა – „სახელმწიფოს პოლიტიკა მის გეოგრაფიაში ძევს“. მ. ჯავახიშვილის სტატიიდან შეიძლება ასევე ვივარაუდოთ, რომ მას უნდა სცოდნოდა ცნობილი მოგზაურისა და ჟურნალისტის ლ. მეჩნიკოვის წიგნი „ცივილიზაცია და დიდი ისტორიული მდინარეები“, სადაც ავტორი აღნიშნავს, რომ დიდი მდინარეების დაბლობებში უძველესი ცივილიზაციების ჩასახვა და განვითარება კანონზომიერ მოვლენას წარმოადგენდა. მ. ჯავახიშვილს ასევე უნდა წაეკითხა ცნობილი გერმანელი გეოგრაფისა და ეთნოგრაფის ფრიდრიხ რატცელის ნაშრომები – „ანთროპოგეოგრაფია“ (1891) და „პოლიტიკური გეოგრაფია“ (1897), რომლებშიც ავტორი არ იზიარებდა ევოლუციონიზმის იდეას და ცდილობდა დაედგინა სხვადასხვა გეოგრაფიულ ზონათა ბუნებრივი პირობების გავლენა სახელმწიფო პოლიტიკაზე. აქვე რატცელი აფასებს თითოეული ხალხის წვლილს მსოფლიო კულტურის განვითარებაში.

მიხეილ ჯავახიშვილმა კარგად იცოდა გეოპოლიტიკის მთავარი კანონი – ფუნდამენტური დუალიზმი, რომელიც გამოიხატება სახმელეთო („თელუროკრატია“) და საზღვაო („თალასოკრატია“) მმართველობათა დაპირისპირებაში.

„თელუროკრატია“, ანუ „სახმელეთო მმართველობა“ დაკავშირებულია სივრცის მდგრადობასთან, მისი თვისებრივი ორიენტაციებისა და მახასიათებლების სიმყარესთან. ცივილიზაციურ ენაზე ეს გამოიხატება მკვიდრობით, კონსერვატიზმით, მკაცრი იურიდიული ნორმატივებით, რომლებსაც ემორჩილება ადამიანთა გაერთიანებები – გვარები, ტომები, სახელმწიფოები, იმპერიები. ხმელეთის მდგრადობა, კულტურულ ასპექტში, მუდამდებია ეთიკისა და სოციალური ტრადიციების სიმტკიცეში. ხმელეთის (განსაკუთრებით – მკვიდრი) ხალხებისათვის უცხოა ინდივიდუალიზმი, სამეწარმეო სულისკვეთება, მათთვის დამახასიათებელია კოლექტივიზმი და იერარქიზმი.

„თალასოკრატია“, ანუ „საზღვაო მმართველობა“ წარმოადგენს საპირისპირო ღირებულებებზე დაფუძნებულ ცივილიზაციურ ტიპს. იგი გამოირჩევა დინამიურობით, მოძრაობა და ახასიათებს ტექნიკური განვითარებისაკენ სწრაფვა. მისი პრიორიტეტებია – მომთაბარეობა, განსაკუთრებით – ზღვაოსნობა, ვაჭრობა და ინდივიდუალური სამეწარმეო სულისკვეთება. ინდივიდი, როგორც კოლექტივის ყველაზე მოძრავი ნაწილი, აღიარებულია უმაღლეს ფასეულობად, ხოლო ეთნიკური და იურიდიული ნორმები ფერმკთაღდებიან, ხდებიან ფარდობითი და ხშირად იცვლებიან. ცივილიზაციის ასეთი ტიპი სწრაფად ვითარდება, ადვილად იცვლის გარეგან კულტურულ ნიშნებს და უცვლელად ინარჩუნებს მხოლოდ საერთო შინაგანი განწყობის იდენტურობას.

სავარაუდოდ, მიხეილ ჯავახიშვილს უნდა სცოდნოდა უდიდესი ინგლისელი გეოპოლიტიკოსის – ჰელფორდ მაკინდერის ნაშრომები („ისტორიის გეოგრაფიული საყრდენი წერტილი“ – 1904 წ. და „დემოკრატიული იდეალები და სინამდვილე“ – 1919წ.).

1. შიდაკონტინენტური სივრცეები წარმოადგენენ „უძრავ პლატფორმას“, შუაგული მიწა ჰართლენდი „ისტორიის გეოგრაფიულ ღერძს“, რომელიც მყარად ინარჩუნებს სახმელეთო

ცივილიზაციის სპეციფიკას (სწორედ აქ შედის საქართველოც).

2. „შიდა ანუ კონტინენტური ნახევარმთვარე“, „სანაპირო ზონა“ (რიმლანდი) წარმოადგენს ინტენსიური კულტურული განვითარების სივრცეს, სადაც ცხადად ჩანს „საზღვაო მმართველობის“ (თალასოკრატიის) ნიშნები, რომლებიც გაწონასწორებულია „სახმელეთო მმართველობის“ (თელუროკრატიის) მრავალი ტენდენციით.

3. „გარე ანუ კუნძულოვანი ნახევარმთვარე“ წარმოადგენს „შეუსწავლელ მიწებს“, რომელთან დაკავშირებაც შესაძლებელია მხოლოდ საზღვაო საშუალებებით.

მაკინდერის მიხედვით: ის, ვინც აკონტროლებს აღმოსავლეთ ევროპას, ბატონობს ჰართლენდში (სადაც შედის საქართველოც); ის, ვინც მართავს ჰართლენდს, ბატონობს მსოფლიო კუნძულზე; ის, ვინც ბატონობს მსოფლიო კუნძულზე, ბატონობს მთელ მსოფლიოზე.

ჯერჯერობით დაპირისპირება საზღვაო და სახმელეთო ცივილიზაციებს შორის საზღვაო ცივილიზაციის (აშშ და მისი მოკავშირეები), ანუ თალასოკრატიის გამარჯვებით დამთავრდა, რომელთანაც შეერთებას, სავსებით სწორად, ცდილობს თანამედროვე საქართველოც.

ამ ნარკვევში მიხეილ ჯავახიშვილი აკრიტიკებს ნიკოლო მიწიშვილს, რომელსაც საკუთარი თავის ურწმუნობის და ნიჰილიზმის სენი შეჰყრია და წერს: „მე მას (საქართველოს) ვერ ვხედავ, ვერ ვნახულობ და მეშინია: ნუთუ საქართველო მარტო ეთნოგრაფიულ მოვლენაა, თანდათან გადაგვარებაში გადასული?.. ჩვენი წარსულიც სრული უბადრუკებაა: იქ (საქართველოში) მე ღვთის ხელს ვერ ვნახულობ. ჩვენი არსებობა დაცინვაა განგებისა და ჩვენს თავზე“ და ა.შ.

მიხეილ ჯავახიშვილი მკვეთრად ემიჯნება ასეთ ნიჰილისტურ განწყობილებას და ხაზგასმით აღნიშნავს: „მიწიშვილი მარტო არ არის, ურწმუნობით მრავალია შეპყრობილი და ასეთი სულიერი მოღუენება გადამდები სენივით ედება ჩვენი ხალხის მჩატე ნაწილს...

ტყუილად კი არ ამბობენ ფრანგები: თვითრწმენა გამარჯვების ნახევარიაო. იგივე ითქმის სოციალურ ფსიქიკაზეც. თუ დააჯერეთ ხალხი, რომ არც მისი წინაპარი ვარგებულან,

არც თვითონ აქვს რაიმე და არც მის ჩამომაგლობა შეჰქმნის რასმეს თავად საჩინოს, მისი დღენი დათვლილია. ისიც იმ ერთ პიროვნებასავით მალე მოიშლება, მოიღუნება და შეეპყდება აღმოსავლურ უდალში: გარინდება, პასიურობა, ბედის მორჩილება – აი მისი მომავალი“.

მწერალი აქვე დამაჯერებლად ხსნის, რომ „რიდი, მორცხვობა, ურწმუნოება საკუთარი ძალებისა – ასეთია ბუნებრივი ფსიქიკა პატარა ხალხისა და ამ კანონს ვერც ჩვენ წაუვალთ.... ასეთია ბედი ისტორიულად დაჩაგრული ხალხისა“.

მიხეილ ჯავახიშვილი თვალს მიადევნებს ჩვენი ქვეყნის ისტორიულ წარსულს. იგი იწყებს ანთროპოლოგიური ტიპებიდან და მიუთითებს, რომ ქართველები, უდავოდ, ანთროპოლოგიის კლასიფიკაციაში პირველ რიგში დგანან, რომ „უცხოელთა (ბლუმენბახი და სხვ.) აღიარებით იშვიათია ქვეყანაზე ჩვენისთანა მოსრული, ნატიფი, ჯიშინი ხალხი“ და რომ დახვეწილი ჯიშიც დიდი კულტურის შედეგია. მწერლის აზრით, „ჩვენს ფიზიკურ აღნაგობაში განუყრელად ჩაღერილია ბიოლოგიური გამძლეობაც. მარტო წინა აზიაში, ჩვენს გვერდით და გარშემო ოციოდე დიდი ერი და სახელმწიფო დაიდუბა, ჩვენ კი ისევ ფეხზე ვდგევართ და ჩვენი გზით მივაბიჯებთ ხალხთა უღვეველ ჭიდილში. ქართველ ხალხს ებრაელთა უკვდავება და ჭიანჭველის ძალა აღმოაჩნდა. ვინც ჩვენი შეჭმა დააპირა, ჩვენი შხამით მოიწამლა“.

მიხეილ ჯავახიშვილი აქ უკვე ეხება გეოპოლიტიკურ ფაქტორებს და წერს: „ყოველი ერის ისტორია – წარსული, აწმყო და მომავალიც – განუწყვეტელი ჯაჭვებით არის გადაბმული მისი ქვეყნის გეოგრაფიულ მდებარეობასთან. ამ ფაქტორს ყოვლად უძლეველი და გარდაუვალი ძალა აქვს. მას თანაბრად ერთვის ამავე ერის ხასიათი და პოტენციალური წონა. აი, ეს ფაქტორები ჰქმნიან და ხსნიან ამა თუ იმ ერის წარსულსაც და მყობადსაც.“

ძველი ბერძნები პამირის მთიანეთზე ვერ შეჰქმნიდნენ ბრწყინვალე ელინურ კულტურას. სამაგიეროდ, ვერც მონგოლები გასწევდნენ ინგლისელობას. რომაელების კანონიერება და იმპერია ვერ დაარსდებოდა სოლომონის კუნძულებზე, ხოლო ევროპაში ინდოგერმანელების ნაცვლად ჩინელები

რომ მოსულიყვნენ, მსოფლიო ისტორია სულ სხვა გზებით წავიდოდა“.

მწერალი ანალიზებს საქართველოს გეოპოლიტიკურ მდებარეობას და საკვებით სწორად მიუთითებს, რომ საქართველოს – ამ პატარა, ღამაზ ქვეყანას უმძიმესი გეოპოლიტიკური ადგილი ხვდა წილად, რომ ღმერთმა თავისი რისხვა სწორედ ჩვენს ქვეყანას დააბერტყა:

„ამ მხრივ ჩვენი ბედი საზარელია. გადაავლეთ თვალი ჩვენი მნათობის რუკას და გაიხსენეთ მსოფლიო კულტურის მთავარი გზა. ყოველივე აღმოსავლეთიდან წამოვიდა – მეცნიერება, ხელოვნება, რელიგიები, სოციალურ-სახელმწიფოებრივი ინსტიტუტები და სისტემებიც. ეს დიდი მდინარე ჩინეთ-ინდოეთ-შუა აზიიდან ჯერ მცირე აზიაში ჩამოვიდა, შემდეგ ხმელთაშუა ზღვის ნაპირებს მოედო (საბერძნეთი, ეგვიპტე, რომი, კართაგენი, არაბეთი), შემდეგ ლათინთა ქვეყნები ააყვავა და დასასრულ ევროპის ჩრდილო-დასავლეთსა და ჩრდილოეთისკენ შეუხვია.

ეს მდინარე საქართველოს ასცდა. ჩვენ გვერგო მხოლოდ სანაპირო ტალღები. ამ წინწყლებითაც კი, როგორც დავინახავთ, უხვად ვისარგებლეთ. და თუ ჩვენი კულტურის ტაძარი ზეცას ვერ მივაბჯინეთ, არც ეს არის ჩვენი ბრალი: მუდამ გვანგრევდნენ, გემუსრავდნენ, გვახრჩობდნენ“.

ამის შემდეგ მ. ჯავახიშვილი ავითარებს თალასოკრატიულ („საზღვაო მმართველობის“) თვალსაზრისს და აღნიშნავს, რომ „მსოფლიო კულტურის მდინარე მუდამ ზღვის ნაპირებს მისდევს. რამდენადაც უფრო გრძელია რომელიმე ქვეყნის საზღვაო ხაზი, იმდენად უფრო ძლიერია ამ ხაზის კულტურა ან წარსულში, ან ესლაც, ან მომავალში. გაიხსენეთ ძველი საბერძნეთი, რომი, ჩინეთი, ან ესლანდელი ინგლისი, ამერიკა და იაპონია. როცა კოლუმბმა ახალი ქვეყანა აღმოაჩინა და კულტურის ცენტრი ჩაკეტილი ზღვებიდან ოკეანეში გაიტანა, იტალიის საზღვაო ქალაქებმა საჯაროდ იგლოვეს თავიანთი მომავალი დაქვეითება. და მათი გლოვა და შიში მალე გამართლდა. ბევრმა ხალხმა შეაკლა თავი ზღვისათვის და საზღვაო გზებისათვის ბრძოლას: საბერძნეთმა, ფინიკეთმა, კართაგენმა და მრავალმა სხვამაც. ინგლისმა რიგრიგად მოუჭრა ეს გზები თავის მეზობლებს ჰოლანდიას,

პორტუგალიას, ესპანეთსა და საფრანგეთსაც – და მხოლოდ ზღვების წყალობით დაიმკვიდრა დღევანდელი ადგილი. უკანასკნელი მსოფლიო ომის (ლაპარაკია I მსოფლიო ომზე) სათავეც აქ არის. გერმანიასაც ისევ ინგლისმა მოსჭრა ზღვებისაკენ – დიდი ბაზრებისაკენ გაწვდენილი მარჯვენა და რუსეთის გაზრდა და განუწყვეტელი ომებიც – პეტრე დიდის მოყოლებული უკანასკნელ დიდ ომამდე – გამოწვეული იყო ჯერ ზღვის მოპოვების, შემდეგ საზღვაო ხაზის გაფართოების და ბოლოს შავი ზღვიდან გასვლის უძლეველი წყურვილით“.

მწერალი სწორად მიუთითებს შავი ზღვის დაბალ გეოპოლიტიკურ მნიშვნელობას და მის კიდევ უფრო გაფერმკრთალებაზე თურქთა მიერ ბიზანტიის დაპყრობის შემდეგ, რაც ძალზე ტრაგიკული აღმოჩნდა ევროპას მოწყვეტილი საქართველოსთვის.

„შავი ზღვის ნაპირებზე არ გაშლილა და ვერც გაიშლება მსოფლიო მასშტაბის ცივლიზაცია. მხოლოდ ბერძნებმა და გენუელებმა ოდნავ შთაბერეს მას სასიცოცხლო სული, რადგან ხელში ეჭირათ მისი გასაღებიც – ბოსფორი და დარდანელი. ამ მხრივ პორტა ზღვას უდრის – ვისაც ეს გასაღები ხელში აქვს და ჩაკეტილ ტბად უნდა ჩაითვალოს იმისთვის, ვინც მის ნაპირებზე მოსახლეობს.

ჯერ ერთი: ეს ზღვა მიკუნჭულია თავისი სოროსავით, მოწყვეტილია მსოფლიო გზებს. მეორე: მისი გასაღები მუდამ სხვის ჯიბეში იდო. მესამე: საქართველოს აქ მხოლოდ ერთი მტკაველი ალაგი ქონდა. და მეოთხეც: ჩვენდა საუბედუროდ, ქართველსაც, ებრაელსაც ეშინოდა წყლისა. ასე ავცდით მსოფლიო კულტურის გზებს, რადგან თვით ეს გზებიც ასცდნენ საქართველოს. არა მჯერა, ვითომ საქართველოზე დიდი სავაჭრო გზა გავიდოდა, ვითომ აღმოსავლეთ – დასავლეთის აღებ-მიცემობა აქ იხლართებოდა... რა თქმა უნდა, ასეთი გზა არსებობდა, მაგრამ იგი უფრო მთის ბილიკს ჰგავდა, ვიდრე სავაჭრო გზას და ამ დახლართულ-დაწყვეტილი მიწებით ერთი მუჭა საქონლის დატრიალებაც ძლივს შეიძლებოდა.

დიდი სავაჭრო გზები ასცდა საქართველოს. სამაგიეროდ – და ჩვენდა საბედისწეროდ – დიდი პოლიტიკურ-სტრატე-

გიული გზები არ აგვცდენია. და ჩვენც მუდამ ამის გამო ვიღუპებოდით, ვინგრეოდით იმ სოფელივით, რომლის თავზე და გარშემო განუწყვეტლივ იბრძვიან ძლიერი მეზობლები“.

მ. ჯავახიშვილი ჩამოთვლის იმ ურდოებს, რომლებმაც საუკუნეების მანძილზე საქართველოზე გადაიარა, ან ილაშქრა და დააქცია, გაძარცვა თუ მოსტყვევნა. ყველა ჩვენს სულზე და ნაშრომზე ნადირობდა. მაგრამ ჩვენს წინაპრებს თავიანთი სულიც, ნაშრომიც და მიწა-წყალიც თავისთვის უნდოდათ, ამიტომ დავა ყოველთვის იარაღით სწყდებოდა.

აქ მწერალს მოჰყავს სორბონის ცნობილი პროფესორის, განთქმული არქეოლოგისა და აღმოსავლეთმცოდნის კოლინონის მისთვის ნათქვამი სიტყვები: „ქართველი ხალხი სხვაგან სადმე რომ ყოფილიყო დასახლებული და ნორმალურად განვითარებულიყო, ეხლა ას მილიონზე მეტი იქნებოდა. ამ პატარა კუნძულს მეტად დიდი საზღვრები სჭამდნენო“.

და კინაღამ შესჭამეს. მიუვალმა რუსეთმა მხოლოდ ხუთი-ოღჯჯერ თუ განიცადა უცხოთა ფერი, ჩვენ კი ხიდზე ვიჯექით და მუდამ ვითვლებოდით. ამიტომ არც საკვირველია, რომ შედეგიც სხვადასხვანაირი მოგვეყვა. მარტო ტყვის სყიდვის შედეგად რამდენიმე საუკუნის მანძილზე სამ მილიონზე მეტი ქართველი გაიყიდა ჩვენი თუ მტრის ხელით. „ევროპამ ერთხელ იხილა ჰუნების საშინელება, – წერს მ. ჯავახიშვილი, – ჩვენთვის კი რკინისა და ცეცხლის სეტყვა შეჩვეული ჭირი იყო. ევროპას დღესაც აურჟოლებს ატილას და ალარიხის გახსენებაზე, ზოგმა ქართველმა კი მალე დაივიწყა ათჯერ მეტიც და უარესიც... დედაქალაქი ტფილისი 36-ჯერ წაგვართვეს და დავიბრუნეთ. ყოველი ასეთი აკლების შემდეგ ჩვენ გვრჩებოდა მოპარსული მიწა და ზედ დამდგარი ქართველი უიარაღო, უსაქონლო, ხელცარიელი და მეასეჯერ ხელახლად იწყებდა ქვაბული კაცივით დანგრეულის აღდგენას.

ჩვენ მუდამ ცეცხლში ვცხოვრობდით და ჩვენი კულტურის ტაძარს უფრო მახვილით ვაშენებდით, ვიდრე ჩაქუჩით და წერაქვით. ხერხემალი მრავალჯერ დაგვიმსხვრიეს, მაგრამ ისევ ვიმართებოდით და ისევ ვაშენებდით“.

აქ მიხეილ ჯავახიშვილი ეხება ჩვენი წარსულის შავ ფურცლებს – ურთიერთჭამას და მუხანათობას, ღალატსა

და მზაკერობას, „ყიყვსა და ეშმაკს“ და მიუთითებს, რომ ამის გამო საღი მსჯელობის უნარი არ უნდა დაგვარგოთ და უკიდურესობაში არ უნდა გადავვარდეთ. იგი დამაჯერებლად ხსნის, რომ ბუნების კანონით „დავრდომილის, დამარცხებულის სხეულში და ტანზეც მუდამ ჩნდება ათასნაირი შხამიანი ბაცილა, მუწუკი და ჭირი. ჩვენი შინაური რღვევა და აღრევაც, მზაკერობა და მუხანათობაც, „ყიყვი და ეშმაკიც“ მუდამ შედეგი იყო ჩვენი დამარცხებისა გარეშე მტრისაგან (მარტო აფხაზეთის ომში დამარცხებამ 1993 წელს ათეული წლებით უკან დაგვწია – ვ.შ.). ძარღვგადაჭრილი, იმედგაცრუებული და გამწარებული ორგანიზმი იწყებს საკუთარივე თავის ღრღნას და ჭამას. ამიტომ მოსდევდა ხოლმე ჩვენს დამარცხებას ანარქია, შიმშილი, ეპიდემია, ზნეობრივი გახრწნილობა, განდგომა და დაშლა პროვინციებად.

მწერალი ხაზს უსვამს, რომ სხვა ხალხებივით ნაკლიც ბევრი გვქონდა და ღირსეობაც, რომ ქვეყანაზე არ არსებობს ტომი, რომელიც მხოლოდ ეშმაკეულს ემსახურება და მასში გენიალობის რაიმე ელემენტი არ იყოს.

შემდეგ მ. ჯავახიშვილი ჩამოთვლის კულტურისა და ხელოვნების იმ სფეროებს, რომელიც განავითარა ქართველმა ხალხმა და საპატიო წვლილი შეიტანა ცივილიზაციის განვითარებაში. „ჯერ კიდევ ჩვენი უძველესი წინაპრები – ხეთები პირველობას ედავებოდნენ მაშინდელ უმძლავრეს სახელმწიფო ასურეთს. მაშასადამე, ჩვენი დასაბამიც ყოველ მხრივ მსოფლიოს სიგრძე-სიგანისა ყოფილა (აღსანიშნავია, რომ სხვაბთან ერთად გიორგი ლეონიძეც ხეთებს მიიჩნევდა ჩვენს წინაპრებად. მისი თქმით, ეს ქვეყანა უწყლო გამხდარა და ქართველები იქიდან წამოსულან. სწორედ ამიტომ არის, რომ წყალს ქართველები ჯერ პატარებს ვაწვდით და ვამბობთ, რომ წყალი უმცროსისაა, პატარები რომ მაინც გადარჩენილიყვნენ. სხვა ხალხებს ასეთი წესი არა აქვთ. ამითვე არის გამოწვეული ისიც, რომ მხოლოდ ჩვენს ენაზე ჰქვია „წყალობას“ – წყალობა, ანუ წყლის მიწოდებაო). მოსხებმა და ხალიბებმა – იმავე ქართველებმა – ლითონის მრეწველობა შექმნეს... არგონავტებიც ჩვენმა დიდმა სიმდიდრემ მოიზიდა, რაც არ უნდა იყოს, ამ მხრივ არავის ჩამოვრჩით... ჩვენ ქართველებმა ევროპას დავასწარით პუმანისტური ეპოქის

შექმნაში. უდავოა და ზემოსხენებულს ადასტურებს მეორე ფაქტიც: საბერძნეთიდან ნეოპლატონიზმი განიდევნა, საქართველოში კი თითქმის თავისუფლად ვითარდებოდა. როცა ევროპა – ბიზანტია შავმა ფანატიკოსობამ მოიცვა, ჩვენში დიდი ჰუმანისტური ეპოქა დაიწყო“. მწერალი აქ ჩამოთვლის დავით აღმაშენებლის ღვაწლს, რომელმაც თურქ-სელჩუკები განდევნა და თვითმპყრობელური მონარქიის მოდელი დაამკვიდრა მსოფლიოში, საფუძველი ჩაუყარა ჭეშმარიტ ტოლერანტობას და შემწყნარებლობას, გამართულ სახელმწიფო ორგანოებს, ყურთლუ-არსლანის დასის მიერ წამოყენებულ მეფის ხელისუფლების შეზღუდვისა და პარლამენტარიზმის იდეას, ქალისა და კაცის თითქმის თანასწორობას და ქალმეფეთა გახელმწიფებას... ყვავილის აცრა ინგლისელმა მეცნიერმა ჯენერმა მოიგონა XVIII საუკუნის მეორე ნახევარში. ბერძენი ემანუელ ტიმონი კი სწერს 1713 წელს, რომ ქართველები დიდი ხანია ყვავილს აცრით სწამლობენო. ჯენერი ამშვენებს ინგლისელ მეცნიერებას, ჩვენზე კი არავინ ლაპარაკობს.

ჯერ კიდევ ათი საუკუნის წინ ობსერვატორია გვექონდა ტფილისში. იმავე ხანებში და უფრო გვიან ისევ მონგოლების შემოსევამდე – საქართველო დასერილი და საცხე იყო გზებით, არხებით, ქვითკირის შენობებით, მშვენიერი ციხესიმაგრეებით და საუცხოო ტაძრებით. ცხადზეც უცხადესია, რომ ამისათვის უდიდესი შრომისა და სიმდიდრის გარდა საჭირო იყო ცოდნა მექანიკის, ჰიდროტექნიკის, მათემატიკის და მრავალი დამხმარე საგნების. მარტო მტკვარზე ტიფლისთან მტკვრის სათავეებამდე ოციოდე ქვითკირის ხიდი იყო გადებული. რამდენიმე ათეული ქართული ჯიშის ვაზი... ფუგა ევროპელებზე ადრე ქართულ მუსიკაში მოიძებნებოდა. აქაც დავასწართ ევროპას... უდავოა, რომ რიტმიკის მხრივ ვერცერთი ერი ვერ შეედრება ქართულ სიმღერას... რა თქმა უნდა, ჩვენ არა გვაქვს კარუზო, პიტი, შალიაპინები, ბეთჰოვენები და ვაგნერები, მაგრამ ასეთი დიდი არტისტები მთელ ქვეყანაზე ოთხიოდე ჰყავს. ინგლისელებს კი ამ დარგში მცირეხაზოვანი ხელოვანიც არა ჰყავს. ჩვენი ფრესკა უკვე განთქმულია მცოდნეთა შორის... ჩვენი ხელოვნების ერთმა დარგმაც – ხუროთმოძღვრებამაც – უმაღლეს საფეხურს მიაღწია. რა

სასახლეები დაინგრნენ, იქნება ვატიკანის ესკურიალი და პერსეპოლისი არც გექონია. სამაგიეროდ დარჩნენ ციკლოპური მანგლისი, უფლისციხე, ვარძია და დიდი ტაძრები მცხეთის, გელათის, ოშკისა და მრავალი მსგავსისა და ტოლის... ყოვლად უდავოა, რომ რომ ქართველის გენიალობამ ამ დარგშიც შექმნა საკუთარი სტილი... გერმანელმა მეცნიერმა კოხმა თქვა და დაწერა – აღმოსავლეთში ორი უდიდესი ნაშთია არქიტექტურის – აია სოფია და ბანას ტაძარი.

აია სოფიას ტაძარს ათიათასობით ხოტბა უძღვნეს, რადგან იგი ქვეყნის გზაჯვარედინზეა გამოჭიმული. ბანას სანახავად წასვლა კი დღესაც საგმირო მგზავრობად არის მიჩნეული. სპეციალისტებმა კი იციან, რომ სადაც გამოიფინება ბერძნული პანთეონი, ეგვიპტური პირამიდა ან კარნაკის ტაძარი, ინდური პაგოდა ან სუზის სასახლე, არაბული აღჰამბრა ან სპარსული მიზგითი – ქართული ბანა და ვარძიაც გვერდით ამოუდგებიან და შინარწმენით იტყვიან: ჩვენც აქ გახლავართ!..

არის კულტურის ერთი დარგი, რომელიც მუდამ მძლავრად სჩქეფდა – მეტყველება, ლიტერატურა, ინგლისის უმდიდრესი ლიტერატურის გარდა თითქმის ვერაფერი შეუქმნია. რუსებმა სახელი მოიხვეჭეს უმთავრესად ლიტერატურით და მუსიკით. იტალიელებმა იმძლავრეს მხატვრობით, ქანდაკებით, ხუროთმოძღვრებით, ხოლო ლიტერატურაში მოგვცეს მარტო დანტე და პეტრაკი. მარტო ბერძნებმა მოგვცეს ლიტერატურისა და ხელოვნების თითქმის ყველა დარგის დიდებული ნიმუშები. თავს ვანებებ აღმოსავლეთს. ჩვენშიც უმთავრესად ლიტერატურა განვითარდა. დანარჩენებზე უკვე მოგახსენეთ.

ქართული აღფაბეტი და ორთოგრაფია უკიდურესობამდე მარტივია, მკაფიო და ნათელი. სწორედ ამ სიმარტივეშია მისი გენიალობაც. იშვიათად შეხვედებით ასეთ ადვილ მართლწერას, როგორც ვლადიმერ მაკოვსკიმ, ისევე ვწერთ და როგორც იწერება ისევე გამოითქმის.

დღევანდელი გერმანელი და ბევრი სხვაც – უცხო ენასავით სწავლობს XVI საუკუნის დედაენას, ჩვენ კი ადვილად გვესმის თუნდაც V საუკუნის ნაწერი. იაკობ ხუცესის თხზულებას დღევანდელ ქართველთათვის მხოლოდ ოციოდე სიტყვა აქვს განმარტებული. ზემოხსენებული მხატვრობა

ორთოგრაფიის, თითქმის ერთიგეობა ხალხურისა და ლიტერატურული ენის – აი ამან დაამკვიდრა უმჭიდროესი და უხანგრძლივესი სულიერი კავშირი მოწინავეთა და უკანათა შორის და ერთხელ კიდევ ნათელყო ჩვენი ხასიათი და გენიალობა“.

ამრიგად, მიხეილ ჯავახიშვილის – უდიდესი მწერლისა და პატრიოტის – ამ ნააზრევს დღესაც პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნია ჩვენი ხალხისათვის, რომელსაც ჯერ კიდევ ვერ დაუძლევია ცალკეული ნიჰილისტურ-კოსმოპოლიტური რეციდივები, სხვისი მოიმედება და წამბაძველობა. ამრიგად, დიდი ქართველი დღესაც გვეხმარება საკუთარი თავისა და ძალის რწმენაში, ფუჭი გეოპოლიტიკური ილუზიებისაგან გათავისუფლებაში, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე მსოფლიოში ჩვენი ადგილისა და როლის სწორად გააზრებისათვის.

Vazha Shubitidze

Mikheil Javakhishvili about the peculiarities of Georgian Geo-Political location and civilisation developments

Summary

This article is comprehend by famous Georgian writer Mikheil Javakhishvili. The article is about Georgian geopoliticasl disposition and the development of civilization. Nowadays both of the them are very actual and is expediant with the Georgian national interest in difficult Globalization age.

Важа Шубитидзе

**Михаил Джавахишвили о геополитическом расположении
Грузии и особенностях цивилизационного развития**

Р е з ю м е

В статье дан анализ точки зрения известного грузинского писателя Михаила Джавахишвили о геополитическом расположении Грузии и особенностях цивилизационного развития, что и на данном этапе, в пору глобализации, особенно актуально и приемлемо для Грузии.

საინფორმაციო საშუალებები აჭარაში 1921-1990 წლებში

საინფორმაციო საშუალებებს შორის წამყვანი ადგილი უკავია პრესას. საქართველოში პრესას საფუძველი ჩაეყარა XIX საუკუნის 10-იანი წლების დამლევს. იგი მნიშვნელოვნად განვითარდა XIX საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც მთავრობის ოფიციალურ პრესასთან ერთად გამოხვდა იწყო არაერთმა დამოუკიდებელმა ჟურნალ-გაზეთმა. 1913 წელს საქართველოში გამოდიოდა 15 გაზეთი და რამდენიმე ჟურნალი.

პირველი მსოფლიო ომის წინ ბათუმის ოლქში გამოდიოდა ერთი ჟურნალი ("რუსსკიე სუბტროპიკი") და ხუთი გაზეთი ("ბატუმსკაია პრავდა", "ბატუმ", "ბათუმის გაზეთი", "ბატუმსკი დენ", "ხერნომორსკი ვესტნიკ"). ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განვითარებასა და ამ მხარის მოსახლეობის გათვითცნობიერებაში განსაკუთრებული როლი შეასრულეს ქართულმა გაზეთებმა "სამუსლიმანო საქართველო" და "ბათუმის ფურცელი", რომლებიც 1919-1920 წლებში გამოდიოდა.

გასაბჭოების შემდეგ დამოუკიდებელი, თავისუფალი პრესა აღარ არსებობდა. იგი საბჭოთა სახელმწიფოსა და მმართველი პარტიის მონოპოლიური საკუთრება გახდა. პრესაზე მკაცრი ცენზურა დაწესდა. ამავე დროს განხორციელდა პრესისა და საგამომცემლო საქმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ნაციონალიზაცია. ცხადია, ასეთ პირობებში პრესის განვითარება შეუფერხდა. მნიშვნელოვნად დაკნინდა მისი ადგილი და როლი ხალხის სულიერ ცხოვრებაში. თავისუფალი პრესის არარსებობის პირობებში ჭეშმარიტი საინფორმაციო მასალები მოსახლეობას აღარ მიეწოდებოდა. მიუხედავად ამისა, საინფორმაციო საშუალებები, მათ შორის პრესა საგრძნობ როლს ასრულებდა მოსახლეობის პოლიტიკურ გათვითცნობიერებაში.

გასაბჭოებისას აჭარაში დაარსდა გაზეთები – “იზვესტია” და “უწყებები”, რომლებიც წარმოდგენდნენ ბათუმის რევოლუციური კომიტეტისა და XI წითელი არმიის პოლიტგანყოფილების ორგანოებს. რუსულენოვანი გაზეთის “იზვესტია” პირველი ნომერი გამოვიდა 1921 წლის 18 მარტს, ხოლო ქართულენოვანი “უწყებისა” – 19 მარტს. მათი ფორმატი და ტირაჟი ცვალებადი იყო. ისინი გამოიცემოდა ხან შემცირებული, ზოგჯერ კი გადიდებული ფორმატით. პირველ ხანს “უწყებების” ტირაჟი 400 ეგზემპლარს არ აღემატებოდა. მეტნაკლებად ასეთი იყო “იზვესტიის” ტირაჟიც, თუმცა ზოგჯერ 2000 ცალამდეც აღწევდა.

გაზეთებს აკრავდნენ ხის ბოძებსა და შენობა-ნაგებობათა კედლებზე, ხოლო საწარმო-დაწესებულებებს უფასოდ ურიგებდნენ. თავდაპირველად გაზეთები იბეჭდებოდა ხ. მ. შმავესკის სტამბაში. ნაციონალიზაციის შემდეგ იგი გადავიდა რევოლუციური კომიტეტის განკარგულებაში. გაზეთების რედაქციებს არ გააჩნდათ საჭირო რაოდენობის ქაღალდი და სხვა მასალა, არ ჰყავდათ სპეციალისტები. ხშირად იცვლებოდნენ რედაქტორები, რომელთა ნაწილი რევოლუციური კომიტეტის წევრები იყვნენ. 1921-1922 წლებში “უწყებების” პასუხისმგებელ რედაქტორებად მუშაობდნენ თ. ჟღენტი (რომელიც ამავე დროს იყო ბათუმის ოლქის სამხედრო კომისარი), შემდეგ ს. ჩიხლაძე, ი. ბახტაძე, ა. ურუშაძე.

პროფესიულ-ჟურნალისტური შინაარსით, სტილისტიკითა და ტექნიკურ-მხატვრული გაფორმებით “უწყებები” და “იზვესტია” დაბალ დონეზე გამოდიოდა. საგრძნობლად ღარიბი იყო გაზეთების სარედაქციო ფოსტა. რედაქციას სუსტი კავშირი ჰქონდა დამყარებული სოფელთან, ხალხის ფართო მასებთან. გაზეთებში მეტწილად იბეჭდებოდა ცენტრალური (მოსკოვი), საქართველოს რესპუბლიკური და ადგილობრივი ოფიციალური მასალები.

გაზეთები ტენდენციურად აშუქებდნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელი და რევოლუციური მოძრაობის ისტორიას და თანამედროვე პრობლემებს, პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურის საკითხებს. მუქ ფერებში აშუქებდნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის საქმიანობას. ერთი სიტყვით, ყველა საკითხს,

რაც საზოგადოებას აღელვებდა, გაზეთები აშუქებდნენ კლასობრივ-პარტიული პოზიციებიდან, რაც ჭეშმარიტებას იყო მოკლებული.

1922 წლიდან, როდესაც აჭარაში ხელსუფლების ახალი ორგანოები – საბჭოები ჩამოყალიბდა, შეიცვალა გაზეთების სახელწოდებები, ფორმატი, ტირაჟი, სარედაქციო კოლეგია, ტექნიკურ-მხატვრული გაფორმება, მაგრამ შინაარსობრივად იგივე დარჩა. პუბლიცისტურ წერილებსა და სხვა სახის სტატიებში კიდევ მეტად გაიზარდა საკითხების გაშუქება კლასობრივ-პარტიული პოზიციებიდან. სახელმწიფოს მხრიდან მკაცრმა ცენზურამ და პარტიულმა კონტროლმა აპოგეას მიაღწია. 1922 წელს "იზვესტიას" ეწოდა "ტრუდოვოი ბატუმ", ხოლო "უწყებებს" იმავე წლის 1 ივნისიდან – "პროლეტარული ბრძოლა". იგი 1923 წლის მარტიდან 1924 წლის 18 მარტამდე გამოდიოდა "ბრძოლის" სახელწოდებით, ამის შემდეგ 1929 წლის 17 მარტამდე – "ფუხარას" სახელით, შემდეგ ეწოდა "საბჭოთა აჭარისტანი" (ე. დავითაძე 1975, 116.)

გაზეთ "საბჭოთა აჭარისტანს" 1936 წელს (6 თებერვალი №30) ეწოდა "საბჭოთა აჭარა", ხოლო 1990 წლის ბოლოს – "აჭარა". დღესაც იგი ამ სახელწოდებას ატარებს. რუსულენოვან გაზეთს "ტრუდოვოი ბატუმ" 1930 წელს ეწოდა "ბატუმსკი რაბოჩი", ხოლო 1963 წელს – "სოვეტსკაია ადუარია". აღნიშნული გაზეთები 1922 წლიდან იყო საქართველოს კომუნისტური პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის, აჭარის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახკომსაბჭოს ორგანოები.

1924 წელს ბათუმში გამოდიოდა აგრეთვე ბერძნულენოვანი გაზეთი "კომუნისტი", რომლის ტირაჟი 1000 ეგზემპლარამდე აღწევდა. ამდენივე რაოდენობით იბეჭდებოდა "ფუხარა", ხოლო "ტრუდოვოი ბატუმ" 1600–1800 ცალამდე (1: 12). მომდევნო წლებში "ფუხარას" და "ტრუდოვოი ბატუმის" ტირაჟი მნიშვნელოვნად გაიზარდა. მაგალითად, 1925 წლის დეკემბერში "ფუხარა" გამოვიდა 2500 ეგზემპლარამდე, საიდანაც ბათუმში საღებოდა 1500 ცალი, ხულოს მაზრაში–100, ბათუმის მაზრაში–75, ქედის–100, ქობულეთის–290, ოზურგეთის მაზრაში–100, ხოლო ქალაქ ქუთაისში–150 ცალი (3: 135). 1926 წელს "ფუხარასა" და "ტრუდოვოი ბატუმის"

ტირაჟი 7000 ცალამდე ავიდა (20: 9). 1924 წლის დეკემბრიდან გაზეთ "ფუნარას" რედაქტორი იყო თ. სიხარულიძე, 1927 წლიდან – ა. ფანცხავა.

საოლქო გაზეთების ტირაჟი და ფორმატი საგრძნობლად გადიდდა 30-იან წლებში. თუმცა მათი ტირაჟი და ფორმატი კვლავ ცვალებადი იყო. "ტრუდოვოი ბატუმი" (1935 წლიდან, "ბატუმსკი რაბოჩი") ძირითადად ბათუმში სალდებოდა. "საბჭოთა აჭარისა" და მისი წინამორბედების ძირითადი გამსაღებელი ასევე იყო ქალაქი ბათუმი და ქობულეთის რაიონი. 30-იანი წლების მეორე ნახევარში, როდესაც წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციაში არსებითი გარდატეხა მოხდა, ქართულენოვანი გაზეთების გავრცელების არეალი შესამჩნევად გაიზარდა. თუ 1931 წელს გაზეთები "საბჭოთა აჭარისტანი" და "ბატუმსკი რაბოჩი" გამოდიოდა 10. 000 ცალამდე, 1932 წელს–14. 000, 1933 წელს–20.000, ხოლო 1934 წელს–30.000 ეგზემპლარამდე გაიზარდა (20: 9).

1923 წლის თებერვალში ბათუმში გამოვიდა ლიტერატურულ-მხატვრული გაზეთი "ასპარეზი". რედაქციამ თანამშრომლობისთვის მოიწვია ქართული ლიტერატურისა და კულტურის თვალსაჩინო წარმომადგენლები. მაგრამ გაზეთ "ასპარეზის" გასაღება გაძნელებული იყო, ამის გამო იგი მალე დაიხურა.

1925 წლის დასაწყისში ქართულ და რუსულ ენებზე გამოვიდა ყოველთვიური ჟურნალი "საბჭოთა აჭარისტანი", რომელიც ორ წიგნად იბეჭდებოდა. 1925 წლის ბოლოს დაარსდა ყოველკვირეული რუსულენოვანი გაზეთი "გოლოს ტრუდა". იგი იყო აჭარის პროფესიული კავშირების საოლქო საბჭოს ორგანო.

პრესის რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა 30-იან წლებში. 1932 წელს დაფუძნდა კომკავშირის აჭარის საოლქო კომიტეტის გაზეთი "ახალგაზრდა ლენინელი", 1932–1933 წლებში – რაიონული გაზეთები: "კოლექტიური შრომა" (ხულოს რაიონი), "ქობულეთის კოლმეურნე", "ბოლშევიკური კოლმეურნე" (ქედის რაიონი), "კოლმეურნეობის გზა" (ბათუმის რაიონი). გაზეთების სახელწოდებები აშკარად მეტყველებენ მათ კლასობრივ-პარტიულ მიმართულებას. 1934 წელს

ბათუმში დაარსდა გაზეთი "ლიტერატურული აჭარისტანი", მაგრამ იგი სულ მალე დაიხურა.

30-იან წლებში აჭარაში რუსულ და ქართულ ენებზე გამოდიოდა აგრეთვე საუწყებო გაზეთები: "ნეფტპერეგონიკი" და "კრასნი ნეფტიანიკი" – ბათუმის ნავთობგადამცირთავი საწარმოსა და ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის პარტკომების ორგანოები; "აწკესი" (აწკესის პარტკომის ორგანო, დაარსდა 1934 წელს); "ბატუმსკი ვოდნიკი" (საზღვაო ნავსადგურის პარტკომის ორგანო). ამრიგად, 1936 წელს გამოდიოდა 11 გაზეთი, აქედან 3 საოლქო, 4 საუწყებო და 4 რაიონული. მათი საერთო ტირაჟი 28 400 ცალს შეადგენდა (21: 15–43) .

30-იან წლებში საგრძნობლად გაუმჯობესდა პრესის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კადრების შემადგენლობა, ტექნიკურ-მხატვრული გაფორმება, ფორმატი და სტილი. შესამჩნევად გაიზარდა ტირაჟი, მაგრამ პრესაში კვლავ ჭარბობდა ოფიციალური მასალები – საკავშირო, საქართველოს რესპუბლიკური პარტიული და საბჭოების ყრილობების, პლენუმებისა და ცაკის სესიების მასალები. საოლქო და რაიონული კონფერენციების ანგარიშები, დადგენილებები, უცხოეთის ამბები და სხვა. 30-იან წლებში პრესის ყურადღება მობილიზებული იყო ომამდელი ხუთწლიანი გეგმების შესრულებაზე. აჭარის პრესამ, როგორც ომამდე, ისე ომის შემდგომ პერიოდში თავისი წილი უარყოფითი როლი შეასრულა სსრ კავშირის უმაღლესი ხელმძღვანელობის განდიდების, პიროვნებათა კულტის შექმნაში. ცხადია, ასეთი მიმართულება ცენტრალური ხელისუფლებიდან მომდინარეობდა და აჭარის პრესას ამ საკითხისადმი გვერდის ავლა არ შეეძლო.

30-იან წლებში, როგორც ადრე, აჭარის პრესის ფლაგმანი იყო "საბჭოთა აჭარა", რომლის ფორმატი და ტირაჟი გაორკეცდა. 1933 წლიდან 1943 წლის 31 ივლისამდე გაზეთის რედაქტორად მუშაობდა დავით ღუმბაძე. 1935 წელს "საბჭოთა აჭარის" ტირაჟი აღწევდა 6874, ხოლო 1936 წელს (ივლისი) – 8375 ეგზემპლარს (21:15-43:48). "საბჭოთა აჭარა" და მისი წინამორბედი ფართოდ აშუქებდნენ ე.წ. ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის განხორციელებას, მრავალ შემთხვევაში იგი აჭარის სოფლად არსებულ მდგომარეობას დამა-

ხინჯებულად წარმოაჩენდა. ცხადია, საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში სხვანაირად მუშაობა შეუძლებელი იყო.

1941–1945 წლების ომის დაწყების წინ „ახალგაზრდა ლენინელი“ და საუწყებო გაზეთები დაიხურა. ამის შემდეგ აჭარაში გამოდიოდა 2 საოლქო და 4 რაიონული გაზეთი. ომის წლებში პრესა საკმარისად უზრუნველყოფილი არ იყო ქაღალდითა და სხვა მასალებით. ამის გამო შემცირდა საოლქო გაზეთების ფორმატი და ტირაჟი. ისინი 4-ის ნაცვლად 2-გვერდიანი და ამავე დროს ნახევარი ფორმატით იბეჭდებოდა. თუ ომის დაწყებამდე „საბჭოთა აჭარის“ ერთ-დროული ტირაჟი 10 ათას ეგზემპლარს, ხოლო „ბატუმსკი რაბოჩისა“ 8 ათასს შეადგენდა, ომის წლებში 7650-დან 6120-მდე შემცირდა(8: 12).

1945 წელს ყველა გაზეთის ერთდროული ტირაჟი 20.3 ათას ეგზემპლარს შეადგენდა (25: 135.) თითქმის უცვლელი დარჩა საოლქო გაზეთების ერთდროული ტირაჟი, რაც ომის პერიოდში იყო. ამიტომ პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი კ. ბეჭვაია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის კ. ჩარკვიანისადმი 1950 წლის 15 მაისს გაგზავნილ წერილში მოითხოვდა „საბჭოთა აჭარის“ ტირაჟის გაზრდას 15 ათას, ხოლო „ბატუმსკი რაბოჩის“ – 10 ათას ეგზემპლარამდე(8: 12). მაგრამ მაშინ ეს მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

გაზეთების მხატვრულ-ტექნიკური გაფორმება და საერთო პოლიგრაფიული დონე დაბალი იყო. მიუხედავად ამისა, 1941–1945 წლებში აჭარის პრესამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მოსახლეობის მობილიზაციის, ფრონტისა და ზურგის კავშირის განმტკიცებაში.

პრესის განვითარებაში მნიშვნელოვანი თვისებრივ-რაოდენობრივი ცვლილებები მოხდა ომის შემდგომ პერიოდში, 1945 წლის 15 ივლისიდან გაიზარდა საოლქო გაზეთების ფორმატი. „საბჭოთა აჭარა“ და „ბატუმსკი რაბოჩი“ ოთხგვერდიანი გახდა. 1946 წლის ივნისიდან რაიონული გაზეთები კვირაში ორჯერ გამოდიოდა, ნაცვლად ერთისა. 50-იან წლებში პრესას შეემატა ახალი ჟურნალ-გაზეთები. კერძოდ, 1955

წელს დაარსდა შუახევის რაიონული გაზეთი "დროშა", ხოლო 1958 წელს – ჟურნალი "ლიტერატურული აჭარა", რომელიც 1970 წლიდან "ჭოროხის" სახელით გამოდიოდა.

მართალია, 1945–1955 წლებში აჭარის პრესის ერთდროული ტირაჟი მნიშვნელოვნად არ გაზრდილა, იგი 1950 წელს 20.9 ათას, ხოლო 1955 წელს 22.0 ათას ეგზემპლარამდე აღწევდა, მაგრამ მომდევნო წლებში რაოდენობრივი ცვლილებები შესამჩნევი გახდა. 1958 წელს პრესის ერთდროული ტირაჟი 26,1 ათასს ეგზემპლარს, ხოლო 1959 წელს – 27.1 ათასს შეადგენდა (24: 135). თუმცა ომამდელ ტირაჟზე საგრძნობლად ნაკლები იყო.

გაზეთებს ქალაქად და სოფლად შემოკრებილი ჰყავდა მრავალრიცხოვანი კორესპონდენტი, რომლებიც მოსახლეობას საინტერესო ცნობებს აწვდიდნენ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ. მაგალითად, 1959 წელს "საბჭოთა აჭარის" მუშა და სოფლის კორესპონდენტთა რიცხვი 950 კაცს ითვლიდა, ხოლო "ბატუმსკი რაბოჩისა"–380–ს (14: 230) მეტნაკლებად ასე იყო სხვა დროსაც. შესამჩნევად გამდიდრდა სარედაქციო ფოსტაც. 1951 "საბჭოთა აჭარაში" შევიდა 1964 წერილი. 1952 წელს – 2830, 1958 წელს – 3000, რომელთა უმრავლესობა დაიბეჭდა. მაგალითად 1958 წელს დაიბეჭდა 2800 კორესპონდენცია. "ბატუმსკი რაბოჩიში" 1953 წლის მაისიდან 1954 წლის აპრილამდე შევიდა 2380 წერილი, რომელთაგან დაიბეჭდა 1140 (9: 154-157: 11, 181: 14, 110.)

ომის შემდგომ წლებში, როგორც ადრე, ნაყოფიერად მუშაობდა გაზეთ "საბჭოთა აჭარის" სარედაქციო კოლეგია. გაზეთი ბოლომდე დარჩა აჭარის პრესის ფლაგმანად. 1944 წლიდან 1949 წლის აგვისტომდე "საბჭოთა აჭარის" პასუხისმგებელ რედაქტორად მუშაობდა ანტონ კელენჯერიძე. 1949-1958 და 1968-1986 წლებში – თვალსაჩინო ჟურნალისტი შოთა ქურიძე, 1958-1968 წლებში – რუბენ სირაძე, 1986-1991 წლებში – ვახტანგ წულუკიძე.

ცხადია, საბჭოთა პერიოდის ყველა ეტაპზე, მათ შორის ომის შემდგომ წლებში გაზეთებში ჭარბობდა ოფიციალური მასალები, მაგრამ ამავე დროს საინტერესოდ შექდებოდა რეგიონის ცხოვრების მტკივნეული საკითხები, უცხოეთის ამბები. გაზეთის ძირითადი წყარო იყო საკავშირო და სა-

ქართველოს დეპეშათა სააგენტოების მასალები, ადგილობრივი კორესპონდენციები.

ომის შემდგომ აღდგენით წლებში (1946–1950) ”საბჭოთა აჭარამ” დიდი მუშაობა გასწია მეოთხე ხუთწლიანი გეგმის პოპულარიზაციის, შრომითი მეტოქეობის, ე.წ. ”სოციალისტური შეჯიბრების” გაშლის, მიღწევების გასაშუქებლად. გაზეთის ყოველი ნომრის მე-3 გვერდი გამოდიოდა რუბრიკით ”მოწინავე გამოცდილება – ყველა მუშას!”. ”საბჭოთა აჭარამ” საინტერესოდ გააშუქა სსრ კავშირის ტერიტორიაზე არსებულ მოწინავე საწარმოთა კოლექტივის წამოწყებები შრომითი მეტოქეობის გაშლისა და განვითარების შესახებ. გაზეთი პოპულარიზაციას უწევდა ამ წამოწყებების ავტონომიურ რესპუბლიკაში დანერგვას. სისტემატურად ბეჭდავდა წერილებს აჭარის მრეწველობის, ტრანსპორტისა და სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანების შესახებ.

50-იან წლებში აჭარის პრესაში, კერძოდ, საოლქო გაზეთებში ოფიციალური მასალების რაოდენობა გაიზარდა. მკაცრი ცენზურის პირობებში მათ საშუალება არ ჰქონდათ ობიექტურად გაეშუქებინათ რეგიონის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და სულიერი ცხოვრების საკითხები.

პრესაში, საკუთარ კორესპონდენტებთან ერთად, სისტემატურად გამოდიოდნენ საოლქო, საქალაქო და რაიონული ხემძღვანელი მუშაკები.

ცხადია, ანალოგიურ მუშაობას ეწოდნენ ”ბატუმსკი რაბოჩისა” და რაიონული გაზეთების სარედაქციო კოლეგები. მაგრამ პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტი მათ მიმართ აშკარად გამოთქვამდა უკმაყოფილებას. ”ბატუმსკი რაბოჩი”, რომელიც ძირითადად რუსულენოვანი მოსახლეობისთვის იყო განკუთვნილი, გადატვირთული იყო ცენტრალური პრესის მასალებით. თვალში საცემი იყო გაზეთის სარედაქციო კოლეგიის სუსტი კავშირი სოფელთან. საქართველოს კპ აჭარის საოლქო კომიტეტის ბიუროს სხდომაზე (1945 წლის 19 ოქტომბერი) მწვავედ აღინიშნა ამის შესახებ. ”ბატუმსკი რაბოჩის” სარედაქციო კოლეგია გააკრიტიკეს აგრეთვე პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის 1946 წლის აგვისტოს პლენუმზე (4: 60; 5: 108–112.)

მართალია, "ბატუმსკი რაბოჩის" სარედაქციო კოლეგიაში 50-იან წლებში მუშაობა შესამჩნევად გააუმჯობესა, მაგრამ მდგომარეობა მთლიანად არ გამოსწორებულა. 1951–1954 წლებში გაზეთი სამართლიანად გააკრიტიკეს პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პლენუმებსა და ბიუროს სხდომებზე. 40-50-იან წლებში პარტიული ორგანოები სისტემატურად აკრიტიკებდნენ ქედისა და ხულოს რაიონული გაზეთების რედაქციებს, რამდენადაც მათი მუშაობა ნაკლებად პასუხობდა პარტიის ხელმძღვანელი ორგანოების მოთხოვნებს (6: 10–11; 7: 406; 9: 154–157; 10: 44–45; 11: 181; 345–349).

პრესაში არაერთი ნიჭიერი და საკმაოდ გაწაფული ჟურნალისტი მოღვაწეობდა, რომელთა პუბლიცისტურმა წვრილებმა მნიშვნელოვნად შეუწყვეს ხელი მკითხველთა ცნობიერების ამაღლებას. 40–50-იანი წლების ჟურნალისტებიდან ყურადღებას იმსახურებენ რიურიკ ფალავანდიშვილი, გიორგი ღორთქიფანიძე, ამირან გურგენიძე, აკაკი შონია, ილია რურუა, ალექსანდრე სამსონია, ავთანდილ ხარაზი, ამირან ვადაჭკორია, გრიგოლ კილაძე, დურსუნ კობალაძე, სევერიანე ტულუში, ალი კონცელიძე, ჯემალ შამილაძე, თენგიზ ხომერიკი და სხვები /"საბჭოთა აჭარა"/.

აღნიშნული ხანის "ბატუმსკი რაბოჩის" რედაქციის თანამშრომლებიდან გამოირჩეოდნენ ივანე პასკო, ანდრო სიორიძე, რევაზ იმნაძე, ალექსანდრა ბოგომოლოვა და სხვ. 1933-1943 წლებში გაზეთის პასუხისმგებელი რედაქტორი იყო მიხეილ ანასტასიადი, 1944-1949 წლებში – ალექსანდრე ბადათურია, 1950-1964 და 1967-1986 წლებში – ვლადიმერ მარღანიძე, ხოლო 1986-1991 წლებში – არჩილ მიქელთაძე.

გასული საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს მომწიფდა პირობები საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის აჭარის განყოფილების დაარსებისათვის. მართლაც, ასეთი განყოფილება დაარსდა ქალაქ ბათუმში 1958 წელს, რომელიც 58 ჟურნალისტს აერთიანებდა(28). თავმჯდომარედ აირჩიეს გაზეთ "საბჭოთა აჭარის" რედაქტორი შოთა ქურიძე, რომელიც მას ხელმძღვანელობდა სიცოცხლის ბოლომდე. განყოფილებასთან რამდენიმე სექცია შეიქმნა, სადაც ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობა გაიშალა. საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის აჭარის განყოფილებამ საგრძნობი გავლენა მოახ-

დინა ჟურნალისტების პროფესიული დაოსტატებისა და პრესის მათგანისებელი როლის ამაღლებაზე.

60-იან წლებში საინფორმაციო საშუალებებმა როგორც მთლიანად სსრ კავშირში, ისე საქართველოში ახალი ცვლილებები განიცადეს. იგი შეეხო აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასაც. გაზეთებისა და რადიომაუწყებლობის რედაქციებში შეიქმნა საზოგადოებრივ საწყისებზე მომუშავე განყოფილებები, რაც აუცილებლობით გამოწვეული არ ყოფილა. ამის შედეგად წარმოიქმნა გარკვეული ფორმალიზმი და დუბლირება, ზიანი მიადგა პროფესიულ ჟურნალისტურ საქმიანობასაც.

პრესისათვის კიდევ უფრო საზიანო აღმოჩნდა 1962–1963 წლებში განხორციელებული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობისა და მართვის სისტემის რეფორმები. აჭარაში დაიხურა რაიონული გაზეთები, სახელმწიფო გამომცემლობა, გაერთიანდა "საბჭოთა აჭარისა" და "ბატუმსკი რაბოჩის" რედაქციები. ამის შედეგად "საბჭოთა აჭარა" გამოდიოდა რუსულ და ქართულ ენებზე ერთი საერთო რედაქციით. საგრძნობლად შემცირდა გაზეთის საშტატო პერსონალი და ტირაჟი.

სსრ კავშირის ცენტრალურ პარტიულ და სახელმწიფო ხელმძღვანელობაში 1964 წლის ოქტომბერ-ნოემბერში მომხდარი ცვლილებების შედეგად მდგომარეობა შეიცვალა. 1966 წელს ადადგინეს რაიონული გაზეთები, ისევ დამოუკიდებელი გახდა საოლქო რუსულენოვანი გაზეთი. 1969 წლიდან ბათუმში იწყო გამოსვლა საქართველოს სანაოსნოს საუწყებო გაზეთმა "მორიაკ გრუზიი". ცხადია, ყოველივე ეს მნიშვნელოვანი ღონისძიება იყო პრესის განვითარების გზაზე.

ამ ცვლილებათა შედეგად 70-80-იან წლებში აჭარაში გამოდიოდა 8 გაზეთი და 1 ჟურნალი: "საბჭოთა აჭარა", "სოვეტსკაია ადჟარია", ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი "ჭოროხი", რაიონული და საუწყებო გაზეთები "ლენინელი" (ქობულეთი), "ოქტომბრის გზით" (ხელვაჩაური), "კოლმეურნე" (ქედა), "დროშა" (შუახევი), "კოლექტიური შრომა" (ხულო), "მორიაკ გრუზიი" (ბათუმი, საქართველოს სანაოსნო). მართალია, ზოგიერთი მათგან-

ნის სახელწოდება შეიცვალა, მაგრამ ძირითადი მიმართულება და პოზიცია იგივე დარჩა.

მნიშვნელოვნად გაიზარდა ჟურნალ-გაზეთების მკითხველთა რიცხვი, მათი ტირაჟი და სარედაქციო ფოსტა. საგრძნობლად გაუმჯობესდა ჟურნალ-გაზეთების მხატვრულ-ტექნიკური გაფორმება. გაზეთმა "საბჭოთა აჭარამ" 1965 წელს მიიღო 6778 წერილი და სტატია, ხოლო 1972 წელს – 7000-ზე მეტი. მათი დიდი ნაწილი დაიბეჭდა (30: 31). მეტნაკლებად ასეთი სურათი გვაქვს მომდევნო წლებში.

გაზეთების ერთდროული ტირაჟი 1979 წელს 74 ათას 119 ცალს ითვლიდა. მათ შორის "საბჭოთა აჭარა"–35000, "სოვეტსკაია ადჟარიას"–12000, შემდეგ მოდიოდა "ღვინელი" /ქობულეთის რაიონი/–8000, "დროშა" /შუახევის რაიონი/–4000, "მორიაკ გრუზიი" /საქართველოს სანაოსნო/–4400 ეგზემპლარი და სხვა. 1981-1985 წლებში გაზეთების ერთდროული ტირაჟი მერყეობდა 79581–79925 ეგზემპლარს შორის. "საბჭოთა აჭარის" ერთდროული ტირაჟი გაიზარდა 37 ათას ცალამდე, "სოვეტსკაია ადჟარიას"–15 ათას ეგზემპლარამდე (22, 92; 23, 73). ჟურნალი "ჭოროხი" /"ლიტერატურული აჭარა"/ ორ თვეში ერთჯერ გამოდიოდა. 1958–1970 წლებში მისი ერთდროული ტირაჟი 1800 ეგზემპლარს შეადგენდა. 1971-1979 წლებში – 2040, ხოლო 1980-1990 წლებში – 5000-მდე გაიზარდა.

მართალია, მათ რიგებს არაერთი ნიჭიერი მუშაკი გამოაკლდა, 60-იან და მომდევნო წლებში კვლავ ნაყოფიერად მუშაობდნენ წინა თაობის ჟურნალისტები. მათ შეემატა არაერთი ნიჭიერი და შრომისმოყვარე ახალი თაობის წარმომადგენელი, რომელთა პუბლიცისტურმა წერილებმა მკითხველთა ჟურადლება და სიმპათიები დაიმსახურა. მათ შორის გამოირჩეოდნენ: დიმიტრი ხოზრევანიძე, ავთანდილ დიასამიძე, ნევრო პატარაია, ანზორ დავითაძე, გივი თურმანიძე, სერგო კაკაურიძე, გიორგი ბოლქვაძე, მიხეილ მშვიდლობაძე, ნუზარ ჯაფარიძე და სხვ. მათ პუბლიცისტურ წერილებში საინტერესოდ იყო გაშუქებული აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მიმდინარე მოვლენები, პოლიტიკური ცხოვრების, ეკონომიკისა და კულტურის საკვანძო საკითხები.

60-80-იან წლებში, როგორც ადრე, პრესა კვლავინდებურად დიდ ადგილს უთმობდა პარტიული და სახელმწიფო ორგანოების ოფიციალურ მასალებს.

პრესაში პარტიულ და სახელმწიფო მუშაკებთან ერთად აქტიურად მონაწილეობდნენ ლიტერატურისა და ხელოვნების, განათლებისა და მეცნიერების თვასაჩინო წარმომადგენლები.

ჟურნალმა "ლიტერატურულმა აჭარამ" თავის გარშემო შემოიკრიბა შემოქმედებითი ინტელიგენცია, განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა ახალგაზრდა მწერლებისადმი. ჟურნალის განვითარების, მისი შინაარსობრივ-მხატვრული დონის ამაღლებაში მნიშვნელოვან მუშაობას ეწეოდნენ რედაქტორები: შოთა ქურიძე (1958-1967), ნანა გვარიშვილი (1967-1969), აკაკი შონია (1969-1995), ალი სამსონია (1979-1991), სოსო აბაშიძე (1991-1995), ხოლო 1995 წლიდან – სანდრო ბერიძე. ამ საქმეში დიდი წვრილი შეიტანა აგრეთვე მამია ვარშანიძემ, რომელიც 1962-1999 წლებში ჟურნალის პასუხისმგებელ მდივნად მუშაობდა.

ჟურნალში ლიტერატურულ-მხატვრულ ნაწარმოებებთან ერთად იბეჭდებოდა მეცნიერულ-თეორიული სტატიები, რომელთა ავტორები არიან თვალსაჩინო მწერლები, მეცნიერები, ხელოვნების წარმომადგენლები.

მოსახლეობის საინფორმაციო უზრუნველყოფასა და გათვითცნობიერებაში პრესასთან ერთად დიდ როლს ასრულებს რადიომაუწყებლობა და ტელევიზია. საქართველოში პირველი რადიოგადამცემი სადგური ამუშავდა 1925 წელს. გადაცემა კვირაში ორჯერ გადიოდა – შაბათობითა და კვირაობით. 1926 წლიდან იწყება ყოველდღიური რადიოგადამცემები. ბათუმში რადიოკვანძი პირველად დაიდგა 1928 წელს, რომელიც გადაცემებს იღებდა თბილისიდან და მოსკოვიდან. 1932 წელს აჭარაში 4 რადიოკვანძი მუშაობდა (2: 145). ზოგიერთი სოფლისა და სასოფლო საბჭოს ცენტრებში ამოქმედდა რადიომიმღები აპარატები, სატრანსლაციო წერტები. 1940 წელს აჭარაში ითვლებოდა 6,7 ათასი რადიოსატრანსლაციო წერტი (25: 93).

ცხადია, ყოველივე ეს იყო რადიომაუწყებლობის განვითარების მხოლოდ დასაწყისი. მართალია, ომის წლებში

ცენტრალური რადიოგადამცემები თითქმის არ შეწყვეტილა, ახალი რადიოსატრანსლაციო წერტილების მშენებლობაც მიმდინარეობდა, მაგრამ მნიშვნელოვანი წინსვლა არ ყოფილა. 1948 წლის ივლისის მონაცემებით აჭარაში მუშაობდა 8 რადიოკვანძი (3 სახელმწიფო და 5 საუწყებო). 52 სასოფლო საბჭოდან რადიოფიცირებული იყო 20, ხოლო 191 კოლმეურნეობიდან—35 (27). მართალია, მომდევნო წლებში წინსვლა შეიმჩნეოდა, მაგრამ არსებითი გარდატეხა მაინც არ მომხდარა. 1950 წელს აღირიცხა 11,2 ათასი რადიოსატრანსლაციო წერტი (25: 93), რაც საკმარისი არ იყო.

ამ მიმართულებით ნაყოფიერი მუშაობა გაიშალა 50-იანი წლებიდან. 1953 წელს საქართველოს კპ აჭარის საოლქო კომიტეტმა და ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ დაამტკიცეს რადიოფიკაციის განვითარების ხუთწლიანი გეგმა (1954—1959). კიდევ უფრო დიდი ამოცანები განისაზღვრა მომდევნო ხუთწლიანი გეგმით, მაგრამ ისინი არ შესრულებულა. რადიოფიკაციის განვითარების 1954—1959 წლების გეგმა შესრულდა 65%-ით, ხოლო 1960—1965 წლებისა—ამაზე ნაკლებად (16: 104; 18: 79). მიუხედავად ამისა, მიღწევები რადიომაუწყებლობის განვითარებაში მაინც თვალსაჩინო იყო.

აჭარაში 1957 წლის დასაწყისში ითვლებოდა 35, ხოლო 1964 წელს—57 რადიოკვანძი (13: 107; 29), რაც 7-ჯერ და მეტად აღემატებოდა 1948 წლის მაჩვენებელს. 1955 წელს 52 სასოფლო საბჭოდან რადიოფიცირებული იყო 50, 133 კოლმეურნეობიდან—108, 358 დასახლებული პუნქტიდან—212. მაგრამ რადიოსატრანსლაციო წერტილების მიხედვით წინსვლა უმნიშვნელო იყო. 1955 წელს მათი რაოდენობა 15,0 ათასს, ხოლო 1960 წელს—19,2 ათასამდე აღწევდა (12: 82; 25: 93).

აჭარაში რადიომაუწყებლობის განვითარებაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 1959 წლის 7 ნოემბერს ახალი რადიოგადამცემი სადგურის ამოქმედება. საგულისხმოა, რომ მანამდე აჭარის რადიოგადამცემები მხოლოდ ქალაქ ბათუმის სატრანსლაციო ქსელით გადაიცემოდა. სოფლის მოსახლეობა ბათუმიდან რადიოგადამცემებს ვერ იღებდა. ახალი სადგურის ამოქმედების შედეგად ბათუმიდან რადიოგადამცემები მთლიანად აჭარის მასშტაბით წარმოებდა. 1961 წლიდან აჭარის რადიოგადამცემები 60-დან 100 წუთამდე გაიზარდა. ამ

წელს პირველად შემოიღეს დილის გადაცემები და აჭარის რადიო ყოველდღიურად ეთერში 3-ჯერ გადიოდა (ორჯერ ქართულად და ერთჯერ რუსულად). ამრიგად, 60-იანი წლებიდან მოყოლებული, აჭარის მოსახლეობა გადაცემებს იღებდა არა მარტო მოსკოვიდან და თბილისიდან, არამედ აგრეთვე ბათუმიდანაც. აჭარის რადიოგადაცემები წარმოებდა რუბრიკით "აჭარის ახალი ამბები", "მოწინავეთა გამოცდილების ტრიბუნა", რადიოჟურნალი "ახალგაზრდობისა და ქალთა შესახებ" და სხვა (17, 1, 2, 6).

აჭარის რადიომაუწყებლობის მოქმედებათა არეალი მნიშვნელოვნად გაიზარდა 1968 წლიდან, როდესაც ბათუმის შემოგარენში (სოფელი ფერია) დამონტაჟდა 30-კილოვატიანი საშუალოტალღოვანი რადიოსადგური. მანამდე კი აჭარის რადიოს გადაცემები მიმდინარეობდა მოკლე ტალღებით, საშუალოტალღოვანი სადგურით, რომლის დიაპაზონია 211 მეტრი (1422 კილოჰერცი). აჭარის რადიოგადაცემების მოსმენა შესაძლებელი გახდა ევროპაში, აშშ-ში, აზიის ქვეყნების ნაწილში. გადაცემათა ხანგრძლივობა 3 საათამდე გაიზარდა (დილით 1, საღამოთი—2 საათი). ამჯერადაც ქართულად გადაცემები წარმოებდა ორჯერ, ხოლო რუსულად—ერთჯერ.

შესამჩნევად გაუმჯობესდა რადიოგადაცემათა პროგრამა და რადიომიმღები წერტები. რადიოთი ეთერში გადიოდა მოკლე ინფორმაციები ("აჭარის ახალი ამბები", "ნოვოსტი აღჟარი"), მხატვრულ-მუსიკალური პროგრამები, გადაცემები მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის ('პირიმიზე'), მეზღვაურებისათვის ("ცისფერ გზებზე"), კრიტიკული ("მსუსხავ ტალღებზე") და სხვა. 1970 წელს რადიომიმღები წერტები გაიზარდა 29,4 ათას, 1980 წელს—51,7 ათას, ხოლო 1986 წელს—65,1 ათასამდე (26, 93). ამასთან აჭარაში 1970 წლამდე 23 კოლმეურნეობას ჰქონდა საკუთარი რადიოკვანძი 3542 რადიოწერტით. მაგრამ 1978 წლისათვის მათი დიდი ნაწილი მწყობრიდან გამოსული იყო და აღარ მუშაობდა (19: 2—4). აჭარაში რადიომაუწყებლობის ორგანიზაციასა და განვითარებაში მნიშვნელოვანი დამსახურება აქვთ პ. ზამბახიძეს, ა. ვადაჭკორიას, ო. ფუტყარაძეს, ი. ბეჭირიშვილს და სხვებს.

საქართველოში ტელევიზიის გადაცემები ეთერში პირველად გავიდა 1957 წელს, მაგრამ მისი მოქმედების არეალი

შეზღუდული იყო. 1963 წელს მწერობაში ჩადგა თბილისი-ქუთაისის სარელეო ხაზი, რის შედეგად დასავლეთ საქართველოს რაიონების შესაძლებლობა ეძლეოდათ მიედოთ ტელეგადაცემები თბილისიდან. 1964 წელს ამოქმედდა სარელეო ხაზი მოსკოვი-თბილისი. საქართველოს ტელევიზია ჩაერთო საკავშირო ცენტრალური ტელევიზიის, მისი მეშვეობით კი – ინტერვიზიისა და ევროვიზიის ქსელში, რაც მნიშვნელოვან სიახლედ და ტექნიკურ მიღწევად ითვლება მოსახლეობის საინფორმაციო უზრუნველყოფაში.

აჭარის მოსახლეობა ტელევიზიას პირველად ეზიარა 1965 წელს, როდესაც მწერობაში ჩადგა ტელესატრანსლაციო სადგური ბათუმის შემოგარენში (მწვანე კონცხი). 1974 წელს ამოქმედდა შუახევის სატრანსლაციო სადგური, რითაც გაუმჯობესდა გადაცემების ხარისხი აჭარის მთიანეთში. 1979 წელს აჭარაში მუშაობდა 30-მდე მძლავრი და მცირე ტელესატრანსლაციო სადგური (18: 78; 32), მომდევნო წლებში მათი რიცხვი კიდევ მეტად გაიზარდა. ამის შედეგად რელიეფით გამოწვეული სიძნელეები დაძლეულ იქნა. აჭარის მოსახლეობა თავისუფლად იღებდა სატელევიზიო გადაცემებს მოსკოვიდან და თბილისიდან. აჭარაში შეიქმნა საქართველოს ცენტრალური ტელევიზიის ბიურო, რომლის ამოცანას შეადგენდა ადგილობრივი მასალების მომზადება, მართლაც, საქართველოს ცენტრალური ტელევიზიით აჭარის შესახებ არაერთი საინტერესო მასალა გადაიცა. 1987 წელს ბათუმიდან პირველად დაიწყო სატელევიზიო გადაცემები. საქართველოს ცენტრალური ტელევიზიის აჭარის ბიურო გაერთიანდა ავტონომიური რესპუბლიკის რადიომაუწყებლობასთან და შეიქმნა ერთიანი სახელწიფო სამსახური – ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტი.

ტელევიზია უზრუნველყოფილი გახდა სპეციალისტი კადრებით, ტელევიდეო აპარატურითა და დანადგარებით. შეიქმნა გადაცემათა რედაქციები. აჭარის ტელევიზიის გადაცემები წარმოებდა ყოველდღიურად ორ-ორი საათით (დილაობითა და საღამაობით). ტელევიზიის ამოქმედების შედეგად მოსახლეობის დაინტერესება ინფორმაციით მნიშვნელოვნად გაიზარდა, ხოლო მათი ცნობიერების დიაპაზონი საგრძნობლად გაფართოვდა.

ამრიგად, აჭარაში 1921–1990 წლებში ფუნქციონირებდა მხოლოდ სახელმწიფოს მასობრივი საინფორმაციო საშუალებები (პრესა, რადიომაუწყებლობა, ტელევიზია). მიუხედავად იმისა, რომ ისინი მხოლოდ მმართველი პარტიის იდეოლოგიასა და პოლიტიკას გამოხატავდნენ, საინფორმაციო საშუალებებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მოსახლეობის გათვითცნობიერებასა და საინფორმაციო უზრუნველყოფაში.

წყაროები და ლიტერატურა:

1. აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების განყოფილება, ფონდი 1, ანაწერი 1, საქმე 907.
2. იქვე, საქმე 228.
3. იქვე, საქმე 482.
4. იქვე, ანაწერი 9, საქმე 8.
5. იქვე, ანაწერი 10, საქმე 4.
6. იქვე, საქმე 252.
7. იქვე, ანაწერი 14, საქმე 33.
8. იქვე, ანაწერი 15, საქმე 57.
9. იქვე, ანაწერი 27, საქმე 59
10. იქვე, ანაწერი 30, საქმე 9
11. იქვე, საქმე 31
12. იქვე, ანაწერი 36, საქმე 9
13. იქვე, ანაწერი 38, საქმე 4
14. იქვე, ანაწერი 40, საქმე 10
15. იქვე, საქმე 40.
16. იქვე, ანაწერი 42, საქმე 107.
17. იქვე, ანაწერი 44, საქმე 15.
18. იქვე, ანაწერი 57, საქმე 5.
19. იქვე, ანაწერი 73, საქმე 496.
20. აჭარის სახელმწიფო ცენტრალური არქივი, ფონდი რ-178, ანაწერი 1, საქმე 184.
21. იქვე, საქმე 412.
22. აჭარის პარტიული ორგანიზაციის XXXVII კონფერენცია (რუსულ ენაზე) ბათუმი, 1983.

23. აჭარის პარტული ორგანიზაციის XXXVIII კონფერენცია (რუსულ ენაზე) ბათუმი, 1985.
24. საბჭოთა აჭარის 40 წელი, სტატისტიკური კრებული. ბათუმი, 1961.
25. საბჭოთა აჭარის 60 წელი, სტატისტიკური კრებული. ბათუმი 1981.
26. Народное хозяйство Аджарской АССР , статистический сборник. Батуми 1987.
27. გაზეთი "საბჭოთა აჭარა", 31 ივლისი, 1948.
28. გაზეთი "საბჭოთა აჭარა", 31 იანვარი, 5 მაისი, 1962.
29. გაზეთი "საბჭოთა აჭარა" 2 დეკემბერი, 1963.
30. გაზეთი "საბჭოთა აჭარა", 5 მაისი, 1966.
31. გაზეთი "საბჭოთა აჭარა", 5 მაისი, 1973.
32. გაზეთი "საბჭოთა აჭარა", 30 ნოემბერი, 1979.
33. ე. დავითაძე, გაზეთი "ფუხარა" და მისი წინამორბედი. ბათუმი, 1975.

Turmanidze Otar

Means of Information in 1921-1990 Years Ajara Region

Summary

In the present work it is studied the means of information in 1921-1990 s in Ajara Region; like media, radio and television. In above mentioned work it is clearly shown, that, as a result of Georgia ' s Sovietization, free media and publishing were brought firmly under strict state control by ruling party. In such circumstances massmedia was disabled to express the truth of social – political reality. The means of information expressed the ideas and political beliefs of only communist Party.

Indeed such an influence on media means was the conceivable bar for development of free public opinion. Despite of nonexistence freedom in media, means of information took an important part in the Regions ' s social and spiritual lives.

Информационные средства Аджарии В 1921-1990 годах

Резюме

В данной работе изучены информационные средства Аджарии В 1921-1990 годах: пресса, радиовещание и телевидение. Показано, что в результате советизации Грузии в Аджарии свободная пресса и издательское дело было монополизировано государством. Это дело находилось под строгим контролем правящей партии. При таких условиях массовые информационные средства никак не могли отражать истинное положение общественно-политической жизни. Они выражали только идеологию и политическую линию коммунистической партии.

Конечно, такое положение дел было серьезной помехой развития общественной жизни. Несмотря на такое положение, массовые информационные средства внесли значительный вклад в общественную и духовную жизнь региона.

საქართველოს სატრანზიტო ფუნქცია ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკაში

ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის შედეგი ის გახლდათ, რომ კავშირის 2004 წლის რიგით მეხუთე გაფართოებისას მასში შევიდა ცენტრალური ევროპისა და ხმელთაშუაზღვისპირეთის ახალი სახელმწიფოები. არეალის გაფართოებამ ახალი მეზობლები წარმოაჩინა.

ინიციატივა-პრეცედენტი „ფართო ევროპა – სამეზობლო: ჩვენს აღმოსავლეთ და სამხრეთ მეზობლებთან თანამშრომლობის ახალი ფარგლები“ – წარმოადგენს „ევროპულ სამეზობლო პოლიტიკას“. იგი ევროკავშირის ევროკომისიის კომუნიკაციაში „ფართო ევროპის შესახებ“ 2003 წლის მარტში იქნა წარმოდგენილი. იგი ეხება ევროკავშირის იმ მეზობელ ქვეყნებს, რომლებსაც დღეისათვის ევროკავშირში მანევრირების პერსპექტივა არა აქვთ, მაგრამ ინიციატივა მასში მონაწილე ქვეყნებს აძლევს შანსს თანამშრომლობა შემდგომში რეალურ ინტეგრაციულ პროცესებში გადაიყვანონ. ბევრი ამას მიიჩნევს საერთაშორისო ურთიერთობათა მკვეთრ ევროპულ კურსად, რომელიც ზღუდავს ევროპაში საზღვრების გაჩენას და მის სანაცვლოდ ევროკავშირსა და მის მეზობლებს შორის პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებას სთავაზობს. სამეზობლო პოლიტიკა მიმართულია ქვეყნების დაახლოებაზე ევროპის კავშირთან. ევროკავშირი და მისი ინსტიტუტები უზრუნველყოფენ ქვეყანათა ტრანსფორმაციას, ესმარებიან ქვეყნებს იმ პირობების ჩამოყალიბებაში, რაც გარდაუვალს გახდის მათ გაწევრიანებას ევროპის კავშირში.

სამეზობლო პოლიტიკის თანახმად ევროკავშირის პარტნიორ ქვეყნებს პირობითად ყოფენ სხვადასხვა კატეგორიებად:

ა. გაწევრიანების კანდიდატები. ასეთ ქვეყნებად მიიჩნევა: ხორვატია, მაკედონია, თურქეთი.

ბ. გაწევრიანების პოტენციური კანდიდატები (დასავლეთ ბალკანეთის სხვა სახელმწიფოები)

გ. პარტნიორები გაწევრიანების „ბუნდოვანი“ პერსპექტივით. აქ შედის უკრაინა, საქართველო, მოლდოვა, აზერბაიჯანი.

დ. პარტნიორები გაწევრიანების პერსპექტივის გარეშე (სამხრეთ ხმელთაშუაზღვისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები, რუსეთი და შუა აზია).

სამხრეთ კავკასიის ქვეყნებზე სამეზობლო ინიციატივის გავრცელების შესახებ გადაწყვეტილება ევროპულმა საბჭომ ევროკომისიისა და ევროპარლამენტის რეკომენდაციებით 2004 წლის ივნისში მიიღო. თავის ახალ სამეზობლო პოლიტიკას ევროკავშირი ხსენებულ ქვეყანათა მიმართ დიფერენციული პოლიტიკისა და მიდგომის საფუძველზე ახორციელებს. ევროკავშირთან თანამშრომლობის დონე დამოკიდებულია კონკრეტული მეზობელი ქვეყნის მიერ აღებული ვალდებულებების შესრულებაზე. ევროპისათვის შავი ზღვის აუზის, როგორც კასპიის ზღვის აუზიდან ნავთობის და გაზის მომწოდებელი კორიდორის და ხმელთაშუა ზღვისკენ არსებული დერეფნის, სტრატეგიული მნიშვნელობა განსაკუთრებულია. სამეზობლო მიზნების განხორციელებისათვის ევროკავშირი პარტნიორ ქვეყნებთან ერთად განსაზღვრავს თანამშრომლობის გაღრმავების პროცესებს. 2005 წლის ნოემბერსა და 2006 წლის მარტში სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმაზე საქართველოსა და ევროკავშირს შორის კონსულტაციების ორი რაუნდი გაიმართა.

2007 წლიდან ევროკავშირის დახმარების პროგრამებს დაერთო და დაემატათ ე. წ. „ევროპული სამეზობლო ინსტრუმენტი“. მისი საშუალებით საქართველოში უნდა დაფინანსდეს რეგიონალური პროექტები.

სამეზობლო პოლიტიკამ, ფუნქციონალური ინტეგრაციის გზით, საქართველო უნდა მიიყვანოს ევროკავშირის წევრობამდე.

XX ს. 90-იან წლებში გეოპოლიტიკა ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის სასიცოცხლო შემადგენელი ნაწილი გახდა. ევროკავშირის ინტერესი საქართველოში მარტო ეკონომიკური პოტენციალით როდი იყო გამოწვეული – იგი განპირობებული იყო ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობითაც, რომელიც საქართველოს საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემაში სატრანზიტო კვანძის ფუნქციას ანიჭებდა.

საქართველოს, კავკასიის და ცენტრალური აზიის განვითარების ასპექტებიდან თავისი უნივერსალურობით გამოირჩევა TRASECA (ტრასეკა) – ევროპა – კავკასია – აზიის სატრანსპორტო სატრანზიტო დერეფანი. ეს იყო ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროგრამა და მას ახორციელებდა TACIS (ტასისი), რომელიც გამოყოფდა კრედიტებს და გრანტებს შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნისათვის. 2007 წლის 1 იანვრიდან პროგრამა ტასისმა შეწყვიტა არსებობა და იგი შეიცვალა ევროპის სამეზობლო პარტნიორობის ინსტრუმენტით. სწორედ ტასისის პროგრამით მოხდა საქართველოს სატრანზიტო ინფრასტრუქტურის ამოქმედება. საქართველო 1995 წლიდან TRACECA-ს მონაწილე ქვეყანა გახდა. ტრასეკას საფუძვლად დაედო მასში შემავალი ქვეყნების პრეზიდენტების მიერ ხელმოწერილი “ძირითადი მულტილატერული შეთანხმება ევროპა – კავკასია – აზიის სატრანსპორტო დერეფნის განვითარების შესახებ“. 2005 წლის გაზაფხულზე TRACECA საერთაშორისო ეკონომიკურ ორგანიზაციად ჩამოყალიბდა.

1997 წლის ივნისში ჰელსინკის მესამე პანევროპულ კონფერენციაზე ევროკავშირის მხარდაჭერით, საქართველოსა და მისი პარტნიორი ქვეყნების ჩართვით, დამკვიდრდა ახალი რეგიონალური პროგრამა PETRA (პეტრა) – პანევროპული სატრანსპორტო არეალი. TRASECA-სა და

PETRA-ს სატრანზიტო პროექტების განვითარება ევროკავშირისა და საქართველოს ურთიერთობაში დროული და მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი აღმოჩნდა. ევროპა – კავკასია – აზიის დერეფანი ტრასეკას დერეფნის გარდა მოიცავს აღმოსავლეთ – დასავლეთის ენერგეტიკულ დერეფანს. INOGATE – ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირება ევროპაში – ევროკავშირის პროგრამაა, მან სტარტი აიღო 1996 წელს და მისი საქმიანობა მოიცავს სხვადასხვა სფეროს.

სპეციალისტების აზრით, დღეისათვის TRASECA საქართველოს მონაკვეთში კონკურენტუნარიანი არ არის. აზიურ ქვეყნებზე ტვირთების ნაწილი უმნიშვნელოა. ყოველივე ამის მიზეზი არის მოუქნელი სატარიფო პოლიტიკა. საპორტო მომსახურებაზე ძალიან მაღალი ტარიფებია.

დასავლელი ექსპერტები მიუთითებენ საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის არამდგრადობაზე და სატრანზიტო ინფრასტრუქტურის დაბალ ხარისხზე. მიუხედავად ამისა, საქართველოს სატრანზიტო დერეფანს პოლიტიკური და ეკონომიკური დატვირთვა გააჩნია, რადგან იძენს საერთაშორისო სატრანზიტო ფუნქციას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თ. ბერუჩაშვილი, ა. ყურაშვილი, ვ. მშვიდლობაძე, საქართველო და ევროკავშირი. თბ. 2006;
2. ევროკავშირის ინსტიტუტები და პოლიტიკა, სერიიდან „ევროინტეგრაცია“ თბ. 2006;
3. საერთაშორისო თანამეგობრობა და საქართველო 1992 – 2000, დახმარების მიმოხილვა, თბ. 2000; საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივი, ფონდი I201 აღწ. №1, საქმე 1880. ფურც.66;
4. ევროკავშირის სატრანსპორტო პოლიტიკა. ევროკავშირის ვებგვერდი – http://europa.eu/poltrans/index_en.htm;
5. Duta, Paul; European Neighbourhood Policy and its Main Components; Romanian journal of international affair 2005, V 10;

Georgian tranzit function in European Neighbourhood policy

Summary

Georgia a small piece of Land at the crossroads of Europe and Asia provided the shortest most convenient way of bridging the two continents. Through this trade route, the caravans of camels brought in silk and other exotic merchandise, oriental wisdom and spirituality to Europe .

In May 1993 at a meeting in Brussels that brought together representatives of the European Union and the countries of central Asia and the Transcaucasus, the TRASECA project (Transport Corridor Europe _ Central Asia) was launched. It was decided to start up this EU sponsored programme of technical assistance in order to pave the way for the east-west transport and trade corridor running from Europe to Asia through the Black Sea , the South Caucasus and the Caspian Sea toward Central Asia .

In European Unions Neighbourhood policy Georgian transit role is impotent.

Тенгиз Григолия

Транзитная функция Грузии в соседской политике Евросоюза

Резюме

Включение Грузии в европейские интеграционные процессы на данном этапе очень актуально, в особенности – относительно «соседской политики» Евросоюза к Грузии. Вместе с другими вопросами, это подразумевает подключение коридора «TRACECA» к паневропейским коридорам и присвоение международного статуса транзитным функциям Грузии.

Проходящий через Грузию транзитный коридор представляет собой реализацию «проекта века», что является для Грузии программой технической помощи и гарантом её безопасности.

XX საუკუნის 90-იანი წლების ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ქრონიკა

XX საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან საბჭოთა კავშირი აშკარად დაშლის გზას დაადგა. ამას, მის ცალკეულ რესპუბლიკებში, მოჰყვა ეროვნული მოძრაობის გააქტიურება, სწრაფვა თვითგამორკვევისა და დამოუკიდებლობისაკენ. რესპუბლიკებში აზვირთებულ ეროვნულ მოძრაობას მოსკოვი სხვადასხვა საშუალებით ებრძოდა. ერთ-ერთ ასეთ საშუალებას წარმოადგენდა სეპარატისტული ძალების წაქეზება, ეთნიკური და რელიგიური კონფლიქტების პროვოცირება. სწორედ ამ მიზნით რუსეთმა საქართველოს წინააღმდეგ მთელი რიგი მექანიზმები აამოქმედა. მან ხელი შეუწყო საქართველოში არსებულ ავტონომიურ რესპუბლიკებში სეპარატისტულ მოძრაობას და დაძაბა ეთნიკური ურთიერთობები.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ (1921 წ.) აფხაზური საზოგადოების ერთ ნაწილში ანტიქართული განწყობილება ყოველთვის შეიმჩნეოდა და თითქმის ყოველ ათწლეულში ერთხელ მსხვილ ანტიქართულ მოძრაობაში გადაიზრდებოდა ხოლმე. ასეთ ანტიქართულ გამოსვლებს ადგილი ჰქონდა 1957, 1964, 1967, 1978 წლებში.

დესტაბილიზაციისა და ეთნიკური კონფლიქტის გაღვივების მიზნით არაფორმალური ორგანიზაციები შეიქმნა აფხაზეთსა (აიდგილარა) და სამხრეთ ოსეთშიც (ადამონ ნისასი). მათ საქართველოსაგან გამოყოფა და რუსეთთან შეერთება მოითხოვეს – დამოუკიდებელი რესპუბლიკების სტატუსით. როგორც აფხაზ, ისე ოს სეპარატისტთა უკან, ცხადია, საბჭოთა კავშირის მაშინდელი ხელისუფლება იდგა.

ასეთი ძალების კარნახით აფხაზმა სეპარატისტებმა შექმნეს ე.წ. “ლიხნის მანიფესტი”. 1989 წლის 18 მარტს სოფელ ლიხნში ჩატარდა აფხაზი ეროვნების რამდენიმე ათასი კაცის თავყრილობა. აქ შემუშავდა წერილი-მიმართვა საბჭოთა ქვეყნის ხელმძღვანელი ორგანოებისადმი. აღნიშნული დოკუმენტი გამოქვეყნდა გაზეთ “Ъзын Бзын”-ის 1989 წლის 25 მარტის ნომერში.

ამ წერილში აფხაზი ექსტრემისტები ამახინჯებენ საქართველოს მთელ ისტორიას. თავიანთ თავს აფხაზეთის ავტოქტონ მოსახლეობად აცხადებენ, ხოლო ქართველებს კი ბრალს სდებენ აფხაზეთის დაპყრობაში. ამით ცდილობენ თავი დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოაცხადონ.

ლიხნის მანიფესტის შემდგენელთა უკან აშკარად მესამე ძალა – რუსეთი გახლდათ, რომლის ფარული რეჟისურითაც მწიფდებოდა ანტიქართული მოძრაობა ოსებშიც. ქართულ-აფხაზური დაპირისპირება განსაკუთრებით გამძაფრდა 1989 წლის აპრილის თვეში, რომელიც, გარკვეულწილად, 9 აპრილის სისხლიანი აქციის შემაპირობებელი გახდა.

ამის შემდეგ ეთნიკური კონფლიქტი აფხაზეთში შემდეგნაირად განვითარდა: 1989 წლის 14 მაისს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ქვილითაიამ გამოსცა №343-ე განკარგულება: “...თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალის შექმნის შესახებ ქალაქ სოხუმში. დაევალოს აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს გამოყოს ფილიალისათვის შესაბამისი შენობა”(გ. ყოლბაია, თ. ჭახრაკია, რ. გელანტია, დ. ლაცუზბაია, 2000: 51).

ამ წინადადებას აფხაზური მხარე თავიდანვე უარყოფითად შეხვდა. 1989 წლის 15 ივლისს აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა 1989 წლის 14 მაისის განკარგულების გაუქმება ქალაქ სოხუმში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალის შექმნის შესახებ (М. Ю. Чумалов, 1995: 190–193).

ქართულმა მხარემ მაინც მოახერხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალის შექმნა ქალაქ სოხუმის №1 საშუალო სკოლაში, მაგრამ მოხდა წარმოუდგენელი რამ: 1989 წლის 15 ივლისს შეიარაღებულმა აფხაზმა ექსტრემისტებმა ალყა შემოარტყეს ამ ფილიალის შენობას, დახოცეს და დაჭრეს სრულიად უდანაშაულო ადამიანები – აბიტურიენტები და მასწავლებლები, დაარბიეს შენობა, დაწვეს და დახიეს საბუთები, ხელყვეს ქართველ კლასიკოსთა პორტეტები (რ. მიმინოშვილი, გ. ფანჯიკიძე, 1990: 3). შეტაკებების დროს დაიღუპა 14 კაცი.

აფხაზ ექსტრემისტთა აგრესია ამის შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდა. 1990 წლის 25 აგვისტოს მათ უმაღლესი საბჭოს სესია მოიწვიეს. კვორუმის უქონლობის გამო სესია არ იყო

უფლებამოსილი. მიუხედავად ამისა, სესია მაინც შედგა, რომელმაც დაადგინა შემდეგი: “აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭო ქართველი ხალხის განუყოფელ უფლებად ცნობს 1921 წლის თებერვლამდე არსებული საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენას, ე.ი. სსრ კავშირიდან მის ფაქტობრივ გასვლას, მაგრამ საქართველოს სსრ უზენაეს საბჭოს გადაწყვეტილებებში არაფერია ნათქვამი რესპუბლიკაში შემავალი ავტონომიების ბედის თაობაზე...” ამავე დეკლარაციაში აფხაზეთი დამოუკიდებელ სუვერენულ სახელმწიფოდ არის გამოცხადებული: “აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა არის სუვერენული სოციალისტური სახელმწიფო, რომელიც შეიქმნა აფხაზი ერის თვითგამორკვევის ხელშეუვალი უფლების განხორციელების, თავისი ბედის განსაზღვრაში ხალხის უზენაესობის საფუძველზე. აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სუვერენიტეტი ვრცელდება აფხაზეთის ასსრ მთელ ტერიტორიაზე... რესპუბლიკის ყველა ეროვნების მოქალაქეები შეადგენენ აფხაზეთის ხალხს”... (გაზ. ”Советская Абхазия” №164, 1990).

ეს დეკლარაცია გახდა აფხაზეთის სსრ ახალი კონსტიტუციის საფუძველი. მასში აშკარადაა გაზრდილი აფხაზეთის სსრ-ს უფლებები და ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას. 1990 წლის 30 აგვისტოს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა: “აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1990 წლის 25 აგვისტოს დეკლარაცია გამოცხადდეს ბათილად და იურიდიული ძალის არმქონედ” (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, №8, 1990: 15). ქართული მხარისაგან მისი დაგმობა არც იყო გასაკვირი, მაგრამ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს 1990 წლის 31 აგვისტოს დადგენილება, რომელშიც კკითხულობთ:

“... აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭო ადგენს:

1. აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს 1990 წლის 25 აგვისტოს დადგენილება “აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის დაცვის სამართლებრივი გარანტიების შესახებ”, გაუქმდეს, როგორც ანტიკონსტიტუციური, კანონსაწინააღმდეგო და იურიდიულად დაუსაბუთებელი, რაც არღვევს საქართველოს ისტორიულად ჩამოყალიბებულ ტერიტორიულ მთლიანობას, ხოლო დეკლარაცია “აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური

რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შესახებ” უარყოფილ იქნეს, რამდენადაც იგი ეწინააღმდეგება აფხაზეთის მოსახლეობის უმეტესობის ძირეულ ინტერესებს და სურვილს.

2. დაგმოვილ იქნეს საქართველოსა და ქართველი ხალხის მისამართით ბრალდებები, რაც გაისმა 1990 წლის 25 აგვისტოს სესიაზე”(გაზ. “საბჭოთა აფხაზეთი”, №171, 1990).

1990 წლის 4 დეკემბერს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს სესიამ საბჭოს თავმჯდომარედ ვლადისლავ არძინა აირჩია. თავდაპირველად საქართველოსა და აფხაზეთის ახალ ხელისუფალთა შორის საკმინი, კონსტრუქციული მოლაპარაკებები მიმდინარეობდა. მოსკოვის წაქეზებით თანდათან იძაბებოდა სიტუაცია აფხაზეთში. 1991 წლის 17 მარტს ჩატარდა რეფერენდუმი სსრ კავშირის შენარჩუნების საკითხთან დაკავშირებით, რომელსაც საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ზვიად გამსახურდიამ ბოიკოტი გამოუცხადა და 1991 წლის 28 თებერვლის დადგენილებით 1991 წლის 31 მარტს დანიშნა რეფერენდუმი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის თაობაზე (რეგიონალური კონფლიქტები საქართველოში ... 2002: 53–54).

ამ დადგენილებას არ დაემორჩილა აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ვ. არძინა და 1991 წლის 28 თებერვლის დადგენილებით გადაწყვიტა, რომ 1991 წლის 17 მარტის საკავშირო რეფერენდუმში, რომელიც სსრკ შენარჩუნების საკითხს ეხებოდა, აფხაზეთიც მიიღებდა მონაწილეობას (გაზ. “აფხაზეთის ხმა”, №37, 1991).

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა აფხაზეთი მხარის ეს გადაწყვეტილება იურიდიული ძალის არმქონედ გამოაცხადა (საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, №3, 1991: 24–26). თუმცა აფხაზეთის ტერიტორიაზე მაინც ჩატარდა 1991 წლის 17 მარტის რეფერენდუმი და ხმა მისცეს სსრ კავშირის შენარჩუნებას.

ქართულ-აფხაზეთი დავის საგანს შეადგენდა აგრეთვე აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს არჩევნებისა და ლეგიტიმაციის საკითხი. საქართველოს უზენაესი საბჭოს 1991 წლის 27 თებერვლის დადგენილებაში “აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ” ვკითხულობთ: “აფხაზეთის ასსრ უზენაეს საბჭოს არ გაუგრძელებია ვადა, არ მიუღია

აფხაზეთის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ კანონი და შესაბამისად არც აფხაზეთის უზენაესი საბჭოს არჩევნები დაუნიშნავს...” (საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, №2, 1991: 92).

მოსკოვის მიერ წაქეზებული სეპარატისტული ძალები აფხაზეთში აგრძელებდნენ ანტიკონსტიტუციურ ქმედებებს. მიუხედავად მოსკოვის წინააღმდეგობისა, ქართულ-აფხაზური ორმხრივი კონსენსუსი მაინც მოხერხდა, მდგომარეობა დარეგულირდა – მიიღეს საარჩევნო კანონი, რომელიც კვოტების პრინციპებს ითვალისწინებდა. კერძოდ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში იქნებოდა 65 დეპუტატი, მათ შორის—28 აფხაზი, 26—ქართველი და 11—სხვა დანარჩენი ეროვნების დეპუტატი. მიღწეული შეთანხმების თანახმად, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე იქნებოდა აფხაზური, ხოლო, მისი პირველი მოადგილე—ქართული დეპუტაციის წარმომადგენელი. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე — ქართველი, ხოლო მისი პირველი მოადგილე—აფხაზი. რაც მთავარია, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მოქმედ კონსტიტუციაში შევიდა ცვლილება, რომლის თანახმადაც ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება (გარდა საპროცედუროსი) უნდა მიღებულიყო ხმების ორი მესამედით, რომლის მოსაგროვებლად (44 ხმა) აუცილებელი ხდებოდა ქართველ და აფხაზ დეპუტატთა ურთიერთკომპრომისი (საქართველოს ისტორია, XX საუკუნე: 231).

ამ ეტაპზე მოხერხდა კომპრომისის მოძებნა, მაგრამ ამის შემდეგ აფხაზეთის სეპარატისტული მთავრობა ყველა ღონეს ხმარობდა ძირძველი ქართული კუთხის საქართველოსაგან გამოსაყოფად. მაგალითად, 1991 წლის 2 ივლისს აფხაზეთის ასსრ უზენაესმა საბჭომ დაგმო ქართული ეროვნული გვარდიის შექმნა და ის სსრკ კონსტიტუციის დარღვევად გამოაცხადა(გაზ. “Абхазия”, №32, 1991). აფხაზეთის ასსრ უზენაესმა საბჭომ 1991 წლის 27 სექტემბერს მიიღო დადგენილება “აფხაზეთის რესპუბლიკური საბაჟო სამსახურის შექმნის შესახებ” (გაზ. “Республика Абхазия”, №15, 1991). ამ დადგენილების მოქმედების შეჩერების თაობაზე 1991 წლის 8 ოქტომბერს გამოვიდა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის დადგენილება (საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

უწყებები, №10, 1991: 13). ამას მოჰყვა 1991 წლის 22 ოქტომბრის აფხაზეთის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ანტიკონსტიტუციური დადგენილება “აფხაზეთის სუვერენიტეტის ეკონომიკური საფუძვლების შესახებ”, რომლითაც აფხაზეთის საკუთრებად გამოცხადდა აფხაზეთის ტერიტორიაზე მდებარე საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები (გაზ. “Республика Абхазия”, №15, 1991). ეს უკანონო დადგენილება შეჩერებულად გამოცხადდა საქართველოს პრეზიდენტის 1991 წლის 24 ოქტომბრის ბრძანებულებით(რეგიონალური კონფლიქტები საქართველოში... 2002: 56). აფხაზეთის მხრიდან ანალოგიურ ანტიკონსტიტუციურ ქმედებებს შემდეგშიც არაერთხელ ჰქონდა ადგილი, რომელიც აშკარად ეთნიკური კონფლიქტის გაღვივებისაკენ იყო მიმართული.

1991 წლის ბოლოსათვის საქართველოში უკიდურესობამდე დაიძაბა სიტუაცია. ქვეყანაში, ფაქტობრივად, სამოქალაქო ომი დაიწყო.

ზვიად გამსახურდიას ოპოზიციამ გამოიყენა საგარეო გართულება—საქართველოს ხელისუფლების დაძაბული ურთიერთობა რუსეთთან და მის წინააღმდეგ შეიარაღებული გამოსვლა დაიგეგმა. 1991 წლის დეკემბერსა და 1992 წლის იანვარში თბილისში სამხედრო ძალის გამოყენებით დაემხო კანონიერი ხელისუფლება. პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ თავი ჯერ სომხეთს, ხოლო შემდეგ ჩეჩნეთს შეაფარა. ძალაუფლება ხელში აიღო სამხედრო საბჭომ (ჯაბა იოსელიანი, თენგიზ კიტოვანი, თენგიზ სიგუა). სამხედრო გადატრიალებამ დასაბამი მისცა სამოქალაქო ომს ქვეყანაში, რომელიც დევნილი პრეზიდენტის მომხრეებსა და სამხედრო საბჭოს შორის მიმდინარეობდა.

ასეთ კრიტიკულ სიტუაციაში (1992 წლის 7 მარტს) მოსკოვიდან საქართველოში ჩამოვიდა ედუარდ შევარდნაძე. 1992 წლის 11 ოქტომბერს ჩატარდა პარლამენტის არჩევნები. ახალი პარლამენტის თავმჯდომარე გახდა ედუარდ შევარდნაძე, რომელსაც პარლამენტმა სახელმწიფოს მეთაურის ფუნქციები მიანიჭა. საქართველო სცნო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრმა მრავალმა ქვეყანამ.

მოელი ამ უმძიმესი პერიოდის მანძილზე აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლება ამზადებდა რეგიონის გამო-

ყოფას საქართველოსაგან. აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე არძინბამ 1992 წლის 20 იანვრის დადგენილებით აფხაზეთის ტერიტორიაზე მყოფი ქართული ეროვნული გვარდიის ნაწილები უკანონო ფორმირებებად გამოაცხადა და მათ აფხაზეთში ცეცხლსასროლი იარაღის ტარება აეკრძალათ (გაზ. “აფხაზეთის ხმა”, №5, 1992), რაც ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციას.

1992 წლის 24 ივნისს ქალაქ სოხუმში შეიარაღებულმა პირებმა ალფა შემოარტყეს შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობას, მიიმედ დააშავეს აფხაზეთის შინაგან საქმეთა მინისტრი გ. ლომინაძე, რამაც გამოიწვია აფხაზეთის მოსახლეობის, განსაკუთრებით მისი ქართული ნაწილის აღშფოთება – დაიწყო დაუმორჩილებლობა. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს დადგენილებით: “იქმნება საშიშროება იმისა, რომ მოვლენების შემდგომი განვითარება გამოიწვევს ქაოსს და სიტუაციას უმართავს გახდის” (გაზ. “საქართველოს რესპუბლიკა”, №118–119, 1992).

იმავე წლის 23 ივლისს აფხაზეთის სეპარატისტულმა მთავრობამ გააუქმა აფხაზეთის ასსრ 1978 წლის კონსტიტუცია და ახალი კონსტიტუციის მიღებამდე 1925 წლის კონსტიტუცია ამოქმედდა (გაზ. “Абхазия”, №27, 1992). აღნიშნული ქმედება განახორციელეს ხალხთა უმრავლესობის აზრის გაუთვალისწინებლად და არც დეპუტატთა უმრავლესობას დაეკითხნენ. იმავე წლის 25 ივლისს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ე. შევარდნაძემ, სპეციალური დადგენილებით, 1925 წლის აფხაზეთის კონსტიტუციის ამოქმედება იურიდიული ძალის არმქონედ გამოაცხადა (გაზ. “საქართველოს რესპუბლიკა”, №139, 1992). აქვე უნდა ითქვას, რომ აფხაზეთის უზენაეს საბჭოშიც იყვნენ საქართველოს ერთიანობის მოსურნე დიდი საზოგადო მოღვაწეები. მათი ძალისხმევით 29 ივლისს აფხაზეთის ასსრ უზენაესმა საბჭომ მიიღო შემდეგი შინაარსის დადგენილება: “აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს 1992 წლის 23 ივლისის დადგენილება, მიღებული აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა ფრაქცია “დემოკრატიული აფხაზეთის” მონაწილეობის გარეშე, რომელიც წარმოადგენს ავტონომიური რესპუბლიკის დიდ უმრავლესობას პარლამენტში, არის მცდელობა აფხაზეთის ასსრ 1978 წლის კონსტიტუციის

შეწყვეტისა და აფხაზეთის სსრ 1925 წლის კონსტიტუციის მოქმედებაში შეყვანისა, რომელიც აცხადებს პროლეტარიის დიქტატურას და დღევანდულობისათვის საფსებით მიუღებელ რეალიებს”(გაზ. “აფხაზეთის ხმა”, №121, 1992).

ამის შემდეგ აფხაზმა სეპარატისტებმა იწყეს ადამიანთა გატაცება სამეგრელოს მხარის რაიონებიდან და ბანდიტური თავდასხმები რუსეთიდან საქართველოში მომავალ მატარებლებზე, მათი გაძარცვის მიზნით. საჭირო გახდა აფხაზეთის სატრანსპორტო მაგისტრალების დაცვა. 1992 წლის 10 აგვისტოს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა: “საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს დებულებების მე-13 მუხლის მეორე პუნქტის საფუძველზე საქართველოს რესპუბლიკის რკინიგზის ტრანსპორტზე 1992 წლის 15 აგვისტოდან შემოდებულ იქნეს საგანგებო წესები ერთი თვის ვადით” (რეგიონალური კონფლიქტები საქართველოში ... 2002: 79).

აფხაზეთის სატრანსპორტო მაგისტრალების დაცვა შევარდნაძეს და ქართულ მხარეს ერთპიროვნული გადაწყვეტილებით არ მიუღია, ყოველივე ეს არძინბასთან შევარდნაძის სატელეფონო საუბრით იყო შეთანხმებული. 1992 წლის 14 აგვისტოს სატრანსპორტო მაგისტრალის დაცვის მიზნით აფხაზეთში შევიდა ქართული პოლიცია და ჯარი. სამხედრო მინისტრი თენგიზ კიტოვანი, რომელიც ამ ჯარის სარდალი გახლდათ, მკაცრად იყო გაფრთხილებული, რომ ჯარი არ უნდა დაბანაკებულიყო ქალაქებში, არამედ მხოლოდ სამაგისტრალო კვანძებზე. კიტოვანმა არ შეასრულა ეს მითითება, რაც საბაზად გამოიყენეს აფხაზეთის შეიარაღებულმა ძალებმა და სროლა აუტეხეს ქართულ ჯარს, რომელმაც სროლითვე უპასუხა.

ქართული პოლიციისა და ჯარის აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში შეყვანა საქართველოს მთავრობის მხრიდან დიდი შეცდომა იყო (რამ განაპირობა ასეთი წინდაუხედავი ნაბიჯის გადადგმა, დამოუკიდებელი კვლევის თემა). აფხაზურმა მხარემ ეს ქმედება რესპუბლიკის სუვერენიტეტის დარღვევად შეაფასა და გამოაცხადა 18-დან 40 წლამდე ასაკის ზრდასრული მოსახლეობის მობილიზაცია. ბრძანებაში ვკითხულობთ: ”შინაგანი ჯარის პოლკის მეთაურმა პოლკის ბაზაზე ჩამოაყალიბოს ხუთი ათასეული, თითოეულში 500

კაცის ოდენობით”(Абхазия, хроника необъявленной войны, Ч.1, 14 Августа –14 Сентября, 1992: 28–29). ხოლო იმავე წლის 16 სექტემბერს აფხაზეთის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ვ. არძინბამ ლიხნის მანიფესტის საფუძველზე შემუშავებული დადგენილება მიიღო და კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი დამოუკიდებელი აფხაზეთის რესპუბლიკის ოკუპაციის მცდელობას საქართველოს მხრიდან. არძინბას მიერ მიღებული დოკუმენტის თანახმად, საქართველო მიზნად ისახავდა 100-ათასიანი აფხაზი ხალხის ფიზიკურ განადგურებას (გაზ. “Свободная Абхазия”, №2, 1992), რაც აშკარა სიცრუეა.

აფხაზების მხარე დაიჭირა რუსეთის ფედერაციის უზენაესმა საბჭომ. მან, 1992 წლის 25 სექტემბრის დადგენილებით, გადაჭრით დაგმო საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელობის მოქმედება, “რომელიც ცდილობს ძალადობის გზით გადაჭრას რთული ეროვნებათშორისი პრობლემები” (ქურნ. “Дипломатический Вестник”, №19–20, 1992: 24–25). ამით კიდევ ერთხელ გახდა აშკარა, რომ რუსეთის სახელმწიფო სეპარატისტ აფხაზთა მხარეზე იყო და გარკვეულწილად მის მიერვე იყო ინსპირირებული ეს ეთნიკური კონფლიქტი.

თავდაპირველად კიტოვან–იოსელიანის სამხედრო ნაწილებს აფხაზმა და რუსმა “ბოევიკებმა” საშუალება მისცეს მარშით გაეეღოთ მთელი აფხაზეთი მდინარე ფსოჟმდე, მაგრამ შემდეგ ჩრდილოკავკასიელი და კაზაკ-რუსი გაწვრთნილი სამხედრო ნაწილების დახმარებით დაიწყო შემოტევა, რაც საბოლოოდ ქართველთა დამარცხებით დამთავრდა.

მათი დახმარებით აფხაზმა სეპარატისტებმა 1992 წლის 2 ოქტომბერს აიღეს გაგრა, დიდი ბრძოლების შედეგად 1992 წლის 27 ოქტომბერს აიღეს სოხუმი, ხოლო 1993 წლის სექტემბრის ბოლოს – ოჩამჩირე, გალი და მდინარე ენგურზე გაავლეს საზღვარი. სეპარატისტებმა ტყვედ აიყვანეს და დახვრიტეს აფხაზეთის მინისტრთა საბჭოსა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე ჟიული შარტავა. მან საკუთარი სიცოცხლის ფასად ათასობით სოხუმელს ააცილა თავიდან აფხაზ სეპარატისტთა ტყვეობაში ჩავარდნა და სიკვდილი. აფხაზეთიდან გამოიდევნა დაახლოებით 300 ათასი ქართველი და სხვა ეროვნების მოქალაქე.

ქართული მხარე არ წყვეტდა მოქმედებას აფხაზეთში მშვიდობის დამყარებისათვის. ამის დამადასტურებელია 1992

წლის 3 სექტემბრს მოსკოვში გამართული მოლაპარაკება, რომლის ძალითაც 5 სექტემბრის 12.00 საათიდან ცეცხლი უნდა შეწყვეტილიყო ორივე მხრიდან. ასევე ყოველგვარი პირობები უნდა შექმნილიყო აფხაზეთიდან ლტოლვილი ქართველების უკან დასაბრუნებლად (გაზ. “საქართველოს რესპუბლიკა”, №170, 1992). აღნიშნული შეთანხმება დაარღვიეს აფხაზებმა.

აფხაზი სეპარატისტების და მათი შინაური თუ გარე მომხრეების მრავალგზისმა ვერაგობამ აიძულა საქართველო შესულიყო დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში და დათანხმებოდა მდინარე ენგურის ორივე მხარეს რუსთა “სამშვიდობო” ჯარის ჩადგომას, რამაც, ფაქტობრივად, ყოველ შემთხვევაში – ჯერჯერობით მაინც, შექმნა საქართველო – აფხაზეთის გამყოფი საზღვარი. რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოს 1992 წლის 25 სექტემბრის დადგენილებით, რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალები სამშვიდობო ძალების რანგში იქნა აყვანილი და კონფლიქტის დემილიტარიზებულ ზონაში ჩააყენეს “მოსახლეობის უშიშროების უზრუნველყოფისა და მრეწველობის და ტრანსპორტის მდგრადი ფუნქციონირებისათვის” (რეგიონალური კონფლიქტები საქართველოში... 2002:82–83). აფხაზეთში საერთაშორისო ეგიდით განლაგებული რუსეთის ეს სამშვიდობო ძალები ვერ ასრულებენ დაკისრებულ მისიას და ვერ უზრუნველყოფენ მშვიდობასა და სტაბილურობას რეგიონში.

რუსეთის დახმარებით გათამამებულმა აფხაზმა სეპარატისტებმა აფხაზეთი გამოაცხადეს “დამოუკიდებელ სახელმწიფოდ” და უარი თქვეს 100-ათასობით ლტოლვილის საკუთარ სახლში დაბრუნებაზე, თუ საქართველო არ სცნობდა მათ “დამოუკიდებლობას”.

ქართული მხარე ამის შემდეგაც არაერთხელ შეეცადა ეს ეთნიკური კონფლიქტი აღმოეფხვრა. ის თანახმა იყო წასულიყო დათმობაზე და აფხაზეთი ფართო ავტონომიის სტატუსით შესულიყო საქართველოს შემადგენლობაში. ამის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია 1993 წლის 27 ივლისის სოჭის შეთანხმება, რომელშიც საუბარია, რომ 1993 წლის 28 ივლისის 12.00 საათიდან უნდა შეწყდეს ცეცხლი და აფხაზეთში “1993 წლის 29 ივლისიდან ფუნქციონირებას იწყებს ქართულ-აფხაზურ-რუსული დროებითი საკონტრო-

ლო ჯგუფები (3–9 კაცის ოდენობით)”, ეს საკონტროლო ჯგუფები მეთვალყურეობას გაუწევენ ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმის დაცვას.

“კონფლიქტის ზონაში დაუყოვნებლივ შედიან საერთაშორისო მეთვალყურენი” (გაზ. “საქართველოს რესპუბლიკა”, №164, 1993). ამ საერთაშორისო მეთვალყურეებში გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ მოვლენილი მეთვალყურენი იგულისხმება. ეს შეთანხმებაც დაარღვია აფხაზურმა მხარემ და საომარი მოქმედებები ამის შემდეგაც გააგრძელა.

აღსანიშნავია, რომ აფხაზები ომის გაგრძელებას, რუსეთის მხრიდან არაოფიციალური მხარდაჭერა რომ არ ყოფილიყო, ვერ შეძლებდნენ. თუმცა, რუსეთი როგორც ქართული, ისე აფხაზური მხარის დასუსტებით რომ იყო დაინტერესებული, გვაფიქრებინებს რუსეთის ფედერაციის ეროვნებათა საბჭოს თავჯდომარის რ. გ. აბდულატოვის 1993 წლის 30 აპრილის დადგენილება, რომელშიც ვკითხულობთ შემდეგს: “რუსეთის ფედერაციის მთავრობა არ ასრულებს რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოს რეკომენდაციებს, შეჩერდეს საქართველოს რესპუბლიკისათვის შეიარაღების გადაცემა, შეწყდეს ადრე დადებული კონტრაქტებით საბრძოლო ტექნიკისა და ტყვია-წამლის მიწოდება”(Ведомости Съезда Народных Депутатов РФ и Верховного Совета РФ, №20. 1993: 1214 – 1215).

რუსეთი რომ აფხაზურ მხარეს ამარაგებდა იარაღით, ეს ფაქტია. მაგრამ, როგორც ამ დადგენილებიდან გამოდის, რუსეთი თურმე ქართულ მხარესაც აწვდიდა ტყვია-წამალს. ჩანს, რუსეთს ხელს აძლევდა, თუკი ორივე მხარე – ქართულიცა და აფხაზურიც დასუსტდებოდა და საერთო ჯამში ამით ქართული სახელმწიფო დაძაბუნდებოდა. აშკარაა, რომ მოსკოვში საკმაოდ შორსმდმავალი გეგმები ჰქონდათ.

ორიოდე სიტყვით შევეხოთ გაეროს როლს კონფლიქტის დარეგულირების საკითხში. ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში აქტიურად მონაწილეობდა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. 1993 წლის 24 აგვისტოს გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის №858 დადგენილებით ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში მოავლინეს გაეროს მეთვალყურენი, თავდაპირველად 6 თვის ვადით. შემდეგ მოხდა ამ ვადის გაზრდა (Т. Надареишвили, 1996: 230–231). მას შემდეგ, რაც ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში მოვლენილმა გაე-

როს მეთვალყურეებმა ადგილზე შეისწავლეს პრობლემა, 1993 წლის 19 ოქტომბერს გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო №876 რეზოლუცია, რომელშიც ვკითხულობთ: “გაეროს უშიშროების საბჭო ადასტურებს საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას. კვლავ ადასტურებს საქართველოს რესპუბლიკასა და აფხაზეთში არსებული ძალებს შორის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 1993 წლის 27 ივლისის შეთანხმების უხეშ დარღვევას აფხაზთა მხარის მიერ და საერთაშორისო ჰუმანური სამართლის დარღვევით წარმოებულ შემდგომ მოქმედებებს. გმობს აგრეთვე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის თავდაცვის საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მკვლელობას” (გაზ. “საქართველოს რესპუბლიკა”, №229, 1993).

გაეროს უშიშროების საბჭოს ამ რეზოლუციამ მთელ მსოფლიოს კიდევ ერთხელ დაანახა, რომ ქართულ-აფხაზურ მხარეს შორის შეთანხმებებს აფხაზური მხარე და მათ უკან მდგომი რუსეთი არღვევდა.

მართალია, 1993 წლის სექტემბრის ბოლოს დასრულდა უშუალოდ საომარი მოქმედებები, მაგრამ ეს მოხდა მხოლოდ იმის შემდეგ, რაც 300 ათასამდე ქართველს დაატოვებინეს აფხაზეთი. ბევრი ქართველი შეეწირა აფხაზეთის ომს. საქართველოს პარლამენტის 1996 წლის 17 აპრილის დადგენილებაში ნათქვამია, რომ: “საქართველოს ძირძველ ტერიტორიაზე – აფხაზეთში ათწლეულების განმავლობაში მოქმედმა სეპარატისტებმა გარეშე ძალთა მხარდაჭერითა და ხელშეწყობით 1992 წლიდან მოაწყვეს ქართველების გენოციდი და ეთნიკური წმენდა, რომელსაც შეეწირა შვიდი ათასზე მეტი მშვიდობიანი მოქალაქე, უზოუკელოდ დაიკარგა ათასზე მეტი, დაიჭრა და დასახინჩრდა ათი ათასამდე ადამიანი. ბარბაროსულად დახვრიტეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს პარლამენტის წევრი ჟიული შარტავა და სხვა ხელმძღვანელი პირები. მშობლიური ადგილებიდან გაძევებულია აფხაზეთის მოსახლეობის 80 პროცენტი, დამწვარი, გაძარცვული და განადგურებულია 20 000-ზე მეტი საცხოვრებელი სახლი, დანგრეულია სკოლები, კულტურის ცენტრები, ეკლესიები, ხუროთმოძღვრებისა და ისტორიული ძეგლები...

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ქართველთა გენოციდი და ეთნიკური წმენდა გრძელდება საომარ მოქმედებათა შეწყვეტის შემდგომაც, განსაკუთრებით გალის რაიონში, სადაც 1993 წლის სექტემბრის შემდეგ დაიღუპა 1000-ზე მეტი ადამიანი. ფართო მასშტაბი მიიღო ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების შელახვამ.

საქართველოს პროკურატურისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ წარმოდგენილი მასალების საფუძველზე აფხაზეთში განვითარებული და მიმდინარე მოვლენები შეფასდეს, როგორც სეპარატისტთა მიერ რუსეთის ანტიდემოკრატიული, რეაქციული და სხვა გარეშე ძალების დახმარებითა და მონაწილეობით საქართველოს სახელმწიფოებრიობისა და ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ მიმართული აგრესიული ქმედება...” (პარლამენტის უწყებები. საქართველოს პარლამენტის ყოველკვირეული უწყებები, №5-6, 1996: 56-59)

პარლამენტის ეს დადგენილება არა მარტო იმით არის მნიშვნელოვანი, რომ აფხაზეთში დაღუპულთა, დაკარგულთა და დასახინჩრებულთა ზუსტი სტატისტიკური ცნობებია მოცემული, არამედ იმითაც, რომ რუსეთის მხარის ანტიდემოკრატიული ქმედებანი კიდევ ერთხელ არის სააშკარაოზე გამოტანილი და მათთან დაკავშირებით ზუსტი ფორმულირებებია გაკეთებული.

პარლამენტის იგივე დადგენილება მიმართავს აფხაზურ მხარესაც, მასში ვკითხულობთ: “საქართველოს კონსტიტუციის საფუძველზე და საერთაშორისო სამართლით აღიარებული პრინციპების შესაბამისად, მრავალეროვანი აფხაზეთის ფართო საზოგადოებრიობის, ყველა ერისა და ეროვნების წარმომადგენლების მონაწილეობით განისაზღვროს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიტიკური სტატუსი ფართომასშტაბიანი ავტონომიით ერთიანი ქართული სახელმწიფოს ჩარჩოში” (გაზ. “Свободная Грузия”, №77, 1994).

ანალოგიური შინაარსის დადგენილება მოცემულია 1994 წლის 4 მაისის გაეროს გენერალური მდივნის მოხსენებით ბარათში. მსგავსი ფორმულირებებია გაკეთებული გაეროს სხვა რეზოლუციებშიც. მაგრამ ვერც ამან უშველა პრობლემას. ამის შემდეგაც არაერთხელ შედგა მოლაპარაკება ქართულ და აფხაზურ მხარეებს შორის – პრობლემის მწვი-

დობიანად დარეგულირებისა და აფხაზეთის ფართომასშტაბიანი ავტონომიის სტატუსით საქართველოს შემადგენლობაში შემოსვლასთან დაკავშირებით (იხ. გაგების მემორანდუმი, მიღებული ქართულ და აფხაზურ მხარეებს შორის ჟენევის მოლაპარაკებაზე 1993 წლის 30 ნოემბრიდან 1 დეკემბრამდე, იხ. Т. Надареишвили, 1996: 286-287; კომუნიკე ჟენევაში ქართველთა და აფხაზთა მოლაპარაკების მეორე რაუნდის შესახებ, რომელიც მიმდინარეობდა 1994 წლის 11-13 იანვარს, მისი სრული ტექსტი დაბეჭდილია გაზ. “საქართველოს რესპუბლიკა”, №12, 1994; ოთხმხრივი შეთანხმება (საქართველო, აფხაზეთი, რუსეთის ფედერაცია და გაერო), ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა შესახებ, გაიმართა 1994 წლის 22-25 თებერვალს ჟენევაში, იმავე წლის 7-9 მარტს ნიუ-იორკში და 29-31 მარტს მოსკოვში და სხვ. ამ მოლაპარაკებათა ძირითადი დეკლარაციები და შეთანხმებები იხილეთ წიგნში “რეგიონალური კონფლიქტები საქართველოში ...”, 2002: 94, 96-97, 102-105, 105-107, 108-110; ასევე: გაზ. “საქართველოს რესპუბლიკა”, №53, 1994), მაგრამ აფხაზური მხარე ყოველთვის არღვევდა ამ შეთანხმებებს.

საქმეს ვერც გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ წარმოგზავნილ მეთვალყურეთა გაზრდილმა კონტინგენტმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა უშველეს. აფხაზეთის სეპარატისტული მთავრობის წარმომადგენლებმა 1994 წლის 26 ნოემბერს მიიღეს, როგორც ისინი უწოდებენ, “დამოუკიდებელი აფხაზეთის რესპუბლიკის” კონსტიტუცია, რომელიც თავის მხრივ 1925 წლის კონსტიტუციის საფუძველზე იყო შემუშავებული. კონსტიტუციაში ნათქვამია: “ჩვენ, აფხაზეთის ხალხი, ვახორციელებთ რა საკუთარი თვითგამორკვევის უფლებას, სახეიმოდ ვაცხადებთ და ვადგენთ ამ კონსტიტუციას.

მუხლი 1. აფხაზეთის რესპუბლიკა არის სუვერენული, დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფო, რომელიც ისტორიულად ჩამოყალიბდა ხალხთა თავისუფალი თვითგამორკვევის უფლებით.

მუხლი 6. აფხაზეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ენა არის აფხაზური.

რუსული ენა აფხაზურის თანაბრად აღიარებულია სახელმწიფო და სხვა დაწესებულებების ენად...” (გაზ. “Абхазия”, №4, 1995). მე-10 მუხლით განსაზღვრულია ქვეყნის სა-

ხელმწიფო სიმბოლიკა (სახელმწიფო დროშა, გერბი და ჰიმნი), 37-ე მუხლით განსაზღვრულია აფხაზეთის რესპუბლიკის პარლამენტის დეკლარატო რაოდენობა 35 კაციით და პარლამენტის უფლებამოსილებათა ვადა—5 წლით. 47-ე, 48-ე, 49-ე მუხლებით განსაზღვრულია აფხაზეთის რესპუბლიკის პარლამენტის უფლება-მოვალეობანი, ხოლო 53-ე მუხლით — პრეზიდენტის უფლება-მოვალეობანი, რომ ის “განსაზღვრავს საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს” და ა.შ. (გაზ. “Абхазия”, №4, 1995).

აღნიშნული კონსტიტუცია ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციას და მის მთავარ დებულებას, რომ საქართველოს კონსტიტუცია არის ქვეყნის უზენაეს კანონთა კრებული და ყველა სხვა, მათ შორის ავტონომიურ რესპუბლიკათა კანონები მოყვანილი უნდა იყოს მასთან შესაბამისობაში.

აღნიშნული ანტიკონსტიტუციური ქმედება დაგმეს ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის ბუდაპეშტის შეხვედრაზე, სადაც კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი საქართველოს სუვერენიტეტს და ტერიტორიული მთლიანობის დაცვას საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ ცნობილ საზღვრებში. მონაწილეთა დასკვნით, “სწორედ ამ პრინციპს უნდა ეფუძნებოდეს კონფლიქტების მოწესრიგება საქართველოში” (გაზ. “საქართველოს რესპუბლიკა”, №208, 1994). ანალოგიური ხასიათის დადგენილებები იქნა მიღებული გაეროს უშიშროების საბჭოს სხვადასხვა სხდომებზეც (რეგიონალური კონფლიქტები საქართველოში ... 2002: 120—121; 124—125; 131—132; 139—140; გაზ. “საქართველოს რესპუბლიკა”, №141, 1996)

XX საუკუნის მიწურულამდე ანალოგიური ხასიათის დადგენილებები არაერთხელ მიიღო როგორც გაერომ, ასევე ქართულმა მხარემ, მაგრამ ვერც ამ დადგენილებებმა გადაჭრეს აღნიშნული კონფლიქტი. საუკუნის მიწურულსაც ვერ იქნა აღდგენილი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და კვლავ ქართული იურიდიული სივრცის მიღმა რჩება აფხაზეთი.

ზემოთ მოყვანილი მრავალრიცხოვანი დოკუმენტებიდან ნათლად ჩანს, რომ ქართულ-აფხაზური კონფლიქტი, გარდა ორივე მხრიდან დაშვებული შეცდომებისა, ინსპირირებულია

მესამე ძალის – რუსეთის მიერაც, რომლის იმპერიალისტური ფორმულა – “დაჰყავი და იბატონე” – შორს მიმავალ გეგმებს ისახავს მიზნად და მხოლოდ აფხაზებისადმი უანგარო სიყვარულით არ არის განსმჭვალული. აქვე უნდა აღინიშნოს ქართული მხარის კონფლიქტისადმი სწორი მიდგომა – მისი მშვიდობიანი გზით გადაჭრის წადილი. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან მხოლოდ რჩევების მიწოდება კონფლიქტში მონაწილე მხარეებისადმი, პრობლემას ვერ შევლის – საჭიროა უფრო ქმედითი ნაბიჯების გადადგმა და კონსტრუქციული დიალოგის ფორმატის განახლება უფრო მიმზიდველი წინადადებებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აფხაზეთის საკითხი ოფიციალურ დოკუმენტებში. საქართველოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი ხელისუფლება, საერთაშორისო ორგანიზაციები, 1989–1999 წწ. ნაწილი I, 1989–1995 წწ., ავტორები და სარედაქციო კოლეგია: ვახტანგ ყოლბაია, თეიმურაზ ჭახრაკია, რაფიელ გელანტია, დავით ლაცუხბაია, თბ., 2000 წ.
2. გაზ. “საქართველოს რესპუბლიკა”, №118–119, 1992 წლის 1 ივლისი.
3. გაზ. “საქართველოს რესპუბლიკა”, №139, 1992 წლის 28 ივლისი.
4. გაზ. “საქართველოს რესპუბლიკა”, №170, 1992 წლის 4 სექტემბერი.
5. გაზ. “საქართველოს რესპუბლიკა”, №164, 1993 წლის 29 ივლისი.
6. გაზ. “საქართველოს რესპუბლიკა”, №229, 1993 წლის 19 ოქტომბერი.
7. გაზ. “საქართველოს რესპუბლიკა”, №208, 1994 წლის 10 დეკემბერი.
8. გაზ. “საქართველოს რესპუბლიკა”, №141, 1996 წლის 17 ივლისი.
9. გაზ. “საბჭოთა აფხაზეთი”, №171, 1990 წ., 6 ოქტომბერი.
10. გაზ. “აფხაზეთის ხმა”, №37, 1991 წლის 5 მარტი.
11. გაზ. “აფხაზეთის ხმა”, №5, 1992 წლის 4 თებერვალი.
12. გაზ. “აფხაზეთის ხმა”, №121, 1992 წლის 1 აგვისტო.

13. მიმინოშვილი რ., ფანჯიკიძე გ., სიმართლე აფხაზეთზე, თბ., 1990 წ.
14. პარლამენტის უწყებები. საქართველოს პარლამენტის ყოველკვირეული უწყებები, 1996 წ., №5-6
15. რეგიონალური კონფლიქტები საქართველოში-სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, აფხაზეთის ასსრ (1989-2001). პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტების კრებული, კრებული შემდგენელი და მთავარი რედაქტორი თამაზ დიასამიძე, თბ., 2002 წ.
16. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1990 წ., №8.
17. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, 1991 წ., №1.
18. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, 1991 წ., №2.
19. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, 1991 წ., №3.
20. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, 1991 წ., №10.
21. საქართველოს ისტორია, XX საუკუნე, თბ., 2003 წ.
22. გაზ. "Абхазия", №32, 1991 წლის 13 აგვისტო.
23. გაზ. "Абхазия", №27, 1992 წლის 30-6 აგვისტო.
24. გაზ. "Абхазия", №4, 1995 წლის 27 ნოემბერი.
25. გაზ. "Республика Абхазия", №15, 1991 წლის 12 ოქტომბერი.
26. გაზ. "Свободная Абхазия", №2, 1992 წლის 18 სექტემბერი.
27. გაზ. "Свободная Грузия", №77, 1994 წლის 12 მაისი.
28. გაზ. "Советская Абхазия", №164, 1990 წლის 28 აგვისტო.
29. Абхазия – хроника необъявленной войны, ч. 1, 14 августа-14 сентября, Сост: Б. Амкуаб Т. Илларионова, М., 1992 Г.
30. Ведомости Съезда Народных Депутатов РФ и Верховного Совета РФ, 1993 г., №20.
31. ჟურნალი "Дипломатический вестник", М., 1992 г., №19-20.
32. Надареишвили Т., "Геноцид в Абхазии", 1996 г.
33. М. Ю. Чумалов, Абхазский узел, М., 1995 г.

Chronicle of Georgia-Abkhazia relations in the 90's of the 20th century

Summaru

The given work discusses one of the hardest problems of the modern history of Georgia-Conflict of Abkhazia.

The “one piece” of this chronicle discusses ethnic conflict, which is particularly actual nowadays, when ethnic groups provoked by exogenous powers were able to execute separatistic intentions, that resulted in destruction of territorial integrity of Georgia.

The work discusses legislative Acts, passed by Georgian Government and Parliament to international organizations of the west or Russia, directly or indirectly concerning the conflict.

Сулхан Алексана

Хроника Грузино-Абхазских отношений в 90-ие годы XX века

Резюме

В данной работе рассматривается одна из сложнейших проблем в новейшей истории Грузии: проблема Грузино-абхазского конфликта.

В “одном листе” хроники рассмотрен этнический конфликт, который особенно актуален в данный период, когда спровоцированные экзогенными силами этнические группы смогли осуществить сепаратистические намерения, повлекшие за собой нарушение территориальной целостности Грузии.

В работе рассмотрены правовые и юридические акты, принятые Грузинским правительством и Парламентом, обращенные к международным организациям Запада или России, прямо или косвенно касающиеся этого конфликта.

ს ა რ ჩ ე ვ ი

ნანა ხახუტაიშვილი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთის დასახლებათა ტიპები ნეოლით – ადრერკინის ხანაში	3
Nana Khakhutaishvili Types of Settlements in South-Western Georgia Littoral in Neolithic and Early-Iron Ages	13
ირინე ტატიშვილი ხეთები ქაშკების შესახებ	14
Irene Tatishvili The Kaška according to the Hittites	26
სიმონ გოგიტიძე ქვეყანა ბიანი	28
Simon Gogitidze The country Biani	35
ემზარ კახიძე ქართულ-ბერძნული ურთიერთობების ადრეული ეტაპი	36
Emzar Kakhidze The early stage of Greco-Georgian relationships	46
ბიჭიკო დიასამიძე სამხრეთ-დასავლეთ საქართველო (აჭარა) ტბელ აბუსერისძის ხანაში (სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა)	47
Bichiko Diasamidze South-Western Georgia (Adjara) in the Epoch of Tbel Abuserisdze (Social and Economic Situation)	61
შოთა მამულაძე მემინდვრეობა, მევენახეობა განვითარებული შუა საუკუნეების აჭარაში	63
Shota Mamuladze Field crop cultivation in Medieval Adjara	72
ოლეგ ჯიბაშვილი საქართველოს სამხედრო გზის ისტორიიდან	74
Oleg Jibashvili Something from Georgian Military Road History	83
თამაზ ფუტკარაძე ტოპონიმებში გაცოცხლებული ისტორია	85
Tamaz Phutkaradze Ghristian toponyms in Ajara	92
უნა ოქროპირიძე ბათუმის შემოერთებისათვის რუსეთის ბრძოლის ისტორიიდან (XIX ს.)	94

Ucha Okropiridze	
The question of Batumi in the International Relations Before Addition of Adjara	103
მერაბ მეგრელიშვილი	
ზოგიერთი ცნობა პროფ. ა.ნ. კრასნოვის ნარკვევებზე „სამხრეთ კოლხეთი“	104
Merab Megrelishvili	
Some information about “South Kolchida” by professor A.N. Krasnov	109
მალხაზ სიორიძე	
ბათუმში ანტანტის სახელმწიფოების გეგმებში პარიზის საზავო კონფერენციის პერიოდში	110
Malkhaz Sioridze	
Batumi in Antant States plans during Paris Peace Conference	124
ნინო ვაშაყმაძე, ირაკლი ბარამიძე	
კარლ კაუტსკი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შესახებ (1918-1921 წწ.)	126
Nino Vashakmadze, Irakli Baramidze	
Karl Kautski About Georgian Democratic Republic (1918-1921 years)	134
კახაბერ სურგულაძე, ირაკლი მანველიძე	
კავკასიის დამოუკიდებლობის კომიტეტი და აჭარა	136
Kakhaber Surguladze, Irakli Manvelidze	
Adjara and the Independence Committee of Caucasus	143
ვაჟა შუბითიძე	
მიხეილ ჯავახიშვილი საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობისა და ცივილიზაციური განვითარების თავისებურებების შესახებ	145
Vazha Shubitidze	
Mikheil Javakhishvili about the peculiarities of Georgian Geo-Political location and civilisation developments	155
ოთარ თურმანიძე	
საინფორმაციო საშუალებები აჭარაში 1921-1990 წლებში	157
Turmanidze Otar	
Means of Information in 1921-1990 Years Ajara Region	173
თენგიზ გრიგოლია	
საქართველოს სატრანზიტო ფუნქცია ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკაში	175
Tengiz Grigolia	
Georgian transit function in European Neighbourhood policy	179
სულხან აღეკსაია	
XX საუკუნის 90-იანი წლების ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ქრონიკა	180
Sulkhan Aleksaia	
Chronicle of Georgia-Abkhazia relations in the 90's of the 20 th century	197

გამომცემლობის რედაქტორი – ლალი კონცელიძე
ტექნიკური რედაქტორი – ედუარდ ანანიძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 03.12.2007
ქაღალდის ზომა 60X84 1/16
ფიზიკური თაბახი 12,5
ტირაჟი 200

ფასი სახელმწიფოებრივად

დაიბეჭდა უნივერსიტეტის სტამბაში
ქ. ბათუმი, გელიძის ქუჩის 2.